რუსთავის ისტორიული მუზეუმი
RUSTAVI HISTORICAL MUSEUM

რუსთავი
RUSTAVI

V

რუსთავის ისტორიული მუზეუმი
RUSTAVI HISTORICAL MUSEUM

რუსთავი
RUSTAVI

V

ეძღვნება რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის 75-ე წლისთავს,
ასევე, მისი დაამარსებლის და უცვლელი ხელმძღვანელის (1949-1973 წწ.)
გიორგი ლომთათიძის ხსოვნას დაბადებიდან 110 წლისთავზე

თბილისი, Tbilisi
2024

კრებულში გრძელდება შუასაუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის, კუხეთის რუსთავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგების გამოქვეყნება. წინამდებარე კრებულში შეტანილია რუსთავის ციხე-სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე 1959, 1961-73 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების ვრცელი ანგარიშები. წარმოდგენილია საფორტიფიკაციო ხასიათის ძეგლები, მასზე მიდგმულ ნამოსახლართა დახასიათება - ანალიზი. პირველად ქვეყნდება აღნიშნულ უბანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და მათი კვლევის შედეგები. კრებულში ასევე შედის რუსთავის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლის ზ. მაღრაძის სტატია მუზეუმის ექსპოზიციაში დაცულ მოხრილ ხმალზე.

რედაქტორი: ისტ. მეც. დოქტორი ნაზი პაჭიკაშვილი
Editor: Nazi Pachikashvili

რეცენზენტი: ისტ. მეც. დოქტორი დავით მინდორაშვილი

სარედაქციო ჯგუფი: ე. ჯანდიერი, ზ. მაღრაძე, ქ. ტრაპაიძე
Editor Group: Eka Jandieri, Zurab Magradze, Ketevan Trapaidze

ინგლისური თარგმანი: ნინო გაბუნია
English translation: Nino Gabunia

დიზაინი და დაკაბადონება: გელა ბაბაკიშვილი
Design and layout: Gela Babakishvili

ISSN 1512-2611

შინაარსი
CONTENTS

ნ. პაჭიკაშვილი – წინასიტყვაობა
N. Pachikashvili – Foreword 4

თ. არჩვაძე – რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე (III თხრილი) 1959 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში
T. Archvadze – Report of the archaeological works conducted in the area (trench III) of the south-east gate of Rustavi Fortress in 1959 6

ე. ჯანდიერი – რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე (XI და XIa თხრილი) ჩატარებული სამუშაოების შედეგები (1961, 1962, 1965, 1972,1973 წწ.
E. Jandieri – Outcomes of the works conducted in the area (trenches XI and Xi a) of the south-east gate of Rustavi Fortress (1961, 1962, 1965, 1972, 1973) 39

ე. ჯანდიერი – ძველი ნამოსახლარები რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე
E. Jandieri – Ancient settlements in the area of the south-east gate of Rustavi Fortress 161

ზ. მაღრაძე – შუასაუკუნეების მსუბუქი მეომრის შეიარაღება
Z. Maghradze – Weapons of a Medieval Light-Armed Soldier 242

შემოკლებათა განმარტება
Explanation of abbreviations 267

წინასიტყვაობა

კრებული „რუსთავი V“ ეძღვნება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის რუსთავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს.

კრებულში იბეჭდება რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანზე გათხრილი სასიმაგრო ნაგებობებისა და ნამოსახლარების შესწავლის მეცნიერული ანგარიშები და გამოკვლევები, რომლებიც ქვეყნდება პირველად და უცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ ამავე უბანზე მოგვიანებით წარმოებული გათხრების შედეგად ზოგიერთი მოსაზრება შემდგომში დაზუსტდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა.

თინა არჩვაძის ნაშრომში წარმოდგენილია ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანზე (თხრილი III) 1959 წელს წარმოებული პირველადი გათხრების ანგარიში.

ეკა ჯანდიერის ნაშრომებში თავმოყრილია ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანზე (თინა არჩვაძის თხრილის გაგრძელებაზე) 1961, 1962, 1965, 1972, 73 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები და 1972-1973 წლების გათხრების შედეგების მიხედვით შესრულებული ნაშრომი „ძველი ნამოსახლარები რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე“; რომელშიც მოცემული და გაანალიზებულია რუსთავის ციხის გვირაბიანი კარიბჭის, მასზე მიშენებული ნამოსახლარების ურთიერთკავშირი და ქრონოლოგია სტრატიგრაფიული განფენისა და ნივთიერი მასალის გამოყენებით. განხილულია რუსთავის ციხის საფორტიფიკაციო სისტემისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის მშენებლობის კონსტრუქციული ხერხები, ეტაპები და მათი კვლევის მეცნიერული შედეგები.

კრებულში ასევე ქვეყნდება ზ. მაღრაძის გამოკვლევა რუსთავის მუზეუმის ექსპოზიციაში დაცული მოხრილი ხმლის სეიბრის შესახებ.

კრებულში გამოქვეყნებული საილუსტრაციო მასალა შეასრულეს გ. ზამთარაძემ, მ. კოზლოვსკიმ, ო. პირმისაშვილმა, გ. ხოშტარიამ, რ. გვერდწითელმა, ა. გოგელიამ, რ. ცინცაძემ, გ. ჭეიშვილმა, ირ. ქავთარაძემ, ნ. თოფურიძემ, ვ. ჩაგანავამ, ი. ნესკოროდიევმა, ნ. სკლიფოსოვსკიმ, ნ. არჩვაძემ, ნ. ჯანიკაშვილმა, მ. ახალაიამ.

FOREWORD

The collection 'Rustavi V' is dedicated to the outcomes of the archaeological research of one of the ancient cities in Georgia – Rustavi.

The collection provides scientific reports and studies of the fortification structures and settlement-sites that are published for the first time and without changes in spite of the fact that some opinions were specified or significantly changed as a consequence of the archaeological excavations carried out in the same area in a later period.

Tina Archvadze's work presents the report of the primary excavations conducted in the area of the south-east tunnel gate of the fortress (trench III) in 1959.

The works by Eka Jandieri contain outcomes of the archaeological excavations carried out in the area of the south-east tunnel gate (extension of the trench of Tina Archvadze) in 1961, 1962, 1965, 1972, 1973 and the work 'Ancient Settlements in the Area of the South-East Gate of Rustavi Fortress', produced according to the outcomes of excavations carried out in 1972-1973. The work deals with and discusses interrelation and chronology of the tunnel gate of Rustavi Fortress and the settlements annexed to it, using the stratigraphic dissemination and material evidence. It also looks at the constructional means and stages of building of the fortification system and the south-east gate of Rustavi Fortress, as well as scientific outcomes of research.

The collection also provides Z. Maghradze's survey about the curved sword displayed at Rustavi History Museum.

The illustrative material of the collection was produced by G. Zamtaradze, M. Kozlowski, O. Pirmisashvili, G. Khoshtaria, R. Gverdtsiteli, A. Gogelia, R. Tsintsadze, G. Cheishvili, I. Kavtaradze, N. Topuridze, V. Chaganava, I. Neskorodiev, N. Sklifosovski, N. Archvadze, N. Janikashvili and M. Akhalaia.

თინა არჩვაძე

რუსთავის ციხის III თხრილზე 1959 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში[1]

1959 წელს, ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ცნობილი არქეოლოგის **გიორგი ლომთათიძის** ხელმძღვანელობით, რუსთავის ციხის გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიებითი სამუშაოები დაიწყო. ციხის ტერიტორიაზე, ერთდროულად, რამდენიმე უბანი (I, II, III თხრილი) ითხრებოდა. III თხრილი ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ორ ბურჯს შორის ტერიტორიას მოიცავდა (ფართობი 4x10x3 მ.). ბურჯებიდან ერთი (კარიბჭიანი კოშკი) დიდია, მეორე კი პატარა. ისინი, ზღუდის სხვა ბურჯების მსგავსად, ერთმანეთის თანამიმდევრობით მდებარეობენ (ტაბ. I_{1-2}). კარიბჭიანი კოშკი თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი, მეორე კი ნაწილობრივ და კედელზე „მიკერებულის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზღუდის ეს მონაკვეთი, როგორც ზოგადად ციხე, კონგლომერატზე დგას. სამშენებლო მასალად რიყის ქვა და დუღაბი, პერანგში კი მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვის დაკუთხული კვადრები, აგურები და ზოგან რიყის ქვებია გამოყენებული. დიდ ბურჯს პერანგი შუა დონემდე კარგად აქვს შემორჩენილი, პატარას კი ძირის დონემდე შემორჩა (ტაბ. I_2, II_{1-2}). პერანგის ქვები პატარა ზომისაა, საშუალოდ 30X40 სმ. (განსხვავებით V თხრილის №3 ბურჯისგან, სადაც მათი ზომა საშუალოდ 87X57 სმ. უდრის). ორ-სამ ფენა აგურის ჰორიზონტალურ წყობას (ზოგჯერ ერთ ფენად რიყის ქვაა გამოყენებული) მოსდევს ქვიშაქვის კვადრები, რომელთა შორის ვერტიკალურად 2-3 აგურია მოთავსებული (ზომები: 23X23X3.5; 21X21X4.5; 20X20X3.5 სმ.), შემდეგ ზემოდან ისევ აგურის ფენაა და ასე გრძელდება ბოლო წყობამდე (ტაბ. II_{1-2}). დიდი ბურჯის გასუფთავებისას ყურადღება მიიპყრო ქვითკირის კედელში ჩატანებულმა ერთმა ქვამ, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებით. იგი „ბოლნური მედალიონია“ (ზომა 25x22 სმ.), რომელიც V-VI სს. განეკუთვნება. ქვის ასეთი ნატეხი ადრეც ყოფილა ნაპოვნი რუსთავის ციხეზე. ეს მეტად საინტერესო მომენტია. წყობაში ქვების ჩატანება აქ პირველი შემთხვევა არ არის: „თევზიფხური“ ორნამენტით შემკული ორი სტელის შუაზე გადატეხილი ფრაგმენტი ჩანს №3 ბურჯის პერანგში, ხოლო ექვსი ჩუქურთმიანი ქვა (კარნიზის ქვებს მოგვაგონებს) ალიზიანი ბურჯის პერანგში. ეტყობა, ციხეს რამდენჯერმე განუცდია განახლება-შეკეთება, რაც ადგილობრივი სამშენებლო მასალის გამოყენების ხარჯზე ხდებოდა.

სამუშაოების დაწყების დროისათვის დიდი ბურჯის უმეტესი ნაწილი მიწითა და ქვით იყო დაფარული. სამხრეთ მხარეს მოჩანდა აგურის თაღი (ტაბ. III_{1-2}, IV_2). ასეთივე თაღი იყო ბურჯის ჩრდილოეთ მხარეს, კარიბჭიანი კოშკის მეორე სართულზე (ტაბ.

[1] **ნაშრომი თ. არჩვაძის მიერ შესრულებულია 1960 წელს, იბეჭდება მცირედი კორექტივით.**

I_1, IV_2). ეტყობოდა ეს ორი ადგილი ერთმანეთთან ბურჯში გამავალი გვირაბით იყო დაკავშირებული.

მუშაობა დავიწყეთ ციხის სამხრეთი კედლიდან. სამშენებლო მასალის (აგურები, რიყის ქვები და კირლესილობის ნაშთები) ნანგრევებისგან გავათავისუფლეთ შესასვლელის წინ მდებარე ტერიტორია და დავედით იატაკის დონემდე. გაიწმინდა ქვისაგან ნაგები და გარედან შელესილი კიბის სამი საფეხური (ზომები: 1. h - 0.2 მ., სიგრძ. - 1.4 მ., სიგრძ. - 0.7 მ.; 2. h. - 0.22 მ., სიგრძ. - 1.5 მ., სიგრძ. - 0.55 მ.; 3. h - 0.22 მ., სიგრძ. - 1.59 მ., სიგრძ. - 1,60 მ.) და შესასვლელი კარი. ეს უკანასკნელი 0.30 მ. სიმაღლისა და 1.10 მ. სიგანის ზღურბლზეა გამართული. ზღურბლი აგურითაა ნაგები (აგურები ვერტიკალურადაა მოთავსებული) და შემდეგ გადალესილი. შესასვლელი კარის საერთო სიმაღლე 1,85 მ., სისქე და სიგანე ორივე 1 მეტრია. კარი 1 მ. სიმაღლემდე დიდი თლილი ქვიშაქვებითაა ამოყვანილი, შემდეგ კი იწყება ოდნავ შეისრული მოყვანილობის აგურის თაღი. იგი ცენტრში სწორკუთხად არის ამოჭრილი (ზომა 0.20X0.10 მ.), ეტყობა ბურჯის მთელ სიმაღლეზე (ტაბ. $III_{1-2,}$). ეს უკანასკნელი უთუოდ ციხეში შესასვლელის ვერტიკალური კარისთვის ამოჭრილი საურდულე ბუდე უნდა ყოფილიყო. აქედან ხისა თუ რკინის ბოძის საშუალებით ხდებოდა ციხის კარის დახშობა. ამ კარის საშუალებით შევდივართ კოშკის I სართულზე. იგი წარმოადგენს პატარა სადგომს (ფართობი 2X1.35 მ.), რომლის სიმაღლე 2.80 მ. უდრის. გადახურვა აქაც ოდნავ შეისრულთაღოვანია (თაღი იწყება 2.40 მ. სიმაღლეზე). იატაკი გადალესილი უნდა ყოფილიყო. აქედან იწყება კიბეებიანი გვირაბი, რომლის 11 საფეხურის საშუალებით ავდივართ II სართულზე (ტაბ. V_{1-2}). საფეხურები ქვით, ზოგი კი აგურითაა ნაგები და შემდეგ გადალესილია. ისინი სხვადასხვა ზომისაა. მათგან ყველაზე დიდია 0.30 მ. სიმაღლის, 1.10 მ. სიგრძის, 0.35 მ. სიგანის საფეხური; ყველაზე პატარა კი სამაღლეში - 0.26 მ.-ია, სიგრძეში - 0.92 მ., სიგანეში - 0.35 მ. საფეხურები სრულდება 1.73 მ. სიმაღლისა და 1.05 მ. სიგანის თაღოვანი კარით (ტაბ. V_{1-2}). თაღი იწყება 1 მ. სიმაღლეზე. ისიც კიბიანი გვირაბის მსგავსად აგურითაა ნაგები (აგურის ზომები: 22X2X3; 22X2X4; 23X23X5 სმ.). გვირაბს ორ ადგილას ემჩნევა შელესილობის კვალი (ტაბ. V_2). მეორე სართულზე ასასვლელ კარს დასავლეთ მხარეს საურდულე ნიშა აქვს დატანებული (25X25 სმ., სიღრმე 60 სმ. ტაბ. V_1). აქაც კედლები აგურითაა ნაგები, გვხვდება თლილი და რიყის ქვებიც, მაგ. დასავლეთ კედელში. დავიწყეთ სართულის მიწისგან განთავისუფლება. ნაყარ მიწაში აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის საოჯახო ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი. მათგან ყურადღებას იპყრობს წითელპრიალა ჭურჭლის კედლის ნატეხი[2] (ტაბ. IX_1) და ლეგა ჭურჭლის 5 ნატეხი, რომელთაგან ორს ჭდეულწიბოებიანი პირი აქვს[3] (ტაბ. $IX_{3,4,5}$). შესასვლელი კარიდან 1.30 მ. დაშორებით გამოჩნდა აგურის კედლის ნაშთი (სიმ. - 0.25 მ., სისქე - 0.23 მ.). აგურები ვერტიკალურადაა მოთავსებული და კედლის სისქე აგურის ზომას (0.23 მ.) უდრის. ეტყობა იგი დასავლეთ კედლამდე გრძელდებოდა 2 მ. სიგრძეზე. ამ კედელში დატანებული უნდა ყოფილიყო კარი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა გვირაბში გზის გაგრძელება

[2] **სდ. 561.**
[3] **სდ. 564.**

(ტაბ. IV_2). გვირაბს მივყევით სიღრმეში სადამდეც კი შესაძლებელი იყო. ეტყობა ის დიდ მანძილზე გრძელდება (შეიძლება მთელ ციხეს უვლიდა გარშემო. ჩრდილოეთ მხარეს ჩანს მისი ნაშთი). კედლები აგურითაა ნაგები (ზომები: 23X23X4.5; 28X28X5; 24X24X5 სმ.). გვირაბი ერთ ადგილას ჩანგრეულია, სხვაგან კი გადახურვა ჩაშლილი თაღის შთაბეჭდილებას ტოვებს.

რაც შეეხება ციხის კედლის სამხრეთის მხარეს, აქ, კარიბჭიანი კოშკის შესასვლელის დონეზე დასავლეთამდე, უმთავრესად ამოდიოდა აგურის ნატეხები და ქვითკირის წყობის რიყის ქვები. აგურები ბრტყელი, კვადრატული ფორმისაა (23X23X3.5 სმ.) და წითლად არის გამომწვარი[4]. იგი ქართული აგურის სახელითაა ცნობილი და გამოყენებულია ყველგან - ციხის ზღუდის პერანგში, კარების თაღებსა თუ კიბიან გვირაბში.

ზღუდის აღნიშნული მონაკვეთის გასუფთავებისას ბევრი იყო მოჭიქულ ჯამთა ძირ-ქუსლის, პირ-კედლის, ქვევრის პირის და სხვათა ნატეხები. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ნატეხმა. პირველი არის „მოჭიქული“, ხისანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხი[5]. იგი ცეცხლში მოხვედრილის შთაბეჭდილებას ტოვებს და ჭუჭყიანი მწვანე „ჭიქურის“ ქერქით არის დაფარული. თუმცა, შესაძლოა ჭიქურიანი კედლის ნატეხიც იყოს (?); მეორე - „ფერიულად“ მოხატული ჯამის ძირქუსლია[6] (ტაბ. IX_2). იგი ბადრიჯნისფერი, მწვანე და ყვითელი სხვადასხვა მოყვანილობის ჩაღვრილი ზოლებითაა მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით არის დაფარული. მოხატულობა ლამაზი და თავისებურია. აქვე აღმოჩნდა შიგნიდან ძალზე გამურული ქოთნის ლამაზი სარქველი[7] (ტაბ. X_1). ის კლაკნილებითა და ღარებითაა დამშვენებული (ზომა: სიმაღლე 4 სმ., დიამეტრი 20 სმ., სისქე 1.5-2 სმ.). ასეთი სარქველები წელს ბევრია, მაგრამ ეს თავისი მოხდენილობით გამოირჩევა.

III თხრილის მასალა, საერთოდ, გადანაყარი უნდა იყოს (ეტყობა, ბურჯის გარეთა ადგილები სანაგვეებად იყო გამოყენებული), ესაა მიზეზი რომ, მეტად თუ ნაკლებად, მთელი ჭურჭელი აქ არ მოგვიპოვებია.

კარიბჭიანი კოშკის შესასვლელის იატაკის გამოჩენის შემდეგ დავიწყეთ სიღრმეში ჩასვლა; დასავლეთის მხარეს გამოჩნდა რიყის ქვით ნაგები კედლის წყობა. გასათხრელად მოზომილი ტერიტორია გავაფართოვეთ (7X12X4.5 მ.), რის შედეგადაც აღმოჩნდა რომ კედელი პატარა ბურჯზე ყოფილა მიშენებული (ტაბ. VI_{1-2}). იგი მშრალადაა ნაგები და გვიანდელი ჩანს (ბურჯის პერანგს ებჯინება, ტაბ. VI_2, VII_1). კედლის სიგრძე 5 მ., სიმაღლე 1 მ., სიგანე - 0.80 მ. პირველად გვეგონა, რომ იგი ბურჯის გასამაგრებელი იყო. სიღრმეში ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ ის უშუალოდ ბურჯის ფუნდამენტში არაა ჩაშენებული (ტაბ. VII_1, VIII_1). ამასთანავე, საეჭვოა რომ ასე დაუდევრად ნაგები კედლისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი როლი მიენიჭებინათ. ეტყობა სხვა რამესთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ კედლის აღმოჩენის შემდეგ თხრილი ორად გაიყო: კედლის აღმოსავლეთი ანუ მარჯვენა მხარე და დასავლეთი

[4] **სდ. 263.**
[5] **სდ. 266.**
[6] **სდ. 264.**
[7] **სდ. 270.**

ანუ მარცხენა (ტაბ. VII_1).

მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო შესასვლელიდან 1.35 მ. სიღრმეზე, დიდი ბურჯის ძირში, განლაგებული აგურის წყობამ (ტაბ. VII_2, VIII_{1-2}). იგი ბურჯის გარეთ არსებული ნაგებობა გვეგონა. მით უმეტეს, რომ აქვე აღმოჩნდა რიყის ქვებით გამაგრებული ხის ბოძის ნაშთი (ტაბ. VIII_{1-2}). ასეთივე ბოძი იყო რიყის ქვის კედლის მარცხენა მხარეს. განვაგრძეთ სიღრმეში ჩასვლა. გამოიკვეთა, რომ საქმე გვქონდა აგურის კედლის ნაშთთან, რომელიც ავსებდა კონგლომერატსა და ბურჯის ძირში დარჩენილ სიცარიელეს (ტაბ. VII_2, VIII_1). იგი უფრო გვიან არის ჩაშენებული ბურჯის გასამაგრებლად. კედლის სიგრძე 5 მ., სიმაღლე დასაწყისში 0.70 მ. (შემდეგ აგურები ამოვარდნილია), სიგანე თავში 0.50 მ., შუაში 0.80 მ. და ბოლოში 1 მ. კედელში ზოგი აგური გამწვანებულია (26X26 სმ., სისქე 5 სმ.; ნახევარი აგურისა კი 26,5X26,5 სმ., სისქე 5 სმ.). აგურების დასაკავშირებლად გამოყენებულია გაჯი. აღმოსავლეთ მხარეს დარჩენილია დიდრონი, ბრტყელი რიყის ქვის წყობა (ტაბ. VIII_1), რომელზედაც გაჯის კვალი შეიმჩნევა. ეტყობა, აგურის კედელი მასზედ იყო გამართული.

სამ მეტრ სიღრმეზე უკვე დავედით გრუნტზე. დიდი ბურჯის ძირში, დაახლოებით 1 მ. დაშორებით გამოიკვეთა ადგილი, სადაც ნაყარი მიწა გრძელდებოდა. იგი აღმოჩნდა 1.50 მ. სიღრმისა და 1.20 მ. დიამეტრის მქონე ორმო (პირველად ჭა გვეგონა; ტაბ. VIII_2), საიდანაც გამოვლინდა კერამიკული მასალა და მინის ჭურჭლის ნატეხები. ასეთია III თხრილის გარეგნული სახე.

მოპოვებული მასალა. რუსთავის ციხის III უბანზე მოპოვებულ არქეოლოგიური მასალის ძირითად ნაწილს ჭურჭელი შეადგენს. იგი უმეტესად თიხისაა და ნაირნაირი სახით წარმოგვიდგება: დერგები, დიდრონი სადუღრები, ქვაბ-ქოთნები, ქილები, ხელადები, ჯამები, სამარილეები, ჭრაქები და სხვ. მათი ნაწილი (ჯამები, ფინჯნები, ჭრაქები, ქილები, სამარილეები) მოჭიქულია და ბევრი - ჭიქურქვეშ მოხატული, ზოგჯერ მრავალფრადაც.

მოუჭიქავი კერამიკიდან წითლად გამომწვარი საოჯახო, კერძოდ კი, სამზარეულო ჭურჭელი ჭარბობს. ბევრია გამურული ქვაბ-ქოთნებისა და სადუღარის ნატეხები, უმეტესად პირ-კედლისა, რომელთაგან ზოგს ყური აქვს შემორჩენილი. ყურების უმეტესობა სამკუთხაა, შუაში ერთი ხვრელით (ტაბ. X_3), არის ორხვრელიანიც[8] (ტაბ. X_2) და ფრჩხილისებური თუ წერტილოვანი ორნამენტით შემკული[9] (ტაბ. X_{4-5}, XI_{1-2}). გვხვდება ერთი და წყვილი „მორჩიან“-ყურებიანიც[10] (ტაბ. XI_{3-4}). ქვაბ-ქოთნებისა და სადუღრების წიბო-პირის უმეტესობას კუწუბოებიანი ჭდეები აქვს[11] (ტაბ. XI_5). გვხვდება წითლად გამომწვარი ხშირი და ჭდეული წიბოებით შემკული დერგის ნატეხებიც[12] (ტაბ. XII_{1-2}).

სქელკედლიანი ჭურჭლებიდან ყურადღებას იპყრობს კარიბჭიანი კოშკის ძირში აღმოჩენილი ღია აგურისფერი თიხის, ძალზე სქელი და გაუგებარი 3 ნატეხი.

---

8 **სდ. 640.**
9 **სდ. 613, 619, 625, 626.**
10 **სდ. 626, 640.**
11 **სდ. 640, 645, 649.**
12 **სდ. 273.**

იგი თითქოს უყელოა. დიდ ნატეხს ფართო ბაკო აქვს. ბაკოს საწინააღმდეგო მხარეს - შედარებით მცირე ნახვრეტი. სამ ადგილას დიდი წრიული თუ რკალური დაბალი ფოსო აქვს ამოღარული, რომელშიც მოთეთრო პკის ნაშთები ჩანს[13].

თხელკედლიან ჭურჭელთა უმრავლესობა მოწითალოდ, მოყვითალო-თეთრად და ღია აგურისფრადაა გამომწვარი. ისინი ხელადისა თუ დოქის ნატეხები უნდა იყოს. ზოგი ასეთი ჭურჭელთაგანი მოხატულია. მაგ.: ღია აგურისფრად გამომწვარი მომცრო ჭურჭლის კედლის ნატეხი. მასზე შავი საღებავით დახატულია ხვიები, რომლებსაც ზედ მრგვალ-მრგვალი ბურთობები „ასხია“[14] (ტაბ. XII_3). ასე მოხატული ხელადები აღმოჩენილია რუსთავის ძველ სამარხებში (მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია გამოფენილი), წელს კი - მეორე თხრილზე (ღვინის პატარა სასმისი). შავი წრეებითაა მოხატული აგრეთვე მოყვითალოდ გამომწვარი თხელკედლიანი ჭურჭლის ერთი ნატეხი[15] (ტაბ. XII_4). საერთოდ, შავად მოხატული ღია ფერის ჭურჭელი იშვიათია. ბევრი იყო მოყვითალოდ გამომწვარი, პატარა ხელადების[16] (ტაბ. XIII_{1-3}, XIV_{1-3}) და წითელპრიალა ჭურჭელთა ნატეხები[17] (ტაბ. $XV_{2-3,5}$). გვხვდებოდა წერნაქწასმული ჭურჭლის ნატეხებიც. მაგ.: წერნაქიანი და ხშირი გაცვილული ზოლებით შემკული ხელადის ერთი ნატეხი, რომელსაც გარედან ზიგზაგურად წასმული აქვს ყვითელი ზოლები[18] (ტაბ. XV_1), დოქის წერნაქიანი ყური[19] (ტაბ. XV_4) და სხვ.

მოჭიქულ ჭურჭელთაგან, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, უმეტესად წარმოდგენილია ჯამები, ერთფერჭიქურიანი ნიჟარისებური მოყვანილობის საზეთე ჭრაქები[20] (ტაბ. XVI_{1-3}), პატარა მრგვალი სამარილეები[21] (ტაბ. XVI_4), ფინჯნებისა[22] (ტაბ. XVII_{1-2}, XVIII_{1-2}) და ქილის ნატეხები[23] (ტაბ. XVIII_3).

ჯამების უმეტესობა მწვანე და ცისფერჭიქურიანია. არის მრავალფრად მოჭიქულებიც, ზოგზე ამოკაწრული[24] (ტაბ. $XIX_{1,3}$, XX_3) თუ გეომეტრიული ორნამენტია[25], ზოგი კი ანგობის „ყვავილებითაა“ შემკული[26] (ტაბ. XXI_{1-5}) .

მრავალფერჭიქურიანთა შორის ზოგიერთი მათგანი თავისი მოხატულობითა და ჭიქურით იპყრობს ყურადღებას, მაგ.: ბადრიჯნისფერ-ხორკლიანი და ცისფერლაქებიანი ჯამის ძირ-ქუსლი[27] (ტაბ. XXII_1); ბადრიჯნისფერორნამენტიანი უჩვეულო და მოყვითალო ანგობის მქონე ჭურჭლის ნატეხი[28] (ტაბ. XXII_2); მრავალფრად

13 სდ. 618.
14 სდ. 581.
15 სდ. 598.
16 სდ. 268, 272, 580, 623, 659.
17 სდ. 567, 584, 649.
18 სდ. 269.
19 სდ. 650.
20 სდ. 622, 630, 261.
21 სდ. 566.
22 სდ. 267, 571, 576, 579, 641.
23 სდ. 267, 587.
24 სდ. 577, 586, 667, 621, 644.
25 სდ. 578.
26 სდ. 579, 586, 617, 621, 607, 644.
27 სდ. 617.
28 სდ.651.

მოხატული და გამქვირვალე ქიქურით დაფარული ჯამისა (მწვანე რტოებიანი) და ჯამუკას (მწვანე ზოლი დაუყვება პირის გასწვრივ) 2 ნატეხი[29] (ტაბ. XXII_3). არის მრავალფრად მოჭიქული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამებიც[30] (ტაბ. XIX_4).

მოჭიქულთა უმრავლესობა ანგობიანია. გვხვდება უანგობოც. მაგ.: უანგობო ყავისფერფონიანი ბადრიჯნისფერი და მწვანე ზოლებით მოხატული ჭურჭლის ნატეხი[31] (ტაბ. XX_2). ზოგი მათგანი გვიანდელი დროის ჭურჭლის შთაბეჭდილებას ტოვებს[32] (ტაბ. XXII_2).

მოჭიქულთა შორის გვხვდება **ფაიანსის** ჭურჭლის ნატეხებიც. ისინი უმეტესად ცისფერჭიქურიანია[33] (ტაბ. $XXIII_{1-3,5}$). არის გარედან ლურჯი, ხოლო შიგნიდან მორუხო-ცისფრად მოჭიქული ფაიანსის ჭურჭლის ყელის ნატეხი, რომელსაც ლურჯ მხარეს „ჭიპი“ აზის[34] (ტაბ. XXIII_4); ცისფერთა შორის ერთი ყურს წარმოადგენს[35]. შეიძლება პატარა ჭრაქისა იყოს. ძალიან ლამაზია ცისფერქუსლიანი და თეთრფაქიზკეციანი ფაიანსის ხელადის ყელ-კედლის ნატეხი[36]. კედელზე სუსტი ღარების დასაწყისი ჩანს.

მინა სხვადასხვა ფორმისა და სისქის ჭურჭლის ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. უმეტესობა ორმოდან მომდინარეობს. მაგ.: მოზრდილი, ღიღილოსფერი, ოდნავ გადაზნექილი და პატარა, თხელი, მოყავისფროდ გამოფიტული ჭურჭლის 2 ნატეხი[37]; სქელი მინის ჭურჭლის ყელი-„მილი“, რომელსაც ერთი ბოლო ალმაცერად აქვს „წაჭრილი“, მეორე კი უსწორმასწოროდაა ჩამოტეხილი[38] (ზომები სიგრძე 7.2 სმ., დიამეტრი 1.2-1.4 სმ., კედლის სისქე - 0.1-0.2 მმ.).

საოჯახო კერამიკასთან ერთად თხრილზე გვხვდება **სამშენებლო კერამიკაც.** მათგან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხი[39]. კრამიტს შიგნიდან წითელი საღებავი აქვს წასმული (ზომები: სიგრძე 11 სმ., აკეცილი გვერდის სიმაღლე 7.3 სმ., ანატკეცის სისქე 2.8 სმ.; სიმაღლე 4.8სმ.; ძირის სისქე 2.5 სმ.). ანაკეცითა და სისქით ის მცხეთის ანტიკურ კრამიტს უახლოვდება. გვაქვს მომწვანოდ გამომწვარი და წითლად შეღებილი კრამიტის ნატეხიც[40]. გვხვდება წუნდებული აგურისა და კრამიტის „ღობის“ ნატეხები[41]. საყურადღებოა აქ აღმოჩენილი შუაფეოდალური დროის წითელკეციანი, ცისფერჭიქურიანი, პრიზმული შორენკეცის ნატეხი[42], რომელსაც ჭიქური წვერით მოლაპლაპე წახნაგზე უსვია. ასეთი შორენკეცები (2 ც.) აღმოჩნდა აგრეთვე IV და V თხრილებში.

---

29 **სდ. 657.**
30 **სდ. 633.[111]**
31 **სდ. 651.**
32 **სდ. 579.**
33 **სდ. 585, 596, 610, 633.[1]**
34 **სდ. 638.**
35 **სდ. 633[111].**
36 **სდ. 610.**
37 **სდ. 663.**
38 **სდ. 664[11].**
39 **სდ.276.**
40 **სდ. 570.**
41 **სდ. 500, 590.**
42 **სდ. 572.**

ლითონის ნაწარმიდან უბანზე აღმოჩნდა სქელი, თითქმის უფორმო, განშრევებული რკინის დიდი ნატეხი[43]; რკინის მოგრძო, კვადრატულგანივკვეთიანი საგანი, შუაში სპილენძისა თუ ბრინჯაოს ღერძით[44]; ბრინჯაოს ფირფიტის ორი ნატეხი[45] და სხვა.

განათხარი ფართობიდან დიდი რაოდენობით გამოვლინდა ცხოველის ძვლები. მათში ხარ-ძროხის და ცხვრის ძვლები ჭარბობს. აღმოჩნდა აგრეთვე ცხენის თავის ქალა (1.50 მ. სიღრმეზე).

1959 წლის 25 ოქტომბერს აღნიშნულ თხრილზე დამთავრდა მუშაობა. იგი 22 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და საშუალოდ დღიურად მუშაობდა 10 მუშა.

ტაბულების აღწერილობა

I. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღუდე და გვირაბიანი კოშკი, ხედი სამხ. -აღმოსავლეთიდან; 2. იგივე, ხედი აღმოსავლეთიდან.

II. 1. რუსთავის ციხის სამხ.-აღმოსავლეთ ზღუდე, გვირაბიანი დიდი ბურჯი სამუშაოების დაწყებამდე, ხედი სამხ.-აღმოსავლეთიდან; 2. გვირაბიანი ბურჯის ქვედა, დარღვეული მონაკვეთი.

III. 1. გვირაბიან კოშკში შესასვლელი, აგურებით ამოყვანილი შეისრულთაღიანი კარი (გარე ზღუდის ქვედა ტერასა) სამუშაოების დაწყების წინ, ხედი სამხრეთიდან; 2. გვირაბიან კოშკში შესასვლელი კარის პრეპარაციის პროცესი, ხედი სამხ. -დასავლეთიდან.

IV. 1. გვირაბიანი კოშკიდან ზედა ტერასაზე ამოსასვლელი შეისრულთაღიანი კარი, სამუშაოების დაწყების წინ; 2. დიდი ბურჯის გვირაბის ინტერიერი და იატაკის ფრაგმენტი, ხედი სამხრეთიდან.

V. 1. დიდი ბურჯის გვირაბიდან ზედა ტერასაზე ამოსასვლელი კარი და საურდულე ნიშა; 2. დიდი ბურჯის ინტერიერი, კიბის საფეხურები და ზედა ტერასაზე ამოსასვლელი თაღიანი კარი.

VI. 1. სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღუდე, გვირაბიანი კოშკისა და III თხრილის ხედი, საერთო ხედი აღმოსავლეთიდან; 2. გვირაბიანი დიდი კოშკის მიმდებარე მცირე ბურჯზე მიშენებული გვიანი შუასაუკუნეების კედელი, ხედი აღმოსავლეთიდან.

VII. 1. III თხრილის ხედი და მცირე ბურჯზე მიშენებული გვიანი შუასაუკუნეების ნასახლარის კედელი; 2. დიდი ბურჯის ქვეშ ჩაშენებული აგურის წყობიანი კედელი, ხედი აღმოსავლეთიდან.

VIII. 1. გვირაბიანი კოშკის ძირში გამოვლენილი აგურით ნაგები კედლის ნაშთი; უკანა პლანზე ჩანს კონტრფორსზე მიშენებული ნასახლარის კედელი, ხედი

[43] **სდ. 635.**
[44] **სდ. 582.**
[45] **სდ. 575.**

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 2. იგივე აგურის წყობით ნაგები კედლის ნაშთი გვირაბიანი კოშკის ძირში; გვიანი შუასაუკუნეების ნასახლარის კუთვნილი ხის ბოძის ნაშთი და ორმო, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

IX. 1. დოქის კედლის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი, წითლად შეღებილი, ნაპრიალები; 2. ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი, თეთრი ანგობით დაფარული ზედაპირი გაღვრილად შეღებილია ბადრიჯნისფერი, მწვანე და ყვითელი საღებავით. გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური; 3. ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი, ლეგად გამომწვარი, ჭდეულბაკოიანი; 4. ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი; 5. ქილის პირ-კედლის ფრაგმენტი, ლეგად გამომწვარი, მხარწიბოიანი (გვიანი ბრინჯაოს ხანა).

X. 1. ქვაბ-ქოთნის სარქველი, წითლად გამომწვარი თიხის, ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზებით შემკული; 2. ქვაბ-ქოთნის კედელი, წითლად გამომწვარი თიხის, შერჩენილი აქვს ორხვრელიანი სამკუთხა ფორმის ყური, ზედ ნაჭდევი ორნამენტით; 3. ქვაბ-ქოთნის კედელი, წითლად გამომწვარი, შერჩენილი აქვს ერთხვრელიანი სამკუთხა ყური, ყურის ზედაპირზე წერტილოვან-სხივური ნაჭდევები აქვს, ქვედა მხარეს კი ორი ფოსოა ამოღარული; 4. ქვაბ-ქოთნებისა და სადუღრების წიბოკუწუბოებიანი კედლის ფრაგმენტები, წითლად გამომწვარი, ზედ ჭდეული ორნამენტებით.

XI. 1. ქვაბ-ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი, ბაკო ნაპრიალები, მხარზე სავარცხლისებური ხელსაწყოთი შესრულებული რომბული ბადე დაუყვება, წიბოკუწუბოიანი, შერჩენილი აქვს სამკუთხა ფორმის ერთხვრელიანი ყური; 2. ქვაბ-ქოთნის კედლის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი, ერთხვრელიან სამკუთხა ფორმის ყურის ზედაპირზე ჭდეული წერტილოვანი ორნამენტია გამოსახული; 3. ქვაბ-ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი შერჩენილი აქვს ზედაპირდასერილი მორჩი, მცირედკეჭნილია წიბოც; 4. სადუღრის კედლის ფრაგმენტი, ლეგა-წითლად გამომწვარი, შერჩენილი აქვს ფოსოიანი სამკუთხა ცრუ ყური; 5. ქვაბ-ქოთნის კედლის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი, ჭდეული ორნამენტით შემკული.

XII. 1-2. დერგის კედლის ფრაგმენტები; 3-4. დოქების კედლის ფრაგმენტები, მოყვითალო-ჩალისფრად გამომწვარი თიხის, თხელკედლიანი შავი და წითელი საღებავით მოხატული.

XIII. 1. კანელურებიანი სასმისის კედლი, ჩალისფრად გამომწვარი; 2-3. სასმისის ძირ-კედელი, ჩალისფრად გამომწვარი თიხის, თხელკედლიანი, ბრტყელქუსლიანი.

XIV. 1-4. სასმისის ძირ-კედელი, ჩალისფრად გამომწვარი თიხის, თხელკედლიანი ბრტყელქუსლიანი.

XV. 1. ჯამის პირ-კედელი, წითლად გამომწვარი, წითლად შეღებილი, ნაპრიალები, რთულპროფილიანი ბაკოთი; 2-5. დოქის კედლისა და ყურის ფრაგმენტები,

წითლად გამომწვარი, წითლად შეღებილი და ნაპრიალები ზოლებით.

XVI. 1-3. ნიჟარისებური ჭრაქები, წითლადგამომწვარი, ცისფრად და მოყვითალო-მომწვანო ჭიქურით მოჭიქული; 4. წითლად გამომწვარი სამარილე, ბაკოამოღარული, მხრებშედრეკილი, ძირბრტყელი, შიგა პირზე, შიშველ კეცზე მწვანედ მოჭიქული.

XVII. 1. საწვნეს პირ-კედლისა და ძირ-კედლის ნატეხები, წითლად გამომწვარი, ბაკოპროფილირებულია, პირს ქვემოთ დაუყვება სამი კონცენტრული ხაზი, მოჭიქულია ცისფრად, კორპუსზე აღენიშნება რეზერვირების შავი წინწკლები; 2. საწვნეს პირ-კედელი, წითლად გამომწვარი, ბაკოპროფილირებულია, პირს ქვემოთ დაუყვება სამი კონცენტრული ღარი, ბადრიჯნისფრად მოჭიქული.

XVIII. 1. საწვნეს პირ-კედელი, წითლად გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირს ქვემოთ ორი კონცენტრული ღარი დაუყვება, მხრები ორ რიგად შემკულია ექვსკუთხა ფაცეტებით, ცისფრად მოჭიქული; 2. ორყურა საწვნეს პირ-კედელი, ბაკო წაკვეთილი, პროფილირებული, პირს ქვემოთ განივკვეთში ბრტყელი, შვეულად ამოღარული წრიული ყური აქვს მიძერწილი; 3. ფიალის პირ-კედელი, წითლად გამომწვარი.

XIX. 1-3. ჯამების პირ-კედლები და ძირ-ქუსლი, წითლად გამომწვარი, შემკულია ამოკაწრული ორნამენტით, მწვანედ მოჭიქული; 4. ჯამის ძირ-ქუსლი, წითლად გამომწვარი, ფრინველისა და რტო-ყლორტოვანი ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული.

XX. 1. ჯამის პირ-კედელი, წითლად გამომწვარი, თეთრ ანგობზე ფუნჯით ყავისფერი და მწვანე ჭიქურის საღებავებით გეომეტრიული ორნამენტით მოხატული; 2. ჯამის პირ-კედელი, ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული; 3. ჯამის პირ-კედელი, წითლად გამომწვარი, რტო-ყლორტოვანი ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული; 4. ჯამის პირ-კედელი, წითლად გამომწვარი, რტო-ყლორტოვანი ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული.

XXI. 1. ჯამის ძირ-ქუსლი, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული, ცისფრად მოჭიქული; 2. ჯამის კედელი, წითლად გამომწვარი, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქული; 3. დოქის მუცლის ნატეხი, წითლად გამომწვარი, შიშველ კეცზე თეთრი ანგობის „გულებით“ მოხატული, მწვანედ მოჭიქული; 4. ჯამის ძირ-ქუსლი, შიშველ კეცზე თეთრი ანგობის „ყვავილებით“ შემკული, უფერო, კრიალა ჭიქურით დაფარული; 5. ჯამის კედელი, წითლად გამომწვარი, შიშველ კეცზე თეთრი ანგობის „გულებით“ შემკული, მწვანედ მოჭიქული.

XXII. 1. ჯამის კედელი, წითლად გამომწვარი, ვარდისფერ ანგობზე ბადრიჯნისფერი და ცისფერი ნაღვენთებით შემკული; 2. ჭურჭლის ნატეხები, თეთრ ანგობზე

ფუნჯით ბადრიჯნისფერი საღებავით მოხატული, კრიალა ჭიქურით დაფარული; 3. ჯამის პირ-კედელი ყავისფერი და მწვანე ჭიქურის საღებავებით გაღვრით მოხატული, ჯამის კედელი ამოკაწრული ორნამენტით შემკული და მრავალფერად მოჭიქული; 4. ჯამის ძირ-ქუსლი, ბადრიჯნისფრად მოჭიქული.

XXIII. 1. ფაიანსის კოჭობის ყელ-კედელი, თეთრკეციანი, ცისფრად მოჭიქული; 2. ფაიანსის კოჭობის ძირ-კედელი, თეთრკეციანი, ტანდაღარული, ცისფრად მოჭიქული; 3. ფაიანსის კოჭობის ყელ-კედელი, თეთრკეციანი, ფაცეტებით შემკული, ცისფრად მოჭიქული; 4. ფაიანსის კოჭობის ყელ-კედელი, თეთრკეციანი, ლურჯად მოჭიქული, მხარზე რელიეფური „ჭიპით“; 5. ფაიანსის გულსაკიდი, თეთრკეციანი, რელიეფური გულისებური ორნამენტით, ცისფრად მოჭიქული.

ტაბ. I

1

2

ტაბ. II

1

2

ტაბ. III

1

2

ტაბ. IV

1

2

ტაბ. V

1

2

ტაბ. VI

1

2

ტაბ. VII

1

2

ტაბ. VIII

1

2

ტაბ. IX



ტაბ. X



1

2

3

4

ტაბ. XI



1



2



3

4

5

ტაბ. XII

1

2

3



4

ტაბ. XIII



1



2



3

ტაბ. XIV



1



2



3



4

ტაბ. XV





1

2



3

4

5

ტაბ. XVI



1



2



3



4

ტაბ. XVII





1







2

ტაბ. XVIII



1



2

3

ტაბ. XIX











ტაბ. XX



1





2



3



4

ტაბ. XXI







2



3

4



5

22

ტაბ. XXII

1

2



3



4

ტაბ. XXIII



ეკა ჯანდიერი

§1. რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის უბანი

1961 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგები

რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის არქეოლოგიური შესწავლა ციხის სხვა უბნების პარალელურად 1959 წელს დაიწყო[1]. იმავე წელს, მეტნაკლებად სრულად გამოვლინდა მისი დამახასიათებელი პროფილი (ტაბ. II_1). კარიბჭე ჩაშენებულია ციხის სამხრეთ-დასავლეთ დიდ მრგვალ ბურჯში, რომელშიც კოშკი და კიბე-გვირაბია დატანებული (ნახ. 1, 2). ციხის შიდა არეზე შემოსასვლელი თავის დროზე გვირაბიანი ბურჯის საშუალებით კარგად უნდა ყოფილიყო დაცული: იგი მარჯვედ არის განლაგებული და აშენებული. კოშკიანი ბურჯი წარმოადგენს მკვიდრ ნაგებობას რომელიც საფუძვლიანად განახლებულა, ყოველ შემთხვევაში შუაფეოდალურ ხანაში მაინც. განახლების კვალი აშკარად ემჩნევა ბურჯის პერანგს.

კიბე-გვირაბიანი ბურჯი ზღუდის სათანადო ნაწილთან ერთად საკმაოდ მასიურ და თავისებურ არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის და ძლიერი ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს. ბურჯში შესასვლელი დატანებულია სამხედრო საჭიროების გათვალისწინებით: ის ბურჯს დასავლეთ მხარეს აქვს მიმართული და თავისთავად დაცულია ციხის გარე კედლით, ასე ვთქვათ, ზღუდე შესასვლელის საფარია (ტაბ. II_1). აღნიშნულ შესასვლელს ციხის გარე ზღუდიდან კოშკში დატანებული საფეხურებიანი გვირაბის საშუალებით მაღლა, ციხის შიდა არისკენ შევყავართ (ტაბ. II_2). კოშკიანი ბურჯის პერანგი მოყვითალო-მონაცრისფრო ქვიშაქვის დიდრონი დაკუთხული ქვებით არის ნაშენი ადრეფეოდალურ ხანაში, მაგრამ პერანგს აშკარად ემჩნევა მერმინდელი შეკეთების კვალიც: ალაგ-ალაგ ქვებს შორის არე ქართული აგურით არის ამოვსებული და ამგვარად გამაგრებული შუაფეოდალურ ხანაში. ბურჯისა და ზღუდის გასამაგრებელ სამშენებლო მასალად აქა-იქ მოთეთრო ქვებიც გამოუყენებიათ. აქედან წაიღო ექსპედიციამ (რუსთავის მუზეუმში) კედელში დატანებული ჯვრიანი ქვა - აშკარა ნიშანი იმჟამინდელი უკვე დანგრეული ძველი ეკლესიის არსებობისა. თვით გვირაბი შიგნიდან ქართული აგურით და დუღაბითაა მოპირკეთებული, ხოლო საფეხურები ქვითა და დუღაბით. საფეხურებს ალაგ-ალაგ ემჩნევა აგურით შეკეთების კვალი. აგურები საფეხურებზე შვეულადაა ჩასმული. კიბე-გვირაბიანი კოშკი მაღლა ციხის შიდა არეზე ბოლოვდება საკმაოდ მკვიდრად, ქართული აგურით ნაგები ტალანის თაღოვანი კარით (ტაბ. II_2). მას პირობითად ვუწოდებთ I კარს.

ტალანის I თაღოვანი კარი, ხსენებულ კარიბჭიან დიდ ბურჯთან ერთად (თავისი კოშკითა და კიბე-გვირაბითურთ) ჯერ კიდევ 1959 წლის კამპანიის დროს გაითხარა (უბნის ხელმძღვანელი თ. არჩვაძე). 1960 წელს უბანზე მუშაობა არ ყოფილა. აქ

[1] **ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბნის შესწავლას 1959 წელს ხელმძღვანელობდა თინა არჩვაძე. 1959 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იხილეთ ამავე კრებულში, გვ. 6 - 38**

ნახ. 1



რუსთავის ციხის გენგეგმა

ნახ. 2



რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი ბურჯის ფასადები, გვირაბის გეგმა, ჭრილები

სამუშაოები 1961 წელს განვაახლეთ და მიზნად დავისახეთ მოგვეძებნა ამ I თაღოვანი კარის მომდევნო ტალანის გაგრძელება ჩრდილოეთით, მიწისქვეშა საფეხურებიანი გვირაბის გასწვრივ. ამგვარად, საანგარიშო წლის გაზაფხულზე კვლავ განახლდა მუშაობა ციხის სამხრეთ ქიმზე გვირაბიანი ბურჯის მიდამოებში, მის შიგნით. აქ გაიჭრა თხრილი, რომლის ფართობი იყო 16X9 მ.

I თაღოვან კარს შევყავართ გრძელ (5,60 მ.) ტალანში, რომელიც ჯერ სწორი კუთხით დასავლეთისკენ, ხოლო შემდეგ, უფრო ვიწროდ ისევ ჩრდილოეთისკენ გრძელდება და ბოლოვდება I-ის მსგავსი II თაღოვანი კარით (ტაბ. III_1, XIX_2; ნახ. 1).

I და II კართა მქონე ტალანი თავის მხრივ მეტად საყურადღებო ნაგებობას წარმოადგენს. იგი 90^0 კუთხით დასავლეთისკენ უხვევს, ხოლო შემდეგ ისევ გრძელდება ჩრდილოეთისკენ და აქ კვლავ კარით თავდება. ამგვარად იქმნება შიდა ციხის არეზე შემოსასვლელის ფრიად გართულებული აღნაგობის ტალანი, რაც დაბალ და საერთოდ ადვილად მისადგომ ადგილზე აგებული ციხისთვის ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. მშენებელი ასეთი ტიპის ნაგებობას, უპირველეს ყოვლისა, განიხილავდა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების მქონე პუნქტად; შემდეგ ითვალისწინებდა თავდაცვით დანიშნულების მქონე სათავსოთა განლაგებას და მათ კავშირს ციხის შიგნით მთელ ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობებთან.

ტალანის აღმოსავლეთ გარე კედელს ციხის ზღუდის სათანადო ნაწილი წარმოადგენს: ერთი ბოლოთი იგი I თაღოვანი კარის აღმოსავლეთ ფრთას ებჯინება, ხოლო მეორეთი - მომცრო ბურჯის აგურით მოპირკეთებულ შიდა სამხრეთ კედელს. ზღუდის ეს ნაწილი ამჟამად ძალზე ნაკლულია და სუსტად გამოიყურება; მისი შუა ნაწილი განსაკუთრებით დარღვეულია, თითქმის იატაკ-ზეძირკვლამდე არის დასული და დამრეცი ხდება I თაღიანი კარის მიმართულებით[2]. აღნიშნული კედელი შემოსილი იქნებოდა ისეთივე მოყვითალო ქვიშაქვის დიდრონი დაკუთხული ქვებით, როგორც საერთოდ ზღუდის პერანგი, ხოლო შიგნითა მხარე აგურით ყოფილა მოპირკეთებული, მაგრამ დროთა განმავლობაში აგურის სამოსელი შემოძარცულა, რის გამოც მისი ახლანდელი სახე მეტად ულაზათო ჩანს (ტაბ. II_2, XIX_2).

ზღუდის თანმთხვევი კედლის მოპირდაპირე ანუ ტალანის შიდა კედელი ემთხვევა I თაღოვანი კარის დასავლეთ ფრთასთან მიშენებულ, უცნობი დანიშნულების მქონე, თავისებური აღნაგობის სათავსოს აღმოსავლეთ კედელს. იგი ტალანის შიგნით მთლიანად მოპირკეთებულია აგურით (ტაბ. II_2, III_1). ტალანის საგულდაგულო პრეპარაციის შედეგად მის იატაკზე მოგებული აღმოჩნდა რიყის ქვის ერთი ფენა, რომელზედაც დუღაბია მოსხმული (ტაბ. XIX_1).

ტალანის ფართობი მით უფრო კლებულობს, რაც უფრო ღრმად შევდივართ ციხეში. იქ, სადაც მისი კედლები 90^0 კუთხით უხვევს დასავლეთისკენ, ამ კუთხესა და II თაღოვან კარს შორის იქმნება II მცირე ტალანი. ამ ტალანის იატაკიც ისევე რიყის ქვით მოგებული და დუღაბმოსხმულია, როგორც I ტალანისა, ხოლო კვლავ აგურით მოპირკეთებული გამყოლი კედლები აქ უფრო შემოძარცულია (ტაბ. III_1). მცირე

[2] **მისი სიგრძეა 5.60 მ. სიგ. კედლის განიერ ნაწილში 1.20 მ. დარღვეული კი - 0.60 მ., სიმაღლე - 1.40 მ. ამავე კედლის გარე მხრის (იგივე ციხის ზღუდის) სიმაღლე მიწაყრილამდე 3 მ-ია.**

ტალანის ფართობი 1.80X0.90 მ-ია.

მცირე ტალანის ჩრდილო კედელი კვლავ ემთხვევა I თაღოვანი კარის დასავლეთ ფრთასათან მიშენებულ თავისებური აღნაგობის სათავსოს, სახელდობრ - უკვე მის სამხრეთ რიყის ქვით ნაგებ და შემდგომში ამოქოლილ კედელს. აქ, ტალანის შიდა, ჩრდილო, ძალზე სუსტად ნაგები კედლის ერთი ბოლო ებჯინება II თაღოვანი კარის დასავლეთ ფრთასთან მიშენებულ მკვიდრსა და მძლავრ კედელს. ამ უკანასკნელსაც ტალანის შიგნით მიმართული მხარე აგურით აქვს მოპირკეთებული და იგი საკმაოდ ხელუხლებლად გამოიყურება (ტაბ. III_1). სამაგიეროდ, აღნიშნულ ჩრდილო კედელს სუსტი რიყის ქვის წყობაღა შერჩენია და ისიც საკმაოდ მორღვეულია იქ, სადაც ამავე კედლის ამოქოლვა იწყება სამხრეთიდან. ამავე კედლის მოპირდაპირე კიდე მოგრძო ტალანში გასული ციხის შიდა (აღმოსავლეთი) კედლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. კუთხეში რიყის ქვის კედელი იმდენადაა გამონგრეული, რომ ძირში ზეძირკველი ჩანს. მცირე ტალანის რიყის ქვის კედელი სამხრეთისკენ უშუალოდ ემთხვევა თავისებური აღნაგობის სათავსოს გამომყოფ კედელს, რომელსაც ამოქოლვა თითქმის მთელი კედლის სიგრძეზე გასდევს.

საყურადღებოა, აგრეთვე, მცირე ტალანის ზემოთხსენებული რიყის ქვით ნაგები ამოქოლილი კედლის მოპირდაპირე მეორე, ანუ აგურით მოპირკეთებული კედელი, რომელიც ციხის ზღუდის უშუალო გაგრძლებას წარმოადგენს. აღნიშნული კედელი მიშენებულია გვირაბიანი კოშკის მცირე ბურჯის სამხრეთ მხარეზე, ამიტომ ეს მცირე ბურჯი თავისთავად ამაგრებს კედელს და მას მკვიდრი წყობაც შერჩენია. ხსენებული კედლის სიგრძე თითქმის 3 მ-ია. ოღონდ იქ, სადაც ციხის ზღუდის კედელს უერთდება კუთხეში ქმნის მოკლე (დაკუთხულ) კედელს. ამ კედლის სიგრძე კუთხიდან 0.60 მ-ია. ხოლო შემდეგ, 0.20 მ-ის შიგნით კვლავ იწყება კუთხეში შეჭრილი კედელი, რომელიც უშუალოდ უერთდება სამხრეთ გარე კედელს და ისევე გრძელდება ციხის ზღუდეზე - ვიდრე I თაღოვანი კარის აღმოსავლეთ ფრთამდე. კედლის საპირისპირო ბოლო აღნიშნულ ვიწრო ტალანში ებჯინება II თაღოვანი კარის აღმოსავლეთ ფრთას და ამ უკანასკნელზე უშუალოდ დაშენებულ მცირე ბურჯის თავს (ტაბ. XIX_2). მცირე ტალანის სამხრეთ მხარზე II თაღის აღმოსავლეთ ფრთის ძირში პირდაპირ კედელზე მიყუდებული ძევს საკმაოდ მოზრდილი ქვა. იგი ზემოდან ჩამოვარდნილს ჰგავს. მისი წიბოები გამოპირულია, ძირში ბოლისგან გაშავებული და ცხიმით გაღვენთილი. ჩანს, ეს ქვა კარნიზის რაიმე დეტალს წარმოადგენს და კარიბჭესთან მისი ჩამოვარდნის შემდეგ სანთლების დასანთებ, მაშასადამე შესაწირავ ან სალოცავ „წმინდა“ სტელად გადაუქცევიათ. ქვის ზომები: სიგრძე 0.60 მ, სიგანე 0.35 მ, სიმაღლე - 0.70 მ.

ზემოთხსენებულ გრძელ და მოკლე ტალანთა გავლის შემდეგ უშუალოდ აღმოვჩნდებით ქართული აგურით ამოყვანილი თაღიანი კარის წინ (ტაბ. III_1), რომელიც აღნაგობით სავსებით ემსგავსება I თაღოვან კარს. როგორც I, ისე II თაღოვანი კარი მკვიდრადაა ნაგები დუღაბში ჩასმული აგურით და მეტად სიმეტრიულ წესიერ თაღოვან ფორმას იღებს. იგი აერთებს ზღუდის მცირე ბურჯებს და ციხის შიდა სამაგრებელ მკვიდრ კედელს, ხოლო ამავე დროს ციხის შიდა არეზე შესასვლელ ტალანს გამოყოფს II კარის მიღმა პირით ჩრდილოეთით არსებულ სამსენაკიან

ნაგებობებისაგან (ნახ. 3). ამ უკანასკნელს გვერდით სამხრეთ-დასავლეთიდან მიდგმული აქვს ის სხვა განსაკუთრებული აღნაგობის ნაგებობა, რომელიც ტალანის თანმთხვევი კედლების აღწერისას რამდენჯერმე ვახსენეთ.

II თაღოვანი კარის სამხრეთ პირს ზუსტად ისეთივე სიმეტრიული აგურით ნაგები კამარული წყობა აქვს, როგორც 1959 წელს გაწმენდილი გვირაბიანი კოშკის შესასვლელს (ტაბ. III_1, XIX_2, ნახ. 6). გათხრების დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ აქ ნიადაგი ძირითადად კირქვისა და დაშლილი დუღაბის ფენებს შეიცავდა, რაც თავის მხრივ ადრე არსებულ ნაგებობათა ნგრევა-დაშლაზე მიუთითებდა. II თაღოვანი კარის თითქმის მთელი შესასვლელი, ისევე როგორც ადრე განხილული მოკლე ტალანი, სავსე იყო დიდი მოყვითალო ქვებით, ერთმანეთში არეული ბათქაშით და თიხით, რიყის ქვით და კირით. ამ ნანგრევ-ნაყარი ფენების საგულდაგულო აღებისა და ნაგებობის კონტურების გასუფთავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ II თაღოვანი კარიბჭის აგურით ნაშენი შესასვლელის თავი ფიზიკური ზემოქმედების გამო ძალზე მომტვრეულია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა თაღის ფორმისა და მოყვანილობის დადგენა (ტაბ. III_{1-2}). II თაღოვანი კარის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფრთები, რომლებიც მკვიდრად ნაგები არიან ქართული აგურით, დაყრდნობილია დიდრონი რიყის ქვით მოპირკეთებულ იატაკსა და ზღურბლზე; ზღურბლის ქვემოთ კი იწყება დიდრონი ფილაქვებით მოგებული იატაკი, რაც ვრცელდება II თაღოვანი კარის პირით ჩრდილოეთისკენ მიმართულ I და II სენაკთა იატაკ-ზეძირკველზე (ტაბ. III_2). აგურები, რითაც II თაღიანი კარია ნაგები 23X23X4.5 სმ. ზომისაა. მისი საბჯენი სვეტები ასეთსავე მკვიდრ კამარას კრავენ და თაღს ზედმიწევნით პროპორციულ და მტკიცე ფორმას აძლევენ. თუმცა, მისი თავის ცენტრალურ ნაწილში აგურები ალაგ-ალაგ მიმომტვრეულია - ბრძოლების ან მიწისძვრისგან დაცემული დიდი ლოდებისა და ბათქაშისაგან, რითაც დროთა განმავლობაში ხსენებული კარის შესასვლელიც ამოივსო. II თაღოვანი კარის ერთი ბოლო ციხის ზღურბლის გაგრძელებაზე არსებულ მცირე ბურჯის თავს ებჯინება აღმოსავლეთ მხარზე, ხოლო მეორე ბოლო მისსავე დასავლეთის ფრთის სქელ სამაგრებელ კედელს. ამის წყალობით თაღოვანი კარი საუკუნეთა მანძილზე მეტად კარგად შემონახულა, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად მიწისა და ნანგრევ-გადმონაყარის სქელი ფენით იყო დაფარული. თაღის თავი წარმოადგენს მთლიანი დუღაბის სქელ ფენას, რომელშიც ჩასმულია აგურების წყობა. თაღის თავის საერთო სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 3.60 მ-ია, სიგანე - 1.51 მ., ხოლო სიმაღლე შუაში - 0.54 მ. კარის (შესასვლელის) სიმაღლე ზღურბლის ჩათვლით 2.60 მ-ია., სიგანე - 1.40 მ. კარის გარე და შიდა პირი საკმაოდ კარგად არის შემონახული, რადგან მას გასასვლელში ჩაყრილი მიწა და ლოდები იცავდა. ამყოლები მეტად სიმეტრიულია და სავსებით ტოლია. აღმოსავლეთ ამყოლის სიმაღლე - 2.75 მ-ია, სიგანე - 1 მ. დასავლეთის ამყოლის სიმაღლე - 2.60 მ-ია, სიგანე - 1 მ. II კარის აღმოსავლეთი ფრთის შიდა ნაწილის სიმაღლე 1.70 მ-ია, სიგანე - 1.10 მ. ასევე II თაღოვანი კარის დასავლეთი ფრთის შიდა ნაწილის სიმაღლე 1.7 მ-ია, სიგანე - 1.10 მ. კარის სიგანე - 1.50 მ.

ყურადღებას იქცევს II თაღოვანი კარიბჭის ზღურბლი. იგი მთლიანად დიდრონი

რიყის ქვითა და დუღაბითაა მოგებული. მისი სიგრძე -1.40 მ, სიგანე - 1.11 მ, სიმაღლე - 0.20 მ, სამხრეთის მხარზე იგივე სიმაღლე იატაკამდე - 0.35 მ-ია. საერთოდ, იატაკი და ზეძირკველი რამდენიმე სანტიმეტრით უფრო მაღალია და ამიტომაც II კარის თაღიც ზღურბლის გამო შემაღლებულია. აღმოსავლეთ ამყოლის სამხრეთ კუთხეში, კედელში ღრმა საურდულე ფოსოა ამოჭრილი (ტაბ. IV). სავარაუდოდ, აქ დიდი მუხის კარი ება ურდულით და რკინის სალტით შეჭედილი. ამას ამტკიცებს, ჩვენ მიერ აქ ნაპოვნი დანახშირებული ხის ძელები და რამდენიმე რკინის ნატეხი.

II თაღოვანი კარის გავლის შემდეგ აღმოვჩნდებით სამსენაკიანი ნაგებობის პირისპირ, რომელიც უშუალოდ ამ თაღოვან კარს აქვს მიდგმული (ტაბ. $V_{2;}$ ნახ. 3). სამსენაკიანი ნაგებობის სენაკთა ურთიერთ განმასხვავებელი ნიშანი პირველ რიგში, სამშენებლო მასალაა.

პირველი ორი სენაკი ძირითადად ნაგებია ნატეხი ქვით და დუღაბით. სენაკები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ბრტყელი მოყვითალო ქვის თითო ფენით, რომელიც თავის მხრივ სამაგრებელ ან საბჯენ კედელს წარმოადგენს - ციხის აღმოსავლეთით მდებარე ძირითად ზღურბლსა, მასთან მოდგმულ მომცრო ბურჯსა და ამ ზღურბლის პარალელურ ციხის შიდა კედელს შორის (ტაბ. XIII_1, ნახ. 3). ორივე სენაკის იატაკი და ზეძირკველი ბრტყელი ფილაქვითაა მოგებული და ოდნავ დამრეცად მიემართება (ტაბ. III_2, VI_2). ასეთი ფილაქვით მოგებული იატაკი კარიბჭის გვირაბიანი ბურჯების ზღურბლიდანვე მოემართება და ციხის შიდა ტერიტორიისკენ ვრცელდება. ორივე სენაკს დასავლეთიდან გასდევს რიყის ქვითა და აგურით სუსტად ნაგები კედელი. ეს უკანასკნელი II თაღოვანი კარის დასავლეთი ამყოლიდან იწყება და ჩრდილოეთისკენ მიემართება, ე.ი. ზღუდის მომცრო ბურჯის პარალელურია. ამ კედლის საერთო სიგრძე 6.38 მ. უდრის. აღნიშნული ორი სენაკის გამყოფი სამაგრებელი კედელი მართებულია იმ ზღუდის პარალელური შიდა კედლისა, რომელიც ორივე სენაკის დასავლეთ ნაპირს გასდევს. მეორე სამაგრებელი კედლის საერთო სიგანე 2.68. მ-ია. სიგანე - 0.42 მ, სიმაღლე - 0.47 მ. ეს მცირე კედელი ერთფენა დიდრონი მოყვითალო ქვის რიგს წარმოადგენს და ამოყვანილია მიწისა და თიხის ნაყარ ფენაზე; ამ უკანასკნელის სიმაღლე იატაკამდე 1.45 მეტრია. ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ ეს მცირე კედელი მერმინდელი დანაშენი უნდა იყოს, როცა ციხის საერთო შეკეთება-გამაგრება მიმდინარეობდა (ტაბ. XIII_1).

განვიხილოთ თითოეული სენაკის აღნაგობა ცალ-ცალკე. საერთოდ სამივე სენაკს მკაფიოდ ემჩნევა ქართული აგურით და დაკუთხული ქვით შეკეთება. პირველი ორი სენაკის ზოგიერთი საზიარო კედელი ზემოთვე გვქონდა აღწერილი, ახლა აღვნიშნოთ მათი განმასხვავებელი თავისებურებანი: I მცირე სენაკის ფართობია 2.30X1.82 მ. თხრის პროცესში I და II სენაკთა ფართობის გასუფთავებისას ყურადღებას იმასხურებდა ჭრილები, განსკუთრებით კი თხრილის აღმოსავლეთი ჭრილი (ტაბ. IV_{1-2}, V_2). აქ მკვეთრად გამოვლინდა გარდამავალი ფენები. სულ ზემოთ, ზედაპირიდან დაახლოებით 1 მ.-ის სიმაღლეზე რიყის ქვის ნაყარი ფენა ჩანს, მის ქვემოთ კი დუღაბისა და კირქვის სქელი ფენა მოდის, შემდეგ, აღმოსავლეთის ჭრილს თითქმის გარსშემოუყვება ნახშირიანი ფენა. ეს უკანასკნელი აგრეთვე მთლიანად გასდევს I

ნახ. 3



რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბნის 1961 წლის განათხარის გეგმა, ჭრილები

მცირე სენაკს (II თაღოვან კარისა და მცირე სამაგრი კედლის შუა). მსგავსი სურათია II სენაკის თანმთხვევ კედელ-ჭრილებში.

I მცირე სენაკში მოქცეული ნაწილის აღმოსავლეთ ჭრილში მცირე სამაგრებელი კედლის ნაყარ ფენებში გამოყოფილი ნახშირიანი ზოლი დაახლოებით 0.30-0.36 მ.-ის სისქისაა, ხოლო მთლიანად აღმ. ჭრილის სიღრმე I მცირე სენაკში უდრის 3.30 მ.

I და II სენაკთა გასუფთავებისას შეინიშნა, რომ ფილაქვიანი იატაკის მთელი ფართობი ნახშირისა და კირის სქელი ფენით იყო დაფარული. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ აღნიშნულ ადგილს, და საერთოდ, ციხეზე შემოსასვლელ ამ კარიბჭეს დიდი ხანძარი და ნგრევა განუცდია.

I სენაკის დასავლეთი კედელი იგივეა, რაც ციხის ზღუდის პარალელური შიდა კედელი; სენაკისაკენ მიმართულ მის შიდა მხარეს შემდგომი შეკეთების კვალი დასდევს, განსაკუთრებით კი I სენაკში მოქცეული კედლის აღმოსავლეთ პერანგში გამოირჩევა გასამაგრებლად ალაგ-ალაგ ჩადგმული ნატეხი აგურები და რიყის ქვა (ტაბ. V_2). ამ დიდი კედლის იმ ნაწილის სიგრძე, რომელიც ექცევა I სენაკში 2 მ-ია, სიგანე - 1.10 მ, სიმაღლე -1.80 მ.

II მოგრძო სენაკის იატაკი ისეთივე ბრტყელი ფილაქვებითაა მოგებული, როგორც I სენაკისა. მისი ფართობია 3.90 X2.40 მ. აქაც, ისევე, როგორც I სენაკში, ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთი ჭრილი (შენიშვნის სახით: თხრილის საერთო აღმოსავლეთი ჭრილი მცირე ბურჯისა და მასზედ დაშენებული მცირე დარღვეული კედლის ჩამყოლია). ამ ჭრილის საერთო სიმაღლე ზედაპირიდან 3.50 მ-ია. ჭრილი აქაც ისეთივეა, როგორც I სენაკში იყო, ე.ი. სულ ზემოთ, ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე რიყის ქვის ნაყარი ფენაა, მის ქვემოთ დუღაბისა და კირისა, ხოლო შემდეგ დაახლოებით 0.35 მ-იანი ნახშიროვანი ფენა, რომელიც ამავე სისქის ზოლად გრძელდება მცირე სამაგრებელი კედლის ნაყარ ფენაში და თხრილის ჩრდილოეთ ჭრილში - აქ მისი სისქე 0.40 მ-ს უდრის(IV_2, V_2).

I და II სენაკთა გამყოფი მცირე სამაგრებელი კედლის სიგრძე 2.68 მ-ია. ერთ-ფენა მოყვითალო ქვის რიგი აქაც, რა თქმა უნდა, ნაყარ ფენაზეა ამოყვანილი, მაგრამ ჩრდილოეთისკენ უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთისაკენ. ასე რომ, თავისთავად ქვის რიგის სიმაღლე ჩრდილოეთიდან 0.67 მ-ია, სიგანე - 0.42 მ. მთლიანად საბჯენი კედლის ნაყარი ფენა იატაკამდე სიმაღლით 1.40 მ-ია. სწორედ ამ ნაყარ ფენაში დაუყვება მას ნახშირიანი ზოლი (ტაბ. V_2, VI_2, XIII_1).

თხრილის უკიდურესი ჩრდილო ნაპირი ჩაიჭრა თითქმის იმ უცნობი ნაგებობის თავზე, რომლის ნაწილი პირდაპირ მიშენებული აღმოჩნდა ზღუდის პარალელურ შიდა კედლის აღმოსავლეთ პირზე. ნაგებობა კარგად მოპირკეთებული შენობის შთაბეჭდილებას სტოვებს, განსაკუთრებით სამხრეთიდან; მისი შიდა ნაწილი დიდი მოყვითალო დაკუთხული ქვითაა ამოყვანილი (მათ შორის უდიდესის ზომებია: 0.65X0,55 მ.), რომლებიც ყველა ან ზოგიერთი მხრიდან მოპირკეთებულია, უფრო სწორად შევსებულ-შეკეთებულია ქართული აგურით (ტაბ. VIII_1). სამწუხაროდ, ამ მიშენებული ნაგებობის მხოლოდ სამხრეთი პირია გაშიშვლებული, რადგან მის თავზე გადადის თხრილის უკიდურესი ჩრდილოეთი ჭრილი, ამიტომ მისი დანიშნულების შე-

სახებ რაიმეს გარკვევით თქმა დღეს ძნელია. მისი რაობა შემდგომი კამპანიის დროს გაირკვევა თხრილის გაფართოებასთან ერთად[3]. ერთი რამ კი ცხადია, ეს ნაგებობა უფრო მერმინდელი უნდა იყოს, ვიდრე თვით ციხის თავდაპირველი მშენებლობა და უფრო ახალი შეკეთება-განახლების კვალს ატარებს, ციხის ზღუდის პარალელურ კედელთან ერთად, რომელზედაც იგი უშუალოდაა მიშენებული. თხრილის უკიდურეს ჩრდილო ჭრილში აღმოჩენილი ამ უცნობი ნაგებობის მთლიანი სიგრძე ზეძირკველის ჩათვლით, რომელიც აღმოსავლეთ ჭრილამდე გრძელდება 2.50 მ-ია, ხოლო ზეძირკველის გამოკლებით - 1.25 მ. ნაგებობის შემორჩენილი და ჯერჯერობით გაუსუფთავებული თავის ნაწილის სიგანე 0.20 მ-ია, სიმაღლე ზედაპირიდან - 2.10 მ.

I და II სენაკის დასავლეთი მხარე იგივეა რაც ზღუდის პარალელური შიდა კედელი. მის აღმოსავლეთ პირს ასევე ემჩნევა შემდგომი შეკეთების კვალი და რიყის ქვისა და ქართული აგურის შედარებით კარგი წყობა (ტაბ. XIII_1). კედლის სულ ზედა (ანუ პირველ) რიგს ჩაუყვება მოყვითალო ფერის დაკუთხული ქვები და ალაგ-ალაგ (აშკარა შეკეთების კვალი) ჩადგმულია მოთეთრო ქვაც: ერთ-ერთი მათგანი წიბოიანია, საგანგებოდ გამოპირული (ალბათ რაიმე შენობის კარნიზის ან სარკმლის დეტალი). მისი ზომებია: 0.20X0.10X0.35 მ. (ტაბ. V_2)).

II სენაკში მოქცეული ზღუდის პარალელური შიდა კედლის აღმოსავლეთ მიმართულ პირს ძალიან ემჩნევა დიდი ხანძრის კვალი: ქვები ალაგ-ალაგ გაწითლებული და გაშავებულია, ისევე როგორც ამ შიდა კედელთან მიშენებული უცნობი ნაგებობის სამხრეთი პირი მასში ჩასმული დიდი ყვითელი ქვით (ტაბ. VIII_1)

II სენაკის გასწვრივ გამავალი ზღუდის პარალელური შიდა კედლის ნაწილის სიგრძე თხრილის უკიდურეს ჩრდ. ჭრილამდე 4.50 მ-ია. სიმაღლე იატაკამდე - 2.40 მ. აქედან ქვის წყობის ქვემოთ შემორჩენილი ნაყარის სიმაღლე იატაკამდე - 1.70 მ-ია. აქ არსებული ნაყარი ფენის გამო მასზე დაშენებული კედლის აღმოსავლეთი პირი სიმტკიცეს მოკლებულია, რადგან ნიადაგი შლადია.

უნდა აღიწეროს ზღუდის პარალელური შიდა კედლის თავიც (ტაბ. XIII_1). იგი შუაგულში საკმაოდ უსწორმასწოროდაა ნაგები რიყის ქვით და ბოლოებთან შედარებით დადაბლებულიც კი ჩანს. კედლის თავს შედარებით მკვიდრი წყობა შერჩენია თხრილის უკიდურეს ჩრდილო ჭრილთან მდებარე ნაწილში: აქ დუღაბში ზის მოთეთრო ქვების წყობა, რაც, ცხადია, ამ კედლის პერანგი უნდა იყოს. ხოლო კედლის შუა ნაწილს, სადაც მრავლად ყრია ქვა, აშკარად ემჩნევა რომ ნარღვევია - უფრო სწორად, კედლის თავის ნაწილი მოგლეჯილი და განზე გადაქცეულია. ეს ვარაუდი გამართლდა, როცა თხრილის გაფართოებისა და ახალი მასალის მოპოვების მიზნით კედლის დასავლეთი პირი გასუფთავდა (ტაბ. X_1, XIII_1, ნახ. 3).

ამრიგად, შემდგომი გათხრებისას გამოვლინდა ზღუდის პარალელური შიდა კედლის დასავლეთი პირის წყობა, ხოლო შემდგომში ამ კედლის თავის დასავლეთით გადაქცეული მასაც.

კედლის ამ მხარესაც ეტყობა სხვადასხვა დროს შეკეთების კვალი, იგი უფრო

[3] **2015 წ. ამავე უბანზე ჩატარებული გათხრების მონაცემით აღწერილი უცნობი ნაგებობა ციხის დიდი ბურჯის კოშკში (ფართო ტალანში) შემავალი კარიბჭის ჩრდილო- აღმოსავლეთ პილონი აღმოჩნდა.**

„ახლად“ გამოიყურება. კედლის მთელ სიგრძეზე დასავლეთიდან შეიმჩნევა რიყის ქვისა და ქართული აგურის მკვეთრი წყობა: ორი რიგი რიყის ქვით არის ნაგები, მომდევნო ორი რიგი - აგურით და ა.შ. (ტაბ. V_2). ციხის ზღუდის პარალელური კედელი მოთეთრო დაკუთხული ქვებითაც კი შეუვსიათ. აქვე, სადაც ზღუდის პარალელური შიდა კედლის ერთი ბოლო II თაღიანი კარის დასავლეთ ამყოლს ებჯინება, კედლის ზედა რიგში მკვიდრად არის ჩადგმული ეკლესიის კამაროვანი კარნიზის ნატეხი (ტაბ. V_2). ქვა გადმობრუნებული დევს და საშენ მასალადაა გამოყენებული. მისით თითქოს „დაკერებულია“ კედლის ზედა რიგი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ციხის ზოგიერთი ბურჯისა და კედლის ფასადის მსგავსად ადრეფეოდალური ხანის ნაგებობის (ტაძრის) ნანგრევი მასალა, შუაფეოდალურ ხანაში აქაც გამოუყენებიათ კედლის შესაკეთებლად. ამ ქვის ზომებია 0.44X0.44X0.22 მ. კედლის ზემო რიგში კარნიზის ქვის გვერდით წყობაში ზის მეორე დიდი თლილი თეთრი ქვა (ტაბ. V_2). ამ უკანასკნელის ზომებია: სიგრძე - 0.60 მ, ერთი ნაპირის სიმაღლე - 0.30 მ, მეორე ნაპირის - 0.19 მ, სისქე 0.30 მ. კედლის ზემო რიგი თითქმის შუაგულამდე ჩარღვეულია და ნგრევის შედეგად რიყის ქვები გადმოცვენილია. შედარებით უკეთაა შერჩენილი კედლის ჩრდილოეთისკენ მიქცეული ნაწილი. აქვეა კედლის ზედა რიგის თეთრი ქვა, რომლის ზომა უდრის 0.50X0.30x0.24 მ. ძნელად, მაგრამ მაინც შესაძლებელი გახდა კედლის სიგანის დადგენა, იგი 1.65 მ-ია. დასავლეთი მხრიდან კედლის სიმაღლე ზეძირკველის ჩათვლით 1.50 მ-ს არ აღემატება.

ზღუდის პარალელური შიდა კედლის პრეპარირების შედეგების აღწერის შემდეგ გადავდივართ მის მიღმა არსებულ III სენაკის განხილვაზე. მისი გამოვლენილი ნაწილის თითქმის მთელი სივრცე ციხის ზღუდის გადმოქცეულ ნარღვევს უჭირავს, რაც დიდი ხანძრის ან რყევის შედეგი უნდა იყოს (ტაბ. X_1, ნახ. 3). ამ ქვების უსწორმასწორო გროვა ჯერ კიდევ ზედაპირიდან 1.50 მ. სიღრმეზე შევამჩნიეთ. ნაყარი მასის პრეპარაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზღუდის პარალელური შიდა კედლის თავი მთლიანად მოგლეჯილია და კედლის დასავლეთ მხარეზეა გადმოქცეული; ხოლო ბათქაშთან, კირთან და აგურთან არეული ქვების გროვა სწორედ ეს გვერდზე გადმოწოლილი კედლის თავია (ტაბ. X_1). გადმოქცეული კედლის საერთო სიგრძე 3.40 მ-ია, სიგანე განიერ ადგილას - 1.50 მ, ვიწრო ადგილას - 0.90 მ, სიმაღლე - 0.63 მ, ხოლო ნაყარი ფენის ზეძირკველის ჩათვლით - 0.60 მ. მანძილი გადმოქცეული კედლის თავის გროვიდან ზღუდის შიდა კედლის დასავლეთ პირამდე სულ 0.96 მ-ია. გადმოქცეულ კედელს, თუმცა იგი ძალიან დაშლილ-დარღვეულია, მაინც შერჩენია აგურების კამარული წყობის ნაწილი. ეს უკანასკნელი ზომით ზუსტად უდგება II თაღოვანი კარის დასავლეთ ფრთის თავს, რომელიც ასევე დარღვეულია. გარდა ამისა, გადმოქცეულ კედელს უკიდურეს დასავლეთ ბოლოზე ირიბულად ადევს გადმოწოლილი დიდი მოთეთრო ქვა. ქვის ზომები: 0.70X0.51X0.16 მ. ზომის მიხედვით იგი ჯდება იმ ადგილას, სადაც კარნიზის ნატეხი არის კედელში ჩადგმული. გადმოქცეული კედლის თავის დიდი თეთრი ქვა უშუალოდ თავსდება კარნიზის ნატეხის თავზე, იგი სამხრეთი კუთხით ებჯინება II თაღოვანი კარის დასავლეთ ფრთის ზედა კუთხეს, ხოლო ჩრდილო კუთხით მომდევნო მოთეთრო ქვას. გადმოქცეული

კედელი უმთავრესად კირ-დუღაბის მასას წარმოადგენს. ამ გადმოქცეულ კედელს ისევ თავის პირვანდელი სახით დაშენებული ზღუდის პარალელურ შიდა კედელზე თუ წარმოვიდგენთ, იგი ზუსტად მიუდგება დარღვეულ ადგილებს. გარეგნულად ამ გადმოქცეულ კედელსაც ცალსახად ემჩნევა ხანძრის კვალი: ქვა და დუღაბი ალაგ-ალაგ გაწითლებულ-გაბოლილია. გადმოქცეული კედლის უკიდურესი დასავლეთი მხარე თხრილის დასავლეთ ჭრილიდან 1 მ. მანძილითაა დაცილებული; თვით თხრილის დასავლეთი ჭრილის სიღრმე მთლიანად 2.10 მ-ს უდრის, ხოლო სიღრმე მიწის ზედაპირიდან გადმოქცეული კედლის ნარღვევის დონემდე - 1.90 მ-ია.

III სენაკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კიდევ ერთი ნახევარწრიული ნაგებობის ნაწილი ჩანს. მისი ზედა ფენების გასუფთავებისთანავე ცხადი გახდა, რომ იგი ნაგებია მკვიდრად, დიდრონი რიყის ქვით, აგურით და დუღაბით. იგი შედარებით ვიწრო სოლისმაგვარი ბოლოთი მიდგმულია ზღუდის პარალელურ შიდა კედელზე. ამ უცნობი ნაგებობის საკმაოდ ფართო და მკვიდრად ნაგები დასავლეთი მხარე უშუალოდ ეხება თხრილის ახალანდელ დასავლეთ ჭრილს და, ჩანს საკმაოდ ღრმად შედის მასში, ე.ი. ციხის შიდა ტერიტორიაზე გრძელდება მისი შვერილი. აღსანიშნავია, რომ ამ ნახევარწრიულ ნაგებობას, რომლის დანიშნულება გაურკვეველია, თავისთავად მაინც მეტად საინტერესო ფორმა აქვს. მაგ.: მისი ყველაზე ფართო სამხრეთი კედელი მიქცეულია მწყობრად შემორიგებული ქართული აგურით, რომელიც ფენა-ფენა ზის დუღაბის მკვიდრ ბუდეში (აგურის ზომა: 0.25X0.6 სმ.). ასევე საინტერესოა მისი ჩრდილო მხარე, რომელიც შეზნექილია შიგნით და იქ თავის მხრივ ამ მომრგვალებულ ნაგებობაზე მიდგმულ ქვის ოთხკუთხა პატარა ნიშისმაგვარ სათავსოს ქმნის. ნახევარწრიული ნაგებობის ზომებია: კუთხური ნაგებობის შიდა სიგრძეები - 0.80X1.15 მ. იგივე ნახევარწრიული ნაგებობის სიგანე 1.22 მ-ია, სიმაღლე - 0.96 მ. სოლისმაგვარი ნაგებობა ავზომეთ პირით სამხრეთისაკენ: აქ მისი სიგრძე 2.18 მ-ია, ხოლო იგივე კედლის სიგრძე პირით დასავლეთისკენ (უშუალოდ თხრილის დასავლეთ ჭრილამდე) - 2.80 მ.

I და II სენაკთა ჭრილებთან შედარებით, III სენაკის ჩრდილო და დასავლეთი ჭრილები საკმაოდ მცირე სიმაღლისაა, რადგან თვით თხრილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამრეცია (ტაბ. X_1). III სენაკის ჩრდილო და დასავლეთ ჭრილების გარე სიმაღლე 1.75 მ-ს არ აღემატება (აღებულია ნაგებობის ზედაპირიდან).

ზემოთ აღწერილ სამივე სენაკს გვირაბიან ბურჯზე დასავლეთით მიდგმული ნაგებობისგან (რომელსაც, აგრეთვე, პირობითად IV ვუწოდებთ) გამოყოფს ის მძლავრი და მკვიდრად ნატეხი ქვა-დუღაბით ნაგები კედელი, რომელიც II თაღოვანი კარის დასავლეთ ამყოლზეა მიშენებული და ციხეში შესასვლელი ტალანის გამყოლ ერთ-ერთ კედელს ემთხვევა (ტაბ. X_2, ნახ. 3). ამავე კედლის აგურით მოპირკეთებული აღმოსავლეთი პირი ზემოთ გვქონდა აღწერილი. ახლა აღვწერთ ამ მძლავრი სამაგრებელი კედლის თავსა და მისი ჩრდილო, სამხრეთსა და დასავლეთ პირს. გასუფთავდა აღნიშნული კედლის თავი, რომელიც უშუალოდ II თაღოვანი კარის თავს ებმის. მძლავრი კედლის თავი წარმოადგენს ნატეხი ქვის მკვიდრ ფენას, რომელიც დუღაბის სქელ ბუდეში ზის. მისი გვერდითი კედლები კი სხვადასხვა ფენისა და

ნაშენობის თავზეა დაყრდნობილი (ტაბ. X_2).

II თაღოვანი კარის დასავლეთ ამყოლზე მიშნებულ სქელ კედლში ძირითადად სამი სხვადასხვა დროის შეკეთების და ნაშენობის ფენა გამოიყოფა. სავარაუდოდ, აქ უძველესი, პირველადი დროის მშენებლობის ფენა შეესაბამება რიყის ქვითა და დუღაბით მკვიდრად ნაგებ ქვედა კედელს, რომელიც ალაგ-ალაგ თლილი ნატეხი ქვითაა მოპირკეთებული. უკვე მომდევნო ხანაში მასზე დაშენებულია კედლის ორი სხვა ფენა; ასე რომ, ქვედა ძირითადი კედლის შეკეთება-გამაგრების შედეგად ერთმანეთზე დაშენებულ კედელთა სამი ფენა გამომჟღავნდა (ტაბ. X_2).

I ფენის კედლის საერთო სიგრძე - 3.40 მ-ია, სიგანე - 2 მ, სიმაღლე ზეძირკველის ჩათვლით - 1.90 მ. ამ I ფენის რიყის ქვითა და დუღაბით ნაგებ კედელთან 90^0 კუთხით მიშენებულია ასეთივე ნაშენობის კედელი, რომელიც I ფენის კედლის მიმართ პერპენდიკულარულია და აშკარად ებჯინება თხრილის უკიდურეს დასავლეთ ჭრილს. ხსენებული პერპენდიკულარული კედლის სიგრძეა 1.25 მ. ამ უკანასკნელს თავის მხრივ გაგრძელებაზე კვლავ მიშენებული აქვს დუღაბით ამოლესილი მცირე კედელი, რომელიც უშუალოდ დასავლეთ ჭრილში შედის და გრძელდება ციხის შიდა ტერიტორიაზე. ამ მცირე კედლის სიგრძე, ის რაც პერპენდიკულარულ კედელს ებმის, ჯერჯერობით 0.40 მ-დეა გაშიშვლებული. სამაგიეროდ მისი სიღრმე, პირით სამხრეთისაკენ, ზეძირკველამდეა დაყვანილი, იგი 1.20 მ-ია, ხოლო ერთმანეთის გაგრძელებაზე მიშენებული კედლების სიგანე ერთად 1.20 მ-ის ტოლია. იგივე, ანუ I ფენის კედლის ჩრდილოეთი მხარე უშუალოდ გადის III სენაკში, სადაც გადმოქცეული კედლის თავია. აქ, ჩრდ. მხარეზე გაშიშვლებული კედლის სიმაღლე 1.10 მ.-ია. ამრიგად I ფენის კედელთან პირით დასავლეთისკენ მართებულად მიდგმული მცირე კედელი თავის მხრივ III სენაკს გამოყოფს IV სენაკისაგან. იგი ჩრდილოეთის მხრიდანაც თლილი ნატეხი ქვითაა მოპირკეთებული და საკმაოდ მკვიდრად გამოიყურება. I ფენის კედლის თავი და დასავლეთი გვერდები აგურითაა მოპირკეთებული. ჩანს, შუაფეოდალურ ხანაში ციხის კედელ-ზღუდე აგურით შეუკეთებიათ, მაგრამ ეს, ე.ი. რიგით II ფენა, დარღვეულია და მასზე III ფენა კედლის დაშენება უკვე გვიანფეოდალურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. აგურით შეკეთებული II ფენა კედლის საერთო სიგრძე 4.65 მ.-ია. აღნიშნული კედლის პროფილი ყველაზე კარგად სამხრეთი მხრიდანაა გამოკვეთილი; აქედან II ფენის კედლის სიგანე, აგურისა და დუღაბის წყობასთან ერთად, 1.30 მ.-ია, საკმაოდ მტკიცეა და სიმაგრით რიყის ქვით ნაგებ I ფენის კედელს არ ჩამოუვარდება. სამაგიეროდ დიდკვადრატული კედლის II ფენის სიმაღლე I და III ფენების სიმაღლეებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. ასე რომ, II ფენის კედლის სიმაღლე პირით სამხრეთისაკენ 0.30 მ-ია, ხოლო პირით დასავლეთისკენ - 0.70 მ. კვადრატული დიდი კედლის სულ ზემო, ანუ III ფენის ქვითა და დუღაბით მოგებული კედლის თავი ემთხვევა და უშუალოდ ებმის II თაღოვანი კარიბჭის თავს. ნაშენობა თავისი კონსტრუქციით გვიანფეოდალურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ეს ფენა კიდევ უფრო მეტ სიმაგრეს აძლევს ციხეში შესასვლელ ტალანს და იცავს ციხის შიდა ტერიტორიაზე განლაგებულ ოთხივე სენაკს. სულ ზემო ანუ III ფენა კედლის სიგრძე 3.50 მ-ია, სიგანე - 2.13 მ. მხოლოდ სიმაღლე ოთხივე გაშიშვლებული

მხრიდან მცირედ განსხვავდება II ფენა კედლის სიმაღლისაგან. მისი სიმაღლეები სამხრეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთ მხარეზე მერყეობს 0.55 მ-დან 0.75 მ-მდე. მხოლოდ მისი ტალანში გასული, აგურით მოპირკეთებული კედლის აღმოსავლეთი პირის სიმაღლეა 2.10 მ.

გვირაბიან ბურჯზე დასავლეთიდან მიდგმული ნაგებობა ყურადღებას იქცევს თავისებური აღნაგობით. იგი თითქოს დამოუკიდებელია სხვა სენაკისაგან. მას პირობითად IV სენაკს ვუწოდებთ (ნახ. 3, ტაბ. $IX_{1-2,}$ $X_{2,}$ XIX_{1}). ის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქართული აგურით ნაგებ კარიბჭის შემოსასვლელ ტალანს ებჯინება, სამხრეთით ალიზის დანაშენი აკრავს, ხოლო დასავლეთის - ციხის შიდა ტერიტორიისაკენ მიმართული მხარე ღიად რჩება. სათავსო შედარებით ვრცელი და წესიერი ოთხკუთხედი ფორმისაა. იატაკ-ზეძირკველი რიყის ქვითა აქვს მოგებული, ფართობი: 4X5 მ. (ტაბ. $IX_{1-2,}$ ნახ.3).

IV სენაკის შემადგენელი კედლები, რომელთაგან ზოგი ტალანს გასდევს, ზემოთ გვქონდა აღწერილი. ასე მაგალითად: რიყის ქვით საკმაოდ სუსტად ნაგები კედელი, რომლის ჩრდილოეთი პირი მცირე ტალანს გასდევს, თითქმის მთელი 4 მ-ის სიგრძეზე სამხრეთიდან ამოქოლილია დიდრონი რიყის ქვებით და ალიზით. კედლის მთლიანი სიმაღლე იატაკამდე - 1.70 მ-ია. ამოქოლვა იატაკიდან 0.40 მ-ის სიმაღლიდან იწყება. ამოქოლვის ფართობი სულ 2.35X0.80 მ-ია.

IV სენაკის რიყის ქვით ამოქოლილ კედელს 90^0 კუთხით აღმოსავლეთიდან მიდგმული აქვს აგურით მოპირკეთებული კედელი - სიგრძით 5 მ, სიმაღლით - 2.10 მ. აღნიშნული კედელი I თაღოვანი კარის დასავლეთ ამყოლთან მიშენებული კედლის თანმთხვევია, რომელიც ციხის ტალანს შიდა მხარეს გასდევს დასავლეთისკენ მიმართული მისი პირველი ანუ ქვედა ფენა რიყის ქვითაა ნაგები, ე.ი. უფრო ადრინდელი შენობის ფენა უნდა იყოს. იგი სიმაღლით სულ 0.40 მ-ია, ზემოთ მას 1.70 მ-ის სიმაღლის აგურით მოპირკეთებული კედლის II ფენა აქვს დაშენებული - ცხადია, ციხის შემდგომი შეკეთების შედეგი. IV სენაკის აღმოსავლეთი კედელი საკმაოდ მტკიცე ნაშენობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ერთ ადგილას ნატეხი ქვით უსწორმასწოროდ ამოქოლილი ხვრელი მასაც აქვს. ამოქოლვა იწყება კედლის ჩრდ. კუთხიდან დასავლეთისკენ, 1.25 მ. სიგრძიდან. თვით ამოქოლვის ფართობი 0.38X0.35 მ-ია.

სენაკის იატაკის გასწვრივ დასავლეთით ჩანს ციხის შიდა კედლის თავი, რაც ციხის თავდაპირველ მშენებლობას უნდა მიეკუთვნებოდეს. იგი რიყის ქვითა და დუღაბით საკმაოდ მკვიდრადაა ნაგები და, საერთოდ, წარმოადგენს I ფენის კედლის შვერილის გაგრძელებას სამხრეთ ჭრილამდე. მისი დასავლეთით მიმართული პირი, ისევე, როგორც მძლავრი კედლის I ქვედა ფენა მოპირკეთებულია დაკუთხული ნატეხი ქვით. აღნიშნული კედლის სიგრძე თხრილის უკიდურეს სამხრეთ ჭრილამდე 4.35 მ-ია, სიღრმე - 1.70 მ. კედლის თავის სიგანე კი 2.15 მ. აღნიშნული კედლის აღმოსავლეთისაკენ მიმართული პირის სიღრმე 0.90 მ-ს არ აღემატებოდა რადგან კედლის თავი თითქოს IV სენაკის რიყის ქვით მოგებული იატაკის გასწვრივ იწყება.

საყურადღებოა IV სენაკის თანმთხვევი ჭრილებიც: სენაკის გამყოლი დასავლე-

თი ჭრილის სიღრმე 2.60 მ-ია. მაგრამ ყველაზე საინტერესოა თხრილის უკიდურესი სამხრეთი ჭრილი: ჯერჯერობით აქ ღიად რჩება ალიზის დანაშენის საკითხი, რომელმაც თავი იჩინა გვირაბიანი ბურჯის დასავლეთი მხრიდან მიდგმულ IV სენაკის განაპირას და რომელიც უშუალოდ IV სენაკის იატაკზეა დაშენებული (შემორჩენილი სიმაღლე 2.35 მ.). იგი უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ციხის ზოგ სხვა უბანზე შესწავლილი ალიზის დანაშენი და, ამდენად, განხილული უბანი ახალ სიტყვას ამბობს.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ნაშთების სტრატიგრაფიაში 3 ფენა გამოვარჩიეთ: 1) უძველესი - შეესაბამება ნაგებობათა თავდაპირველ წყობას, რომელიც კარიბჭის შიგნით დაგებულ იატაკსა და სათანადო ზეძირკველს მოიცავს. ეს ფენა გასდევს I და II თაღოვანი კარის შემაერთებელ, ციხეში შესასვლელ ტალანს, I, II და IV სენაკებს; 2) მეორე ფენას პირველისაგან გამოყოფს მკაფიო ნახანძრევი, რომლის შემდეგაც ნაგებობა აგურით და დუღაბით შეუკეთებიათ. ეს ფენა ირგვლივ შემოუყვება I და II სენაკების ჭრილებს და ზღუდის პარალელური შიდა კედლის აღმოსავლეთ პირს. ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ყველა თაღიანი კარი და ტალანის სავარაუდო შეკეთება; 3) მესამე ფენა წარმოდგენილია დუღაბითა და ბრტყელი ნატეხი ქვით, რითაც სულ ბოლო დროს შეუკეთებიათ კედელთა ზედა ნაწილები. აღნიშნული ფენები განსაკუთრებით გამოირჩევა თხრილის აღმოსავლეთ ჭრილში.

არქეოლოგიური მონაპოვარის დიდი უმეტესობა შუაფეოდალურ ხანას განეკუთვნება და ამდენად სამივე ფენის შესატყვის პერიოდს ვერ გვისურათებს (ისევე როგორც სხვა უბნებზე). ამ მონაპოვარიდან უმთავრესად აღსანიშნავია: ბრინჯაოს ეჟვანი, რკინის ჯაჭვის ნაწილი, რკინის ნალის ორი ნატეხი და სხვა საგანთა რკინისავე ნატეხები; თიხის მოჭიქული ჭრაქები, სამარილეები, ჯამები და სხვ.; თიხის მოუჭიქავი (ზოგჯერ წერნაქიანი) ჭურჭელი: დერგების, ქვევრების, ჯამების, ქილების, ქვაბ-ქოთნების, ქოთნების, დოქების ნატეხები; ღარისებური კრამიტის ნატეხები, აგური და სხვა. მინის ნაკეთობათაგან შეგვხვდა: შავი, მწვანე და სხვა ფერის მინის სამაჯურთა ნატეხები, აგრეთვე ჭურჭლის ძირები. ამ საგანთა უმრავლესობა აღმოჩენილია II თაღოვანი კარიბჭის შესასვლელის იატაკსა და ზღურბლზე 2-დან 2,50 მ-ის სიღრმეზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ცხენის ძვლებთან აღმოჩენილი რკინის სატევარის თუ მახვილის პირის ნატეხი. რკინის ნივთები მიმობნეულია IV სენაკის იატაკის მთელ ფართობზე, ზედაპირიდან 2-დან 2.70 მ-ის სიღრმეზე.

ციხისა და მის ნაგებობათა ისტორიის ძირითადი პერიოდებისა და მოვლენების მხრივ ჩვენ მიერ შესწავლილი უბანი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრული ჩანს. იგი ყურადღებას იქცევს შუაფეოდალური ხანის ქართული ციხე-ქალაქებისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტურული ფორმებით. აქ თვალნათლივ ჩანს უშუალო, ცოცხალი კავშირი ძირითად საფორთიფიკაციო ნაგებობებსა და მის შიგნით მდებარე საცხოვრებულ-სამეურნეო ნაგებობათა შორის. შემდგომი კვლევა-ძიება სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს.

დასასრულს, საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენ მიერ შესწავლილი კარიბჭე შევადაროთ ზოგიერთ სხვა ძეგლის ანალოგიურ ელემენტებს, შუაფეოდალური ხანისავე იმ ციხე-

ქალაქებში, რომელთაც არქეოლოგიური თხრა შეეხოთ და ამ თხრის შედეგები მეტ-ნაკლებად გამოქვეყნებულია.

შუაფეოდალური ხანის საქართველოს ციხე-ქალაქთა აღნაგობისათვის დამახასიათებელ სურათს გვაძლევს ჯავახეთის ახალქალაქის და დმანისის ნაციხვართა ტერიტორიაზე შემორჩენილი კარიბჭეები.

ჯავახეთის ახალქალაქის ზეგანზე ძველი ციხისგან შემორჩენილი ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭის ნანგრევები გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით გაითხარა 1960 წელს. ზეგანზე არსებული ძველი ციხისა და მისი ნაქალაქარის ადგილი დიდი ლოდებით, კლდის ქვებით და ბალახით იყო დაფარული. სამხედრო საქიროებისას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ზეგანზე აშენებულ ციხეს და მის შიდა არეზე განლაგებულ საფორთიფიკაციო ნაგებობათა კომპლექსს ბუნებრივად მიუდგომელს ხდიდა. ნაციხარის არეზე შემორჩენილი კლდე-ბურჯების გრანდიოზულობა ახლაც მიუთითებს ერთ დროს მძლავრი და ხალხმრავალი ციხე-ქალაქის არსებობაზე. ამის საბუთია ციხის ერთ-ერთი უძველესი ნაშთის - ჩრდილო-დასავლეთი ჭიშკრის შემორჩენილი კედლის მასიურობა.

რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭისგან განსხვავებით, ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ჭიშკარი დიდრონი კლდის ქვითა და დუღაბითაა ნაგები. მისი ფართო შემოსასვლელი ასეთივე დიდრონი და ხავსიანი ლოდებით იყო ჩახერგილი, რომელთაგანაც საბოლოოდ გაიწმინდა ჭიშკარი და მისი მიმდგომი ზოგი შიდა სათავსო. ჭიშკრის თითქმის 5 მეტრიანი გასასვლელი, რომელშიც თავისუფლად გავა ტრანსპორტი, ჩახერგილი ლოდებით ერთგვარად დაცულიც კი იყო. სამშენებლო მასალად ძირითადად რიყის ქვა და დუღაბი გამოუყენებიათ, ხოლო კედელ-ბურჯების მოსაპირკეთებლად - ბუნებრივი კლდის ქვა, დიდრონი დაკუთხული ლოდები. ქვაყრილისა და მიწისგან გაწმენდილი ჭიშკრის იატაკიც ბუნებრივი კლდის ფილებით მოპირკეთებული აღმოჩნდა. ჭიშკრის მიმყოლი კედლებისაგან მიწის ზედაპირზე თითქმის აღარაფერი ჩანდა, მაგრამ ღრმად საძირკვლამდე გასუფთავების შემდეგ მათი პროფილი საკმაოდ მკვიდრი და ძარღვიანი აღმოჩნდა. ეს სიმტკიცე შემორჩენილი აქვს „პერანგშემოძარცულ“ დასავლეთ და მის მოპირდაპირე - ციხის შიდა არის აღმოსავლეთ კედელსაც.

ახალქალაქის ციხის მშენებლობაში, მის შესასვლელთა თუ სათავსოთა განლაგებაში, უდავოდ დიდი ტექნიკური საზრიანობა შეიმჩნევა. ყოველივე ამას მისი ბუნებრივი, ხელსაყრელი, გაშლილი გეოგრაფიული გარემოც აპირობებდა, რასაც სამაგიეროდ რუსთავის ციხის ტერიტორიული მდებარეობა მოკლებული იყო.

დმანისის ნაქალაქარის უმეტესი ნაწილი 1938 წელს გაითხარა ლ. მუსხელიშვილის მიერ. გამოვლინდა ნაქალაქარის საშუალო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტიპურობა. მშენებლობის სისტემას უმეტესად განსაზღვრავდა საკმაოდ მოხერხებული გეოგრაფიული გარემო: კონცხის ორ წყალს შუა - ფინეზაურსა და მაშავერას შორის მდებარეობა; კონცხზეა გაშენებული თვით ქალაქი და მისი გარეუბნები, ხოლო ქალაქში კიდევ ცალკეა გამოყოფილი შიდა ციხე თავის სიმაგრეთა სისტემით, ზღუდე-ბურჯებით. სამი მხრიდან მდინარეთა კალაპოტით

და ციცაბო ქარაფოვანი კლდით ბუნებრივად დაცული ქალაქი კედელ-ზღუდეებით გამაგრებას ნაკლებად საჭიროებდა. ქალაქს მხოლოდ სამხრეთი ჰქონდა მისადგომი. კლდეზე აღმართული, ოთხივე მხრიდან კედელ-ბურჯებით შემოსილი შიდა ციხე მთელ კონცხზე მარჯვე სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. ქალაქს სამხრეთის მხრიდან ზღუდავდა კედელი, რომელიც შიდა ციხიდან გამოდის, კონცხის წვერამდე გრძელდება და ქალაქში შესასვლელიც ამ კედელშია სამხრეთიდან დატანებული. ქალაქის ჭიშკარიც, სტრატეგიული მიზნით, ისევე როგორც კარიბჭის I შესასვლელი, დასავლეთისკენ იცქირება. დმანის-ქალაქის ჭიშკრამდე ძველი გზა მოდის, რომელიც შემდეგ ქალაქში ქუჩის სახით გრძელდება. აქ ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო ობიექტს: დასავლეთისკენ მიმართულ ქალაქის კარიბჭეს. ამ უკანასკნელისთვის ორივე კედლის ამყოლი სვეტები ბუნებრივი კლდის ქანის კვადრებითაა მოპირკეთებული. თითქმის 5 მ-იანი კარიბჭისა და შესავლელი გზის სიგანე რუსთავის ციხის ტალანის მსგავსად ჩრდილოეთისკენ მოხვევის შემდეგ თანდათანობით ვიწროვდება 2.50 მ-მდე. ჭიშკრის იატაკი კარგად გათლილ ფილაქანს წარმოადგენს. ეს ფილაქანი საფეხურივით დევს ბრტყელ, მჭიდროდ დამუშავებული ფილაქნების ქვაფენილზე, ხოლო ქვაფენილი თავის მხრივ უშუალოდ პიტალო კლდეზეა დაგებული. ჭიშკრის „ზღურბლი“ საკმაოდ უსწორმასწორო ნაგლეჯი ქვებითაა მოგებული, რაც ბუნებრივია მიმოსვლას ხელს შეუშლიდა. მიუხედავად ამისა, ვარაუდობენ, რომ ქალაქს ამ გზაზე გარე სავაჭრო-სამიმოსვლო პუნქტებთან სასაპალნე ტრანსპორტი აკავშირებდა. ჭიშკრის მიმყოლი კედლები და გალავნის მცირე ნაწილი ასეთივე ადგილობრივი ბაზალტის ქვითაა ნაგები, მაგრამ მასაც ურევია აგურის წყობა, რაც მერმინდელი შეკეთების ნაშთი უნდა იყოს[4]. მსგავსი შეკეთების სურათს იძლევა რუსთავის ციხის ზღუდე-ბურჯების პერანგიც.

ახალციხის ჭიშკარი დმანისის ნაქალაქარის ჭიშკრისგან განსხვავებით თუმცა მომცროა, მაგრამ უფრო კარგად გამაგრებული ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ორივე ციხის კარიბჭეებსა და სასიმაგრო კომპლექსებს რუსთავის ციხის კარიბჭის უბანთან შედარებით, როგორც ბუნებრივი და გეოგრაფიული მდებარეობით, ისე სივრცის, კარიბჭის აღნაგობისა და სამეურნეო ნაგებობათა განლაგების თვალსაზრისით აშკარად უპირატესი მდგომარეობა გააჩნიათ, რაც პირველ რიგში რუსთავის ციხის შეზღუდული გარემო პირობებით აიხსნება.

ზემოთ განხილული რუსთავის ნაციხვარის კარიბჭის უბნის შემდგომი კვლევა-ძიება ძირითადად იმისკენ იქნება მიმართული, რომ გამოვლინდეს კავშირი საფორთიფიკაციო ნაგებობებსა და მის შიგნით მდებარე საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობათა შორის.

[4] ლ. მუსხელიშვილი, დამანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, გვ. 335-346 (ამონაბეჭდი)

§2. 1962 და 1965 წლების გათხრების შემაჯამებელი ანგარიში

1962 წელს მუშაობა კვლავ რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე გავაგრძელეთ. საანგარიშო წელს მიზნად დავისახეთ გაგვეჭრა ახალი თხრილი ციხეში შესასვლელი ტალანის მიმდგომი ოთხსენაკიანი ნაგებობის გაგრძელებაზე (ციხის შიდა არეში) ანუ უფრო ზუსტად III და IV სენაკების დასავლეთი ჭრილების გაგრძელებაზე. სამუშაოების დაწყების პირველ ეტაპზე საჭირო შეიქმნა 1961 წელს გათხრილი XI თხრილის, თაღოვანი კარის და ხსენებული სენაკების საფუძვლიანი გაწმენდა-დასუფთავება, რის შემდეგაც დასავლეთი ჭრილის გაგრძლებაზე, ციხის შიდა არისკენ გავჭერით ახალი (XI^{ა}) თხრილი (ფართობი: 3.50X10მ.).

გათხრების შედეგად XI^{ა} თხრილში გამოიკვეთა, ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის მახლობლად ადრე გათხრილ მკვიდრ ნაშენობაზე მიდგმული, ქვიშაქვის ნატეხი და რიყის ქვით, ასევე აქა-იქ აგურითა და კირით ამოყვანილი ნაშთი, რომელსაც თან ახლავს მოდუღაბებული, ერთიმეორისაგან 1 მ. სისქის მიწით გამოყოფილი დატკეპნილი თიხის იატაკები. შედარებით მცირე განათხარში თავი იჩინა, პირებით სამ სხვდასხვა დონეზე, ახლო-ახლოს მდებარე 7 ორმომ და 9 ფოსომ (ნახ. 4), რომელთა თავდაპირველი დანიშნულება მარცვლეულის შენახვა უნდა ყოფილიყო. მათში - „არქეოლოგიურ ორმოთა“ წესისამებრ - მრავლად აღმოჩნდა კერამიკისა და სხვა საგანთა ნატეხები. ეს მონაპოვარი მთლიანად თავსდება შუაფეოდალურ ხანაში.

რუსთავის ციხის ამ უბანზე არქეოლოგიური საკვლევაძიებო სამუშაოები 1965 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კვლავ განახლდა[5]. განახლებული კამპანია შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა და ჩვენ წინაშე უფრო მეტი ინტერესითა და პასუხისმგებლობით დაისვა მრავალი, დიდ-პატარა მნიშვნელობის საკითხთა გარკვევის აუცილებლობა, რომელთაც ჩვენ აქამდე არაერთგზის დაუფიქრებივართ.

ძიების ყოველი დღე თითქოს ახლებურად აშუქებდა ჩვენ წინაშე წამოჭრილ ამოცანებს, არკვევდა, აღრმავებდა მათ, ხან კი ართულებდა, თითქოს წყვეტდა მოვლენათა თანმიმდევრობის ჯაჭვს, და ეს უფრო მეტ ინტერესს ბადებდა შემდგომი მუშაობისათვის.

ამგვარად, ძველის გარკვევა-დადგენის, ხოლო ახლის ძიების მიზნით შევუდექით მუშაობას (18/X -დან - 24/ XI -მდე) ციხის ერთ-ერთ საინტერესო და ნაგებობათა აღნაგობის მხრივ კომპლექსურად რთულ მონაკვეთზე - ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანზე (თხრილი XI).

ხსენებული გვირაბიანი კარიბჭე ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული სამი კამპანიის (1959 წ., 1961-62 წწ.) შემდეგაც, ჯერჯერობით ერთადერთია ჩვენამდე მოღწეულთაგან.

შუაფეოდალური ხანის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კარიბჭე

[5] **1963-64 წლებში რუთავის ციხე-სიმაგრეზე არქეოლოგიური სამუშაოები ფინანსების უქონლობის გამო შეწყვეტილი იყო.**

მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ფორმით წარმოგვიდგება. იგი ჩაშენებულია ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ დიდ ბურჯში (№1). ბურჯშივეა გაჭრილი კიბეებიანი გვირაბი, რომელსაც შევყავართ ციხის შიდა არეზე. კარიბჭე თავის დროზე კარგად უნდა ყოფილიყო დაცული. იგი მარჯვედ არის განლაგებული და აშენებულიც (ტაბ. II_1, ნახ. 1-2).

გვირაბიანი №1 დიდი ბურჯი (ფართობი: 4.50X6 მ.), ზღუდესთან და მასთან მიშენებულ სხვა შიდა დამხმარე სათავსოებთან ერთად საკმაოდ მასიურ და რთულ არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის და ძლიერი ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა შუა და გვიან ფეოდალური პერიოდის არაერთგზის ნგრევა-განახლების აშკარა კვალს ატარებს. ამ გარემოებას საკმაოდ მკვეთრად გვისურათებს ზღუდე-ბურჯების პერანგის აღნაგობა და მთავარი შემოსასვლელის გვერდით მიშენებული შიდა-სამოსახლო სენაკების რიგი (ტაბ.V_2, X_1, ნახ. 3). ცხადია, სამხედრო საჭიროებათა გათვალისწინებით გვირაბიანი ბურჯისა და მთავარი შესასვლელი კარის საშუალებით ციხის ტერიტორია თავის დროზე კარგად უნდა ყოფილიყო დაცული. N1 ბურჯს კარი დასავლეთ მხარეზე აქვს მიმართული და თავისთავად დაცულია ციხის გარე კედლით - ზღუდე გამოიყენება შესასვლელის საფარად (ქვედა ტერასა). ამ შესასვლელს, ციხის გარე ზღუდიდან ბურჯში დატანებული საფეხურებიანი გვირაბის საშუალებით მაღლა, ციხის შიდა არისკენ შევყავართ, რომელიც I კარის მსგავსი ასეთივე აღნაგობის II თაღიანი კარით[6] ბოლოვდება (ტაბ. II_2, ნახ. 2).

კიბე-გვირაბიანი ბურჯისა (№1) და მისი მიმყოლი ზღუდე-გალავნის დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ჯაჭვი (ასეთივე, №2 დიდი ბურჯითურთ) რუსთავის ციხის თავდაპირველ მშენებლობის ჩონჩხს წარმოგვიდგენს - პერანგი მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვის დიდრონი დაკუთხული ქვებით არის ნაშენი, შესაძლოა ადრეფეოდალურ ხანაში, თუმცა მერმინდელი შეკეთების აშკარა კვალიც ემჩნევა. ქვებს შორის სივრცე აქა-იქ ქართული აგურით არის შევსებული და ამგვარადაა გამაგრებული შუაფეოდალურ ხანაში (ტაბ. I_{1-2}).

ზღუდე-ბურჯების გასამაგრებლად, სამშენებლო მასალად აქა-იქ გამოყენებულია მოთეთრო თლილი ქვები. გვიარაბიანი კოშკის პერანგში ჩაშენებული იყო ჯვრიანი ქვაც (აშკარა ნიშანი ამჟამად უკვე დანგრეული ეკლესიის არსებობისა), რომელიც 1959 წელს ექსპედიციამ გამოიღო და გადაიტანა რუსთავის მუზეუმში. თვით გვირაბი შიგნიდან ქართული აგურით და დუღაბითაა მოპირკეთებული, ხოლო საფეხურები - ნატეხი ქვით და დუღაბით, ალაგ-ალაგ შვეულად ჩასმული აგურებით. ასეთივე აგურებით არის მოპირკეთებული ვიწრო და სწორკუთხოვანი მოხვეული ტალანი I (5.50 მ.), რომელიც ტეხილი ხაზით (5.30 მ. – 1.50 მ.) მიემართება შიდა ტერიტორიისაკენ და აქ, (№2 ბურჯთან), აღმოსავლეთი ფრთით შერწყმული, კვლავ ქართული აგურით ამოყვანილი III თაღიანი კარით ბოლოვდება (ტაბ. III_{1-2}, IV_1, V_1, VI_1). ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ, ჩრდილოეთის მიმართულებით, შედარებით ფართო, ბრტყელი ფილაქვებით მოგებულ იატაკიან II ტალანში (5.50 მ.) შემოვყავართ. ასეთი ფილაქვით

[6] **ე. ჯანდიერს ამავე კრებულში გამოქვეყნებული 1960 წლის რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე (XI თხრილი) ჩატარებულ ანგარიშში, აღნიშული კარი ტალანის I კარად აქვს დანომრილი.**

მოგებული იატაკი კარიბჭის გვირაბიანი ბურჯის II თაღიანი კარის ზღურბლიდანვე მოემართება და ციხის შიდა ტერიტორიისაკენ ვრცელდება (ტაბ. III_{1-2}, VI_2, VII_{1-2}).

ყოველივე ეს ქმნის ციხის შიდა ტერიტორიაზე შესასვლელის გართულებულ აღნაგობას, რაც ასეთ დაბალ და, საერთოდ, ადვილად მისადგომ ადგილზე აგებული „ველის“ ციხისთვის ბუნებრივად უნდა ჩათვალოს. ჩანს, მშენებელი ასეთი ტიპის ნაგებობას განიხილავდა სამხედრო-სტრატეგიულ დანიშნულების მქონე პუნქტად და შემდეგ, ამის მიხედვით გადაწყვეტდა მის თავდაცვითი დანიშნულების მქონე სათავსოთა განლაგებას და მათ კავშირს შიგნით მდებარე საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობებთან მთელ ტერიტორიაზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ წინა წლებში გამოვლენილ III თაღიანი კარის მიმყოლ ჩრდილო-დასავლეთ არეს ადრე ე.წ. სამსენაკიან ნაგებობად გამოვყოფდით. მათ აღნაგობაში ურთიერთგანმასხვავებელ ნიშნად სტრატიგრაფიული ჭრილის მოშველიებით, შესაბამის არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად, პირველ რიგში სამშენებლო მასალასაც მივიჩნევდით. ეს ვარაუდი ძირითადად ახლაც ძალაში რჩება ოღონდ, ამჯერად, შესაძლებელია, დათარიღების მხრივ პერიოდების თანამიმდევრობა უფრო დავაზუსტოთ და ზოგ მომენტსაც ახლებურად შევეხოთ.

ციხის აღნაგობა-მშენებლობის სწორედ ამ ზოგიერთი მომენტის ახლებურად გაგების საშუალება მოგვცა 1965 წლის ბოლოს ამ უბანზე განახლებულმა სამუშაოებმა.

რადგან წინამდებარე ნარკვევი ახალი გათხრების შედეგებს ითვალისწინებს, ამიტომ ჩვენ დეტალურად აღარ შევჩერდებით წინა წლების (1961-62 წწ.) სამუშაოთა შედეგად ამ უბანზე გამოვლენილ და გაანალიზებულ ნაგებობათა აღწერილობა-რაობაზე[7], არამედ, შევეცდებით, არქეოლოგიური ნივთიერი მასალისა და სათანადო სტრატიგრაფიული ჭრილების მოშველიებით გავარკვიოთ წინათ გამოვლენილ ზოგიერთ ნაგებობათა რაობა-დანიშნულება და მათი ქრონოლოგიური კავშირი ახლადგამოვლენილ ნაგებობებთან (თხრილის საერთო ფართობი: 34X28 მ.).

აქვე შევნიშნავთ, რომ III თაღიანი კარით გამოყოფილ ნაგებობათა განლაგებაში ამჯერად მცირეოდენი ცვლილებების შეტანა მოგვიხდება: პირველ ორ სენაკად მიჩნეული ნაგებობა მოიცავდა № 2 აღმოსავლეთი ბურჯისა და III სენაკის გამყოფ, ნატეხი ქვით სუსტად ნაგები კედლის შუა არეს (კვ. F_7-G_8). სენაკები (I და II) ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო ბრტყელი ერთფენა ყვითელი ქვის რიგით (3.50 მ.), რომელიც თავის მხრივ საბჯენ კედელს წარმოადგენდა - ციხის ძირითად ზღუდესა (№2 ბურჯისა, ფართობი: 4.70X9 მ.) და დასავლეთით III სენაკის სუსტი აღნაგობის კედელს შორის. ხსენებული ერთპირა ყვითელი ქვის კედელი პირდაპირ ბრტყელი ფილაქვებით მოგებულ იატაკზე იყო დაყრდნობილი და აშკარად მერმინდელი დანაშენის სახეს ატარებდა, მით უფრო, რომ თვით III სენაკის გამომყოფი კედლის (კვ. G_7-H_8) აღნაგობაც გვიანდელი ჩანს, არაუადრეს ერეკლე I-ის (ნაზარ-ალი ხანის) დროისა (ტაბ. V_2, XIII_1, ნახ. 3).

სტრატიგრაფიული საკონტროლო ჭრილი (h - 3.50 მ. №2 აღმოსავლეთ ბურჯზე,

[7] **იხ. 1961 წელს XI თხრილზე ჩატარებული გათხრების ანგარიში, ამავე კრებულში გვ. 39 - 55 და „კუხეთის რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის უბანი“ - საკონფერენციო თემა 1962 წლის გაზაფხულისათვის (ხელნაწერი).**

ტაბ. IV_2, V_2) გვისურათებს, რომ III თაღიანი კარით გამოყოფილი ორივე სენაკი ერთ სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის, კერძოდ XI ს-ის ფენას (I ნახშირიანი ფენის მიხედვით). სავარაუდოა რომ მას შემდეგ, რაც ციხეს ხსენებულ პერიოდში, პირველი შემოსევის შედეგად ნგრევა-განადგურება განუცდია მისი კედელ-ზღუდის აღდგენა-გამაგრების მიზნით დამატებითი საბჯენი, ასე ვთქვათ, მთავარ შემოსასვლელთა „ჩამკეტი" კედლის აგება განუზრახავთ და თითქმის ამოუქოლავთ კიდეც. ჩანს, რომ, ციხეში მთავარ შემოსასვლელთა ჩაკეტვა ამით არ დამთავრებულა. სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით, ზედა (II ნახშირიანი) ფენა უკვე XIII ს-ის დროინდელ, ხელმეორედ განადგურების კვალს შეესაბამება. ამ შემოსევის შედეგად სენაკების მთელი არე და თვით III თაღიანი კარიც საგულდაგულოდ ამოუვსიათ ქვა-დუღაბით და კირიანი მასით, რითაც დაუხშიათ ციხის დასავლეთი შიდა არე, ასევე I და II სენაკთა მომდევნო ფართო ტალანის ჩრდილო-აღმოსავლეთი გაგრძელებაც. ხანძრის კვალი მკვეთრად ემჩნევა კედელ-ზღუდის გაწითლებულ-გაშავებულ კვადრებსაც. განათხარის ამ ნაწილში, დღევანდელი სახის მიხედვით, კარგად ჩანს, რომ ქვა-დუღაბითა და ტალახით ამოვსებულ ამ მასის ქვეშ (რომლის ნაწილი №2 ბურჯთან საკონტროლო ჭრილის გამო დავტოვეთ) ქართული აგურით ამოყვანილი III თაღიანი კარის აღმოსავლეთი ფრთა ნახევარწრიულად უხვევს და N2 აღმოსავლეთი ბურჯის ზურგს ებჯინება. თაღიანი კარის აღმოსავლეთი ფრთის ბურჯთან შერწყმის ეს კონტური მკვეთრად ჩანს ბურჯის ზედხედიდანაც (ტაბ. V_2, ნახ. 6).

ამ ადგილებიდან ადრევე შეკრებილი არქეოლოგიური მონაპოვარის უმეტესობა განვითარებული შუასაუკუნეების ხელოსნური ნაწარმის ნიმუშებს შეიცავს. საანგარიშო წელს, როდესაც ძველი განათხარი ტერიტორიის გასუფთავება და ნაგებობათა შერჩევითი გაანალიზება მიმდინარეობდა, კვლავ ნივთიერმა მასალამ მოგვცა შესაბამისი პერიოდების ნაგებობათა კედლების ასაკის დადგენის საშუალება. კერძოდ, II ტალანის (ანუ I-II სენაკთა) ფართობიდან (5,50X3.50 მ.) 3-3.50 მ. სიმაღლეზე დონეების შესწორებისას შეინიშნა შუაფეოდალური ხანის ჭურჭლების რამდენიმე ნიმუში: ცისფერჭიქურიანი, წითლადგამომწვარი, ძირშეღარულქუსლიანი, მცირედ კიდეჩაღარული თიხის ჯამი[8] (ტაბ. XXXVIII_1); მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალედ მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, ანგობზე ამოკაწვრის ტექნიკით გამოყვანილი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით, სამყურა მცენარის, ხან ჯვრის გამოსახულების სტილიზაციით შემკული[9] (ტაბ. XL_{1-2}); მოუჭიქავ ჭურჭელთაგან შეინიშნა მოზრდილი პირგანიერი, მხრიდანვე მუცელგაბერილი უყელო ქოთნის პირის ნატეხი[10] (ტაბ. LIV_1); რელიეფურწიბოიანი, მაღალყელიანი დერგის ტიპის ნიმუში[11] (ტაბ. LIV_2); მოყვითალო-მოთეთროდ გამომწვარი დოქის სფერულმუცლიანი და ვიწროყელიანი ფრაგმენტი[12] (ტაბ. XXVI_5), რომელიც ძალზე ემსგავსება თბილისის ასეთივე ტიპის დოქებს და სხვ. ადრეულ ნიმუშებად მივიჩნიეთ თეთრი ანგობის

[8] სდ. 65-რ-5671
[9] სდ. 65-რ-5674
[10] სდ. 65-რ-5676
[11] სდ. 65-რ- 5676
[12] სდ. 65- რ-5678

საღებავით ვარსკვლავისებურად პირმოხატული, წითლად გამომწვარი უანგობოდ მწვანედ მოჭიქული ჯამის ნიმუში, რომლის ორნამენტის მოტივი უცხო ჩანს[13] (ტაბ. XXXIII_3) და ცისფერჭიქურიანი, მცირედ ამოკაწრული ორნამენტით შესრულებული ჯამის ფრაგმენტი[14]; მოუჭიქავთაგან ადრეულ ნიმუშად შევიცანით შავად გამომწვარი ქილის პირ-ყელისა და ფართოპირიანი, ბრტყელძირიანი დაბალი ლანგრის ნატეხი[15] (ტაბ. XXVIII_3).

ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ I-II სენაკებს (ახლა - II ფართო ტალანი) მესამისაგან გამოყოფს რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები, აღმოსავლეთი ზღუდის პარალელური, სუსტი კედლის ნაშთი (5.70X1.20 მ.), რომლის დასავლეთისკენ გადმოქცეული ნარღვევი მასა, მთლიანად ფარავდა ბრტყელი თლილი ფილებით მოგებულ იატაკს. ეს უკანასკნელი ტალანიდან უხვევს დასავლეთისკენ და ციხის შიდა ტერიტორიისაკენ ვრცელდება. მას შემდეგ რაც ეს ფართობი ნარღვევი კედლის თავის ნაყარისაგან გაიწმინდა, გამოირკვა, რომ იგი კიდევ ერთ - აგრეთვე ფილაქვებით მოგებულ, ციხის შიდა არეზე შესასვლელ, ფართო კარიბჭის ზღურბლს (h - 10 სმ.) ფარავდა (ტაბ. IV_1, VII_{1-2}).

ამგვარად, გაიხსნა ახალი, ციხეში ერთ-ერთი თავდაპირველი შესასვლელი კარიბჭის მკვიდრი საძირკველი, რომლისგანაც, ამჟამად მხოლოდ, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფრთების პილონებიღაა შერჩენილი (კვ. G_7-H_7-H_8), საურდულე ნიშითურთ სამხრეთ ფრთასთან (ტაბ. VII_1, XI_{1-2}).

I ფართო კარიბჭის სამხრეთი პილონი, რომელსაც საურდულე ნიშა დაუყვება (ტაბ. IV_1 VII_1), საკმაოდ მკვიდრი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს (ამოყვანილია დიდრონი მოყვითალო-თეთრი ქვის კვადრებით, აქა-იქ შევსებული ქართული აგურით (3.50X1.50 მ, h - 1.2 მ.). ასეთივე აღნაგობისაა ჩრდილოეთი პილონიც (3X3.50 მ.). საძირკველთან ტეხილად ჩასმული დიდრონი კვადრები თითქო კეტავენ ზღურბლის არეს და ასევე ტეხილად ვრცელდება ჯერ ისევ გაუთხრელ, მაგრამ უკვე კონტურებმოხაზული ახალი (№9) კედლის თავისაკენ (ტაბ. XI_{1-2}). ეს უკანასკნელი (თხრილის ჩრდილოეთი ჭრილის მიმართულებით), ზღუდის (№10) თავის უშუალო გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც იმდენად დარღვეულია, რომ მასზე ამჟამად ციხეზე ამოსასვლელი სამანქანო გზა გადადის (კვ. E_5-F_6). ახალგამოვლენილი I კარიბჭის (სიგრძე 4 მ, სიგანე - 3 მ.) ფართო გასასვლელი ამჟამად ჩახერგილი და გადაკეტილია. გვიანდელი, შედარებით სუსტი წყობის კედელი, გარდიგარდმოდ არის ჩასმული ჩრდილოეთი პილონის კუთხესა და III თაღიანი კარის დასავლეთ ფრთასთან ჩადგმულ დიდ სამაგრებელ ოთხკუთხა კედელს შორის (ტაბ. V_2, XIII_1). ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვითითებს გამუდმებულ შემოსევათა შედეგად ციხის მთავარ შესასვლელთა გამაგრება-გადაკეტვის აუცილებლობაზე და ამ მიზნით დამატებითი სასიმაგრო პუნქტების აგების საჭიროებაზე. კერძოდ, ფართო შესასვლელის (I კარიბჭე) ჩამკეტ რიყის ქვითა და დუღაბით ნაგებ კედელს არაერთგზის შეკეთების კვალი დამჩნევია ქართული აგურებით და თეთრი თლილი ქვით. სწორედ აქედან

[13] **სდ. 65- 5672**
[14] **სდ. რ- 65- 5673**
[15] **სდ. 65-რ-5677**

ავიღეთ სარკმლის ორნამენტიანი თლილი ქვა (ტაბ. V_2), რაც გვაფიქრებინებს, რომ ადრეფეოდალური ხანის ნაგებობის (ჩანს, ტაძრის) ნანგრევი მასალა ციხის კედელ-ბურჯების პერანგისა და მეზობელ სათავსოთა კედლების შესაკეთებლად, ციხის ზოგიერთი ბურჯისა და კედლის გარე ფასადის მსგავსად, შუა და გვიანფეოდალურ ხანაშიც გამოუყენებიათ.

თვით ახალი, I კარიბჭის აღნაგობა და შესაბამისი ფენის თანმხლები არქეოლოგიური მასალა მის ასაკს, არაუგვიანეს XI-XII საუკუნეებით უნდა განსაზღვრავდეს. რაც შეეხება გადახურვის პრინციპს, შემორჩენილი პილონების აღნაგობა და ფართო გასასვლელი გვაფიქრებინებს, რომ აქ გადახურვის არქიტრავული სისტემა უნდა ყოფილიყო და არა თაღოვანი, თუმცა ამ ვარაუდს მომავალში კვლავ გარკვევა-დაზუსტება დასჭირდება.

ახალი, I კარიბჭის ზღურბლზე გადმოქცეული კედლის თავის მასის აღებისას რამდენიმე საინტერესო ნიმუში მოვიპოვეთ, რომელიც ციხის შიდა არეზე დასავლეთ მხარის I კარიბჭის დაარსების დამათარიღებლად უნდა ჩაითვალოს: დიდი, მოწითალოდ გამომწვარი დერგის ბრტყელი ყური ნიჟარისებური დანაძერწით[16]; მოწითალო თიხის სადღვებლის ბრტყელგანივკვეთიანი ყურ-კედლის ფრაგმენტი, ნახვრეტითურთ, ნათითურჩანაჭყლეტი[17] (ნახვრეტის d -2.5 სმ, ყურის სიგანე 0.6 სმ) (ტაბ. LV_4); მოწითალოდ გამომწვარი, გამურული ქოთნის პირ-კედლის ნატეხი, ყურზე ნალისებრი დანაძერწით და ქვემოთ ნათითურჩანაჭყლეტიანი[18] (ტაბ. L_3). ეს ნიმუში ახლო ანალოგიას პოულობს ჯავახეთის ახალქალაქის ამავე ხანის II ტიპის ქოთნებთან; ნახევრადდამზადებული ჯამის ძირ-ქუსლი, მცირედძირშეღარული, ცენტრში კოპდაბრტყელებული[19] (ტაბ. XLIII_2); მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალე კრიალა ჭიქურით დაფარული ჯამის ნატეხი, ამოკაწვრის ხერხით შესრულებული, სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შემკული, მომწვანო-მოყვითალო ელფერისა[20]. შედარებით გვიანდელი ხანის უნდა იყოს ტლანქი, მსხვილმინარევებიანი წითელი თიხის, სწორპირიანი ჯამის ფრაგმენტი, რომელიც მოხატვა-შემკულობით უცხოურ იერსაც ატარებს. ჯამის კალთა მიჯრით მოხატულია ბადრიჯნისფერი საღებავით, შიგადაშიგ შეფერილი მჭახე ყვითელი და მწვანე ფერით, რაც მას გადატვირთულ, უსიამოვნო შესახედაობას აძლევს, მოჭიქულია გამჭვირვალედ[21] (ტაბ. XLIV_3). აქვეა მინის რამდენიმე პატარა ზომის ჭურჭლისა და ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები.

გარკვევით გამოჩნდა, რომ ციხის I ფართო კარიბჭე გზას ხსნის დასავლეთით მიმართულ (1962 წელს გამოვლენილ), დუღაბის იატაკით მოკირწყლულ სამეურნეო დანიშნულების, „ორმოებიან“ სათავსოსაკენ (III სენაკი). დუღაბიანი იატაკის მქონე III სენაკი ძირითადად H_7-K_7-K_8-L_7 კვადრატების ზონას მოიცავს (ორმოები: I, II, II^A, IV,

[16] **სდ. რ-65- 5712**
[17] **სდ. რ -65-5713**
[18] **სდ. რ-65-5714**
[19] **სდ. რ-65- 5707**
[20] **სდ. რ-65-5708**
[21] **სდ. რ-65-5707**

V; 1, 2, 3) ფილაქვებით მოგებული იატაკის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს (5.50X7.50 მ.) და ღრმად შედის დასავლეთ ჭრილში, სადაც ასეთივე, დუღაბის იატაკში ჩაჭრილი ორმოების კონტურები მოიხაზა (ორმოები: III, VI, VII). ამ ფართობზე 1962 წელსვე გამოვლინდა 7 დიდი და 3 პატარა ორმო, რომელთა უმეტესი ნაწილი დღეს დარღვეულია: ხარიხები ჩანგრეული და ორმოები ერთმანეთში გაერთიანებულია[22].

დუღაბის იატაკიანი III სათავსო სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ძალზე სუსტად, მშრალად ნაგები ყვითელი ქვის კვადრებით და რიყის ქვის მოკლე, უკვე დარღვეული კედლებით, რომლებიც დუღაბიან იატაკზე არიან დაყრდნობილი, მაგრამ აშკარად გვიანდელი აღნაგობისა ჩანან და III სენაკის ქრონოლოგიურ ასაკს (XII-XIII სს.) არ შეესაბამებიან. სათავსოს თარიღის გარკვევა ზოგადად მოხერხდა მონეტებისა და ორმოთა მდიდარი კერამიკული მასალის გათვალისწინებით, რომელთა უმეტესი ნაწილი განვითარებული შუასაუკუნეების ადგილობრივი კერამიკული წარმოების მაჩვენებელია, თუნდაც გადანაყარის სახით, თუმცა გვაქვს ადრე და გვიანფეოდალური (ნაზარ-ალი ხანის) პერიოდის მანიშნებელი მასალაც.

1965 წელს, როდესაც ამ მონაკვეთზე ძველი განათხარის დონეების მოსწორებას ვაწარმოებდით, ორმოებიდან კიდევ მოვიპოვეთ ამ ფენის შესაბამისი ზოგიერთი ნიმუში:

<u>ორმო I</u> (კვ. $K_{8;}$ N11 კედლის თავიდან 1.3 მ. სიღრმეზე): დიდი ჯამის ძირ-ქუსლი, ანგობის „ყვავილებით“ მოხატული მწვანედ მოჭიქული, მცირედ ძირშეღარული, უკოპო[23]; ნიმუში შესაძლებელია, ადრეულ შუასაუკუნეებს მიეკუთვნოს, მაგრამ, აქვეა გარედან მრავალფერად გაღვრილად მოხატული და გამჭვირვალედ მოჭიქული ქილის კედლის ნიმუშიც[24] და სხვ.

<u>II ორმოს</u> (კვ. K_7) შემცველი ნიმუშებიდან აღინიშნა: სპილენძის მონეტა, ბრინჯაოს ღილი, მომწვანო ორნამენტიანი სარკმლის მინა, მინის სამაჯურები და სხვ.[25]

<u>ორმო III</u> (კვ. $K_{6-}L_7$, ზედაპირიდან 1.8 მ. სიღრმეზე): სპილენძის მონეტა[26] (ტაბ. LVI_3); კარგად განლექილი, მოვარდისფრო თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მომაღლო ძაბრისმაგვარი ყელით, მხრიდანვე გაბერილი ტანით, გარედან გაპრიალებული[27]; თეთრად გამომწვარი დაბალყელიანი, მუცლიანი, ტალღურორნამენტიანი კოჭობის პირ-გვერდი[28] (ტაბ. XXVII_1); მოწითალოდ გამომწვარი თიხის ბადიის ნატეხი გადმოსაღვრელითურთ[29] (ტაბ. XXVIII_4) და სხვ.

<u>ორმო IV</u> (კვ. $H_{7.}$ III სენაკის დუღაბიან იატაკზე, ორმოს ზედაპირიდან 1.6 მ.

---

22 **სამეურნეო დანიშნულების სათავსოს აღნაგობა-დანიშნულებისა და სათანადო ნივთიერი მასალის შემცველი ორმოების თაობაზე იხ. 1962 წელს XI თხრილის წლიური ანგარიში.**

23 **სდ. რ-65-5705**

24 **სდ.რ-65- 5706**

25 **სდ. რ-65- 5682-5.**

26 **სდ. რ-65-5680**

27 **სდ. რ-65-5602**

28 **სდ. რ-65- 5605**

29 **სდ. რ-65- 5604**

ნახ. 4



რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბნის 1965 წლის განათხარის გეგმა, ჭრილები

სიღრმეზე): სპილენძის მონეტა[30] (ტაბ. LVI_4); უანგობოდ, მრავალფერად (მწვანე და ბადრიჯნისფერი საღებავებით) მოხატული და გამჭვირვალედ მოჭიქული, კარგად განლექილი მოყვითალო-მოვარდისფრო თიხის, პატარა ზომის ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი, მრავალფერი საღებავის ბადით გამოსახული ორნამენტით შემკული[31] (ტაბ. XXXII_2), შესაძლებელია ადრეულიც იყოს; სქელკედლიანი, ბაკოწერნაქიანი დერგის პირ-ყელის ნატეხი, დაუდევრად დაკეჭნილ-დაჩხვლეტილი, მაღალრელიეფური წიბოთი[32].

<u>ორმო VI</u> (კვ. K_6. დუღაბიან იატაკზე, ორმოს ზედაპირიდან 1.8 მ. სიღრმეზე): მოყვითალო-თეთრად გამომწვარი სქელკედლიანი ბადიის პირ-გვერდი[33] (ტაბ. XXVIII_4); გარედან ცისფერჭიქურიანი ქილის კედლის ნატეხი[34] და სხვ.

ძველი თხრილის ტერიტორიაზე დონეების შემოსწორებისა და აქ გამოვლენილ ნაგებობათა ზოგი სამშენებლო პერიოდების ახლებურად გარკვევა-დადგენის აუცილებლობით გამოწვეულ სამუშაოთა პარალელურად დავიწყეთ ახალი ტერიტორიის ათვისებაც. ამ მიზნით მუშაობა გაიშალა როგორც ჩრდილოეთი ჭრილის მიმყოლ არეზე (ციხეზე ამოსასვლელი სამანქანო გზის გასწვრივ), ასევე, უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ, ზღუდის შიდა ტერიტორიაზე, ე.წ. IV სენაკის სამხრეთი ფრთის გასწვრივ. ახალმა ტერიტორიამ საკმაოდ საინტერესო და ამავე დროს ძალზე რთული, ახალი ნაგებობის კომპლექსი გამოავლინა (თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე) და საშუალება მოგვცა ბოლომდე თუ არა, ნაწილობრივ მაინც ამოგვეხსნა მისი რამდენიმე სამშენებლო პერიოდი.

ჩრდილოეთი ჭრილის გასწვრივ, სენაკის ჩრდილო-დასავლეთ ჭრილის გაგრძელებაზე, სენაკის მიმყოლმა არემ მოიცვა კვადრატები E_7-E_6, G_5-G_6, H_5-K_5, H_6-K_6 (იხ. გეგმა, მასშტაბი - 1:50 მ. ფართობი 6,50X6.50მ.). ახლად გაჭრილი ტერიტორია ფაქტობრივად III სენაკის ჩრდილო-დასავლეთ ჭრილს აგრძელებდა, ამიტომ მას კვლავ III სენაკის გაგრძელება დაერქვა.

უპირველესი სამუშაო წარიმართა №2 აღმოსავლეთი ბურჯის გზისპირა ნაყარის აღებისაკენ, რომელიც უსწორმასწორო ღორღის მასის სახით ჩრდილოეთი კედლი-დან გვიანდელი ხანის სუსტი წყობის კედლის თავამდე გრძელდებოდა (სიგრძით 3 მ. და სიღრმით 1.70 მ.). ამ დონეზე აკრეფილი მასალა, მიწის ზედა ფენების მრავალ-გზის გადაბრუნება-მონაცვლეობის გამო, ძირითადად არასანდოდ უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, G_7-H_6 კვადრატების მომცველმა ნაყარმა ზოგიერთი მეტად საინტერესო ნიმუში მოგვცა: წითლად გამომწვარი ქვაბ-ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი, ოვალური მუცლითა და წყვილი, შვერილი თავდაბრტყელებული სახელურით[35] (ტაბ. LI_4) - რუსთავული ქვაბ-ქოთნების შუასაუკუნეების ფენებისათვის დამახასიათებელი, ტიპური ნიმუში; მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალედ მოჭიქული ჯამების ნა-

30 **სდ. რ-65-5681**
31 **სდ. რ-65- 5594**
32 **სდ. რ-65- 5595**
33 **სდ. რ-65- 5598**
34 **სდ. რ-65- 5599**
35 **რ-65- 6075**

ტეხები, ამოკაწვრის ტექნიკით შემკული გეომეტრიული ორნამენტით[36] (ტაბ. XLI_3); ორმხრივ კრიალა, მწვანე ჭიქურით დაფარული პატარა ფიალის პირ- გვერდი, გარედან ამოკაწრული რომბული ორნამენტით და ამოჭრილი დაფანჯრული სამკუთხედით[37] შემკული; ასეთი ნიმუში რუსთავის მასალებში ჯერ არ შეგვხვედრია. აქვეა ლეგა-შავად გამომწვარი უყელო ქოთნის პირის ნიმუში[38]; შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოზრდილი ქვევრის თუ დერგის კედლის ნიმუში, ირგვლივ რელიეფური ბრტყელი წიბოთი, ზედ დაბრტყელებული თვალისებური ნათითურით[39] (ტაბ. LIII_4); არის გულშეღარული სარქველები (ტაბ. LII_5); წითელი და შავი საღებავით მოხატული, თეთრად გამომწვარი პატარა ჭინჭილა[40]; გვიანდელი იერის, მოყავისფრო საღებავით დაუდევრად, ჭადრაკულად მოხატული პატარა ჯამუკას ძირ-ქუსლი, გამჭვირვალედ მოჭიქული და მომწვანო-ყვითელი საღებავით შეფერილი[41]; გვაქვს სქელი, მომწვანო მინის, ძლიერ ირიზირებული, ორნამენტიანი სარკმლის ნატეხი[42] (ტაბ. LVII_5) და სხვ.

ზემოხსენებული ნაყარის დონეს შეესაბამებოდა ახლანდელი ჩრდილოეთი ჭრილის კიდეზე გამოვლენილი პატარა ზომის, უცნობი დანიშნულების მქონე ქვაყუთი (კვ. G_5, თითქმის მიწის ზედაპირზე, ციხეზე ამოსასვლელი სამანქანე გზის პირას). ეს და სუსტი რიყის ქვით ნაგები კედლის (კვ. H_5) ნაშთი, რომელიც ნაყარის აღებისთანავე გამოჩნდა, აგრეთვე თხრილის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი, L-M კვადრატების ფარგლებში მოქცეული, ასე ვთქვათ, ქაოტურად, დაუდევრად და სუსტად ნაგები ასეთივე ტიპის კედლებით შემოფარგლული VI და VII სათავსოები, N2 ქვაყუთის აღნაგობა და სხვ. გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა საქმე გვქონდეს ციხეზე დასახლება-დამკვიდრების და მის მიტოვებულ სათავსოთა შემდგომ დროებით სადგომებად გამოყენების ყველაზე გვიანდელ (შეიძლება XVIII–XIX სს.), რიგით IV სამშენებლო პერიოდთან. ამ ვარაუდის გაანალიზებას ჩვენ ცოტა ქვემოთ შევეცდებით, როდესაც, შეაბამისად, თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ჭრილისკენ მიმართულ ნაგებობათა კომპლექსებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილავთ.

ამდენად, ანალოგიების მოშველიებით და მათი შეფარდებით ციხის სხვა ტიპის ნაგებობებთან, უკვე შესამჩნევი გახდა ჩრდილოეთი ჭრილის მიმყოლ არეზე (III სენაკის გაგრძელების) გამოვლენილ ზოგიერთ პუნქტთა ფენობრივი გარჩევის შესაძლებლობა. ჩრდილოეთი ჭრილის გასწვრივ კვ. G_5 არეზე №1 ქვაყუთთან ერთად იმავე დონეზე (ზედაპირიდან 0.4-0.5 მ. სიღრმეზე) თავი იჩინა თონის (№1) ნაშთმაც, რომელიც, ალბათ, ციხის ტერიტორიის დასახლების და ცხოვრების ყველაზე გვიანდელ (IV სამშენებლო) პერიოდს მიეკუთვნება.

ნაყარი ფენის აღებისთანავე, ზედაპირიდან თითქმის 1.7 მ-ის სიღრმეზე, მთელ ფართობზე შეინიშნა თიხნარ მასაში ჩაჭრილი ისეთივე ორმოს თავების კონტურები,

36 **რ-65-6071**
37 **რ-65-6072**
38 **რ-65-6076**
39 **რ-65-6124**
40 **რ-65-6124**
41 **რ-65-6119**
42 **რ-65- 6125**

როგორიც III სენაკის დუღაბიან იატაკში იყო ჩაჭრილი, ოღონდ ამ ნაწილში (ჩრდილო დასავლეთ არეზე) თითქმის შეუძლებელი გახდა ორმოების მთლიანი სქემის შენარჩუნება - თიხნარი ფენა უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე დუღაბის იატაკის შესაბამისი დონე და ამიტომ სწრაფად ირღვეოდა, ერთმანეთში ერთიანდებოდა (ნახ. 4). მაგრამ, მაინც შესაძლებელი გახდა რამდენიმე ორმოდან კერამიკული წარმოების ნიმუშების ამოკრეფა. ორმოების კონტურები უფრო გამოკვეთილად III სენაკის განაპირა ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ ჭრილებში გამოჩნდა (ორმოები: №№ 8,9,10,11,12,13,14; კვ. G_5-H_5, G_6-H_6, G_7-H_7).

ორმოთა უმრავლესობა დუღაბიან იატაკის დონეს შეესატყვისება და შესაბამისად, შეიძლება განვითარებულ შუასაუკუნეთა პერიოდს მივაკუთნოთ. თიხნარში ჩაჭრილი ორმოების თავიდან, უშუალოდ ნაყარის ქვეშ რამდენიმე საინტერესო ნიმუში გამოვლინდა: ისარნის პირ-გვერდის ნატეხი, სწორკედლიანი, კიდეშესქელებული[43]; მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი მსხლისებური ფორმის ხელადა[44]; დიდი ორყურა ჩაფი, მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხის, ყურის ზურგზე დაძერწილი მეჭეჭით[45] (ყელის h - 7-8 სმ, ყელის d - 8 სმ, ყურის სიგანე - 3 სმ.); თეთრად გამომწვარი, თხელკედლიანი, კარგად განლექილი თიხის პატარა ფინჯნის ძირ-გვერდების ფრაგმენტები, ტალღოვანი ორნამენტით დაფარული ზედაპირით[46] (ტაბ. XLV_{3-4}).

არანაკლებ საინტერესო მასალა მოგვცა VIII ორმომ (კვ. G_6. 0 ნიშნულიდან 2.2 მ. სიღრმეზე): ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ბეჭედი[47] (ტაბ. LVI_6), რკინის ისრისპირი; ფაიანსის მოზრდილი ცისფერი მძივი[48] (ტაბ. LVII_3), ქარვის კენჭი, მინის ჭურჭლის ფეხი[49], ბრინჯაოს საგნის ნატეხი[50] (სიგრძე 46 სმ, d – 7.5 სმ.), მოგრძო ცილინდრული ფორმის, ყალიბში ჩამოსხმული, ალბათ საშანდლე[51] (ტაბ. LVI_7); ცალყურა, გამურული კოჭობი (h -12-13 სმ, ძირის d - 10 სმ, ყურის h - 6 სმ, სიგანე - 2.3 სმ.); ფრინველის გამოსახულებიანი ჯამის ნატეხი, ამოკაწვრის ტექნიკით, მრავალფერად მოხატული და მოჭიქული; ანგობის ზოლებით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამის პირ-გვერდი და სხვ.

IX ორმოდან, გარდა ტიპური რუსთავული კერამიკული ნაწარმის ნიმუშებისა, ცნობილი გახდა ზოგიერთი უცხოიერის (ალბათ, შემოტანილი) ჭურჭლის ფრაგმენტები: მოვარდისფრო-მოთეთროდ და მოყვითალოდ გამომწვარი კარგად განლექილი თიხის თხელკედლიანი ფინჯნები[52] (ტაბ. XLV_2); მინის სამაჯურები; ცისფრად მოჭიქული ჯამის და ქილის ფრაგმენტები; ქოთნები - ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ყურის

43 **რ-65-6269**
44 **რ-65-6267**
45 **რ-65-6261**
46 **რ-65-6263-4**
47 **რ-65-6328**
48 **რ-65-6330**
49 **რ-65- 6331**
50 **რ-65-6325**
51 **რ-65-6325**
52 **რ-65-6394-5**

ძირში ნათითურჩაჭყლეტილი ფოსოთი[53] (ტაბ. L_4) - ახალქალაქური ქოთნების I ტიპის შესაბამისი, შუაფეოდალური ხანისა. თუმცა ზოგიერთი ნიმუში მოგვიანო ხანისაც ჩანს: კვლავ ამოუკაწრავად, მუქი ყავისფერი საღებავით მოხატული (ყვითელ და მწვანე ფერთა გამოყენებით) უსიამოვნოდ შეხამებული და გამქვირვალედ მოჭიქული, წითლად გამომწვარი ჯამის ნატეხი[54] (ტაბ. XLIV_{1-2}); ცისფერი, ორნამენტიანი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი[55] (ტაბ. LVII_1); უცხო, აღმოსავლური იერის მქონე (შესაძლოა, შემოტანილი) მრავალფერად მოხატული და გამქვირვალედ მოჭიქული, ამოჭრა-ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებული წნული ორნამენტითა და მარყუჟებით შემკული ჯამი[56] (ტაბ. XLIII_1). ის ძალიან ჰგავს თელავის განათხარიდან ცნობილ ამავე პერიოდის მოზრდილი ჯამის ნიმუშს.

0 - ნიშნულიდან 2.6 მ. სიღრმეზე, თიხნარი ორმოების გვერდით შეინიშნა კერის ნაშთი, რომლის სქელ დაბრტყელებულ კიდეს ნალისებური დანაძერწი ნიშანი და ირგვლივ ჩაქდეული წრიული თვლების რიგი გასდევდა. აქ თავმოყრილ, თიხნარში ჩაჭრილ ორმოთა მასიდან გამოირჩა წითლად გამომწვარი ბრტყელტარიანი ტაფისმაგვარი ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი, ტარი მცირედ წელშეზენექილია და კიდე-კუთხოვანი (ტარის სიგრძე 9 სმ, სიგანე შუაწელში 5 სმ, კიდესთან - 6.5 სმ.); გაშლილპირიანი მინის სასმისის ფრაგმენტი; ერთფერჭიქურიანი, თეთრ ანგობზე ამოკაწრული სტილიზებული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით შესრულებული და ღია თეთრად მოჭიქული ჯამის ნატეხები; რამდენიმე ნიმუში კვლავ დაუდევრად და უგემოვნოდ მოხატული გვიანდელი ჯამებისა და სხვ.

როგორც დავინახეთ, თხრილის უკიდურესი ჩრდილოეთი ჭრილის მიმყოლი არე (სენაკის ფარგლებში) რაიმე ნაგებობის ნაშთს თითქმის არ შეიცავს და, ამდენად, იგი ჯერჯერობით სამეურნეო დანიშნულების სათავსოთა რიგს განეკუთვნება. თუმცა, ბოლოს, VIII ორმოს მიღმა, გამოიკვეთა რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები კედლის (№9, სიგრძე 2.50 მ.) დასვლეთისაკენ მიმართული, უთანაბროდ შეჭრილ-შემოჭრილი პირი, რომელიც ერთი მხრიდან ჩრდილოეთი ჭრილისკენ მიმართულ და ამჟამად ძალზე დარღვეულ ციხის ზღუდის იმ ნაწილს ერწყმის, რომლის თავზე სამანქანო გზა გადის, ხოლო მეორე მხრიდან მკვეთრად ებჯინება მეოთხე ფართო კარიბჭის ჩრდილოეთ (№7) პილონს. ერთი შეხედვით ეს ორი კედელი კუთხით ერთმანეთთან შერწყმული ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს.

ციხის გარეთ, აღმოსავლეთი ზღუდის გასუფთავებასთან ერთად, თავი იჩინა გარე ზღუდის ე.წ. „ჯავშნის“ წყვეტილმა ხაზმა (ზღუდიდან დაახლ. 6-8 მ. დაშორებით), რომლის აღნაგობა (რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები და მოყვითალო კვადრებით მოპირკეთებული) ძალზე ემსგავსება ციხის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე (თხრილი XIII) გამოვლენილ ამავე ტიპის „ჯავშნურ“ ზოლს და, ვფიქრობთ, ისინი ერთმანეთის თანადროულნი უნდა იყვნენ. ცხადია, ამ ადგილებში მათი აგების საჭიროება ზღუდე-გალავნის დაცვა-გამაგრებისათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული. მდებარეობის

53 **რ-65- 6413**
54 **რ-65-6390-3**
55 **რ-65- 6415**
56 **რ-65-6418**

მიხედვით, ციხის ეს ადვილად მისადგომი ნაწილი მართლაც საჭიროებდა ჯავშნის აგებას და ამით ზღუდე-გალავნისა და მთავარი შესასვლელი კარის საგულდაგულოდ „გადაკეტვა“ - დაცვას. აქ, ნაყარ მიწაში აღმოჩენილა რამდენიმე კერამიკული საგნის ნიმუში: ფრინველის გამოსახულებიანი მრავალფერადი ჯამის ნატეხი[57] (ტაბ. XLII_3); მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი კარგად განლექილი თიხის კოკის პირ-ყელის ნატეხი[58] - მაინც არასანდოდ გამოიყურება. ამიტომ ჯერჯერობით ღიად რჩება „ჯავშნის“ აგების თარიღის საკითხი, მანამდე, ვიდრე XI და XIII თხრილებს შორის სამხრეთი ზღუდის ჯაჭვი არ შეივსება; მაშინ, შესაძლებელი გახდება სამხრეთი ჭრილის მიმყოლი ნაგებობის ქრონოლოგიური კავშირების დადგენა და იმ საკითხთა გარკვევა, რამაც ციხის ამ ნაწილში თავი იჩინა განსაკუთრებით ახალი ტერიტორიის ათვისებასთან დაკავშირებით. მხოლოდ ვვარაუდობთ, რომ „ჯავშნის“ წყვეტილი ხაზის თავდაპირველი მონახაზი შესაძლებელია XII-XIII სს-ში აიგო, ხოლო გვიან არაერთგზის შეკეთდა და განახლდა (XV საუკუნე?), განსაკუთრებით კი XVII ს-ის დასაწყისიდან, როდესაც ციხის ტერიტორიაზე ინტენსიური აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

ხსენებული სამშენებლო (რიგით III) პერიოდი ერეკლე I ნაზარ-ალი ხანის დამკვიდრების ხანას შეესაბამება, როდესაც ციხეზე ძველ ნაგებობათა აღდგენით სამუშაოებთან ერთად ზოგი დამოუკიდებელი ახალი სათავსოების აგებაც დაუწყიათ. ამ პერიოდის ნაგებობები თავისებური აღნაგობით (ქართული აგურით ნაგები და მოპირკეთებული სენაკი №4, ზღუდის გარეთ მიშენებული აბანოს კომპლექსი, ნაზარ-ალი ხანის დროინდელი ნასასახლარი №№X, XI, XIII თხრილებში, ალიზის კვადრებით შევსებულ-შეკეთებული ზღუდე-ბურჯები და მათი შესაბამისი ნივთიერი მასალაც) მკვეთრად განირჩევა შუასაუკუნეებიდან ცნობილ ნაგებობათა კომპლექსისაგან.

სწორედ ამ პერიოდის ნაგებობათა ნაშთებმა იჩინეს თავი თხრილის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე აჭრილი ფართობიდან (17X16 მ.), რომელსაც უკიდურეს სამხრეთ საზღვრად გარღვეული ზღუდის ნაწილი გასდევს, აღმოსავლეთიდან კი - ადრევე გამოვლენილი და ერთგვარი, დამოუკიდებლად მდგომი, მოზრდილი, სწორკუთხოვანი სათავსოს კედლები (IV სენაკი). ამ უკანასკნელის ნაშთები წინა კამპანიების დროს გამოვლინდა და ყურადღება მიიქცია თავისებური აღნაგობით (ტაბ. IX_{1-2}, X_2, XIX_1, ნახ. 3, 4). იგი თითქოს ცალკე დგას აღწერილ სათავსოთაგან, წესიერი ოთხკუთხედის ფორმისაა (ფართობი: 6.20X3.70X2.10 მ.) და სხვებთან შედარებით კარგად შემორჩენილიც. სენაკის (კვ. $G_{9-}H_{9,}$ H-K) იატაკი რიყის ქვითა და დუღაბითაა მოკირწყლული (ტაბ. IX_1), მისი შემადგენელი და ამჟამად შემორჩენილი სამი კედლიდან პირველადი ნაშენობის სახეს აღმოსავლეთი კედლის ქვედა ფენა გვისურათებს. ეს უკანასკნელი 0.40 მ. სიმაღლეზეა შემორჩენილი, რომელზედაც მოგვიანებით ქართული აგურის წყობის 1.70 მ. სიმაღლის კედელი დაუშენებიათ, გარღვეულ-დაშლილი ადგილები კვლავ შეუვსიათ და ხვრელებიც ამოუქოლავთ. IV სათავსოს აღმოსავლეთი კედელი მეორე თაღიანი კარის დასავლეთ ფრთასთან არის შერწყმული, ქართული აგურითაა

[57] **რ-65-5963**
[58] **რ-65-5964**

მოპირკეთებული და ვიწრო ტალანს გასდევს (ტაბ. XIX_1). სათავსოს დასავლეთი მხარე კი ამჟამად ღიაა, თუმცა მისი იატაკის გასწვრივ გამოვლენილ დიდი კედლის თავს შერჩენილი აქვს აგურის წყობის დანაშენის კვალი, რაც იმას მოწმობს, რომ IV სენაკი თავის დროზე უთუოდ ოთხმხრივ შეკრულ სათავსოს წარმოადგენდა[59]. თვით სენაკის იატაკის გასწვრივ თავშემაღლებული რიყის ქვითა და დუღაბით საკმაოდ მკვიდრად ნაგები კედელი (სიგრძე სამხრეთ ჭრილამდე 4.30 მ, h - 1.70 მ, კედლის თავის სიგანე - 2.10 მ.) დასავლეთიდან დაკუთხული ნატეხი ქვითაა მოპირკეთებული. აღნაგობა-მდებარეობის მიხედვით, იგი ციხის თავდაპირველ ნაგებობათა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს და შიდა ზღუდის იმ ნაწილის უშუალო გაგრძელება უნდა იყოს, რომლის კონტურები ფართო შესასვლელის გასწვრივ სწორხაზოვნად წარიმართა ჩრდილოეთისაკენ.

მომდევნო, განვითარებულ შუასაუკუნეთა ფენას უნდა შეესაბამებოდეს ამ ნაწილში ჯერ კიდევ გაუთხრელი ტერიტორია (კვ. $K_{9-}L_{8-}L_9$) რომლის დონე III სენაკის დუღაბიან იატაკში და თიხნარში ჩაჭრილ ორმოების დონეს უთანაბრდება. ჭრილებში უკვე გამოკვეთილიცაა №№15,16,17,18 ორმოების კონტურები (მიწის ზედაპირიდან დაახ. 1.50 მ. სიღრმეზე).

ამგავრად, შიდა ზღუდისეულ კედელზე დაშენებული IV სათავსო, შესაბამისად, გვიანდელი ხანის ნაგებობად ჩაითვალა, რომელიც მე-3 სამშენებლო პერიოდის პირველ ეტაპს უნდა გვისურათებდეს.

მიმდინარე წელს, საველე ძიების შედეგად ნაგებობათა კიდევ ერთი საყურადღებო ნაწილი გამოიკვეთა: აგურით მოპირკეთებული კედლით შეიკრა IV სენაკის სამხრეთი კუთხეც, რომელსაც ჩრდილოეთიდან მისივე იატაკზე დაყრდნობილი 2.30 მ. სიმაღლის ალიზის დანაშენი ჰფარავდა (ტაბ. XV_2). ეს უკანასკნელი საკმაოდ მკვიდრი მასაა და ამოყვანილი ჩანს მაშინ, როდესაც ამავე სათავსოს აღმოსავლეთი კედელი უკვე განახლებული ყოფილა (III პერიოდში) და მას ამჟამად არსებული სიმაღლე უკვე ჰქონდა, ალიზის დანაშენი ამ სათავსოს სამხრეთი კედლის თავზე გადადის და №1 გვირაბიან კოშკთან შერწყმული ზღუდის დარღვეულ თავამდეც ვრცელდება (ტაბ. XV_2).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ უბანზე გამოვლენილ ალიზის დანაშენს არა აქვს ისეთი ნაყალიბევი ფორმა, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯზე (თხრილი X) და ზღუდის დასვლეთ ნაწილში (თხრილი XIII) არსებულ ალიზის კვადრებს, სადაც ყოველი აგური გაჯის სქლად მოსხმულ ყალიბშია ჩასმული და იქ ბურჯის თავის ნაშენობის უმეტეს ნაწილს მოიცავს. ჩვენთან თუმცა ასეთი რამ არ ჩანს, მაგრამ მისი მსგავსი დანაშენის კვალი, მიმდინარე წელს, გამოვლინდა ისევ X და XIII თხრილებზე, შესაბამის III სამშენებლო ეტაპის ნაგებობათა გაანალიზებასთან დაკავშირებით.

ჩვენს უბანზე შემდგომ წარმოებული მუშაობის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ აქ, შესაძლოა, III სამშენებლო პერიოდის მეორე ეტაპთანაც გვქონდეს საქმე. ამ

[59] **შემდგომმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ ეს კვანძი შიდა ზღუდის კუთვნილი ალიზიანი და აგურით მოპირკეთებული ოთხკუთხა კოშკი იყო V-XIII სს. მოქმედი და სადგომად გადაკეთებული გვიან შუასაუკუნეებში (XVII –XVIII სს.)**

ვარაუდის გარკვევას ჩვენ ქვემოთ შევეცდებით, დავამთავრებთ რა აქ გამოვლენილ ნაგებობათა აღწერილობა - გაანალიზებას.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ აგურით მოპირკეთებული კედლით, რომლის თავზე ალიზის დანაშენი გადადის, IV სენაკის სამხრეთი ფრთაც შეიკრა (ტაბ. $XV_{2,}$ ნახ. 4) და შენობამ თითქოს წესიერი სწორკუთხედის ფორმა მიიღო (კედლის სიგრძე 5 მ, გარედან მომრგვალებული კიდეებით, კედლის h სამხრეთიდან 0,70 მ-ია, სიგანე - 0,50 მ.), თუმცა მისი დანიშნულება ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია.

მისგან ზღუდისკენ მიმართულ სამხრეთ პირზე გამოიკვეთა კედლებში ამოჭრილი და ასეთივე აგურის წყობით მოპირკეთებული ნახევარწრიული ნიშა (d - 1 მ, კვ. $H-K_1$). ამ სენაკის სამხრეთი ფრთა კვლავ გაგრძელდა დასავლეთის მიმართულებით ასეთივე წყობის კედლის სახით, რომლის შუაწელში მომაღლო კვადრატული „კვანძი“ გამოიკვეთა (0.60X1X1 მ). 4.5 მ-იანი სიგრძის კედლის ბოლოში კი თავი იჩინა წესიერი ნახევარწრიული ფორმის დიდი მკვიდრი ბურჯის კონტურმა (ზედაპირიდან 0.70 მ. სიღრმეზე), რომლის გარშემო წმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ ახალი ბურჯი შიდა ზღუდის სამხრეთი ხაზის შიგნითაა მოქცეული და ზურგით მიყრდნობილია ზემოაღწერილ IV სენაკის აგურით მოპირკეთებულ სამხრეთი კედლის შვერილთან (ტაბ. XX_{1-2}, XXI_1).

ახალი შიდა ზღუდის №1 ბურჯი აღნაგობით ძალზე ემსგავსება ციხის დასავლეთით (თხრილი XIII) გამოვლენილ ზღუდის შიგნით მოქცეულ ასეთივე დიდ ბურჯს, ოღონდ ჩვენი უბნის №1 ბურჯი ზომით მომცროა (7.50X5.50 მ.), პერანგი კი აქა-იქ ქართული აგურით შევსებულ-შეკეთებული ყვითელი ქვის კვადრებით აქვს მოპირკეთებული (ტაბ. XX_{1-2}, XXI_1). ცხადია, თავის დროზე შიდა ზღუდის №1 ბურჯი აგურის სუსტ კედელთან არ იქნებოდა მიშენებული. ამას მათი პროპორციული შეუსაბამობაც კარგად გვიჩვენებს. იმედია, ამ ვარაუდის დაზუსტებას, მომავალი კამპანიის დროს შევძლებთ, როდესაც მთლიანი სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია და №1 ბურჯის ირგვლივი არე სათანადო სიღრმემდე შემოსუფთავდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ №1 ბურჯის ზურგთან კიდევ ერთი, აგურით ნაგები, დარღვეული კედლის თავი ჩანს (სიგრძე 7.50 მ, სიგანე - 1 მ.), რომელიც დანაშენი კედლის პარალელურად მიემართება და დასავლეთის ჭრილში შედის. ამავე ჭრილში იკარგება, აგრეთვე, ნაწილობრივ გამოვლენილი, ყველასაგან დამოუკიდებელი, აგურით ნაგები ვიწრო კედლის ნაშთი, რომელიც ერთი შეხედვით, ზემოთ აღწერილი აგურით ნაშენი კედლების მსგავსადაა ნაგები და ერთ დონეზე მდებარეობს (შესაძლოა ისინიც მე-3 სამშენებლო პერიოდის I ეტაპს განეკუთვნებოდნენ).

თხრილზე დაუმთავრებელი მუშაობის გამო ხსენებული კედლების ურთიერთშესაბამისობის გარკვევა ჯერჯერობით გაგვიჭირდება. თუმცა, ერთი რამ ცხადია - თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ახლადგამოვლენილი სათავსოების კედლები, შიდა ზღუდის №1 ბურჯითურთ აშკარად გარე ზღუდის შიგნით ექცეოდა და ამდენად, სამხრეთი ზღუდეც თითქოს თავისთავად შიდა გალავან-სათავსოს გასამაგრებლად ერთგვარი ჯავშნის როლს ასრულებდა.

არქეოლოგიური მონაპოვრისა და ზოგიერთი სამეურნეო დანიშნულების

ნაშთების გამოვლენასთან დაკავშირებით (თონე N2, ქვევრი N3) სამხრეთ-აღმოსავლეთი ზღუდითა და IV სენაკის გარე კედლებით შემოფარგლულ არეს შიდა ზღუდის N1 ბურჯის კიდეზე პირობითად ვუწოდეთ სათავსო N5.

ფენების მრავალგზის ამობრუნების გამო, მონაპოვრის დიდი უმარავლესობა აქ, ერთგვარად აღრეულადაა წარმოდგენილი და ამიტომ დათარიღებისათვის არასანდოდ გამოიყურება, თუმცა მათი ნაწილი გვიანფეოდალური ხანის კერამიკის ტიპებს გვისურათებს. არის ადგილობრივი რუსთავული წარმოებისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ნიმუშები. მათგან აღსანიშნავია: კედლის ზედაპირიდან 0.40-0.70 მ. სიღრმეზე თონესთან, K-K_1, L-L_1 კვადრატებში გამოვლენილი წითლად გამომწვარი თონის პირის ნატეხი[60]; დიდრონი ბრტყელკალთიანი სარქველები, ცილინდრული სახელურით[61]; ანგობის ხვიებით მოხატული, ცისფრად მოჭიქული ჯამი[62] (ტაბ. XXXIV_4); პირგანიერი, უყელო ქოთნები[63] (ტაბ. L_5) ახალქალაქური ქოთნების ტიპისა; დიდი ზომის, ყავისფრად გამომწვარი, მუცელგაბერილი, ორყურა ქოთანი[64] (ტაბ. LII_1), ყურის ზურგზე განივი დანაძერწით და ნათითური ღარით შუაგაყოფილი, რითაც წყვილი შვერილის სახეს იღებს (ახალქლაქური ქოთნების ერთი ქვეტიპის გამეორება); მრავალფერად, გაღვრილად მოხატული და ბადრიჯნისფერი ხალებით შემკული, გამჭვირვალედ მოჭიქული ჯამის ნატეხი[65]; მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალედ მოჭიქული, აღმოსავლური იერის მქონე, ამოკაწვრის წესით შესრულებული წნული გეომეტრიული ხვიებით ორნამენტირებული ჯამის ძირ-ქუსლი[66] (ტაბ. XL_4), რომელიც შემოტანილს ჰგავს; დერგის თუ ქილის ძირი[67], გადამწვარ-დაბუშტული, წარმოების წუნის ნიმუში და სხვ.

საყურადღებოა, რომ გარე ზღუდეს, აგურის კედლებსა და ბურჯს შორის არსებული მთლიანი არე თვით ზღუდის გარღვეულ კიდემდე, ამოვსებულია მკვრივი რიყის ქვა-დუღაბიანი და კირნარევი თიხნარი მასით რითაც, თავის დროზე, საგანგებოდ გაუქმებული ჩანს შიდა კედელ-ბურჯის ნაგებობა და ზღუდესთან ერთად 5-6 მ. სიგანის მთლიანი არეც. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ შიდა ზღუდის №1 ბურჯის თავსა და ზღუდის ზედაპირზე თხელ ფენად კიდევ შერჩენია ისეთივე ალიზიანი დანაშენის ნაშთი, როგორიც IV სენაკის სამხრეთ კედელს ასდევს და მის თავზედაც გადადის.

შიდა არეების ალიზით ამოვსება-გაუქმების ასეთივე პრინციპი შეინიშნა ციხის დასავლეთითაც (XIII თხრილი). საერთოდ, ჩვენი უბნები მშენებლობის ხერხების შესაბამისობის მიხედვით, ბევრ შემთხვევაში „ნათესავობას“ ავლენენ და ჩანს ასაკობრივად თანადროულიც არიან.

კირიანი და ალიზიანი მასით ამოვსებული სივრცისა და №1 დიდი ბურჯის გარ-

60 **რ-65-6083**
61 **რ-65-6082**
62 **რ-65- 6080**
63 **რ-65-6085-6-7**
64 **რ-65-6084**
65 **რ-65-6153**
66 **რ-65-6153**
67 **რ-65-6150**

შემოწმენდისას, ზღუდის ზედაპირიდან 1.30-1.50 მ. სიღრმეზე გამოვლინდა ორი (№4 და №5) ქვევრის ნაშთი და კიდევ რამდენიმე საინტერესო ნიმუში: ცისფერი ფაიანსის ორნამენტიანი მძივი[68] (ტაბ. LVII_2); ცისფერჭიქურიანი ნიჟარისებრი ჭრაქი; ანგობის „თვლებით“ მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამების ნატეხები; ყავისფრად გამომწვარი ქოთნის პირ-ყელები; გვიანდელი იერის მქონე სტილიზებული ფრინველის გამოსახულებიანი მრავალფერადი ჯამის ძირ-ქუსლი; ანგობის საღებავით გაღვრილ ზოლებად მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი (ადრეული იერისა); მინის სამაჯურების ნატეხები; წითლად გამომწვარი, მწვანეჭიქურიანი სამარილის და ნიჟარისებრი ჭრაქის ნატეხები; მოყვითალო-მომწვანოდ გამომწვარი თიხის, გულშეღარული დიდი სარქველის ნატეხი; მოთეთრო-მოყვითალოდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხის ხელადის პირ-ყურის ფრაგმენტი, მცირედ გაპრიალებული, პირთან დაძერწილი მეჭეჭით; ანგობით დაფარული ნახევრად დამზადებული ჯამის ნიმუში; წითლად გამომწვარი ამოკაწრული წრიული ორნამენტის სახეებით შემკული კალთაგაშლილი ლამბაქის ნატეხი; მოყვითალო-მოთეთროდ გამომწვარი, თხელ-კედლიანი, მუცელგაბერილი ყურიანი ფინჯნის ნატეხები, ძირბრტყელი, უქუსლო, ტანი სიგრძივ შიგნიდან ამობურცული წყვილი ზოლებით შემკული; ბაზალტის ხელ-საფქვავის ნატეხი; მოწითალოდ გამომწვარი, ჩარხზე გამოყვანილი დერგის პირ-ყელის ნატეხი, მაღალი პირით და ბრტყელი ბაკოთი (ყელის h - 5.5 სმ, ბაკოს სიგანე - 2.5 სმ, პირის h - 1.5 სმ.) და სხვ.

ზემოთაც აღნიშნული გვქონდა, რომ გარდა აშკარად გამოკვეთილი სამი სამშენებლო პერიოდისა, ციხეზე უფრო გვიანი შუასაუკუნეებისათვის (XVIII-XIX სს.) შესაბამისი დროებითი საცხოვრებელ-სადგომთა არსებობის კვალიც შეინიშნება. ეს ნაშთები, როგორც თხრილის ჩრდილოეთი მიმართულებით, ასევე სამხრეთ-დასავლეთისკენაც გამოვლინდა, თითქმის მიწის ზედაპირის დონეზე (0.20-0.30 მ. სიღრმეზე). მოიხაზა სუსტი, მშრალად ნაგები, რიყის ქვითა და მიწის კედლებით შემოფარგლული, ქაოტურად განლაგებული, თითქმის უფორმო სათავსოთა (VI-VII) კონტურები (კვ. L_9-A_9, A-B), რომელთა ურთიერთგამყოფ კედელთა წყობაში აქა-იქ მოთეთრო ფერის დიდი თლილი ქვების რიგიც ჩანს, რა თქმა უნდა ადრევე დარღვეული ნაგებობისა და ამ შემთხვევაში მეორადი გამოყენების მანიშნებელი.

შედარებით მკვიდრი წყობა შერჩენია რიყის ქვითა და დუღაბით ნაგებ კედელს, რომელიც ქართული აგურით ნაგები კედლის პარალელურია და დასავლეთ ჭრილში შედის (0.50-0.70 მ.), ასევე კედელს, რომელიც შიდა ზღუდის №1 ბურჯის თავზე ერთპირი წყობის ნაშალითღაა შემორჩენილი.

VI სათავსოში მდებარეობს ისეთივე ქვაყუთი - N2, როგორიც ჩრდილოეთი ჭრილის მიმყოლ არეზე გამოვლინდა. ხოლო VII სათავსოში თონეები - NN 3,4; 21-ე რიყის ქვის კედელთან (დასავლეთით) კი შეინიშნა ნახევრად დამტვრეული ქვევრის ორი ნაშთი.

ეს ნაშთები ციხის დროებითი დასახლების პერიოდს (რიგით IV) უნდა შეესაბამებოდეს, მათი მომდევნო ქვედა ფენა კი, უეჭველია, მომავალი კამპანიის

68 **რ-65-6127**

დროს გამოვლინდება, და შევეცდებით უფრო კონკრეტულად ავხსნათ ზოგ მოვლენათა თანამიმდევრობა, რის საშუალებასაც ცხადია, ამჟამად ბოლომდე გაუთხრელ ნაგებობათა აღნაგობა ვერ მოგვცემს.

ამრიგად, ჩვენს მიერ აღწერილ ნაშთების სტრატიგრაფიაში 4 ფენა გამოვყავით, რაც ციხის ტერიტორიაზე 4 სამშენებლო პერიოდს შეეფარდება:

1. უძველესი, შეესაბამება ნაგებობათა თავდაპირველ წყობას, კერძოდ კარიბჭის შიგნით დაგებულ იატაკსა და სათანადო ზეძირკველს. ეს ფენა ავლენს ზღუდე-ბურჯების თავდაპირველ ჩონჩხს, გასდევს II და III თაღოვან კართა შემაერთებელ ციხეში შემოსასვლელ №1 ტალანს, I და II სენაკთა (ანუ №2 ტალანისა) და III სენაკის შემაერთებელ, ახლადგამოვლენილ ფართო IV კარიბჭის პილონებს და მათ ფილაქვიან იატაკს.

2. მეორე ფენას პირველისაგან გამოყოფს მკაფიო ნახანძრალი, რომლის შემდეგაც ნაგებობანი აგურითა და დუღაბით შეუკეთებიათ (განვითარებულ შუასაუკუნეებში). ეს ფენა ირგვლივ შემოუყვება №2 ტალანის სტრატიგრაფიულ ჭრილს, მოიცავს ქართული აგურით მოპირკეთებულ თაღოვან კართა, ტალანთა და სათავსოთა უმეტეს ნაწილს, განაპირობებს ზღუდე-ბურჯებისა და IV კარიბჭის პილონების შეკეთება-შევსებას, გასდევს III სენაკის ორმოებიან დუღაბის იატაკსა და თიხნარი ორმოების დონეს; ვფიქრობთ, ამ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ ერთხელ განადგურებული მესამე თაღიანი კარის აღდგენა და ტალანის საფუძვლიანი შეკეთებაც;

3. მესამე სამშენებლო პერიოდის I ეტაპი ციხის ტერიტორიის დიდი ნაწილის ინტენსიურ დასახლებასა და ახალ ნაგებობათა დაარსებას შეესაბამება (XVI-XVII სს.), რომელსაც №4 სენაკის და მისი სამხრეთი ფრთის აგურით ნაგები კედლით გამოყოფილი V სათავსოს ფართობი მოიცავს; II ეტაპი კი შეეფარდება IV სენაკის ალიზის დანაშენს და №3 ბურჯის არეს ამოვსება-გაუქმებას;

4. მეოთხე ფენა წარმოდგენილია ნატეხი ქვით და დიდრონი შეუკავშირებული კვადრებით ნაგები დროებითი სადგომების კვალით, რაზედაც თითქმის ზედაპირულად განლაგებული ნაშთები მეტყველებენ.

ჩვენ მიერ შესწავლილი უბანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩანს ციხის ნაგებობათა ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და მოვლენების გასარკვევად. იგი ყურადღებას იქცევს სამშენებლო ტექნიკით და არქიტექტურული ფორმებითაც. ეს უბანი თვალსაჩინოდ გვიმდიდრებს წარმოდგენას ფეოდალური საქართველოს ციხე-ქალაქთა აღნაგობის შესახებ (განსაკუთრებით შუაფეოდალურ ხანაში). მასში თვალნათლივ ჩანს, უშუალო, ცოცხალი კავშირი ძირითად საფორტიფიკაციო ნაგებობასა და მის შიგნით მდებარე საცხოვრებულ-სამეურნეო დანიშნულების სათავსოთა შორის.

§ 3. რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი გვირაბიანი კარიბჭის უბანი

1972 წლის ანგარიში (თხრილი XI [a])

1. ნაგებობათა სტრატიგრაფია

1972 წლის ზაფხულში კუხეთის რუსთავის ციხის ტერიტორიაზე კვლავ განახლდა არქეოლოგიური საკვლევაძიებო სამუშაოები. მუშაობას შევუდექით ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანზე - შიდა და გარე (გარღვეულ) ზღუდეებთან მიდგმულ ნასახლართა მიდამოებში (ე.წ. თხრილი XI[a], ორიენტაცია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთისაკენ). ძველი განათხარის გაგრძელებაზე აიჭრა კვადრატები: $G_{1-2-3-4-5}$; $Q_{1-2-3-4-6-7}$; $H_{1-2-3-4-5-7}$ (ნიშნული: სამხრეთ ზღუდეში კუთხურად ჩადგმული ახალი წყალსაქაჩი ნაგებობის ნანგრევი და წყალსადენის მილი). თხრილის საერთო ფართობი: 34X46 მ. (ნახ. 5, გეგმა და ჭრილები).

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, წინა წლებში, XI თხრილში გამოვლენილ ნამოსახლართა ნაშთების კავშირის პოვნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ორმაგ ზღუ-დესთან, აგრეთვე სტრატიგრაფიული და ქრონოლოგიური შესაბამისობის დადგენა სათანადო მონაპოვართან ერთად.

ძველი თხრილის დასავლეთი ჭრილიდან აჭრილი ფართობი კუთხით „შემობრუნდა“ სამხრეთი ზღუდეების მიმართულებით. აქ თანდათანობით გამოვლინდა გარე და შიდა ზღუდეებზე მიდგმული დარღვეულ ნასახლართა ნაშთი (ტაბ. XIII_2, XV_1, XXII_{1-2}, XXIII_{1-2}, XXIV_{1-2}). კირდუღაბიანი რიყის ქვის ნაშალის აღების შემდეგ, ზედაპირიდან 0.20-0.25 მ. სიღრმეზე გამოიკვეთა სქელი დუღაბით მკვიდრად შეკავშირებული №11 რიყის ქვის კედელი საძირკველითურთ (ტაბ. XIII_2, XXII_2, XXIV_2), რომლის მიმართაც განლაგდა გამოვლენილ სათავსოთა ჯგუფი, რომელთა აღწერას ქვემოთ შევუდგებით.

განათხარის საერთო კონფიგურაციის მიხედვით, ნასახლართა ეს ჯგუფი უშუალოდ მიდგმულია სამხრეთ გარე და შიდა ზღუდესთან. თავის მხრივ, შიდა ზღუდის ზოლში ჩართული დიდი ბურჯი №1 (ტაბ. XX_{1-2}, XXI_1) და სხვა ელემენტები, კუთხით შერწყმული აღმოჩნდა გარე ზღუდესთან, რომელიც ერთად შეუკავშირდა ზემოხსენებულ გვირაბიან კარიბჭეს (ტაბ. XV_1, XX_1, XIII_2, XXII_1).

ამდენად, გრძელი რიყის ქვის კედელი №11, რომელიც თავისთავად არცერთ სხვა სათავსოთა შემადგენელი არ აღმოჩნდა, ვფიქრობთ რომ, წარმოადგენდა შიდა ზღუდის ზოლში ჩართულ №1 ბურჯისათვის ზურგიდან სამაგრებელ ფლანგს (უფრო XIII ს-ში); ან კიდევ, იგი ასრულებდა აქ დროებით სადგომთა კონტრფორსის როლს (შესაძლოა XIII ს-ის შემდგომ ხანებშიც); აღმოჩნდა, რომ №11 კედელი აქ ყველაზე „მოგვიანო“ ჩანს, რადგან ყველა სხვა სათავსოს ნაშთებთან შედარებით, მისი საძირკველი აშკარად ზემოთ დარჩა და შესაძლოა, იგი XIII ს-ის მშენებლობის

ნახ. 5



რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბნის 1972 წლის განათხარის გეგმა, ჭრილები.

უკანასკნელ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ დონის უმეტესი მონაპოვარი, ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად XII-XIII სს-ს ეკუთვნის, თუმცა ზოგი ნიმუში შესაძლოა XIII ს-ის შემდგომი, მოგვიანო ნაწარმის მანიშნებელი იყოს (ეგებ XIV-XV სს-ის.?). რაც შეეხება მის გვიანფეოდალური ხანისათვის მიკუთვნებას (მაგ. ნაზარ-ალი ხანის, XVII-XVIII სს.), საეჭვოდ გვეჩვენება, რადგან აქ გვიანი მასალა მკვეთრად არა ჩანს.

ამგვარად, №11 კედლის შესაბამის დონეზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის კლასიფიკაციის შედეგად და სათანადო პარალელურ მასალასთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე[69], გამოირკვა, რომ მათი უმეტესობა XII-XIII სს-ის კუთვნილია[70] (ტაბ. XXXVIII_2, XLI_4, XLII_6). თხრის შემდგომი პროცესის შედეგად აღმოჩნდა, რომ №11 კედელი ზედ გადადის რამდენიმე სენაკის შემადგენელ კედელთა (№8 და №10) ნაშთზე. ე.ი. ამ კედლის შენების უშუალო მომდევნო ეტაპს გვისურათებს 2-3 სათავსოს ძალზე დარღვეული კონტურები: ოთხკუთხა (№8 და №6), სამკუთხა (№№9, 10) და ნალისებურიც (№7) (ტაბ. XIII_2, XXII_{1-2}, XXIV_2, ნახ. 5).

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით გამოირკვა, რომ რიყის ქვის სუსტი წყობითა და თიხის ხსნარით შეკავშირებული კედლები გამართული ყოფილა კირხსნარიან თიხატკეპნილ „ბალიშებზე“. აქვე პირველად შეინიშნა საცხოვრისის I კატასტროფის მანიშნებელი ნაშთები რიყის ქვის კედლების, კერამიკის და ძვლოვანი ნაშთების სახით. $Q_{4-5-6-7}$ და $H_{4-5-6-7}$ კვადრატების არეზე რიყის ქვით ნაგებ ნაშთებშიც ჩანს სათავსოების არათანაბარი განლაგება: თონის ნაშთი, ფოსოები თუ ორმოები უმეტესად ისეთივე კონფიგურაციისაა, როგორც ადრევე ამ მიდამოებში აღმოჩენილი I დონის შესაბამისი ორმო-ფოსოები, ნიადაგი, ნამწვი და ნაშალი თავისი შესაბამისი კერამიკით, ქვით, აგურით და სხვა მასალით (ადრევე აღმოჩენილი რუსუდანის დროის მონეტებთან[71] ერთად).

კონტურული მოყვანილობის ოთხკუთხა (№8) და სამკუთხა (№10) სენაკთა ნაშთების არათანაბარ დონეზე განლაგება (ზოგი კედლის ნაშთი ერთმანეთზე გადადის) ჩვენი ვარაუდით, მიუთითებს ერთი სამშენებლო პერიოდის ორ სხვადასხვა ეტაპზე და ძირითადად შეესაბამება I ნახშირიან-ნაცროვანი ზოლის დონეს, რომელიც, ძველი თხრილის საკონტროლო ჭრილის (ტაბ. IV_2, V_2) მიხედვით, მონღოლთა შემოსევის დროს (1265 წ.) ამ ადგილების ნგრევა-განადგურების მაჩვენებლად[72] არის ნავარაუდევი. სტრატიგრაფიულად კი ამის მაჩვენებლად თუნდაც ის ფაქტი ჩაითვლება, რომ №11 რიყის ქვის კედელი საძირკველითურთ ამ სუსტი კედლების თავზე გადადის (ტაბ. XXII_2, XXIV_2).

ამგვარად, №11 კედლის ქვეშ მდებარე, მკვრივი თიხის კირხსნარიან „ბალიშზე“ გამართული, ერთპირი ირიბწყობიანი რიყის ქვით ნაგები ორი სუსტი სათავსო (№8 და №10), №№3-4 ორმოები მასალითურთ, თონე და სხვა, შეესაბამება დამწვარ-

69 **მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, ტაბ. XXXVIII**

70 **რ-72- 6919, 6701, 6742, 7073, 7048, 7349**

71 **იხ. 1959 -1965 წწ. შემაჯამებელი ანგარიში (თხრილი XI)**

72 **ვახუშტი, აღწერა ..., გვ. 50; ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, გვ. 694; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 86**

გაწითლებულ და ნახშირიან ნიადაგს; ხოლო თონის ნაშთზე ზედ გადადის №11 კედელი.

აღწერილი სენაკები I სქელ ნახშირიან ზოლში ექცევიან და ძირითადად XII-XIII სს-ის კუთვნილია, რომელიც ალბათ დიდი კატასტროფის დროს განადგურებულან XIII ს-ში. აქვე ირჩევა, ამავე პერიოდის (შუაფეოდალური ხანის) ორი განსხვავებული სამშენებლოეტაპიც.ამასვეადასტურებსაქაღმოჩენილიXII-XIIIსს-ითდათარიღებული მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები[73] (ტაბ. XLII_6, $LIII_{1,3,5}$, XLVII_2, XLIX_5, LIII_5).

გამოირკვა აგრეთვე, რომ №11 კედლის სამხრეთ პირთან მიდგმული სამკუთხა (№9) და ნალისებური (№7) სენაკების გამოკვეთილი კონტურები აგებულებითა და მასალითაც ეკუთვნის შესაბამისი ხანის ერთ-ერთ სამშენებლო ეტაპს (XII-XIII სს.), ან შესაძლოა, მონღოლთა შემდეგ დროებით სადგომებს წარმოადგენდნენ. რიყის ქვის წყობაში შერეულია უთანაბროდ განლაგებული გათლილი კვადრებიც. ქვები და კედლები აქაც ყველგან გადამწვარ-გაწითლებულია.

განათხარი ნაშთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს შიდა ზღუდესთან მიშენებული საკმაოდ მოზრდილი პილონებიანი შენობაც (ტაბ. XX_1, XXI_2, XXIII_1), რომელიც ზემოთ აღწერილ ნაშთებზე უფრო ადრეული უნდა იყოს. პილონებიანი შენობის დიდი ნაწილის „თავები“, კედლის ზედა ზოლი, მთლიანად ვიწრო ტეხილი ტალანი (რაც ჯერჯერობით განათხარში ჩანს) მოპირკეთებულია აგურითა და აქა-იქ ჩასმული ყვითელი კვადრებით (ტაბ. XX_1, XXI_2, XXIII_1, ნახ. 5), რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს უძველესი შენობა შეკეთებული და საფუძვლიანად სახეცვლილია XI-XIII სს-ში. მით უფრო, რომ ამ შენობის საძირკველი ჯერ არ გამოვლენილა, ხოლო გადაწვის ზედა ზოლი ამ ნაშთების თავებთან გადის. ვიმედოვნებთ, რომ პილონებიანი შენობის ასაკი შემდგომი შესწავლის შედეგად გამოიკვეთება. ახლა კი შევნიშნავთ, რომ ზემოხსენებული სამკუთხა (№9) და ნალისებური (№7) სენაკის ერთი ნაწილი სწორედ ამ პილონებიანი შენობის ფართობშია ჩაშენებული (ტაბ. XXI_1, XIV_2, ნახ. 5).

ამგავარად, პილონებიანი შენობის ტეხილი ტალანის ზედა შრეების გამოვლენისას კედლის ნაშალში და დანახშირებულ (I ზოლის) ნიადაგში უცხო იერის დამღიან ჯამთან[74] (ტაბ. LVI_5) ერთად აღმოჩნდა XIII ს-ის მონეტა[75] (ტაბ. XXXVI_1). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებული ჯამი მოხატულობის ტექნიკით, მოყვანილობით და სხვა, უფრო ადრეული იერისაა და აქ მისი მოხვედრა ფენათა აღრევით უნდა იყოს გამოწვეული. სამაგიეროდ, აქვე ვხვდებით შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ სხვა ნაწარმთა ნიმუშებსაც[76] (ტაბ. XLI_1).

ჩვენს განათხარში მომდევნო ფენისა და შესაბამისი პერიოდის (არსებული მასალის კლასიფიკაციის მიხედვით, შესაძლოა X-XI სს-ის) კუთვნილი უნდა იყოს II ნახშირიანი ზოლის შესატყვისი დარღვეული რიყის ქვის ერთი კედლისა (№19) და ერთი სენაკის (№6) ნაშთები. №6 სენაკის კედლების მკვიდრი წყობა (თიხნარი ხსნარით ირიბად წყობილი რიყის ქვა), განათხარში კარგად ჩანს, ხოლო საძირკველი

[73] **რ-72-6742, 6809, 6973, 7073, 7349, 6881, 7135, 6937, 6921, 6934**
[74] **რ-72-6815**
[75] **6818, მონეტა განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ირ. ჯალაღანიამ**
[76] **რ-72- 6809**

ჯერ არ გამოვლენილა. შემორჩენილია ამ სათავსოს სამი კედლის წყობა, რომლის ერთ-ერთ (სამხრეთ-დასავლეთ) მხარეს, შესასვლელ კარს თითქო ღია სივრცე გვაგულისხმებინებს. მეოთხე კედლის თავზე კი (ჩანს, მთელ სენაკზეც) ზედ გადადის №11 დიდი კედლის დასავლეთი ფრთა. სენაკის კედლებიდან ერთის ფრთა გამართულია ძალზე მკვრივ მოყვითალო-ხაკისფერი თიხის ხსნარის „ბალიშზე“, დანარჩენთა საძირკველი კი ჯერ არა ჩანს (ტაბ. XXII_2).

აქვე აღმოჩნდა შედარებით უკეთ ნაკეთები მრავალფერადი ჭურჭელი[77] (ტაბ. XXXIX_4, XLII_6, XXXVIII_4, XXXV_5), ბრინჯაოს ქარქაში და სხვ. სენაკის აგებულება და მასალაც ამავე უბნის ძველ განათხარში II ფენის შესაბამის (რუსუდანის მონეტების ქვემოთა შრე) ნაშთებს, კერძოდ, კირდუღაბიან იატაკში ამოჭრილ ორმოთა კუთვნილ მასალას ჰგავს. აქვეა მოხატული თეთრი დოქების და ზოგი მრავალფერადი ნაღვენთებიანი ჯამების ნატეხებიც.

ასეთივე სურათი მოგვცა წყალსადენისგან ძალზე დარღვეული რიყის ქვის კედლის (№19) ქვეშ გათხრილმა ზოლმაც, სადაც პირდაპირ II ნახშიროვანი ზოლიდან გამოვიღეთ მწვანე ფრიალაპირიანი და ნაღვენთებიანი ჯამების მნიშვნელოვანი ნიმუშები[78] (ტაბ. XXXIII_2, $XXXV_{3,5}$). მსგავსი ნიმუშები აღმოჩნდა სამკუთხა (№9) და ნალისებური (№7) სენაკების ქვედა შრეებშიაც, რაც ალბათ პილონებიანი დიდი შენობის არსებობის ხანას (IX-XI სს.) უნდა განეკუთვნებოდეს, და არა მისი გადაკეთებისა და სახეცვლის საფეხურებს (XII-XIII სს.).

ჩვენი ვარაუდით, II ნახშირიანი ზოლი (სისქით 0.25 მ.) უნდა შეესაბამებოდეს ციხის გადაწვის მეორე, მომდევნო კატასტროფას[79] ანუ სელჩუკთა შემოსევას XI ს-ში. რადგან ზოლის შესაბამის კერამიკულ მასალაში ვხვდებით საკუთრივ ადრეფეოდალური ხანის, კერძოდ, IX-X სს-ის ნიმუშებსაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ფენათა აღრევას, მით უმეტეს, რომ მრავალგზის მშენებლობისა და ნგრევა-განადგურების შემდეგ აქ თითქმის შეუძლებელია მდგრადი ფენების დადგენა; მაგრამ მასალის უმრავლესი ტიპის მიხედვით ვცდილობთ ნაშთების ქრონოლოგიურ გარკვევას. ამიტომაც, ვფიქრობთ რომ, სენაკთა არსებობის ასაკი IX-X სს-ით განვსაზღვროთ, თვით XI ს-ის I ნახევრამდე, ხოლო მათი განადგურებისა - XI ს-ის II ნახევრით, სელჩუკთა შემოსევის შემდგომ პერიოდამდე.

ამ ვარაუდის შემაგრების შესაძლებლობა მოგვცა ციხის გარე და შიდა გარღვეული ზღუდეების გათხრამ სამხრეთი მიმართულებით, თანამედროვე წყალსადენის მიდამოში. სწორედ ამ უბანმა გვიჩვენა ნასახლართა კომპლექსის კავშირის სურათი ციხის ორმაგ ზღუდესთან (ტაბ. XXII_{1-2}, XXIII_{1-2}, XXIV_{1-2}).

აღმოჩნდა, რომ შიდა ზღუდის შემორჩენილი ნაშთი ტერასული აგებულებისა ყოფილა. ზურგი ნაგებია დიდი ყვითელი კვადრებით შემოჩარჩოებული აგურებით; ფასადი რიყის ქვის მკვიდრი წყობისაა, ხოლო ზედ ტერასაზე გამართულია ყვითელი ალიზის სქელი კედლის ზოლი, ჰორიზონტალური შრეებით (ტაბ. XXII_1). როგორც ჩანს, ასეთი სისტემა, საერთოდ, ციხის მთელ კედლებს გასდევდა. საინტერესოა, რომ

77 **რ- 72-6755, 6742, 6923, 6816, 6746; 7015; 6973**

78 **რ-72-7541, 7540, 7543, 7542, 7544, 7546,7545, 7547, 7548, 7549**

79 **ქართლის ცხოვრება, გვ. 309_{10}; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 74-5**

ტერასული ტიპის შიდა ზღუდის კედლის პირიც მობათქაშებული ყოფილა.

თვით შიდა და გარე ზღუდეების თავისებური აგებულება გარკვეულ სამშენებლო ეტაპებზე მიგვანიშნებს. სწორედ იქ, სადაც თანამედროვე წყალსაქაჩი შენობისგან მთლიანად მორღვეული ჩანს გარე ზღუდის ნაწილი (ტაბ. XV_1, XXI_{1-2}), მის გასწვრივ, შიდა ზღუდის ხსენებულ ტერასულ კედელში ჩართული აღმოჩნდა დიდი უძველესი ალაყაფის კარი (№2) კლდეში ნაკვეთი ზღურბლით[80], ზუსტად ისეთივე, როგორიც გვქონდა ამავე უბნის ძველ განათხარში, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან.

ამჯერად გამოიკვეთა, რომ ციხეს ადრეფეოდალურ ხანაშივე სამხრეთიდანაც ჰქონდა ყვითელი მოზრდილი კვადრებით ნაგები მეორე დიდი შემოსასვლელი კარი, რომლის გვერდითა პილონებს და მის გასწვრივ გრძელ (შიდა) კედლებს თავზე შერჩენილი ჰქონია ყვითელი ალიზის კედლის სქელი ფენა. ალიზის მასა დასხმული ჩანს კედლებზე ყალიბის გარეშე. მას მხოლოდ განივი ზოლები უჩანს, ხოლო შვეული ტიხრები არა აქვს (ტაბ. XXII_1).

ამ ნაშთების ადრეფეოდალური ხანისათვის მიკუთვნებას მხარს უჭერს სათანადო მასალაც, რომელთა შორის ჭარბობს შიშველ კეცზე ფერადი საღებავით მოხატვის ტექნიკა, ნაღვენთებიანი ჯამები, მკრთალი ნაკაწრებით, ან ანგობის ხვიებით მოხატული მწვანე ჯამები და სხვ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ აქაც ისევე როგორც სხვა ყველგან, შუაფეოდალური ხანის ნაწარმიც არის აღრეული. მაგრამ, იმავე უმრავლესი, წამყვანი ტიპის მიხედვით ვცდილობთ ამ ნაშთების მიკუთვნებას IX-X სს-თვის[81] (ტაბ. $XXIX_{4,6}$, XXX_4, XXXII_1, XXXIV_3). ამას ზედ ერთვის თვით შენების ტექნიკისა და წესის გათვალისწინებაც.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ IX–X სს-ში, თვით XII ს-შიც კი, ციხეს ორივე ზღუდე ჰქონდა, თავისი მოქმედი კარიბჭეებითურთ, რომელთაც შესაძლოა საფუძვლიანი შეკეთება XI ს-ის შემდეგ განუცდიათ. ხოლო XIII ს-ის II ნახევრისთვის ორივე ზღუდის შუა არე მუქი ნაცრისფერი ალიზის მასით მთლიანად ამოუვსიათ (ტაბ. XX_{1-2}, XXI_1). სწორედ ამ მიდამოებში, შიდა ზღუდის №1 ბურჯსა და გარე ზღუდეს შორის, გვიან ჩადგმულ თონეთა ირგვლივ, მეორე მონეტასთან (ტაბ. LVI_1) ერთად, ვნახეთ ფრინველიანი ჯამები, რომლებიც XIII ს-ითაც თარიღდება[82].

ამგვარად, ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთებს ამ ტერიტორიაზე უკვე შუაფეოდალურ ხანაში მკვეთრად ეტყობა გადაკეთება-დაშენების კვალი. შესაძ-ლოა, შუაფეოდალურ ხანაში რაიმე დიდი შემოსევის მოლოდინში, ციხის მესვეურნი სასწრაფოდ ცდილობდნენ ძველი ზღუდეებისა და კარიბჭეების გამაგრებას ან საე-

---

80 2016-17 წწ. ამავე უბანზე, ციხის გარე ზღუდის ნაკლული მონაკვეთის გამოვლენის მიზნით, ჩატარებული გათხრების შედეგად აღწერილი დიდი უძველესი ალაყაფის კარი (N 2) შიდა ზღუდე I -ზე (IV-V სს.) ოთხკუთხა კოშკი აღმოჩნდა, იხ. „რუსთავის ციხე-სიმაგრეზე 1916 - 17 წლებში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში"; ანგარიშები დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და რუსთავის ისტორიული მუზეუმის არქივებში. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ე. ჯანდიერი 1973 წელს შესრულებულ ნაშრომში ადრეული შუასაუკუნეების ფართო კარის (N 2) არსებობას ვარაუდის დონეზე უშვებდა და არ გამორიცხავდა რომ აქ გამოვლენილი ნაგებობის ნაშთები შესაძლოა შიდა ზღუდე I -ის ოთხკუთხა კოშკი ყოფილიყო, იხ. ამავე კრებულის გვ. 115-116

81 რ-72-7287, 7026, 7232, 7326, 7074, 7127, 6940

82 რ-72-7121, მონეტა განსაზღვრა ირ. ჯალაღანიამ

რთოდ გაუქმებას.

ამ ვარაუდს, ჩვენის აზრით ისიც ამაგრებს, რომ გარე და შიდა ზღუდეების სივრცე ალიზით ამოქოლილი ჩანს XI ს-ის შემდგომ, დაახლოებით XIII ს-ის II ნახევრამდე. შესაძლოა, მონღოლთა შემოსევამდე გარე ზღუდის გამაგრება-განმტკიცების მიზნით, ეს ადგილები სასწრაფოდ ამოქოლეს, ზოგი კარი გააუქმეს და ზოგიც საომარ სათავსოდ გადააკეთეს, ააშენეს დამატებითი სიმაგრენი და წინაღობე.

ამგვარად, ადრეფეოდალური ხანის სამხრეთი ზღუდის დიდი ალაყაფის №2 კარი, ასეთივე აღმოსავლეთი №1 კარის მსგავსად, შესაძლოა ერთხელ დაინგრა XI ს-ში, ხოლო საბოლოოდ გაუქმდა (შიდა ზღუდესა და №1 ბურჯთან ერთად) - XIII ს-ის II ნახევრიდან.

ჩვენი მუშაობის საბოლოო ეტაპზე, ნაგებობათა ნაშთების სტრატიგრაფიის გარკვევისა და მასალის შესაბამისობის მიზნით, ამავე ადგილას, გარღვეული რიყის ქვის კედლის (№19) ძირში ამოვიღეთ 3 მ. სიღრმის საკონტროლო თხრილი (ტაბ. XXIV_{1-2}).

გამოირკვა, რომ II ნახშირიანი ზოლის კუთვნილი მასალა (უანგობოდ მოჭიქული სამარილე, შიშველ კეცზე ფერადი საღებავით მოხატული ჯამები, ნაღვენთებიანი ჯამები, ანგობის მარყუჟებით მოხატული მწვანე ჯამები და სხვ.) უმთავრესად IX-X სს-ის ფარგლებში[83] თავსდება; ოღონდ მკრთალი ნაკაწრებით შესრულებული ნაღვენთებიანი ჯამები, მწვანე ფრიალა ჯამები და სხვ., შესაძლოა XI ს-ის I ნახევრამდეც ავიდეს (ტაბ. XLVIII_{2-3}, L_2). ამ შემთხვევაში, ჩვენ არ გამოვრიცხავთ მათ განადგურებას XI ს-ში[84].

საინტერესოა, რომ ჭრილის მომდევნო, III შრემ, რომელსაც აგრეთვე სათანადო ნახშირიანი ზოლი შეესაბამება, ძირითადად VI-VIII სს-ის კუთვნილი წვრილტალღოვანი წყლისებური ორნამენტით შემკული თეთრი ჭურჭელი, თხელკედლიანი კოპიანი ფინჯნებისა და სხვათა ნიმუშები[85] მოგვცა (ტაბ. XXV_{4-6}). შეგვხვდა უანგობოდ მოჭიქული პაწია ფიალების ორი ნატეხიც (ჩალისფერი და მწვანე).

მომდევნო, IV ნახშირიან შრეს შეესაბამება მოუჭიქავი, თეთრი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ერთი ნაწილი შესაძლოა შეეფარდებოდეს აგრეთვე VI-VIII სს-ის ნაწარმს, ნაწილი კი უფრო ადრეულებსაც, მაგ. გვიანანტიკურ-ადრეფეოდალურ ხანას, IV-VI სს[86] (ტაბ. XXV_1, XXVIII_2), პარალელურ მასალასთან თანაფარდობის მიხედვით.

და ბოლოს, V ნახშირიან შრეში მოთავსდა შავპრიალა დიდრონი ჭურჭლის ნატეხები, რელიეფური ორნამენტით, გვიანბრინჯაოსა და ადრეფეოდალური ხანის ნაშთების შესაბამისი ნიმუშებით. როგორ ჩანს, ეს ფენა უშუალოდ ქვეშ უძევს ადრეფეოდალური ხანის ნაშთებს, რომელზედაც შემდგომ განვითარებული შუაფეოდალური ხანის საცხოვრისი წამოიმართა.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ჩვენს განათხარში დადასტურებულია 3 ძირითადი პერიოდი, თავისი შესაბამისი სამშენებლო ეტაპებით და მასალით:

I. IV-VIII სს. ადრეფეოდალური ხანის პირველი ეტაპი, თანადროული კერამიკული

---

83 **მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, ტაბ. I, IV-V**

84 **რ. -72-7540 – 7549, რ-72-60, რ-72-7539, რ-72-7561, რ-72-7562, რ-72-63, რ-72-7568, რ-72-7570**

85 **რ-72-76 , რ-72- 77, რ-72- 7594**

86 **რ-72-7612, 7604**

მასალით. ნაგებობათა ნაშთების განადგურება კი, რაც ამჟამად განათხარში აღარ ერჩევა, ალბათ არაბთა ლაშქრობის დროს[87] განეკუთვნება.

II. IX-X სს. ადრეფეოდალური ხანის ბოლო ეტაპს განეკუთვნება შესაბამისი მასალა და ადრეფეოდალური ხანის დიდი მშენებლობაც. მასვე განეკუთვნება დიდი ყვითელი კვადრებით ნაგები ორივე ზღუდე ბურჯებით, ასევე №1 და №2 კარით. შესაძლოა, პილონებიანი დიდი შენობაც (№15), რომლის ნაშთებმაც საფუძვლიანი შეკეთება განიცადეს XI ს-ის I ნახევარშიც. მასალის ზოგი სახეობა შესაძლოა XI ს-მდეც ამოვიდეს. ნაშთების განადგურება კი ივარაუდება სელჩუკთა შემოსევის დროს - XI ს-ის II ნახევარში.

III. XI-XIII სს. შუაფეოდალური ხანის პირველი ეტაპის კუთვნილი ჩანს ციხის გეგმარების საფუძვლიანი სახეცვლა და ახალმშენებლობაც. კერძოდ, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სენაკთა ნაშთები, ნაგებობათა აგურით მოპირკეთება და სხვა. აგრეთვე, XI-XII სს-ის კერამიკა. ხდება გვირაბიანი კარიბჭის მშენებლობა-მოპირკეთება, პილონებიანი შენობისა და მისი ტალანების აგურებით შემოსვა, შიდა ზღუდის ტერასული კედლების ყვითელი ალიზით დაშენება და სხვ. შუაფეოდალური ხანის მეორე ეტაპზე კი, შესაძლოა XIII ს-ის II ნახევრამდე ანუ მონღოლთა შემოსევამდე, ალიზის მასით ამოიქოლა გარე და შიდა ზღუდეების არე, გაუქმდა შიდა ზღუდე თავისი კარიბჭით და ბურჯებით, ამგვარად განმტკიცდა გარე ზღუდე. აიგო დამატებითი თავდაცვითი წინაღობეც. აგრეთვე, ერთ-ერთ ეტაპს შეესაბამება ზოგი დროებითი სადგომიც (№№ 9 და 7). ამასვე ადასტურებს XII-XIII სს-ის კუთვნილი მასალაც. ფეოდალური ხანის ქალაქის ციხის განადგურება განეკუთვნება მონღოლთა რბევას XIII ს-ის II ნახევარში.

ამიერიდან, ამ უბანზე მხოლოდ XVII-XVIII სს-ში, ნაზარ-ალი ხანის დროს ჩანს ზოგიერთი მცირე ნაშენობისა და მასალის კვალი, ისევე, როგორც ციხის სხვა უბნებზე. მაგრამ აქ შედარებით უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე თუნდაც ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ X უბანზე. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ციხის მესვეურთ ყველა უბანზე და ტერიტორიაზე ერთნაირი ინტენსივობით აღარ უწარმოებიათ მშენებლობა.

[87] **ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 161, 188; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები, ნაკვ. 31**

§4. რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი გვირაბიანი კარიბჭის უბანი (თხრილი XI) 1973 წლის განათხარის ანგარიში

1973 წლის არქეოლოგიური კამპანია (18/X–18/XII) რუსთავის ციხეზე მიზნად ისახავდა ზღუდის გარშემო წმენდას მთელ პერიმეტრზე, შიდა და გარე ზღუდეს შორის არსებული ტერიტორიის (აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი ზოლის) გათხრა-შესწავლას, ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა გეგმარების სრულყოფილად გამოვლენას, არქეოლოგიური ფენებისა და ნივთიერი მასალის სტრატიგრაფიული და ქრონოლოგიური განფენის დადგენას (ნახ. 1).

გარდაამისა, გარდაუვალი გახდა ძველი განათხარი უბნების (1959, 1960-62, 1965, 1972 წწ.) მოწესრიგება-შესწორება, დროთა განმავლობაში ჩამონარეცხი და ჩამოშლილი მიწისგან სათავსოთა გასუფთავება, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს ციხის შიდა ტერიტორიაზე განალაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსების კავშირის დადგენა ზღუდე-გალავნის მიმართ - ადრე და შუაფეოდალური ხანის სხვადასხვა ეტაპებზე. საამისოდ ციხის დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ (თხრილი XIII) და აღმოსავლეთ (თხრილები VI-X) გარე და შიდა ზღუდეთა შორის კედელ-ბურჯების გამოსავლენად ერთდროულად მიმდინარეობდა საძიებო სამუშაოები; ამავე დროს, სამუშაოები განახლდა სამხრეთ-აღმოსავლეთითაც (თხრილი XI და XI[a]) იმ საკვანძო პუნქტებში, სადაც ორი ზღუდის შეერთების ადგილას ჩართულია ციხის ჯერჯერობით ერთადერთი გვირაბიანი კარიბჭე. თვით კარიბჭე, და მასთან აღმოსავლეთიდან მიმდებარე შიდა სამოსახლო უბნების არქეოლოგიური გათხრა-შესწავლა ფაქტიურად 1965 წლიდან დღემდე (1973 წლამდე) აღარ განახლებულა. წელს კი, თავიდანვე მიზნად დასახული გეგმის გამო, გადაწყდა წლების განმავლობაში ზედმეტი ნალექისაგან ჩამონგრეულ-ჩამორეცხილი სამხრეთ-აღმოსავლეთი გვირაბიანი კარიბჭის ძველი განათხარი ტერიტორიების მოწესრიგება-გასუფთავება.

ამ მიზნით, პირველი რიგის სამუშაოები მივმართეთ სამხრეთ-აღმოსავლეთი შიდა და გარე ზღუდეების წვერთა შერწყმის საკვანძო პუნქტისკენ, სადაც მდებარეობდა ადრევე გათხრილი გვირაბიანი კარიბჭე. განვიხილავთ აქ გამოვლენილ ნაგებობებს:

1. აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 ბურჯი და ფართო ტალანი (ტაბ.VI_1). აქ, ფართო ტალანში, ავიღეთ აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 ბურჯზე მიკრული ე.წ. საკონტროლო ჭრილი, რათა აგურით ნაგებ თაღოვან კართა მეშვეობით გარკვევით გვეჩვენებინა გარე და შიდა ზღუდეების ურთიერთდაკავშირება. 3.15 მ. სიმაღლის საკონტროლო ჭრილი (ტაბ. V_{1-2}, VII_1) თავიდან ბოლომდე ფარავდა გარე ზღუდის №2 ბურჯის პერანგს. ჭრილის აღების შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდა აგურით შემოჩარჩოებული დიდრონი ყვითელი, დაკუთხული ქვებით მოპირკეთებული ბურჯის შიდა პირი - პერანგი (ნახ. 6, ტაბ. IV_{1-2}, VI_1), რაც მშენებლობის წესის მიხედვით, ტიპურია შუაფეოდალური

ხანისთვის[88] და თვით რუსთავის ციხის საფუძვლიან აღდგენა-მშენებლობაზე მიუთითებს (შესაძლოა XII ს-დან) მას შემდეგ, რაც აქ ადრეფეოდალური ხანის ციხის სამოსახლო განადგურდა.

გამოირკვა რომ ჭრილს, ნანგრევი რიყის ქვის ფენის ქვეშ, სამ ფართო განივ ზოლად გასდევდა უმთავრესად შუაფეოდალური ხანის დამახასიათებელი მასალის შემცველი დანახშირებულ-დამწვარი ძელებისა და ნაშალის შრეები. ამგვარად, №2 ბურჯზე მიკრულ საკონტროლო ჭრილში შეინიშნა რამდენიმე შრე: ქვა-ღორღის ქვეშ მოექცა თიხატკეპნილი კირხსნარიანი შრე (h ბურჯის თავიდან 1.40-1.70 მ.). მას მოსდევს I ნახშირიანი ზოლი (საერთო სისქე - 0.30 მ, h ბურჯის თავიდან - 1.70-2 მ.). უფრო ქვემოთ კი აშკარად ჩანდა I და II ნახშირიანი ზოლების ურთიერთთან შერევა-შერწყმა, რაც რელიეფის აწევ-დაწევის გამო (საერთო h ბურჯის თავიდან - 1.70-2.50 მ.) ნამწვისა და ნაშალის აღრევაზე მიუთითებს.

ძლიერი ნამწვი, ნაშალი და ბურჯის პერანგის გადამწვარ-გაწითლებული ქვები, ციხის უკანასკნელი კატასტროფის XIII ს-ის შესაბამისი ნგრევა-განადგურების მაუწყებელი უნდა იყოს.

ჭრილის შემცველი მასალა, როგორც ითქვა, ძირითადად შუაფეოდალური ხანისაა. აქ აღმოჩნდა: XI–XII სს-ის ერთფერჭიქურიანი, ბორბალა ქუსლიანი, სწორპირიანი ან ბაკობრტყელი, სადა მწვანედ მოჭიქული ჯამები[89]; ანგობზე ამოკაწრული ორნამენტით (ხვიები, ფოთლები ან კლაკნილი ხაზები) შემკული ცისფრად მოჭიქული ჯამები. ასეთ ჯამებს სწორი პირი აქვთ, კიდეჩაღარული[90]. XI-XIII სს-ის გარედან ანგობზე ერთფრად მოჭიქული ქილები, პირ-ყელ განიერი, ცისფერჭიქურიანი. არის ანგობზე ხვია-მცენარეული ან ხაზოვანი ორნამენტით შემკული და ფოსოებჭდეული ნიმუშები[91]; XII–XIII სს-ის მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები. მათ შორის ვხვდებით მცენარეულ ორნამენტიანებსაც: ანგობზე ამოკაწრულია ხვია-სტილიზებული „ფოთლები“, არეებში ჩახაზული მრგვალი „თვალები“ და სხვა, მწვანედ და ყვითლად შეღებილი ან დაწინწკლული ღვიძლისფერი სამწერტილოვანი ხალები, შემდეგ გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[92]. არის გეომეტრიული მოტივის მქონე ჯამებიც, სხივები, ტეხილი ხაზები, ვარსკვლავისებური სახე და სხვა, მონაცვლეობით შეღებილი ღია მწვანედ და ყვითლად, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[93]. ასეთ ჯამებს სწორი პირი აქვს, ბაკო ბრტყელია, ქუსლი - ბორბალა; XII–XIII სს-ის მრავალფერად მოჭიქულ ჯამებში გვხვდება: ანგობზე ამოკაწრული ფრინველის გამოსახულებიანი, გამჭვირვალე ჭიქურგადავლებული ჯამები[94]. ასეთ ჯამებს ბორბალა ქუსლი აქვთ; ანგობზე ფუნჯით მოხატულ ჯამებში არის გეო-

88 **გ. ლომთათიძე, კუხეთის რუსთავის ციხის განათხარი უბნების ანგარიში (1959 -1965 წწ.), იხ. საანგარიშო სესიის თეზისები; ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია (შუაფეოდალური ხანა) თბ. 1955, გვ. 36-38, 69-70.**

89 **სდ. NN 219, 238**

90 **სდ. NN 239, 24**

91 **სდ NN218, 241**

92 **სდ. 213**

93 **სდ. 244**

94 **სდ. 214, 220**

მეტრიული ორნამენტით შემკული, ან წრიული კონტურებით ღვიძლისფრად მოხატული, ალაგ-ალაგ მწვანედ შეღებილი და გამჭვირვალე ჭიქურ გადავლებული ჯამები[95]. შეგვხვდა XI–XIII სს-ის ნახევრადდამზადებული (ნახევარფაბრიკატი) ჯამებიც, ვარდისფერ ანგობზე ფუნჯით მოხატული მცენარე-რტო-ყლორტოვანი სახეებით[96], ჭიქურით დაფარვის გარეშე[97].

მოუჭიქავი ჭურჭლიდან გვხვდება: სუფრის ჭურჭელი - აქ შერეული უნდა ჩანდეს ადრეფეოდალური ხანის (VI-VIII სს.) ხელადის ძირი, მოვარდისფრო-მოჩალისფრო თიხისა, გამოყოფილი ქუსლით, ბრტყელი განიერი ძირით, ფსკერზე ირგვლივ ღრმა ღარებით[98] და XI–XIII სს-ის მსხლისებური ხელადები, წითელი თიხისა, სადა[99]; საოჯახო დანიშნულების ჭურჭლებიდან შეგვხვდა XI–XIII სს-ის კათხა, ტარიანი ჭურჭელი[100] და კოკების ბრტყელი ყურები[101]; სამზარეულო ჭურჭლიდან - ქვაბ-ქოთნების ყურები, გულშეღარული, კონუსური სარქველები, კალთაზე საორთქლე ჭრილით[102]; სამეურნეო დანიშნულების დეკორატიული დერგის „დაფანჯრული“ კედლის ნატეხი,[103] და ქვევრის პირი[104].

2. აღმოსავლეთ გარე და შიდა ზღუდეების დამაკავშირებელი №1 და №2 თაღოვანი კარი, ფართო ტალანი აგურფენილი იატაკით. აქ გამოიკვეთა თვალსაჩინო სიახლე. კერძოდ, ბურჯის ჩრდილოეთ ფრთასთან მიშენებული აღმოჩნდა, აწ საგრძნობლად ჩანგრეული, კიდევ ერთი აგურით ნაგები თაღოვანი კარის ნაშთი (ნახ. 6), ზუსტად ისეთივე ნაშენობისა, როგორიც ბურჯის მეორე - სამხრეთის ფრთასთანაა ჩართული. ამგვარად, ორივე, თითქმის ერთმანეთის მოპირდაპირედ მდგარი თაღოვანი კარი, თავის მხრივ, აკავშირებს გარე და შიდა ზღუდეებს (ტაბ. III_{1-2}, IV_1, V_{1-2}, VI_1, ნახ. 6).

ამ საკვანძო ადგილას, საინტერესო გეგმარებისა და თაღოვან კართა მიმართულების გამო, კიბეებიანი გვირაბიდან ამომსვლელნი, ტეხილი ტალანის გავლით, უთუოდ მოხვდებიან ციხის აღმოსავლეთით ორ ზღუდეს შორის კვლავ გაშლილ ტერიტორიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თაღოვანი კარის (№2) მიღმა არსებული ფართობი ჯერჯერობით გაუთხრელი დარჩა, მაინც შესაძლებელია ვარაუდი, რომ ამ ადგილას საქმე გვაქვს ციხეზე შემოსასვლელ ერთ-ერთ ფართო (საურმე) გზის ნაწილთან[105],

95 **სდ. 242**
96 **სდ. 245**
97 **მ. მიწიშვილი,მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, თბ. 1969; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ. 1956 .**
98 **სდ. 246**
99 **სდ. 247**
100 **სდ. 248**
101 **სდ. 215**
102 **სდ. 249**
103 **სდ. 251**
104 **სდ. 216**
105 **აღნიშნული ფართობი გაითხარა 2015 წელს, გაიხსნა შიდა და გარე ზღუდეთა შორის სივრცე, რის შედეგადაც გამოჩნდა მძლავრ პილონებზე დაფუძნებული კარიბჭე, რამაც მკვლევარის ეს ვარაუდი დაადასტურა, იხ. რუსთავის ციხე-სიმაგრეზე 2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, 2015 წ. რუსთავის ისტორიული მუზეუმის არქივი.**

რომელიც ამ საკვანძო ადგილებში ჯერჯერობით გამოვლენილია გვერდიდან გაჭრილ, საცალფეხო, დამატებით მცირე კართა სახით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარე ზღუდის №2 ბურჯისა და ორივე თაღოვან კართა შორის მოთავსებული ფართო ტალანი (ტაბ. VII_1) მოგებული ყოფილა აგურფენილი კირხსნარიანი იატაკით, რომელზედაც, სხვა შუაფეოდალურ ნაშთებს შორის, ვნახეთ XII–XIII სს-ის მრავალფერად მოხატულ და მოჭიქულ ჯამთა ნიმუშები; წითელწერნაქიანი, მრგვალი საბეჭდავით დატვიფრული, ვაზის მტევნებით ორნამენტირებული დერგის პირი (ტაბ. VIII_2); აგრეთვე, კვიცის ჩონჩხი და სხვა.

ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 ბურჯზე მიკრული საკონტროლო ჭრილის მოხსნისას, II–III ნახშირიანი ზოლების შემცველი მასა განლაგდა ბურჯის თავიდან 2.70–3 მ. შორის სიმაღლეზე, მის ქვემოთ კი III ნახშირიანი ზოლის კუთვნილ - 3 მ. ნიშნულზე.

ამდენად, სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 ბურჯისა და №1 თაღოვანი კარის კუთვნილი აგურფენილი იატაკი გამოჩნდა საკონტროლო ჭრილის მოხსნის შემდეგ (ქვედა, III ნახშირიანი ზოლი, h -3-3.15 მ.). აქვე, იატაკის წმენდისას გამოიკვეთა აგრეთვე ის სიახლე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ - ძველის მოპირდაპირედ მდგარი №2 თაღოვანი კარი (მიმართულება: თხრილის ჩრდ. ჭრილისკენ), რომელიც ჩახერგილი აღმოჩნდა რიყის სუსტი წყობის კედლის ნაშთით (გვიანფეოდალური ხანისა - XVI-XVII სს.).

აქ, ბურჯის თავიდან 3.15 მ. სიმაღლეზე, №2 თაღოვანი კარის ზღურბლის დონეზე აგრეთვე შეინიშნა შუაფეოდალური ხანის მასალა[106] და დიდი რკინის საურდულე ბუდე[107].

ნივთიერი მასალა: (II და III ნახშირიანი ზოლის კუთვნილი საკონტროლო ჭრილიდან). მოჭიქული ჭურჭლიდან შეგვხვდა: 1. გარდამავალი საფეხურის (X-XI სს.) ანგობზე ამონაკაწრებით შემკული, მრავალფერად (ყვითლად და მწვანედ) გაღვრილად მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურგავლებული ჯამები[108]; 2. ერთფერჭიქურიანი ჯამები (XI XII სს.), ანგობზე ამოკაწვრის ტექნიკით ორნამენტირებული, ორმხრივ მოჭიქული - ცისფრად და ღვიძლისფრად[109]; 3. გარედან ერთფრად მოჭიქული ქილები (XI–XIII სს.), ანგობზე გარედან ამოღარული ხვია-კლაკნილი ხაზებით ან ფოსოებჭდეული, არის სადაც. ყველა გარედან მოჭიქული ცისფრად და ღვიძლისფრად[110]; 4. მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები (XII–XIII სს.). მათ შორისაა: მცენარეული მოტივი, სწორპირიანი, კიდეშეთხელებული, ანგობზე ამოკაწრული სტილიზებული ფოთლებით ან ოვალებით[111]. არის ვარსკვლავისებურად განლაგებული წვეტიანი სტილიზირებული ფოთლები, არეებში ჩახაზული თვლებით ან წრეებით და არის გაშლილი მარყუჟიანი ოვალები[112]. ასეთი ჯამები მონაცვლეობით შეღებილია

106 სდ. 327-329
107 სდ. 329
108 სდ. 279
109 სდ. 262,263
110 სდ. 261, 262, 263
111 სდ. 264, 266, 280
112 სდ. 264

მწვანედ და ყვითლად, შემდეგ გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური; ვხვდებით გეომეტრიულ მოტივსაც, ბორბალა ქუსლით, ანგობზე ამოკაწრული მზისებური სხივებით, მწვანედ და ყვითლად შეღებილს[113]. არის წვეროებით გადაბმული განივი სხივები და ტეხილი ხაზებიც[114], მონაცვლეობით მწვანედ და ყვითლად შეღებილი; 5. აქვეა გარედან ცისფრად მოჭიქული ფაიანსის ჭურჭლის კედლის ნატეხიც[115].

მოუჭიქავი ჭურჭლებიდან შეგვხვდა: 1. **სუფრის ჭურჭელი -** ფინჯნის ძირ-კედელი (XI-XIII სს.) მოთეთრო-ჩალისფერი თიხის, თხელკედლიანი, მრგვალწიბოიანი ძირით, მცირედ გამოყოფილი, ტანზე ამობურცული კოპებით[116] (ადრეფეოდალური ხანის?); თეთრი თიხის თხელკედლიანი დოქის ყელი, ბიკონუსური მოყვანილობისა[117].

საოჯახო დანიშნულების ნაწარმი - კოკების ან ქილების პირ-ყელები (XI-XIII სს.), ვიწრო ყელით, გადაწეული პირის კიდით, კიდის ირგვლივ დაბალი წიბოთი, ხან წყვილი ღარით[118].

სამზარეულო დანიშნულების ნაწარმი - ქვაბ-ქოთნები (XI-XIII სს.) მუცლის ირგვლივ რელიეფური წიბოთი, რომლის ქედი ირიბი ამონაჩხვლეტებითაა მჭიდროდ ჭდეული, წიბო გრეხილად დასერილი, ხან კი ნათითურებით დაკუწუბოებული[119]. ასეთ ქვაბ-ქოთნებს ზოგჯერ აქა-იქ გრეხილი წიბოს ზემოთ დაძერწილი აქვთ შვერილი ცრუ ყურები[120]. აქვეა ქვის ბრტყელი სარქველები, ზედაპირზე ამოღარული გულით, რელიეფური დამრეცი კიდით[121]; მრავლადაა თიხის სარქველებიც (XII–XIII სს.) გულშეღარული, კონუსური, ცილინდრული სახელურით, რომლის თავი ღრმადაა ჩაზნექილი; კონუსურ კალთაზე და სახელურთან საორთქლე ჭრილებით[122]; ქილები (XI-XIII სს.), მოვარდისფრო თიხისა, მოზრდილი პირ-კედლებით, კიდეშესქელებული[123].

სამეურნეო დანიშნულების ნაწარმი: დეკორატიული დერგები (XII–XIII სს.), წითელი თიხისა, წითელწერნაქიანი, შესქელებული სწორი პირით, ირგვლივ დაკუწუბოებულ-დაღარული, რომლებსაც ბაკო და ყელი საგორავებელი საბეჭდავით აქვს დატვიფრული ვაზის მტევნებითა და ირმის გამოსახულებებით; სალტეთა შორის ჩანს სტილიზებული „მზე“[124].

მინის ნაწარმიდან ვხვდებით: ღია-მოლურჯო გამჭვირვალე მინის ბრტყელგანივკვეთიან სამაჯურებს, ზურგზე წყვილი ჩაღარული ზოლით, შეერთების ადგილზე ჩაკეჭნილს[125]. ღია მწვანე, თხელი მინის სასმისის პირს, კიდეგადაწეულს,

---

113 **სდ. 266**
114 **სდ. 265**
115 **სდ. 278**
116 **სდ. 268**
117 **სდ. 267**
118 **სდ. 269**
119 **სდ. 282**
120 **სდ. 270, 282**
121 **სდ. 274**
122 **სდ. 271**
123 **სდ. 281**
124 **სდ. 272; იხ. თ. არჩვაძე, დეკორატიული დერგები რუსთავიდან, კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, 1969, გვ. 126.**
125 **სდ. 217**

კიდის ირგვლივ ტალღური სალტით[126] და ღია მწვანე მინის ჭურჭლის ყელ-კედლის ნატეხს, მინადაბუშტულს[127].

ნივთიერი მასალა აგურფენილი იატაკიდან (III ნახშირიანი ზოლის ქვედა დონე): 1. მოჭიქული ჭურჭლებიდან შეგვხვდა: ერთფერჭიქურიანი ჯამები (XI-XII სს.) ანგობზე ამოკაწვრის ტექნიკით ორნამენტირებული ხვიებით, ფოთლისებური და კლაკნილი ხაზებით, ორმხრივ ცისფრად მოჭიქული[128]. არის ღვიძლისფერჭიქურიანი ჯამიც[129]; 2. გარედან ერთფრად მოჭიქული ქილები, განიერი პირ-კედლით, სწორი ტანით, ტანს ირგვლივ ჩაღარული ზოლით და თითო რიგი მრგვალი ნაჭდევებით. მრგვალყურიანი ჩანს, გარედან ცისფრად მოჭიქული[130]. ცოტაა გარედან ტანდაღარული, ღვიძლისფერჭიქურიანი ქილები[131]; 3. მწვანედ მოჭიქული ნიჟარისებური ჭრაქი (XI-XIII სს.)[132].

მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი: 1. სუფრის ჭურჭელი - სამტუჩა დოქი (XI-XIII სს.), თიხა მოვარდისფრო-ჩალისფერია, სწორი ყელით, გარედან ირგვლივი წყვილი ღარით და რელიეფური წიბოთი, ოვალური ყურით[133]; 2. სამზარეულო დანიშნულების ნაწარმი - თიხის სარქველები (XI-XIII სს.), გულშეღარული, კონუსური, კალთის კონუსზე ჩანს თითო ან ორი საორთქლე ჭრილი, შიდაპირზე წრიული დაბალი წყვილი ღარით[134]; 3. სამზარეულო დანიშნულების ნაწარმი - დეკორატიული დერგების ყურ-კედელი (XI-XIII სს.). თიხა წითლად გამომწვარი, პირგადაწვენილი, ტანს ირგვლივ რელიეფურ წიბოებს შორის ჩახაზულია გაშლილი ტალღოვანი სალტე; ყური ბრტყელია, მხართან ნიჟარისებური შვერილით, მცირედ შეღებილი წითელი წერნაქით[135]; 4. მინის ნაწარმიდან აქ ვხვდებით მუქი ლურჯი მინის სამაჯურებს, მრგვალგანივკვეთიანს, გაშლილად გრეხილს[136]; 5. რკინის ნივთებიდან გვაქვს №2 თაღოვანი კარის ბუდე, დაჟანგულ-დაფურცლული, ოთხკუთხა კვადრატი, შუაში ნახვრეტით[137].

3. სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის №1 ალაყაფის ფართო კარი, ფილაქვით მოგებული იატაკით. გაირკვა რომ, ზემოთხსენებული აგურფენილი იატაკი (ორივე თაღოვან კართა კუთვნილი) თავის მხრივ გამართული ყოფილა ბრტყელ, დიდრონ, სიპი ფილაქვებით მოგებულ იატაკზე. მისი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ 1962 და 1965 წლებში გათხრების შედეგად იყო გამოვლენილი. საკონტროლო თხრილის ჩამოხსნისა და ტალანის გაფართოების შემდეგ კი სიპფილაქვიანი იატაკი მთლიანად გამოჩნდა (ტაბ. III_2, VI_2, VII_2). ამის გამო, აუცილებელი გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 დიდი კარის პილონთა შორის ჩაშენებული გვიანდელი რიყის

126 **სდ. 259**
127 **სდ. 260**
128 **სდ. 315**
129 **სდ. 315**
130 **სდ. 313**
131 **სდ. 314**
132 **სდ. 316**
133 **სდ. 327**
134 **სდ. 328**
135 **სდ. 317**
136 **სდ. 312**
137 **სდ. 329**

ქვის კედლის ნაშთის აღებაც, რომელიც აქ, კარის გადაკეტვა-გაუქმების მიზნით საგანგებოდ იყო ჩაშენებული (ტაბ. V_2, VII_2).

აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 ფართო კარის ჩრდილო პილონის გასუფთავებისას (ტაბ. IV_1, VII_1) თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჭრილის მიმყოლ არეზე აღმოჩნდა დამახასიათებელი მასალაც[138], რაც კარის ჩამკეტი რიყის ქვის კედლის თანადროული უნდა იყოს. კერძოდ, ჩრდილოეთ პილონის თავიდან (h - 2-2.25 მ.) ვხვდებით: სამზარეულო დანიშნულების მოვარდისფრო თიხის ქილის კედლის ნატეხებს (XI-XIII სს.), ტანს ირგვლივ ჩაღარულ ზოლებს შორის ჩანს გაშლილი ტალღოვანი ხაზი, გარედან, სავარაუდოდ, ანგობის თხელი ფენა უნდა ჰქონოდა გადასმული[139] და სამეურნეო დანიშნულების დერგების პირ-ყელს, რომელთაც ვიწრო ბრტყელი ბაკო აქვთ, გადაწეული პირის კიდე კუწუბოებიანია[140].

ვფიქრობთ, ადრე გათხრილი ეს განიერი კარი, გეგმარებითა და ნაშენობითაც, ძალიან ჰგავს იმავე შიდა ზღუდეში სამხრეთიდან ჩართულ ასეთივე დარღვეულ №2 კარს[141]. ამ უკანასკნელის გათხრა სამხრეთ შიდა ზღუდესთან 1972 წელს დაიწყო, მაგრამ ჯერჯერობით დაუმთავრებელი დარჩა. ეს, კიდევ ერთი განიერი კარი, XX ს-ის 40-იან წლებში აქ გაყავნილი წყალსაქაჩი ნაგებობისა და წყალსადენი მილების გამო თითქმის მთლიანად დანგერულ-დარღვეული სახით შემორჩა, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ მის აგებულებას და კავშირს შიდა ზღუდესთან, ციხის შიდა სამოსახლოებთან მომავალი გათხრები გაგვარკვევინებს.

თავის დროზე, შესაბამის ანგარიშებში, მითითებული გვქონდა, რომ აღმოსავლეთი და სამხრეთი შიდა ზღუდის ეს ორი ფართო კარი (რანიც, გეგმარებითა და ნაშენობითაც მკვეთრად განსხვავდებიან ზემოთხსენებულ აგურით ნაგებ თაღოვან კართაგან) შესაბამისი პარალელებისა და აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ადრეფეოდალური ხანის (შესაძლოა IX-X სს.) კუთვნილ ნაშენობას უნდა განეკუთვნებოდეს, და ამდენად, ვფიქრობთ, ფილაქვის იატაკიც ამ კართა თანადროული უნდა იყოს.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, ადრფეოდალური ხანის ციხის ფართო კარიბჭენი XI ს-მდეც ყოფილა გამოყენებაში, რადგან, ჩანს ჯერ კართა საფუძვლიანი შეკეთება, ხოლო შემდგომ ამ შიდა ზღუდის ზოლის ერთობლივი გაუქმება-ჩაკეტვა დამატებითი „ღონისძიებებით“. მათ სანაცვლოდ კი გარე ზღუდის თაღოვან კართა და გვირაბიან კარიბჭეთა აგება-ამოქმედება XII –XIII სს-ში.

ამგვარად, აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 კარის ქვაფენილიანი იატაკის დონეზე, რიყის ქვის ჩამკეტი კედლის მოხსნის შემდეგ, კარის ზღურბლთან, სამხრეთი პილონის ძირში აღმოჩენილი მასალა ადრეფეოდალური ხანის კუთვნილი ნიმუშების გარდა, შუაფეოდალური ხანის ნაწარმსაც შეიცავს (პილონის თავიდან 1.30 მ. ხოლო №1 თაღოვანი კარის დასავლეთი ფრთის თავიდან 2 მ. სიმაღლის დონეზე).

138 **სდ. 342 -344**
139 **სდ. 344**
140 **სდ. 342**
141 **იხ. შენიშვნა 80, ამავე კრებულის 46 -ე გვერდზე**

აქვე აღმოჩნდა „სვასტიკის“ გამოსახულებით მოხატული ნახევრადფაბრიკატი ჯამი[142]. ამავე ქვაფენილიანი და მოკირწყლული იატაკის დონეზე და მის გაგრძელებაზე (დასავლეთის ორმოების არესკენ) აღმოჩენილ მასალაში ადრეფეოდალურთან (IX–X სს.) შედარებით შუაფეოდალური პერიოდის ნაწარმი ჭარბობს[143]. მასალის ამგვარი აღრევა შესაძლოა ფენებისა და დონეების არამდგრადობას გამოეწვია. ზოგი მათგანი აღმოჩენილი იქნა ამ ფართო კარის სამხრეთი პილონის გასწვრივ, კირხსნარიან იატაკში ჩაჭრილი ორმოების დონეზე, სამხრეთი პილონის თავიდან h=1.2-1.5 მეტრზე[144]. აქ ვხვდებით შემდეგ ნიმუშებს:

მოჭიქული ჭურჭელი: 1. ჯამი (XII–XIII სს.), ნახევრადდამზადებული, წითელი თიხისა, ბორბალა ქუსლით, სწორპირიანი, თხელი კიდით, მოვარდისფრო ანგობზე ფუნჯით მწვანე ჭიქურის საღებავით მოხატულია „სვასტიკა“, გამჭვირვალე ჭიქური აღარ არის გადავლებული [145].

მოუჭიქავი ჭურჭელი: 1. სუფრის ჭურჭელი - სასმისის პირ-კედელი (ადრეფეოდალური ხანისა IX–X სს.) მოვარდისფერო თიხისა, თხელკედლიანი, ოდნავ პირგადაწეული[146]. XI–XIII სს-ის ქილა - გარედან წითელწერნაქიანი, გაპრიალებული, პატარა პირით, გადაწეული კიდით[147]; **2.** სამზარეულო დანიშნულების ნაწარმი - ქილები (XI–XII სს.), უყელო, კიდესთან რელიეფური წიბოთი, ბაკოშესქელბული, მცირედ დაფარული თხელი მოვარდისფრო-მოწითალო საღებავით[148]; **3.** სამეურნეო დანიშნულების ნაწარმი: 1. დეკორატიული დერგები **(**XI–XIII სს.), ბაკო ბრტყელი, კიდე დაკუწუბოებული, ტანისაგან გამოყოფილი, ყელთან ტალღოვანი ხაზით, კედელი პირთან გახვრეტილი აქვს, ალბათ საქარედ[149]; 2. ქოცოები (პატარა ქვევრები) (XI-XIII სს.), წითელი თიხისა, მაღალყელიანი, ბრტყელი ბაკოთი, გამოყოფილი პირით, ბაკო ირგვლივ დაღარულია გაშლილი ტალღოვანი ზოლით, ყელი ფართოა[150]; 3. ქვევრი (X–XI სს.) - ძირის ნატეხი, მოყვითალო-მოვარდისფრო თიხისა, ბრტყელ ძირს მოვიწროებული ტანისაგან გამოყოფს შემაღლებული კიდურა წიბო, ირიბად წაკვეთილი. ვფიქრობთ, ასეთი ძირები ცოტა ადრეული საფეხურის კუთვნილი უნდა იყოს, ალბათ X-XI სს-ის, რადგან შუაფეოდალური ხანის ქვევრებს ძირები უფრო კონუსური უხდებათ, სადაა და არც კიდურა წიბოებია გამოყოფილი.

სამშენებლო კერამიკა - კრამიტები (XI–XIII სს.), ღობიანი, წითელი თიხისა; ადრეულთან შედარებით, ესენი უფრო თხელი კალთის მქონენი არიან, მაღალი ღობით და ვიწრო კიდით. ღობე გვერდშეჭრილია, ქვედა კიდეწაკვეთილი, კალთაზე

142 სდ. 354
143 სდ. 382-387
144 სდ. 401-402
145 სდ. 354
146 სდ 383
147 სდ. 382
148 სდ 401
149 სდ. 402
150 სდ. 384

ჩანს წითელი წერნაქით შეღებილი თხელი ფენა[151].

4. აღმოსავლეთ შიდა ზღუდესთან მიმდებარე ნასახლართა არე და სამეურნეო ორმოები თხრილის მიმდებარე ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ ჭრილებთან. მას შემდეგ, რაც ციხის შიდა ზღუდის ზოლის (ორივე ფართო კარით) გაუქმება (ანუ რიყის ქვის კედლების ჩაშენება) მოხდა - მაშინ „ამოქმედდა" გარე ზღუდე (გვირაბიან და თაღოვან კარებთან ერთად) და ამიტომ, გასაგები ხდება, რომ XII-XIII სს-ში უნდა გაჩენილიყო შიდა ზღუდესთან უშუალოდ შიგნიდან მიდგმული ნასახლართა კუთვნილი სამეურნეო ორმოები. ეს უკნასკნელნი წინა კამპანიების დროს (1965, 1972 წწ.) გაიწმინდა, რომელთა შემცვლელი მასალა ძირითადად შუაფეოდაური ხანის კუთვნილია (მოხატული დოქები, რუსუდან მეფის - XIII ს-ის მონეტები და სხვ.).

მიმდინარე წელს აუცილებელი გახდა ჩამონაშალი მიწისგან ნასახლართა ფართობის შესწორება-დასუფთავება: გაიწმინდა შიდა ზღუდეზე უშუალოდ განლაგებულ ნასახლართა არე და უამრავ ორმოთა შემცველი სამეურნეო ნაგებობათა ნაშთი. ასევე გაიწმიდა თხრილის ჩრდილოეთი და დასავლეთი ჭრილებიდან ჩამონაშალი ფართობი. ამგვარად ძველ ნასახლართა მხარეს, ორმოების არეზე, თხრილის ჩრდილო ჭრილის მიმყოლი ფართობი გასწორდა დროთა განმავლობაში ჩამონარეცხი და ჩამოშლილი მიწის ზვავისგან (ჩრდილო მიწის პირიდან 1.20 მ. და 1.40-1.50 მ. სიღრმეზე). ეს ის ადგილია, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 კარის ჩრდილოეთი პილონის მიმყოლ არეს ორმოებისაკენ. აქ ყვითელი თიხატკეპნილი მასის ქვეშ საინტერესო მასალა აღმოჩნდა[152]:

მოჭიქული ჭურჭელი. 1. ჯამები (IX-XI სს.) - კეცზე ფუნჯით ანგობის ზოლებით მოხატული და მოყვითალო ჭიქურით დაფარული[153]. ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით ორნამენტირებული, მრავალფერად გაღვრილად მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული - ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით გამოყოფილია წრიული, სოლური და წვრილტალღოვანი სახე, გაღვრილად მოხატულია ყვითელი, მწვანე და ღვიძლისფერი საღებავით, შემდეგ გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[154]; გარედან ორმხრივად მოჭიქული ქილა, დეკორატიული, სწორი პირ-ყელით, ოვალური ტანით, რელიეფური კოპებით შემკული, ორმხრივ მწვანედ შეღებილი[155]; 2. ერთფერჭიქურიანი ჯამები (XI-XII სს.) - სწორპირიანი, კიდემოვიწროებული, დაბალი მრგვალი ქუსლით, ანგობზე ღია მწვანედ მოჭიქული[156]; არის კიდეჩაღარული, ანგობზე ამოკაწრული ხაზებით, ცისფრად მოჭიქული[157]; 3. მრავალფერად მოხატული და მოჭიქული ჯამები (XII–XIII სს.) ფრინველის გამოსახულებით, ბორბალა ქუსლით, ანგობზე ფუნჯით ღვიძლისფერი საღებავით მოხატული, ფრინველის ფრთა-კისერი ირიბად დასერილი,

---

151 **სდ. 386. იხ. ჯ. ჯღამაია, სამშენებლო საქმე ფეოდალურ საქართველოში, რუსთავის სამშენებლო კერამიკა, ხელნაწერი.**

152 **სდ. 388-400**

153 **სდ. 388**

154 **სდ. 389**

155 **სდ. 369**

156 **სდ. 363**

157 **სდ. 362**

გადავლებულია გამქვირვალე ქიქური[158]; არის ჯამი, რომლის ანგობზე დახვეწილი კონტურით ამოკაწრულია ცხოველის გავა და ფეხი, შეღებილია გაღვრილად ღია ყვითელი საღებავით, გადავლებულია კრიალა გამქვირვალე ქიქური[159]; 4. კოტოში (XI–XIII სს.) - სწორი პირით, შიგნიდან ღვიძლისფრად მოქიქული[160].

მოუქიქავი ჭურჭელი. 1. **სუფრის ჭურჭელი:** 1. ხელადები (VIII-IX სს.) - მოვარდისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა, თხელკედლიანი, ვიწრო ყელით, ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი[161]; ზოგს ყელს ირგვლივ წყვილი ჩაღარული ხაზი უჩანს, გარე პირზე თეთრი ანგობის ფენა უსვია[162]; 2. ხელადები (XI–XII სს.) - მოვარდისფრო თიხისა, ასეთი ორია, არც მთლად მსხლისებურებს ჰგვანან, ვიწრო მაღალი მრგვალი ყურით, ტანს ირგვლივ ჩაღარული ხაზით[163]; მეორეს გარედან თითქოს მოთეთრო ანგობის თხელი ფენა უსვია[164]. ესენი მოყვანილობით უფრო ადრეულს უნდა ეკუთვნოდნენ; **3.** მსხლისებური ხელადები (XI–XIII სს.) წითელი თიხისა, ძირბრტყელი, არის წუნიანიც, ძირდეფორმირებული[165].

საოჯახო დანიშნულების ჭურჭელი: 1. ქილები (VIII–X სს.), მოვარდსიფრო-ჩალისფერი თიხისა, უყელო, ოდნავ გადაწეული პირით, კიდეშესქელებული, გარედან დაფარული ჩანს მოთეთრო-ჩალისფერი ანგობის თხელი ფენით, ტანის ირგვლივ წვრილხაზოვანი ზოლით[166]; 2. ბადიები (XI-XIII სს.), მოწითალო თიხისა, ღრმა და დამრეცკალთიანი, ბაკო უკან დამრეცი, ზედ წყვილი დაბალი წიბოთი, კიდესთან განივად ებმის დაკუწუბოებული სახელური[167], არის სადაც, შიგნით დამრეცი ბრტყელი კიდით, ღრმა, ძირბრტყელი[168]; 3. ქილები (XI-XIII სს.), მოვარდისფრო თიხისა, მცირედ პირგადაწეული, უმეტესად სადა, ტანს ირგვლივ წვრილხაზოვანი ტალღური ზოლით[169]; 4. დოქები (XI-XIII სს.), წითელი თიხისა, რელიეფურად ამოზიდული უხეში კოპებით[170]; 5. კოკები (XI-XIII სს.), მოვარდისფრო-ჩალისფერი და წითელი თიხისა, განიერი პირ-ყელით, სამტუჩა, ყელწიბოიანი, გარედან მოთეთრო-ჩალისფერი ანგობის თხელი ფენა უსვიათ[171]; ზოგს წიბოს გარდა წვრილხაზოვანი ტალღოვანი სალტეც აქვს ყელის ირგვლივ. არის მრგვალპირიანებიც[172]. ასეთ კოკებს ბრტყელი დიდი ყურები აქვთ. ერთი მათგანის მხარზე ამოკაწრულია ნიშანი - „ ჯვარი“[173].

158 **სდ 366**
159 **სდ. 285**
160 **სდ. 365**
161 **სდ. 372**
162 **სდ. 373**
163 **სდ. 400**
164 **სდ. 399**
165 **სდ. 379**
166 **სდ.375**
167 **სდ. 395**
168 **სდ. 396**
169 **სდ. 371**
170 **სდ. 379**
171 **სდ. 374**
172 **სდ. 376**
173 **სდ. 376, 377**

სამზარეულო ჭურჭელი: 1. ქოთნები (X-XI სს.), მოყავისფრო-წითელი თიხისა, პირგადაწეული, პირის ირგვლივ რელიეფური წიბოთი, მხართან ირიბი ნაჭდევებით; შიდა პირი განივი ხაზებით მცირედ დაღარული აქვს[174]; დანარჩენებს გარე ტანი მთლიანად დაფარული აქვთ მჭიდროდ დაღარული განივი ხაზებით და ტალღოვანი ზოლებით[175]; არის აგრეთვე დაბალი, სწორპირიანი ქოთნებიც, მუცელგამობერილი, მხართან განიერი სალტე მჭიდრო ხაზებითაა დაღარული[176]; 2. ქოთნების პირ-კედლები (XI-XIII სს.), გვხვდება სადა, პირგადაწეული და კიდეშესქელებული, სადა ყურებით[177]. არის პირგადაწეული ვიწრობაკოიანი, ოვალურყურიანი ნატეხებიც, პირს ქვემოთ ირიბი ნაჭდევებით შემკული[178]; 3. ქვაბ-ქოთნები (XI-XIII სს.), წითელი თიხისა, სამკუთხა ყურებით, ორნამენტირებული წვრილწერტილოვანი ნაჩხვლეტებით, არის სადაც[179]; 4. ქოთნის სარქველები (X-XI სს.), მოყვითალო-მოვარდისფრო თიხის, ბრტყელკალთიანები, ზედაპირდაღარული; შუაში დატანებული სახელურები მრგვალცილინდრული ფორმისა აქვთ, ცენტრში თავჩაზნექილი პაწია კოპით[180].

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი: 1. დეკორატიული დერგის კედლის ნატეხი (XII-XIII სს.), მოწითალო წერნაქით დაფარული, სალტე ორნამენტირებული აქვს ღრმა ნაჭდევებით - „თვლებით“[181]; 2. ქვევრების პირები (X-XI სს.), მოვარდისფრო-მოყვითალო თიხისა, ბრტყელი ბაკო უკან მკვეთრად დამრეცილი და ამგვარად გამოყოფილი ტანისგან, პირს ქვემოთ აქვს რელიეფური წაკვეთილი წიბო[182].

სამშენებლო კერამიკა: 1. ღობიანი კრამიტი (IX-X სს.), მოყვითალო თიხისა, ბრტყელი კალთით, ღობე დაბალი აქვს, ცეცხლში მოხვედრილი[183]; აქვე იყო წუნიანი კრამიტიც, ცეცხლისგან გადამწვარი[184].

მინის ნაწარმი: 1. ოვალური მძივი, ცისფერი მინისა, ჭრილა, ირიზირებული[185]; 2. სამაჯურები, ღია მწვანე მინისა, მრგვალგანივკვეთიანი, წვრილგრეხილი[186]; ასეთივე მინისა - სადა[187] და შავი მინისა - წვრილგრეხილი[188].

ლითონის ნაწარმი. ბრინჯაოს ბეჭედი, მრგვალღეროვანი[189].

5. ნასახლართა და სამეურნეო ორმოთა ნაშთი თხრილის დასავლეთი ჭრილის მიმყოლ ფართობზე. ნაყარის, მიწის ზვავის მოხსნისა და დონეების შესწორების მიზნით, თხრილის ჩრდილო ჭრილის მიმყოლი არეს ორმოების დონის გასუფთავება-

174 სდ. 370
175 სდ. 392
176 სდ. 367
177 სდ. 370
178 სდ.369
179 სდ. 368
180 სდ. 394
181 სდ. 378
182 სდ. 288
183 სდ. 397
184 სდ. 380
185 სდ. 252
186 სდ. 253
187 სდ. 359
188 სდ. 254
189 სდ. 360

გასწორების გარდა, ასეთივე სამუშაოები ჩატარდა თხრილის დასავლეთი ჭრილისკენ, სამეურნეო ორმოების მხარეს, დასავლეთი მიწის პირიდან ტერასული ჭრილის დონეებზე (h - 1.50 მ. და 1.50-2.50 მ.). ეს ტერიტორია, სადაც ორმოები დასავლეთისკენ ჩაჭრილია აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 კარის მიმყოლ მოკირწყლულ კირხსნარიან იატაკში და მის გასწვრივ, აქვე, ჩრდილო-დასავლეთი ჭრილის გასწორებისას ჩამონაშალი ფენებიდან, დასავლეთ ჭრილში გამოიკვეთა რიყის ქვით ნაგები კედელი, მიწის პირიდან 0.70-080 მ. სიღრმეზე. მრავალგვარი სახეობისა და დანიშნულების ჭურჭელთა შორის აქ ვხვდებით შემდეგ ნიმუშებს:

მოჭიქული ჭურჭელი: 1. ჯამები (IX-XI სს.) - ვარდისფერი თიხისა, ანგობზე მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, დაბალი, განიერი ქუსლით, ბრტყელი ძირით, კეცზე ფუნჯით მოხატულია ანგობის ზოლები და ხვიები, ღვიძლისფერი და მწვანე გაღვრილი ხაზებით ან ხვიებით, გადავლებული გამჭვირვალე ჭიქურით[190] (ტაბ. XXXI_6); 2. ჯამები (IX-X სს.) - ანგობზე გაღვრილად მრავალფერად ფუნჯით მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, მოხატულია მოყავისფრო განივი და შვეული პარალელური ხაზებით და მომწვანო-მოყვითალო ზოლებით[191] ან მუქი ყვითელი, მწვანე და ღვიძლისფერი რგოლებით, ტეხილი ხაზებით, გამჭვირვალე უფერო ჭიქურით გადავლებული[192] (ტაბ. XXX_2); 3. ჯამები (X-XI სს.) - ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით მოხატული, მრავალფერი; ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით გამოყვანილია სამკუთხა, ჯვარედინი ან მჭიდრო ტალღოვანი სახე, მოხატულია მწვანე და ღვიძლისფერი ან ყვითელი და მწვანე საღებავებით, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[193]; 4. ჯამები (XI–XII სს.), ერთფერჭიქურიანი, სწორპირიანი, კიდეშესქელებული, ანგობზე მწვანედ მოჭიქული[194]; აგრეთვე ამოკაწვრის ხერხით მოხატული, ორმხრივ ცისფრად მოჭიქული, სწორპირიანი, კიდეშესქელებული[195]; 5. ჯამები (XII-XIII სს.), მრავალფერად მოხატული და მოჭიქული, ანგობზე ამოკაწრული ფრინველის გამოსახულებით, ბორბალა ქუსლით, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[196]. ანგობზე ფუნჯით მოხატული, ფრინველის გამოსახულებით, ბორბალა ქუსლით, ანგობზე ღვიძლისფერი ბრტყელი ფუნჯით მოხატული ფრინველის ნაწილი, ყვითლად და მწვანედ შეღებილი, შემდეგ გადავლებულია ღია-ყვითელი გამჭვირვალე ჭიქური[197]; 6. ჯამები (XI-XIII სს.), ნახევრადდამზადებულები, ანგობზე ფუნჯით მწვანე ჭიქურით მოხატული, ღვიძლისფერ კონტურს შორის მცენარეულ-ყლორტოვანი მოტივით შემკული, ზედაპირი არ არის დაფარული ჭიქურით[198]; 7. ხელადის პირ-ყელი (XI-XIII სს.), გარედან ცისფრად მოჭიქული, ცეცხლში გადამწვარი, ირგვლივ წყვილი ღარით[199]; 8.

190 სდ. 297
191 სდ. 255
192 სდ. 298
193 სდ. 356
194 სდ. 330
195 სდ. 256
196 სდ. 257
197 სდ. 299
198 სდ. 299
199 სდ. 300

ქილა (XI-XIII სს.) - გარედან ცისფრად მოჭიქული, მრგვალი პირ-კედლით, ირგვლივ ღარიანი, ბრტყელი ყურით[200].

მოუჭიქავი ჭურჭელი. სუფრის ჭურჭელი: 1. ჯამები (XI–XIII სს.), მოყავისფრო წითელი თიხისა, პაწია მრგვალი ბრტყელი ძირით, ფსკერი დაფარულია წითელი წერნაქით, „სხივებით“ გაპრიალებულ-გაცვილული წაბლისფერი ხაზებით; აქვეა ჯამის პირიც, უკან გადაწეული კიდით, ცეცხლში მოხვედრილი[201]; 2. ჯამი (XVI-XVII სს.), გამოყვანილი ქუსლით, ძირშეღარული, კიდეწაკვეთილი, შიდა პირი წითელწერნაქიანი[202]; 3. ხელადის ნატეხები (VI-VIII სს.), მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხისა, აქვს განიერი ბრტყელი ძირები, გამოყოფილი ქუსლი, შიდა პირი ღრმად დაღარული, გარე პირზე თეთრი ანგობით დაფარული[203]; 4. ხელადა (IX-XI სს.), მოთეთრო-მონაცრისფრო თიხისა, სამტუჩა, შეზნექილ პირთან ორივე მხარეს თითო-თითო „მეჭეჭი“ აქვს დაძერწილი, მხარს ირგვლივ შემოუყვება წვრილტალღოვანი ნაჭდევი სალტე, აქვს პირიდანვე ამოსული ბრტყელი ყური, რომლის შიდა მხარეს ასევე დაძერწილია ბრტყელმრგვალი „მეჭეჭი“, სფერულმუცლიანი, ბრტყელი ძირით, ტანი ირგვლივ წვრილხაზოვანად მჭიდროდ დაღარული[204]; 5. დოქების პირ-ყელის ნატეხები (XI–XIII სს.), წითელი თიხისა, სწორი ყელით, მრგვალპირიანი, ყური ყელთან მიძერწილი[205], გადამწვარია, წუნს გავს; 6. სასაკმევლე, დაბალი, პატარა, შებოლილი, პაწია ბრტყელი ძირით[206].

სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი: 1. ქილის პირ-კედლის ნატეხები (XI–XIII სს.), უყელო, პირის კიდის ქვემოთ რელიეფური წიბოთი, ბაკო შესქელებული, გარე-დან მოვარდისფრო-მოწითალო ანგობის თხელი ფენით დაფარული[207]; აქვეა მოვარ-დისფრო თიხის, დიდი ქილების პირ-ყელის ნატეხები, პირი კიდემომრგვალებული, ყელს ირგვლივ წვრილხაზოვანი ბრტყელი სალტეებით[208].

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი: 1. დერგების (დიდი ქილების) პირ-კედლის ნატეხები (IX–XI სს.), მოვარდისფრო-მოყვითალო თიხისა, ორმხრივი წვრილხაზოვანი მჭიდრო ღარებით, დამრეცი ბაკო მკვეთრად გამოყოფილი, ყელთან ფართოღარიანი სალტეში ჩახაზული ირიბი ტალღოვანი ზოლი აქვს[209]; 2. ქოცოები (XI–XIII სს.), მოწითალო თიხისა, მრგვალი გადაწეული ბაკოთი[210].

სამშენებლო კერამიკა: 1. ღობიანი კრამიტი (XI–XIII სს.), წითელი თიხისა, ბრტყელი კალთით, მაღალი სწორი ღობით. ღობე გვერდშეჭრილია, კალთაზე ემჩნევა წითელი წერნაქით შეღებვის კვალი[211]. არის ღარიანი კრამიტიც წითელი თიხისა,

200 **სდ. 256**
201 **სდ. 302**
202 **სდ. 302**
203 **სდ. 301**
204 **სდ. 308**
205 **სდ. 307**
206 **სდ. 303**
207 **სდ. 304**
208 **სდ. 357, 304**
209 **სდ. 305**
210 **სდ. 258**
211 **სდ. 403**

პირგანიერი, პირის კიდე შესქელებული და დამრეცი, გვერდითი კიდე წაკვეთილი, სადა, შეუღებავი[212].

მინის ნაწარმი: გვაქვს ჭურჭლის კედლის ნატეხი, ღია მწვანე, სქელკედლიანი, დაბუშტული[213]; ასევე ჭურჭლის ფეხი, ბრტყელი ძირით, შუაში გახვრეტილი, კიდეჩაკეცილი[214].

ბრინჯაოს ნაწარმი: 1. ფირფიტის ნატეხები, მწვანედ პატინიზირებული[215].

6. ნასახლართა და სამეურნეო ორმოების ნაშთი თხრილის სამხრეთი ჭრილის მიმყოლ ფართობზე. ნასახლართა მხარეს, ორმოების არეზე თანმიმდევრულად ჩასწორდა და გაიწმინდა აგრეთვე თხრილის სამხრეთი ჭრილის კუთხეებიც. დიდი რიყის ქვის დუღაბიანი კედლის თავიდან 1.20 მ-ზე და სამხრეთის ჭრილის მიწის პირიდან 1.10 მ. (საერთო h - 2.30 მ.) შეგვხვდა შემდეგი ნივთიერი მასალა:

მოუჭიქავი ჭურჭელი. სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი: ქვევრები (XI-XIII სს.), მოწითალო თიხისა, ბაკო ბრტყელი და შედარებით თხელკედლიანი, უკან მკვეთრად და განივად გადაშლილი, რის გამოც ყელი სწორი უჩანს[216].

სამშენებლო კერამიკა. ღარიანი კრამიტი (XI–XIII სს.), წითელი თიხისა, წითელი წერნაქით შეღებილი[217].

7. სამხრეთი შიდა ზღუდის ზურგთან მიშენებული დროებითი სადგომები - სამკუთხა და ნალისებური სენაკები. ჩვენი შემდეგი სამუშაოები მივმართეთ სამხრეთ-აღმოსავლეთი შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 ბურჯის ზურგთან მოშენებული დიდი პილონებიანი შენობის ფართობის გამოვლენისაკენ.

აქ სამხრეთ შიდა ზღუდესთან უშუალოდ მიდგმულ ნასახლართა არეზე, აუცილებელი გახდა 1965 და 1973 წლებში გამოვლენილი შუაფეოდალური ხანის კუთვნილი ერთ-ერთი სამშენებლო ეტაპის მანიშნებელი დროებითი სადგომების ნაშთებისაგან დარჩენილი სამი ულაზათო, უკვე დაშლილი კედლის აღება. ამ სადგომთა ნაშალ-ნანგრევი კედლის აღებისას, ძირითადად XI-XIII სს-ის კუთვნილი კერამიკული წარმოების ნიმუშები შეგვხვდა: ერთფერჭიქურიან სხვადასხვა ჭურჭელთა, აგრეთვე მრავალფერად მოხატულ-მოჭიქულ ჯამთა სახით.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზეგანის შუაგულისკენ, ძველად გათხრილ ნასახლართა არეზე (კვ. G_5-E_5), თხრილის დასავლეთ ჭრილთან, რიყის ქვის კედლის ნარღვევთან, მიწის პირიდან 0.35 მ. სიმაღლეზე შეინიშნა რამდენიმე ნიმუში. ამათგან აღსანიშნავია: მოჭიქული ლანგარი, სამარილე[218], მოუჭიქავი ჭურჭლებიდან - დერგი[219].

მინის ნაწარმიდან შეგვხვდა მინისა და პასტისგან დამზადებული, ცილინდრული ფორმის ცისფერი მძივი[220]; სამაჯური, მოლურჯო მინის, მრგვალგანივკვეთიანი,

212 სდ 306
213 სდ. 294
214 სდ. 295. იხ. მ. ჩხატარაშვილი, მინის ნაწარმი ფეოდალურ საქართველოში, ხელნაწერი, თბ. 1969; ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, ორბეთი, ნატბეური, ხელნაწერი.
215 სდ. 296, 355
216 სდ. 332
217 სდ. 333
218 სდ. 404
219 სდ. 174-178
220 სდ. 174

წვრილადგრეხილი[221]; ჭურჭლის ძირი, ღვინისფერი მინისა, ირიზირებული[222]. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ისრის პირი, ოთხწიბოიანი[223].

8. ნალისებური სენაკის ნაშთი. განათხარის ამავე მონაკვეთზე მოირღვა სამხრეთი შიდა ზღუდის №1 ბურჯის ზურგთან ჩაშენებული ნალისებური სენაკის კედელთა ნანგრევი (კედლის h - 0.20-0.70 მ. ტაბ.XXIV$_2$, ნახ. 4-5). აქ პილონებიანი შენობის ზედაპირის გასწვრივ, ყვითელი თიხატკეპნილი მასიდან, რიყის ქვის კედლის თავიდან h – 0.80-1.50 მ. სიღრმეზე გამოვლინდა საინტერესო მასალა (სდ. NN 35-41; 51-56).

მოჭიქული ჭურჭელი: 1. ჯამები (IX-XI სს.) - შიშველ კეცზე ანგობით მოხატული ხვიებით, ფოთლებით ან სამკუთხა ხაზებით, მწვანედ მოჭიქული; ასეთ ჯამებს დაბალი, ბრტყელი, კიდეშესქელებული ქუსლი აქვთ. არის ლამბაქის მსგავსი ჯამებიც[224] (ტაბ. XXXIII$_{4-5}$); 2. ჯამები (X-XI სს.) - ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით ორნამენტირებული, ანგობზე ორმხრივ მოხატული და მოჭიქული, თხელი გაშლილი პირ-კედლით, მოთეთრო-მოყვითალო ანგობზე ფუნჯით მოხატულია მუქი ბრტყელი ზოლები, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[225]; 3. ჯამები (XI-XII სს.) - ერთფერჭიქურიანი, სადა, ანგობზე კრიალა მწვანე ჭიქურით მოჭიქული[226]; 4. ჯამები (XII–XIII სს.) - მრავალფერად მოხატული და მოჭიქული, გეომეტრიული ორნამენტით შემკული, ბორბალა ქუსლით, ძირშეღარული, კოპიანი, ანგობზე ფუნჯით მოხატულია მრავალკუთხედების წნული, შიგ წრეებია ღვიძლისფერი საღებავით მოხატული, სალტეები შეღებილია მწვანედ და ყვითლად, გადავლებულია ღია მომწვანო ჭიქური[227]. გვაქვს ასევე მრავალფერად მოჭიქული ჯამები, ფრინველის გამოსახულებით[228] (ტაბ. XLII$_1$); 5. ჯამები (XI-XIII სს.) - ნახევრადდამზადებული, სწორპირიანი, კიდეშეთხელებული, ანგობზე მწვანე ჭიქურიანი საღებავით ხაზოვანი ორნამენტია მოხატული[229]; ან არის გეომეტრიული - რომბული სახე, არეები შეღებილია ღია ყვითლად ან მწვანედ, მაგრამ აღარ არის გადავლებული გამჭვირვალე ჭიქური; ბორბალა ქუსლით, კოპი მოკვეთილია[230] (ტაბ. XLIII$_4$); 6. ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი, თეთრი თიხისგან დამზადებული, ორმხრივ ლურჯად მოჭიქული, მუქი შავი ზოლით მოხატული[231].

მოუჭიქავი ჭურჭელი: 1. ხელადების ყურები (XI-XIII სს.), მრგვალგანივკვეთიანი, პირის კიდესთან მიძერწილი, მოვარდისფრო-ჩალისფერი[232] (ტაბ. XLVI$_1$); 2. ხელადები (XII-XIII სს.) სწორი თხელი ყელით, მუცელგამობერილი, გარედან თეთრი ანგობის თხელი ფენა უსვია და შავი საღებავით მოხატულია ხვია-მარყუჟები, შიგნით

221 სდ. 175
222 სდ. 405
223 სდ. 134
224 სდ. 51
225 სდ. 52
226 სდ. 38
227 სდ. 138
228 სდ. 35
229 სდ. 36
230 სდ. 53
231 სდ. 39
232 სდ. 54

„თვლები“ კი მოწითალო საღებავით[233] (ტაბ. XLV_6); 3. ჯამები ან ბადიები (IX-XI სს.), მოყავისფრო თიხისა, გამურული, კალთაგაშლილი, ოდნავ აწეული კიდით, გარე და შიდა პირი მთლიანად წვრილხაზოვნად მჭიდროდ დაღარული[234]; 4. ქილები (XI–XII სს.) - მოყავისფრო თიხისა, ვიწრო ბრტყელი ბაკოთი, შესქელებული კიდით, ბაკო და გარე პირი ირგვლივ უთანაბრო, გაპრიალებული, წაბლისფერი განივი, გაცვილული ხაზებით[235]; 5. კოკების პირ-ყელის ნატეხები (XI–XIII სს.) - მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხისა, სწორი ყელით, ერთს პირის კიდესთან დაბალი წიბო გაუყვება, მეორეს კი თხელი ჩალისფერი ანგობი უსვია[236]; 6. ქვაბ-ქოთნები (XI–XIII სს.) - სამკუთხაყურიანი, რელიეფურ წიბოზე ინტერვალურად დაძერწილი შვერილი ცრუ ყურებით, პირის კიდე ვიწრო და ბრტყელია[237]; 7. ქოთნის პირ-კედლის ნატეხები (XI–XIII სს.) - სადა, მოყავისფრო-მოწითალო თიხისა. არის გადამწვარიც, ვიწრო ბრტყელი ბაკოთი, გადაწეული პირის კიდით, დაკუწუბოებული[238]; 8. ქვევრები (XI–XIII სს.). ამ დროს უკვე ვხედავთ ბაკოს და ტანის ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყოფას, ე.ი. ბაკო დიდია, ამობურცული ყელი შევიწროვებული და რბილად გადადის ტანის არეში. პირის კიდესთან ამოღარული აქვს ნიშანი[239].

9. სამკუთხა სენაკის ნაშთი. შემდგომი სამუშაოების მიხედვით, აქვე მოიხსნა შიდა ზღუდის №1 ბურჯის ზურგთან მიშენებული პილონებიანი შენობის ფართობში (მე-2 და მე-3 პილონებს შორის) ზემოდან ჩაშენებული სამკუთხა სენაკის კედლების ნაშთი და ნარღვევიც, რიყის ქვის თავიდან (h - 0.90-1 მ-მდე) I ნახშირიან ზოლამდე (ტაბ. XXIV_2, ნახ. 4-5). ამის შემდეგ გაიწმინდა პილონებიანი შენობის არე, აღმოსავლეთიდან სამხრეთის მიმართულებით, შიდა ზღუდის გასწვრივ, ფაქტობრივად I ნახშირიანი ზოლის ქვედა არე, რიყის ქვის დუღაბიანი კედლის თავიდან 1.30-1.50 მ-მდე, ხოლო I ნახშირიანი ზოლიდან ქვევით 0.55 მ-მდე, რაც, ალბათ, II ნახშირიანი ფენის კუთვნილია. ეს ფენა მე-2 პილონის თავიდან 0.70 მ-ზე, ხოლო მე-3 პილონის თავიდან 0.65 მ-ზე დადასტურდა. აქ აღმოჩენილი მასალა მრავალფეროვანია, თუმცა შუაფეოლადური ხანის ნაწარმი[240] IX-X სს-ის ნივთიერ მასალას აჭარბებს. აქ ვხვდებით შემდეგ ნივთიერ მასალას (სდ, NN75-104):

მოქიქული ჭურჭელი: 1. ჯამების პირ-კედლის ნატეხები (IX–X სს.) **-** კეცზე ანგობით მრავალფერად მოხატული, გამჭვირვალე ქიქურით დაფარული, მოვარდისფრო თიხისა, გაშლილი ფართო კალთით, კიდეაწეული, მოხატულია ანგობის ზოლებით ან ხვიებით და ასევეა შერეულად მრავალფერად გაღვრილად მოხატული ღვიძლის-ფრად, სამკუთხედში ჩახატული ირიბი ბადე, ხვიები ან ზოლები და წერტილები, გადავლებულია გამჭვირვალე კრიალა ქიქური[241] (ტაბ. XXXII_4). აქვეა ამავე დროის

233 სდ. 40
234 სდ. 55
235 სდ. 37
236 სდ. 55
237 სდ. 37
238 სდ. 41
239 სდ. 41
240 სდ. 75-104
241 სდ. 95

ჯამები, კეცზე ანგობის თეთრი და ღვიძლისფერი რგოლებით და ხაზებით ფუნჯით მოხატული და მოჭიქული უფერო-გამჭვირვალედ[242] (ტაბ. XXXII_3); 2. ჯამები (IX-XI სს.) - კეცზე ანგობით მოხატული ფოთლების ან სამკუთხედების სახით და მწვანედ მოჭიქული, ძირბრტყელი[243]; 3. ჯამები (IX-XI სს.) - ანგობზე ფუნჯით მრავალფერად გაღვრილად მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, მოვარდისფრო თიხისა, გამოყოფილი ქუსლით, ძირბრტყელი; თეთრ ანგობზე გაღვრილად მოხატული, კიდეზე ღვიძლისფერი ხაზით და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული[244] (ტაბ. XXIX_2); გვხვდება აგრეთვე ანგობზე გაღვრილად მოხატული მუქი ყვითელი, შაბიამნისფერი და ღვიძლისფერი რგოლები და სამკუთხა ხაზები, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული[245] (ტაბ. XXIX_2); ან მოხატული კლაკნილი ზოლებით ასევე გაღვრილად ღვიძლისფერით, ყვითლით და ღია მწვანე საღებავით და ასევე გამჭვირვალედ მოჭიქული[246] (ტაბ. XXIX_1); 4. ჯამები (IX-XI სს.) - ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით მოხატული, მრავალფერადი. ანგობზე მკრთალად ამოკაწრულია სამკუთხა, ჯვარედინა ან მჭიდრო ტალღოვანი სახე, მოხატული გაღვრილად ღია-ყვითლად და მწვანედ, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[247] (ტაბ. XXX_3); 5. ჯამები (XI-XII სს.) - ერთფერჭიქურიანი, სადა, წითელი თიხისა, ფრიალაპირიანი, ანგობზე მოჭიქულია კრიალა ღია მწვანედ[248] (ტაბ. XXXV_3). არის ერთფერჭიქურიანი, ანგობზე ამოკაწრული მოტივით - ხვიების, სამკუთხაფოთლისებური და კლაკნილი ხაზების სახით, ცისფრად მოჭიქული[249]; 6. ჯამები (XII-XIII სს.) - მრავალფერად მოხატული და მოჭიქული. ანგობზე ამოკაწრულია რტო-ყლორტოვანი მცენარეული სახე, შეღებილი მწვანედ, არეები დაწინწკლული ღვიძლისფერით ან ყვითლით, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[250] (ტაბ. XLII_5); ვხვდებით გეომეტრიულ მოტივსაც, ბორბალა ქუსლით, ანგობზე ცენტრში ამოღარულია ორი გადამკვეთი წყვილი ხაზით შექმნილი „ჯვარი“, შეღებილია ღია-მწვანედ, არეებში ჩახაზული პაწია ხვიებით, შეღებილი ყვითლად, გავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[251] (ტაბ. XLIII_4); 7. ქილა (IX-X სს.) - კეცზე გარედან ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ვიწრო კიდით, მცირედ ჩაღარული გარედან, კეცზე მოხატულია ანგობის ფოთლები და მწვანედაა მოჭიქული[252]; 8. ქილების კედლის ნატეხები (XI-XIII სს.) - გარედან ერთფრად მოჭიქული, ანგობზე გარედან ამოღარულია ხვია-მცენარეული ორნამენტი ან ღრმახაზოვნად დაღარული, გარედან ცისფრად მოჭიქული[253]; 9. ჭრაქი (XI-XIII სს.) ნიჟარისებური, წითელი თიხისა, ანგობზე ცისფრად მოჭიქული[254] (ტაბ. XXXIX_5); 10.

242 **სდ. 75, 95**
243 **სდ. 76**
244 **სდ 78**
245 **სდ. 78**
246 **სდ. 77,96**
247 **სდ. 80**
248 **სდ. 97**
249 **სდ. 81**
250 **სდ. 99**
251 **სდ. 100**
252 **სდ. 88**
253 **სდ. 98**
254 **სდ. 101**

სამარილე (IX-XI სს.) მოვარდისფრო თიხისა, დაბალი ბრტყელი ძირით, ძირის წიბო რელიეფური, სწორპირიანი, მწვანედ მოჭიქული[255].

მოუჭიქავი ჭურჭელი: 1. სასმისი (VI-VIII სს.) - მოვარდისფრო თიხისა, თხელკედლიანი, სწორი ყელით, ძაბრისებურად, გადაშლილი პირით; გარედან ორ-ორი ღარის გამო პირის ქვემოთ წვრილი რელიეფური წიბოები იქმნება, შუაში ღრმად ჩაღარული წვრილი ტალღოვანი ზოლით, გარედან უსვია მოთეთრო-ჩალისფერი თხელი ანგობი[256]; 2. ხელადა - სასმისი (XI-XIII სს.) – მოწითალო თიხისა, დაბალი, პატარა, ბიკონუსური, ძირისკენ თანაბრად ვიწრო, ბრტყელი, სწორპირიანი, პირგანიერი, მრგვალი, პაწია ყურის მონატეხით მუცელთან, ტანს ირგვლივ წყვილი ღარით[257]; 3. ხელადა (XII–XIII სს.) - მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხისა, თხელკედლიანი, ყელგანიერი, გარედან თხელ თეთრ ანგობზე შავი საღებავით მოხატული ყვავილოვანი სახეებითა და შავი წერტილოვანი წრეებით[258] (ტაბ. XLV_5). არის ასეთივე ხელადის ძაბრისებური პირ-ყელის ნატეხი, მოთეთრო-ჩალისფერი თიხისა, თხელკედლიანი, ტანზე ემჩნევა შავი საღებავით მოხატვის ნაშთები[259]; 4. დოქები (XI-XIII სს.) - წითელი თიხისა, სწორყელიანი, მრგვალი პირით, კიდეშესქელებული, პირის ირგვლივ რელიეფური წიბოთი[260]. გვაქვს ასეთივე დოქები, მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხისა, სამტუჩა, ყელმაღალი, პირის კიდესთან ირგვლივი რელიეფური წიბოთი, გარედან მოთეთრო თხელი ანგობით დაფარული[261]. ასეთივეა - წუნიც; 5. კოკები (XI-XIII სს.) - მოვარდისფრო-ჩალიფერი თიხისა, განიერი პირ-ყელით, სამტუჩა, პირის ირგვლივ რელიეფური წიბოთი, ყური ოვალურია, სადა [262] (ტაბ. XLVI_5); 6. ქილები (XI-XIII სს.) მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხისა, პირ-კიდე გადაწეული, სადა, ერთი წვრილხაზოვანი ტალღოვანი ზოლი აქვს ყელთან. პირის დიამეტრის მიხედვით მომცრო ზომისა ჩანან[263]; 7. ქოთნები (X–XI სს.) - მოყავისფრო-ნაცრისფერი თიხისა, მცირე პირგადაწეული, მუცელგამობერილი, გარე პირი მთლიანად მჭიდროდ დაღარული წვრილხაზოვნად, ერთს მუცელთან აქვს ტალღოვანი ზოლი[264]; 8. ქვაბ-ქოთნების ყურის ნატეხები (XI-XIII სს.) - სადა, ოვალური, ზურგზე პაწია შვერილი კოპით[265]; 9. დეკორატიული დერგები (XII–XIII სს.) - წითელი თიხისა, მაღალრელიეფური ირგვლივი წიბოთი, ირიბი ღრმა ნაჭდევებით დასერილი, გრეხილი; პაწია მრგვალი ნაჭდევებით - „თვლებით“ შემკული[266]; 10. თონე (XI-XIII სს.) მოწითალო თიხისა, სქელკედლიანი, კიდეწაკვეთილი[267].

255 სდ. 89
256 სდ. 91
257 სდ. 102
258 სდ. 89
259 სდ. 90
260 სდ. 84
261 სდ. 92
262 სდ. 93
263 სდ. 85, 95
264 სდ. 94
265 სდ. 103
266 სდ. 83
267 სდ. 86

მინის ნაწარმიდან აქ ვხვდებით - მწვანე, დაბუშტული მინისგან დამზადებულ ჭურჭლის კედლის ნატეხებს[268].

10. პილონებიანი შენობა, სამხრეთი შიდა ზღუდის ზურგის გასწვრივ. ნალისებური და სამკუთხა სენაკების აღების შემდეგ, გამოიკვეთა შიდა ზღუდესთან მიშენებული პილონებიანი დიდი შენობის ფართობი[269] აღმოსავლეთიდან სამხრეთის მიმართულებით (წყალსადენის ზოლამდე), რომლის ნაშთი დასავლეთ შიდა ზღუდესაც გასდევს, სამხრეთის ზოლთან კი უშუალოდ ებჯინება შიდა ზღუდეში ჩართულ, ჯერ შეუსწავლელ იმ ფართო კარს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ვფიქრობთ, პილონებიანი შენობა, რომელიც ციხის თითქმის 2/3 ნაწილს გარს ერტყმის, ნაშენობით ადრეფეოდალური ხანის გეგმარების კუთვნილი უნდა იყოს, რომელსაც გადაკეთების მკვეთრი კვალი უჩანს თვით XI ს-შიც, ვიდრე ციხის შიდა ზღუდის ზოლის გაუქმება მოხდებოდა, რადგან აქ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უშუალოდ მასზე ჩანს გამართული XII–XIII სს-ის ნასახლარის ნაშთი. პილონებზე კი დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო შიდა არეზე განლაგებულ ნასახლართა განაპირა საბჯენი კედლები. აქ, მცირედ, მაგრამ მაინც ვხვდებით IX–XI სს-ის კერამიკულ ნაწარმს, უმრავლესი კი განეკუთვნება XI-XIII სს-ს.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც აქ ალაგდა ნალისებური და სამკუთხა სენაკების ნაშთები (ტაბ. XXIV_2, ნახ. 5), სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 ბურჯის ზურგთან თვალნათლად გამოიკვეთა პილონებიანი შენობის კუთვნილი 4-5 პილონი. მისი მიმყოლი არეც თანდათან გასუფთავდა, შემოსწორდა დონეებიც (ტაბ. XXI_2). აქ ამოსული მასალა ძირითადად II ნახშირიანი ფენის კუთვნილი უნდა იყოს. აღმოჩენილი მასალა IX–X სს-ისაა, მაგრამ ჩანს XI-XIII სს-ის კუთვნილი ნაწარმიც. მათ შორის გვხვდება:

მოჭიქული ჭურჭელი: 1. ჯამები (IX-X სს.) - კეცზე ანგობით მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, ვარდისფერ ანგობზე მოხატულია თეთრი ანგობისა და ღვიძლისფერი საღებავის რგოლები; არის თხელი ცისფერი ანგობის სამკუთხედებიც, ფუნჯით მოხატული, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[270]. არის აგრეთვე ისეთი ჯამებიც, რომლის კეცზეც ფუნჯით მოხატულია ანგობის რგოლები და ფოთლები, დაღვენთილია მომწვანო ლაქებით, გადავლებული აქვთ გამჭვირვალე ჭიქური[271]; 2. ჯამები (IX-X სს.) - კეცზე ფუნჯით ანგობით მოხატული მრავალფერად გაღვრილი სახეებით, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული; კეცზე გამოსახულია ანგობის ხვიები და სამკუთხედში ჩახაზული მწვანე ბადე, მოხატულია გაღვრილად თეთრი და ღვინისფერი ხაზებით, შემდეგ გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[272]. ასეთ ჯამებს ბრტყელი განიერი ქუსლი აქვთ[273] (ტაბ. XXXI_{2-3}); 3. ჯამები (IX-X სს.) - ანგობზე მრავალფერად გაღვრილად მოხატული ფუნჯით, გამჭვირვალე ჭიქურით

---

268 **სდ. 87**

269 **აღნიშნულ უბანზე, შემდეგ წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ პილონები და რიყის ქვის დუღაბზე ნაგები კედელი მიეკუთვნება ციხის I ზღუდეს და არა რომელიმე ნაგებობას.**

270 **სდ. 127**

271 **სდ. 159**

272 **სდ. 157**

273 **სდ. 157, 158**

დაფარული, მოვარდისფრო თიხისა, დაბალი გამოყოფილი ქუსლით, ძირბრტყელი; ანგობზე გაღვრილად მოხატულია ყვითელი, მწვანე და ღვიძლისფერი რგოლები ან სამკუთხა ხაზები, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[274] (ტაბ. XXXII_5); 4. ჯამები (IX–X სს.) - ანგობით მოხატული, ერთფერჭიქურიანი, კეცზე ანგობის ფოთლები, ხვიები ან სამკუთხედია გამოყვანილი. პირგაშლილი ლამბაქებია ან ჯამები. გადავლებული აქვთ მწვანე ჭიქური[275] (ტაბ. XXXIII_6); 5. ჯამები (X-XI სს.) - ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით ორნამენტირებული, მრავალფერადი; ვარდისფერ ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით შესრულებულია ორნამენტი, გაღვრილად მოხატულია მწვანედ და ყვითლად, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[276]; 6. ჯამები (XI–XIII სს.) - ერთფერჭიქურიანი, პირგაშლილი, კალთაგანიერი, კიდეშეთხელებული, ღვიძლისფერჭიქურიანი[277]; 7. ჯამები (XI-XIII სს.) - მრავალფერად მოხატული და მოჭიქული, გეომეტრიული მოტივით, ბორბალა ქუსლით, ანგობზე ღრმა ამოკაწრული ბადე ჭადრაკულადაა შეღებილი მწვანედ და ყვითლად, გადავლებულია გამჭვირვალე ჭიქური[278]; 8. ქილები (XI-XIII სს.) - გარედან მოჭიქული, წითელი თიხისა, სწორი განიერი პირ-ყელით, ცეცხლში მოხვედრილი, გარედან ცისფრად მოჭიქული[279]; 9. სამარილე (IX–XI სს.) - ჩალისფერი თიხისა, ბრტყელი ძირით, ძირის წიბო რელიეფურია, სწორპირიანი, მწვანედ მოჭიქული[280]; 10. სამარილე (XI–XIII სს.) - წითელი თიხისა, სწორი კედლით, ბრტყელი ძირით, ვიწროკიდიანი, ირგვლივ დაკუწუბოებული[281] (ტაბ. XXXIX_1); 11. ჭრაქი (XII –XIII სს.) - მწვანედ მოჭიქული.

მოუჭიქავი ჭურჭელი: 1. ბადიები (X-XI სს.) - კალთაგაშლილი, ოდნავ აწეული პირით, კიდეშესქელებული, გარედან წვრილხაზოვანი მჭიდრო ღარებით დაფარული[282]; 2. კოკების პირ-ყელის და ყურის ნატეხები (XI-XIII სს.) - სამტუჩა და მრგვალპირიანი, გარედან თითო ჩაღარული ზოლით, სადა ოვალური განიერი ყურებით[283]; 3. ჩაფები (XI-XIII სს.), სამტუჩა, დიდი, განიერი პირ-ყელით; პირს ირგვლივ მაღალრელიეფური წიბოთი, ტანის ირგვლივ წვრილხაზოვანი ბრტყელი სალტით, ყელს ქვემოთ დაბალი ჩაღარული ზოლით, დიდი ყური ძირში ჩაღარულია, გარედან თითქოს მოთეთრო ანგობის თხელი ფენა უსვია[284]. გვაქვს დიდი ზომის ჩაფებიც, მოვარდისფრო თიხისა, მრგვალპირიანი, განიერი მაღალი სწორი ყელით, ირგვლივ წვრილხაზოვანი სალტით, პირის კიდე შესქელებული[285]; 4. ქვაბ-ქოთნები (XI–XIII სს.) - ოვალური მუცლით, დამრეცი წიბოთი, გამოყოფილი პირებით, მუცლის ირგვლივ რელიეფური წიბოები ზოგჯერ ნათი-

274 სდ. 128
275 სდ. 129, 160
276 სდ. 161
277 სდ. 162
278 სდ. 163
279 სდ. 166
280 სდ. 164
281 სდ. 164
282 სდ. 133
283 სდ. 131, 132
284 სდ. 132
285 სდ. 168

თურებითაა გოფრირებული ან ნაჩხვლეტებითაა ჭდეული[286]; 5. ქოთნები (XII-XIII სს.) - სწორი ყელით, დიდი ორყურა, ტანს ირგვლივ წვრილხაზოვანი ტალღური სალტით[287]. გვაქვს ქოთნის კედლის გადამწვარი ნატეხი თუ წუნი[288]; 6. კოჭობი (XI–XIII სს.) - დაბალი, პატარა, სადა, პირგადაწეული[289]; 7. ქვაბის სარქველები (X-XI სს.) - ბრტყელკალთიანი, მოვარდისფრო თიხისა, ზედაპირი ირგვლივ მთლიანად ღრმად დაღარული კიდეკუწუბოიანი, ცენტრში ცილინდრული სახელურით, კალთაზე სამკუთხა ნაჭდევებით[290]; 8. ქვევრები (X–XI სს.) - უყელო, ბაკო განიერი და ბრტყელია, უკან დამრეცი[291], სხვა შემთხვევაში ასეთი ბაკო ოდნავ შიდა პირისკენ არის გაწეული; 9. ქვევრები (XI–XII სს.) - მოვარდისფრო თიხისა, სქელკედლიანი, ბრტყელი ბაკო უკანაა გადაკეცილი და ტანისგან ღარით გამოყოფილი, ბაკოს ირგვლივ მოყვითალო-მოთეთრო ანგობის თხელი ფენა უსვია[292].

მინის ნაწარმიდან შეგვხვდა ჭურჭლის კედლის ნატეხი, მომწვანო მინისა, კოპებიანი[293].

ვფიქრობთ, პილონებიანი შენობის ადრეფეოდალური ხანისათვის მიკუთვნებას გაგვარკვევინებს მომავალი გათხრები, როდესაც ბოლომდე გაიხსნება სამხრეთი შიდა ზღუდის ზოლი, მასში ჩართული №1 ბურჯით და ფართო კარით (№2) თანამდროვე წყალსაქაჩთან.

X X X

ამგვარად, საანგარიშო წელს XI უბანზე ჩატარებულმა ზოგიერთმა კორექტივმა საშუალება მოგვცა რუსთავის ციხე-სიმაგრის ზოგი სამშენებლო ეტაპი კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ გამოკვეთილიყო და არქეოლოგიური განფენები ქრონოლოგიურად დასაბუთებულიყო.

ადრევე გამოიკვეთა, რომ ადრეფეოდალური ხანის ციხის ნაშთები უშუალოდ გამართული ყოფილა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარის ნაშთებზე, რასაც შესატყვისი მასალაც გვიდასტურებს.

ჯერჯერობით ცხადი ხდება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანი ავლენს ფეოდალური ხანის სამ (მათ შორის ორ ძირითად) სამშენებლო ეტაპს:

I. შიდა ზღუდე, ბურჯებითა და ფართო ორი კარით (აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან), ადრეფეოდალური ხანის ციხის გეგმარების მშენებლობის ნიმუშს გვიჩვენებს. ზღუდის აგებულებაში, მის ადრეულობაზე მიგვანიშნებს კედლის წყობაში დიდრონი ქვების ვერტიკალური, აქვე აგურისა და რიყის ქვის ჰორიზონტალური

286 სდ. 170
287 სდ. 130
288 სდ. 135
289 სდ. 169
290 სდ. 134
291 სდ. 138
292 სდ. 138
293 სდ. 126

მონაცვლეობა. ჩანს ძველ კედელ-ზღუდეთა „უყალიბო“ ალიზის შევსებაც[294]. ასევე ჩანს შიდა ზღუდეზე გამართული ალიზების დაკავშირება გაჯის ხსნარზე.

აქვე შეინიშნება ადრეფეოდალური ხანის ორი საფეხურის: VI–VIII და IX-X სს-ის კუთვნილი კერამიკული მასალაც (ძირითადად, შიდა ზღუდის ზოლში ჩართულ ფართო კართა მიმდებარე ადგილებში გაჭრილი საკონტროლო ჭრილების მიხედვით).

შიდა ზღუდის ზოგიერთი ნაწილი, შესაძლოა XI ს-მდეც მოქმედებდა, რადგან მას გადაკეთება-დაშენების (უფრო კი შეკეთების) კვალი ეტყობა. ამას გვისურათებს შედარებით მცირერიცხოვანი, თუმცა შესაბამისი არქეოლოგიური მასალა.

II. გარე ზღუდე, გვირაბიანი კოშკითა და ორივე თაღოვანი კარით, შიდა ზღუდის XI ს-ში გაუქმების შემდგომ, შესაძლოა XII–XIII სს-ში ციხის გეგმარების საფუძვლიან სახეცვლას და აქ ფართო ახალმშენებლობის ეტაპს განეკუთვნებოდეს.

ამ პერიოდის კედლების წყობაში შედარებით მომცრო, ყვითელი ქვის, მეტწილად ოთხკუთხივ აგურით მოჩარჩოებული, ჰორიზონტალური მიმართულება ჭარბობს[295]. თუმცა თაღოვან კართა და გვირაბის მაგალითზე მშენებლობაში მხოლოდ აგურის გამოყენების შემთხვევებიც ჩანს. ამავე ხანას მიეკუთვნება გარე და შიდა ზღუდეების თიხის მასით, ხან ალიზით შევსებაც და ამით შიდა ზღუდის ზოლის გაუქმებაც.

ვფიქროთ, შუაფეოდალურ ხანაში (ალბათ XII-XIII სს.), უმრავლეს შემთხვევში, უფრო მკვეთრად ჩანს კედელ-ზღუდეთა ზოლზე „ყალიბიანი“ ანუ გაჯით დაკავშირებული ალიზის გამართვაც[296]. თუმცა, ზოგ მომდევნო ეტაპზე ამათი გაუქმებაც ჩანს, როცა ნასახლართა ნაშთი სწორედ მასზეა გამართული და გარე ზღუდეს ებჯინება.[297]

ამგვარად, ალიზის მასით (ხან უფორმო, ხანაც კი წყობით) ამოვსებული ჩანს გარე და შიდა ზღუდეებს შორის არე XI ს-ის შემდეგ, ალბათ ზოგადად XII–XIII სს-ში, თანმიმდევრულად, ცხოვრების ეტაპების შესაბამისად. ამ პერიოდის შესატყვისი არქეოლოგიური მონაპოვარი ამ უბანზე, ნასახლართა ფართობის ჩათვლით, ყველაზე მეტია (წამყვანია)[298]. ამ ნაშთთა საბოლოო განადგურება კი XIII ს-ში მონღოლთა შემოსევის დროს ნგრევა-გადაწვას უნდა მიეკუთვნებოდეს.

III. ხანგრძლივი ქრონოლოგიური წყვეტილის შემდეგ, გვიანფეოდალურ ხანაში, მთლიანად ჩანს ციხის ძველი შემოსასვლელის გაუქმება, რადგან ზოგი დროებითი სადგომი მის ნაშთზეა დაშენებული. კერძოდ, აგურით ნაგებ N2 თაღოვან კარში, ძლიერი ნახშირიანი ფენის ზევით, ჩადგმული ჩანს სუსტი წყობის კედელთა ნაწილები. ამგვარი მშენებლობა (შესაძლოა, ნაზარ-ალი ხანის დროისაც – XVIII ს.) ამ უბანზე ინტენსიური არა ჩანს. ძალზე მცირეა შესაბამისი გვიანფეოდალური პერიოდის კერამიკული მასალა, რომელიც მეტწილად არეულია.

---

294 ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ. 1955, გვ. 36-38, 69-70; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ. 1964; О. Щуазиб, История Архитектури, II, 1937, стр. 513 -539.

295 გ. ლომთათიძე, იხ. რუსთავის ციხის 1959-65 წწ. ანგარიშები; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958; ვ. ცინცაძე, თბილისის ძველი არქიტექტურა, თბ. 1959.

296 მ. ჩხატარაშვილი, რუსთავის ციხის სამხრეთ-დასავლეთი ზღუდე, უბანი XIII. 1973 წლის ანგარიში.

297 მ. მიწიშვილი, ლ. ბასიაშვილი, მ. ჩხატარაშვილი, ე. ჯანდიერი, რუსთავის ციხის სამხრეთი ზღუდე, 1972 წლის ანგარიში.

298 ე. ჯანდიერი, იხ. XI -უბნის ანგარიში 1960-1972 წწ.

ძველი ნამოსახლარები რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბანზე

(1972-1973 წწ. განათხარი მასალის მიხედვით)

1972-73 წლებში რუსთავის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოხდა ზღუდის გარშემოწმენდა მის მთელ პერიმეტრზე, ორ ზღუდეთა შორის არსებული ტერიტორიის (აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი ზოლის) გათხრა-შესწავლა, საფორტიფიკაციო სისტემის მეტ-ნაკლებად სრულად გამოვლენა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა გეგმარება, აგრეთვე სტრატიგრაფიული განფენებისა და მათთან მონაპოვარი არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური შესატყვისობით გაანალიზება.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ წინამდებარე გამოკვლევა მიზნად არ ისახავს დანაწევრებული გათხრების შედეგად გამოვლენილი ცალკეული ნაშთების მხოლოდ ფიქსაციას ან მშრალ აღწერილობას, არამედ, ვცდილობთ მათ ერთობლივ განხილვას და გაანალიზებას უკვე მიღებული შედეგების მიხედვით. აქვე მოცემული გვაქვს ნაგებობათა კლასიფიკაცია: როგორც საფორტიფიკაციო სისტემის კონსტრუქციული ხერხების ანალიზი, ისე საერთო ნაგებობათა დანიშნულების მიხედვით შერჩევა, მათი ხუროთმოძღვრული სახის ჩვენების მიზნით. განათხარ ნაგებობათა კლასიფიკაცია ეყრდნობა ნაშთთა სტრატიგრაფიულ განფენებისა და სამშენებლო ხერხების გათვალისწინებით მიღებულ დასკვნებს, რომლის შედეგად მივიღეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭეთა უბანზე აღმოჩენილ ნაგებობათა მშენებლობის, ცხოვრებისა და განადგურების თანამიმდევრული ქრონოლოგიური სურათი.

I შიდა ზღუდე (IX-XI სს.). განათხარი ნაშთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს შიდა ზღუდის ზოლი, რომელიც 1972 წლამდე სხვა განათხარ ნაშთებთან შედარებით მაინც კონტურული სახით დარჩა გამოკვეთილი (დაუმთავრებელი თხრის გამო) (ტაბ. XVIII_{1-2}, XX_{1-2}, XXIII_{1-2}, XXIV_{2}, ნახ. 1, 4). მიუხედავად ამისა, შიდა ზღუდის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი აგებულებით და, რაც მთავარია, მშენებლობის ტექნიკით მყარ მონაცემებს გვაძლევს იმ ქრონოლოგიური საფეხურის დადგენისათვის, რაც ძირითადად განასხვავებს მას გარე ზღუდის მშენებლობის პერიოდისაგან. აქ უთუოდ გასათვალისწინებელია შიდა ზღუდის აგებულება მთლიანად და მისი ხასიათი იმ მონაცემების მიხედვით, რაც ამ დონეზე გათხრით არის გამოვლენილი. მხედველობაში მისაღებია მისი, როგორც ციხის შემომზღუდავი ზოლის თავდაპირველი გეგმის კვალის გამორჩევა ადრეფეოდალური ხანის დასაწყის ეტაპებზე, ისე მისი გადაკეთების და ხელახლა შენების ნიშნების პოვნაც, ამავე ხანის ბოლო ეტაპზე და შუაფეოდალური ხანის დასაწყისშიც, ე.ი.ზოგადად V–XI სს-ში.

ასევე მნიშვნელოვანია საფორტიფიკაციო ნაგებობათა იმ ელემენტების გარჩევა, რომელიც IX-XI სს-ში ამავე ზღუდის კუთვნილია. ასეთად მიგვაჩნია: შიდა ზღუდეში სამხრეთიდან ჩართული №1 დიდი ბურჯი, ორი განიერი არქიტრავული კარი;

მათი აგებულება, ხასიათი, თავისებურება და მოქმედების დროის განსაზღვრა ვიდრე XII ს-მდე, შიდა ზღუდესთან ერთად საბოლოო გაუქმებამდე.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ამ შიდა ზღუდის ზურგში მიშენებული, თანაბარი ინტერვალებით განლაგებული პილონების მშენებლობის ასაკი, როგორც იმ შენობათა კოჭების საყრდენი ატრიბუტებისა, რომლებიც ციხის შიგნით განლაგებულ ნასახლართა ჯგუფს ეკუთვნის, აგრეთვე მოქმედს ადრეფეოდალური ხანის ადრეულ ეტაპზე. აქვე უნდა განისაზღვროს აგურით ნაგები გრძელი შენობის ასაკიც, დანიშნულება და ხასიათი, რომელიც შიდა ზღუდეზე დაშენებული ჩანს ადრეფეოდალური ხანის ბოლო ეტაპზე, ან შუაფეოდალური ხანის დასაწყისში (XI ს.).

ვფიქრობ, აღნიშნული საკითხების გარკვევა-დაზუსტება შესაძლებელი გახდება მომავალი გათხრების გაგრძელებისთანავე. მანამდე კი იმ მონაცემებს დავეყრდნობით, რაც ჯერჯერობით განათხარში ზედა დონის შესატყვისი ნაშთების სახით გვაქვს მოცემული. კერძოდ კი, სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, რითაც საშუალება გვეძლევა დავადგინოთ შიდა ზღუდის ასაკობრივი განსხვავება გარე ზღუდის კუთვნილი ნაშთებისაგან.

შიდა ზღუდის ზოლი (თავისი დიდი №1 ბურჯით) კარით (№1) ჯერ კიდევ 1962 და 1965 წლების განათხარში გამოიკვეთა (ტაბ. IV_1, XVIII_1, იხ. ნახ.1, 4). 1972-1973 წლებში კი ეს ადგილები მით უფრო დაღრმავდა, რაც გარე ზღუდის ზოლის და მასთან დაკავშირებული ნასახლარების ჯგუფი გაითხარა. ამგვარად, უფრო გამოიკვეთა შიდა ზღუდე (ტაბ. XIII_2, XVIII_2, XX_{1-2}, XXIII_{1-2}, XXIV_2), თუმცა კი დონით მისი ნაშთები იმაზე უფრო ღრმა არ უნდა იყოს, ვიდრე გარე ზღუდე, მისი კუთვნილი ნაგებობებითურთ. შიდა ზღუდის სიგრძე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან - ვიდრე გარღვეულ ზოლამდე (წყალსადენთან) 46 მ-ია. ზღუდის საერთო სიგანე (ზედაპირისა) - 0.80-2 მ.

№1 ბურჯი (ტაბ. XX_{1-2}, XXI_1, ნახ. 4) შიდა ზღუდეში ჩართულია სამხრეთიდან (d - 8 მ, R - 5 მ.). ბურჯი მიწის ზედაპირიდან ჯერ მხოლოდ 1.40 მ. სიღრმეზეა გამოვლენილი. მისი პერანგის წყობა არა ჰგავს სამხრეთ და დასავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართულ ბურჯებისა და კოშკების პერანგის წყობას. სამაგიეროდ ძალზე მსგავსია აღმოსავლეთი შიდა ზღუდის ყრუ ბურჯების წყობისა. აქ თითო აგურით შემოჩარჩოებული, შედარებით მომცრო ზომის ყვითელი ქვიშაქვის ჯიშის კვადრები უხეშად თლილია, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ამ ბურჯის ზედა ნაწილი XI ს-შიც საფუძვლიანად შეუკეთებიათ, რამაც შუაფეოდალური ხანის დამახასიათებელი „ხელწერა“(?) დაამჩნია მანამ, სანამ XII ს-თვის ეს ზოლი ბურჯითურთ გაუქმდებოდა, დაიხურებოდა. ხოლო უფრო ძველი, IX-X სს-ის დროინდელი პერანგის წყობა, შესაძლოა უფრო ქვედა ფენებში, ძირში ჰქონდეს შერჩენილი, რაც მხოლოდ მომავალი გათხრებისას, ამ ბურჯის ირგვლივი ზოლის დარღმავებისას გამოირკვევა. მაგრამ ახლა, განათხარის ზედა დონის მიხედვით, მხოლოდ იმას ვხედავთ, რომ ბურჯის თავზე გამართულ ალიზის „თავის“ ნარჩენში, უკვე შუაფეოდალურ ხანაში (XII–XIII სს.) დაშენებულია რიყის ქვით ნაგები ნასახლარის ნაშთი და თონე (ტაბ. XXIV_2, ნახ. 4). ამით გაუქმებული ჩანს შიდა ზღუდის ზოლი თავისი ბურჯით XII ს-ის დასაწყისისთვის.

მაშასადამე, ამ ადგილებში შიდა ზღუდე მოქმედი ჩანს IX-XI სს-ში, ხოლო XI ს-ში

ზღუდის თავებს და ბურჯის პერანგსაც (ზედა დონის მიხედვით) შეკეთების ძლიერი კვალი ემჩნევა.

სამხრეთ-აღმოსავლეთი შიდა ზღუდის №1 ალაყაფის კარი. იმავე შიდა ზღუდის ზოლში, აღმოსავლეთ კუთხიდან ჩართული აღმოჩნდა დიდი კარი: მასიური პილონებით, საურდულეთი, ზღურბლით და ფილაქვით მოგებული იატაკით (ტაბ. IV_1, VII, XI_{1-2}, ნახ. 1). კარი არქიტრავული სისტემისა უნდა ყოფილიყო. მისი ზღურბლი და გასასვლელი სივრცე, როგორც ჩანს, მომდევნო ეტაპზე - XII ს-დან გადაკეტილა, რადგან გასასვლელში ჩადგმული იყო მაღალი, რიყის ქვით მკვიდრად ნაგები, სქელი კედელი (ტაბ. III_2, V_{1-2}, VIII_2, X_{1-2}, XIII_1, ნახ. 4), რომლის წყობაში აქა-იქ ჩაშენებული იყო აშკარად მეორადი გამოყენების თეთრი ჩუქურთმიანი ქვები, ადრეფეოდალური ხანის ვოლუტებიანი სვეტისთავი (ტაბ. V_1). ეს ჩამკეტი კედელი თავის მხრივ ჩრდილოეთიდან ფარგლავდა აგურფენილ იატაკიან ფართო ტალანს, რომლის გასწვრივ, მომდევნო ხანაში - XII-XIII სს-ში აგებული აგურის ორი კამაროვანი კარი ჩაუშენებიათ (ეს უკანასკნელნი კი გასასვლელს ხსნიდნენ აღმოსავლეთის ორ ზღუდეს შორის (არხის მხრიდან)). აქ ჯერჯერობით მთავარი ის არის, რომ შიდა ზღუდის ფართო კარში ჩადგმული იყო XII საუკუნეში აგებული დიდი რიყის ქვის კედელი, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ შიდა ზღუდე თავისი ფართო კარიბჭითურთ (№1) - XI ს-ის შემდეგ გაუქმებულა, საერთოდ დახურულა, რადგან აქ უკვე სხვა სისტემის გარე ზღუდე აგებულა - XII–XIII სს-ში მოქმედი გვირაბიანი კარიბჭითურთ და აგურის კამაროვანი ღიადებით.

ამ საკვანძო ადგილებში ძველი ალაყაფის კარის უკეთ გამოვლენის პროცესში XII ს-ის ტალანის გაფართოება-შესწორების, ნაშალისაგან გაწმენდისა და აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 კოშკის შიდა პირზე, შერჩენილი ჭრილის ჩამოხსნის შემდეგ მთლიანად გამოჩნდა ტალანის სიპი ფილაქვებით მოგებული იატაკი (ტაბ. VII_2, ნახ.4). ამგვარად, გამოირკვა, რომ XII ს-ის ფართო ტალანის კუთვნილი აგურფენილი იატაკის (ორივე თაღოვან კართა კუთვნილიც) ქვეშ კიდევ ყოფილა უფრო ადრეული ეტაპის კუთვნილი სხვა იატაკი - სიპი, ბრტყელი, დიდრონი ფილაქვებით მოგებული. ამ უკანასკნელის ნაწილი ადრინდელ, 1962-1965 წლების განათხარშიც ჩანდა, მაგრამ ახლა მთლიანად გამოვლინდა. ამის გამო, აუცილებელი გახდა, იმ ჩამკეტი რიყის ქვის კედლის ნაშთის აღებაც (ტაბ. V_1, VII_2), რომელიც ძველი კარის გადაკეტვა-გაუქმების მიზნით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართულ №1 დიდი კარის ზღურბლზე იყო საგანგებოდ ჩაშენებული.

ამგვარად, ეს განიერი №1 კარი გეგმარებითა და ნაშენობითაც ძალზე ჰგავს იმავე შიდა ზღუდეში სამხრეთიდან ჩართულ დარღვეულ №2 კარს. თავის დროზე, შესაბამის ანგარიშებში, მითითებული გვქონდა, რომ აღმოსავლეთი და სამხრეთი შიდა ზღუდის ეს ორივე ფართო კარი (რომლებიც გეგმარებითა და ნაშენობითაც[299] მკვეთრად განსხვავდებიან გარე ზღუდის თაღოვან კართაგან), შესაბამისი პარალელებისა და აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალითაც - ადრეფეოდალური ხანის IX-X სს-ის

[299] **ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია; ადრეფეოდალური ხანის არქიტექტურა, თბ.,1955, გვ. 36. О. Шуази, История архитектуры; Архитектура ранного средневековья, т. II, М.-Л., 1937, стр. 15.**

კუთვნილ ნაშენობას უნდა წარმოადგენდეს, და ამდენად, ვფიქრობთ, ფილაქვის იატაკიც ამ კართა თანადროული უნდა იყოს[300]. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, ადრეფეოდალური ხანის ციხის ეს ფართო №1 კარიბჭე XI ს-შიც ყოფილა გამოყენებული, რადგან შეიმჩნევა მისი პილონების საფუძვლიანი შეკეთება. ხოლო ამის შემდეგ, XII ს-ში ხდება ზედა ზღუდის ზოლის ერთობლივი გაუქმება-ჩაკეტვა დამატებითი „ღობეებით“. არქიტრავული განიერი კარის საბოლოოდ გაუქმების შემდეგ უნდა მომხდარიყო გარე ზღუდის თაღოვან კართა და გვირაბიანი კარიბჭის აგება-მოქმედება XII-XIII სს-ში.

ამგვარად, აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 ფართო კარის ჩრდილო კოლონის გასუფთავებისას, თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთი ჭრილის მიმყოლ არეზე აღმოჩენილი მასალა[301], უთუოდ უნდა ეკუთვნოდეს შუაფეოდალური ხანის რიყის ქვის ჩანაშენ კედელს, როგორც ძველი კარის ჩამკეტს. №1 ალაყაფის კარის ქვაფენილიანი იატაკის დონეზე, რიყის ქვის ჩამკეტი კედლის მოხსნის შემდეგ, კარის ზღურბლთან, სამხრეთი პილონის ძირში აღმოჩენილი წამყვანი მასალა, თუმცა შუაფეოდალური ხანისაა (მაგ. „სვასტიკის“ გამოსახულებიანი ნახევრად-დამზადებული ჯამი[302], დეკორატიული დერგები, ქილები და სხვ.), მაგრამ აქვე გვხვდება ადრეფეოდალური ხანის კუთვნილი ნიმუშებიც: IX-X სს-ის მოვარდისფრო თიხის თხელკედლიანი სასმისის პირი[303], X-XI სს-ის ქვევრები და სხვ.

ამგვარად, ქვაფენილიანი და მოკირწყლული იატაკის დონეზე და მის გაგრძელებაზე (დასავლეთისკენ - ორმოების არეზე) აღმოჩენილი მასალა, დონეების არამდგრადობის გამო, შედარებით ადრეული გვეჩვენება, სადაც შუაფეოდალური ნაწარმი ჭარბობს[304]. ზოგი მათგანი აღმოჩენილია ამ ფართო №1 კარის სამხრეთი პილონის გასწვრივაც, კირხსნარიან იატაკში ჩაჭრილი ორმოების დონეზე[305]. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ადრეფეოდალური ხანის კარის ზღურბლში ჩაშენებული ჩამკეტი კედელი და მასთან მიმდებარე კირხსნარიან იატაკში ამოჭრილი ორმოები უკვე მომდევნო ხანაში - XII-XIII სს-ში გაჩენილა კარის გაუქმების შემდეგ. აქ მოპოვებული მასალა ამ ჩანაშენთა კუთვნილია და არა ციხის IX-X სს-ის ფართო კარისა. ასე მტკიცდება №1 კარის ადრეულობა. მისი მოქმედების ხანა განისაზღვრება IX-XI სს-ით, როცა ჯერ არ არსებობდა გარე ზღუდე, არც №2 კოშკი ფართო ტალანში, არც აგურით ნაგები ერთმანეთში გამავალი ორი კამაროვანი კარი და არც ჩანაშენი რიყის ქვის კედელი მასთან მიმდგომი სამოსახლოს კუთვნილი სამეურნეო ორმოები - რომელიც პირდაპირ კარის ზღურბლთან არის ჩაჭრილი ძველი ალაყაფის კარიდან გამომავალ კირხსნარიან „ქუჩაში“.

ბუნებრივია, IX-XI სს-ში კარი და მისი მიმდებარე არე ზღურბლითურთ,

300 **იხ. ე. ჯანდიერი, რუსთავის ციხის გვირაბიანი კარიბჭის უბანი (თხრილი XI), ხელნაწერი ანგარიშები 1962, 1965, 1972-73 წწ. განათხარის მიხედვით (თეზისები გამოქვეყნებულია გ. ლომთათიძის ანგარიშებში).**

301 **04–73–342-344**

302 **04-73-354**

303 **04-73-383**

304 **04-73-382-387**

305 **04-73-401-402**

რომელსაც ციხის შიდა ტერიტორიაზე შემოვყავართ, თავისუფალი უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი ჩანაშენი, ზედმეტი კედლებისაგან, რათა მოძრაობისთვის ხელი არ შეეშალა.

შიდა ზღუდეზე დაშენებული შენობები. შიდა ზღუდეზე დაშენებული ნაშთების აღწერილობას ჩვენ ქვემოთ თანმიმდევრულად მოვიყვანთ და დონეთა შესაბამისობის მიხედვით შევეცდებით მათ ასაკობრივ გარჩევასაც:

შენობა №15 - სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე და შიდა ზღუდეების შერწყმის კუთხესთან, შიდა ზღუდის ტერასულ ზოლზე დაშენებული აღმოჩნდა აგურითა და გაჯის ხსნარით ნაგები №15 შენობა, რომელიც მთლიანად მოიცავს კვადრატებს: D^1_{2-3} – E^1_3 – F^1_3 – G^1_3 და გრძელდება აღმოსავლეთ კუთხისკენ - აგურით ნაგები შენობისაკენ (ნახ. 5). სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლზე დაშენებული ამ შენობის საძირკველი ჯერ არ გამოვლენილა, მაგრამ მისი კირიანი ნანგრევი თავის გადაწმენდისას (40-60 სმ. სიღრმეზე) შუაფეოდალური ხანის მასალა ჭარბობდა. ასეთია: ცისფრად მოჭიქული ჯამის პირის ნატეხი[306], ზოგი - ამოკაწრულორნამენტიანიც[307]; მწვანედ მოჭიქული ჯამის ძირი[308]; მინის ჭურჭლის ნატეხები[309]; არის ცისფერი ფაიანსის ნატეხიც[310]. აქვეა მრავალფერადი ჯამის ნატეხები[311]; თეთრი თიხის ხელადის პირ-ყელი[312] და სხვ.

გადაიწმინდა ამ შენობის ქვედა, ალიზიანი კედლის თავიც, რაც უთუოდ შიდა ზღუდის ალიზის მასას წარმოადგენს. ეს შენობა, თავის მხრივ შიდა ზღუდის №1 ბურჯის აღმოსავლეთ ფრთაზე ნაწილობრივ გადადის, ხოლო ეს აგურით ნაგები №15 შენობის ზოლი უწყვეტად უერთდება 1961-1962 წლებში გამოვლენილ ოთხკუთხა, აგურით მოპირკეთებულ №3 შენობას, რომელიც გვირაბიდან ამომავალ ვიწრო ტეხილ ტალანს ფარგლავს.

შენობა №3. საფიქრებელია, რომ ეს კუთხეებმომრგვალებული და აგურით მოპირკეთებული შენობა, თავის მხრივ, შესაძლოა, წარმოადგენდეს შიდა ზღუდეში ჩართულ უძველეს ოთხკუთხა კოშკის ზედა ნაწილს, რომელზედაც ალიზის „თავი“ - მასა ყოფილა დაშენებული (ტაბ. XV_2). მომდევნო ხანაში, როცა თავდაპირველმა (V-VI სს.) ოთხკუთხა კოშკებმა, საფუძვლიანი სახეცვლა განიცადა ალბათ მისი ალიზისთვისაც აგურით მოპირკეთებული ფასადი ამოუყვანიათ. თუმცა, ამ შეკეთების ასაკს მანამდე ვერ გამოვარკვევთ, ვიდრე შიდა ზღუდის ზოლი აქ ბოლომდე არ გაიწმინდება.

პილონებიანი შენობა. შიდა ზღუდის სამხრეთ ზოლში განათხარი ნაშთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს ზღუდის ზურგთან მიშენებული საკმაოდ მოზრდილი პილონებიანი შენობაც, რომელიც, ჩანს, უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ის ნაშთები, რაც მასზეა დაშენებული. პილონები ერთმანეთისგან თანაბარი ინტერვალებით - 4 მ-ით არის დაშორებული. ასეთი პილონები განათხარში, შიდა ზღუდის ზურგში, ჯერჯერობით ხუთია შენიშნული (ტაბ XXI_2, ნახ. 1). როგორც ირკვევა,

306 **რ-72- 6711**
307 **რ-72- 6716**
308 **რ-72- 6715, 7231**
309 **რ-72- 6713-14**
310 **რ-72- 6717**
311 **რ-72-6718-19**
312 **რ-72- 6719**

პილონებიანი შენობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი მისი „თავები“, კედლის ზედა ზოლი და მასში ტეხილი მუხლი ანუ „მარყუჟი“ აგურით და აქა-იქ ჩასმული ყვითელი კვადრებით არის მოპირკეთებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ უძველესი შენობა XI ს-ში შეკეთებული და საფუძვლიანად სახეცვლილია. შენობის საძირკველი ჯერ არ გამოვლენილა. დამწვარ-ნახშიროვანი ზედა I ფენის ზოლი ამ ნაშთების თავებთან გადის. ვიმედოვნებთ, რომ პილონებიანი შენობის ასაკი შემდგომი შესწავლის შედეგად გამოირკვევა. ახლა კი გაგახსენებთ, რომ XII-XIII სს-ის კუთვნილ ნასახლართა ნაშთების ერთი ნაწილი - სამკუთხიანი №9 და ნალისებრი №7 სენაკები სწორედ, ამ პილონებიანი შენობის ფართობში, მის ზურგებთან არის ჩაშენებული (ტაბ. XXIV_2, ნახ. 5). როდესაც აქ ჩაშენებული ნალისებრი და სამკუთხიანი სენაკების ნაშთი ავალაგეთ, გამოიკვეთა შიდა ზღუდის ზურგთან მიშენებული ზემოხსენებული პილონებიანი შენობის ფართობიც - აღმოსავლეთიდან-სამხრეთის მიმართულებით (წყალსადენის ზოლამდე).

ამ შენობის ნაშთი დასავლეთ შიდა ზღუდესაც გასდევს, სამხრეთ ზოლთან კი იგი უშუალოდ ებჯინება შიდა ზღუდეში ჩართულ, მაგრამ ძლიერ დაზიანებულ ფართო, არქიტრავულ №2 კარს.

ვფიქრობთ, პილონებიანი დიდი შენობა, რომელიც ციხის თითქმის 2/3 ნაწილს შიდა მხიდან გარს აკრავს, ნაშენობით ადრეფეოდალური ხანის გეგმარების კუთვნილი უნდა იყოს, რომელსაც გადაკეთების მკვეთრი კვალი ემჩნევა თვით XI ს-შიც, მანამდე, ვიდრე ციხის შიდა ზღუდის ზოლის გაუქმება მოხდებოდა, რადგან უშუალოდ მასზე ჩანს გამართული XII-XIII სს-ის ნასახლართა ნაშთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. პილონებზე კი დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო ციხის შიდა არეზე განლაგებულ ნასახლართა განაპირა, საბჯენი კედლები, კოჭები.

აქ მცირედ, მაგრამ მაინც ვხვდებით IX-X სს-ის კერამიკულ ნაწარმს. უმრავლესი კი განეკუთვნება XI-XIII სს-ს (1972-73 წლების მონაპოვრის მიხედვით).

ამგვარად, მას შემდეგ, რაც აქ მოირღვა ნალისებრი და სამკუთხიანი სენაკების ნაშთები, თვალნათლივ გამოიკვეთა სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში ჩართული №1 ბურჯის ზურგთან განლაგებული შენობის 4-5 პილონი და მისი მიმყოლი არეც თანდათან გასუფთავდა, შემოსწორდა დონეებიც (ტაბ. XXI_2). მასალის უმეტესობა IX-X სს-ისაა და ძირითადად II ნახშირიანი ზოლის კუთვნილი უნდა იყოს[313] (ტაბ. XXXI_{2-3}, XXXII_5, XXXIII_6); აქ არის კეცზე ფერადი საღებავებით მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები[314]; ასევე კეცზე მრავალფერად, გაღვრილად მოხატულ-მოჭიქული ჯამები[315]; ანგობზე მრავალფერად გაღვრილად მოხატული ფუნჯით[316]; კეცზე ანგობით ფუნჯით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამები[317] (ტაბ. XXXIII_6); ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით ორნამენტირებული, მრავალფერადი ჯამები[318] - X-XI სს-ის

313 **04-73-126-138, 157-173**
314 **04- 73-127,159**
315 **04-73-127, 157-8**
316 **04-73- 128**
317 **04-73- 129,160**
318 **04-73- 161**

კუთვნილი და სხვ. ჭურჭლის სხვა ჯგუფი ტიპურია XII-XIII სს-ის ნაწარმისა, რომელნიც უთუოდ ზედ დაშენებულ ამავე ხანის №7 და №9 სენაკების კუთვნილი უნდა იყოს და არა პოლონებიანი შენობის წარმოშობის ხანისა.

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ პოლონებიანი შენობის ადრეფეოდალური ხანისთვის მიკუთვნებას და მით უფრო, მისი თავდაპირელი წარმოშობის ასაკს, მომავალი გათხრები გაგვარკვევინებს, როდესაც ბოლომდე გაიხსნება სამხრეთ შიდა ზღუდე - მასში ჩართული №1 ბურჯით და №2 ალაყაფის ფართო კარით (თანამედროვე წყალსადენთან).

ტეხილი მუხლი ანუ „მარყუჟი“ შიდა ზღუდეში. შიდა ზღუდეში №1 ბურჯის დასავლეთ ფრთასთან იქ, სადაც ამ ზღუდის დასავლეთი გაგრძელება აფეთქებულია XX ს-ში ჩადგმული შენობისა და წყალსადენის გამო, გამოიკვეთა ტეხილი მუხლი ანუ „მარყუჟი“ (ტაბ. XXIII_{1-2}). იგი ვიწროა, სწორკუთხოვანი, მთლიანად ნაგებია კირხსნარზე რიყის ქვით და აგურით. ტეხილი სივრცის შიგნითა სიგანე 0,90 მ-ია, სიგრძე - 1-2 მ, „მარყუჟის“ კედლის სისქე - 0,80 მ. მისი შიდა, ჩრდილოეთისკენ მიმართული პირი შელესილიც ჩანს, ხოლო გარე სამხრეთისკენ მიმართული პირი წარმოადგენს ტერასული აგებულების შიდა ზღუდის კუთვნილ ზურგს. ამ უკანასკნელზე უშუალოდ მიბჯენილია ქვედა ტერასაზე გამართული ალიზის კედლის მასა.

ამ ადგილებში შიდა ზღუდე, როგორც გარე, ისე შიდა მხრიდან, XX ს-ის 40-იან წლებში ჩაშენებული წყალსაქაჩის რკინა-ბეტონის ნაგებობით ძლიერ დაზიანებულია. შიდა ზღუდის ზურგთან მიშენებული, თანაბარ ინტერვალებად განლაგებული პილონები, სწორედ აქ, ტეხილ მუხლთან („მარყუჟთან“) წყდება და შემდეგ ისევ გრძელდება ციხის მთელ ტერიტორიაზე სამხრეთი და დასავლეთი ზოლის გასწვრივ. შიდა ზღუდის ეს ტეხილი მუხლი მოხვედრილია C^1_{2-3} კვადრატების არეზე (ტაბ. XXIII_{1-2}, ნახ. 5). შიდა ზღუდის ტეხილი მუხლის გამოვლენისას, კედლის ნანგრევ-ნაშალში, კედლის ზედაპირიდან 0.40-0.90 მ. სიღრმეზე I (ზედა) ნახშირიანი ზოლის გასწვრივ, დანახშირებულ ნიადაგში შეინიშნა შუაფეოდალური ხანის ნაწარმის რამდენიმე ნიმუში და XIII ს-ის მონეტა[319] (ტაბ. LVI_5). სპილენძის მონეტა უცხო იერის, ბრტყელქუსლიან დამღიან ჯამთან ერთად არის ნაპოვნი[320]. ჯამის შიდაპირზე თეთრ ანგობზე ფუნჯით არის მოხატული ყავისფერი ბადე, დაწინწკლული და შემდეგ მოყვითალო ჭიქურით დაფარული (ტაბ. XXXVI_1). იერით და დამღით ეს ჯამი არ არის ადგილობრივი ნაწარმი და აშკარად შემოტანილია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოხატულობის ტექნიკით, მოყვანილობით და სხვა ნიშნებით, იგი შესაძლოა, X-XI სს-საც ეკუთვნოდეს და აქ მისი მოხვედრა ალბათ, ფენების აღრევით უნდა იყოს გამოწვეული. აქვე, უმეტესად ვხვდებით შუაფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელ ადგილობრივ ნაწარმთა სხვა ნიმუშებსაც. მათ შორის აღსანიშნავია: ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამის ნატეხები[321] (ტაბ. XXXV_6); მრავალფერადი ნაღვენთებიანი ჯამები[322]. მწვანედ მოჭიქული სამარილის

[319] **მონეტა (რ- 72- 6818) განსაზღვრა ირ. ჯალაღანიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.**
[320] **რ-72-6815**
[321] **რ-72- 6735, 6816, 7015, 7044**
[322] **რ-72-6735**

ნატეხები[323]. არის მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამის სამი ნატეხი[324] (XLI_1); გვხვდება მინის ჭურჭლის ნატეხებიც[325].

მოუჭიქავი ჭურჭლიდან აღსანიშნავია: თეთრი თიხის თხელკედლიანი გაპრიალებული ნატეხები[326], ზოგი ზედაპირდაღარული[327]; კოპიანი ჭურჭლის, წერტილოვანორნამენტიანი ნატეხები[328]; სარქველის და ქოთნის ნატეხები[329]; კოკის პირყელები[330]; დერგის ნატეხები - ორნამენტიანი[331]; წერნაქიანი ჭურჭელი[332] და სხვ. აქვეა კრამიტი[333] და რკინის ფირფიტები[334].

ტერასული აგებულების შიდა ზღუდის ნარღვევი ზედ გამართული ალიზის კვალით. სამხრეთით, შიდა ზღუდე თანამედროვე წყალგაყვანილობის მილებითაა გარღვეული. იგი მოქცეულია B^1_3-$C^1_{2,3}$-D^1_3 კვადრატებში. სწორედ ამ ადგილას, ნაშალის აღების შემდეგ, გამოირკვა შიდა ზღუდის აგებულების პრინციპი. ფაქტობრივად ამ გარღვეულ ადგილებში გახდა შესაძლებელი თვალი გაგვედევნებინა შიდა და გარე ზღუდეების კედლის აგებულებაში ქვის წყობის ხასიათისათვის, იმ განსხვავებული პრინციპისათვის, რამაც საბოლოოდ მიგვანიშნა გარკვეული სამშენებლო ეტაპების მონაცვლეობაზეც.

აღმოჩნდა, რომ შიდა ზღუდის შემორჩენილი ნაშთი ტერასული აგებულებისა ყოფილა. ზურგი დიდი ყვითელი კვადრებითა და აქა-იქ შესწორებული აგურებით არის ნაგები. სწორედ, მის ზურგს უკან, მთელ ზოლზე განლაგებულია ზემოხსენებული პილონები. ზღუდის ფასადი კი რიყის ქვის მკვიდრი წყობისაა, ხოლო ზედ ტერასაზე გამართულია ქვიშის თხელი ფენის შრეებით მკრთალად გამოყოფილი ყვითელი ალიზის კვადრებით ნაშენი სქელი კედლის ზოლი (ტაბ. XXII_{1-2}). როგორც ჩანს, ასეთი სისტემით - უტიხროდ წყობილი ალიზები გაჯის ხსნარიან ალიზებთან მონაცვლეობით ციხის კედლებს ირგვლივ მთლიანად გასდევდა. საინტერესოა, რომ ტერასული ტიპის შიდა ზღუდის კედლის პირიც მობათქაშებული ყოფილა. ამგვარი სახით გასქელებული შიდა ზღუდის საერთო სიგანე ამ ადგილებში 2-3 მ-ია.

ტერასული აგებულების შიდა ზღუდის ნარღვევის თავზე გამართული, ალიზის სქელი, მასიური კედლის ნაშალის გადაწმენდისას, რომელზედაც მომდევნო ხანაში (ალბათ, XI-XII სს-ში) დაშენებული ყოფილა №15 აგურით ნაგები შენობაც, სამხრეთ-დასავლეთ გაწყვეტილი პირიდან, დაახლოებით 0.50-1.50 მ-ის სიღრმეზე, მოვიპოვეთ ადრეულიდან შუაფეოდალურ ხანაზე გარდამავალი ნაწარმის რამდენიმე ნიმუში. უმეტესი ნაწილი მაინც XII-XIII სს-ის ზედა ფენების კუთვნილი მასალა ჩანს

323 **რ-72-6817**
324 **რ-72-6736, 6809, 6816**
325 **რ-72-6807-08, 7043**
326 **რ-72- 6737, 6804)**
327 **რ-72-6817,7045,7129**
328 **რ-72- 6739**
329 **რ-72-6804**
330 **რ-72-7010**
331 **რ-72- 7013**
332 **რ-72-7129**
333 **რ-72-6740, 7010**
334 **რ-72-6806**

(ალბათ, მომდევნო ეტაპზე შიდა ზღუდის თავზე გამართული შუაფეოდალური ხანის ნასახლართა კუთვნილი). მათ შორის აღსანიშნავია: ცისფრადმოჭიქული გორგოლაჭი[335], მწვანედ მოჭიქული სამარილე[336], მწვანეჭიქურიანი ჯამი[337]. მრავალფერადი, ნახევრადდამზადებული ჯამის ნატეხები[338], მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამის ნატეხები[339]. მოუჭიქავი ჭურჭლიდან აღსანიშნავია: რუხად გამომწვარი ქოთნის პირ-გვერდი[340], - ყველა XII-XIII სს-ის კუთვნილია, მაგრამ აქ შერეული ჩანს უფრო ადრეული, კერძოდ, გარდამავალი ეტაპის X-XI სს-ის კუთვნილი ნაწარმიც. მაგ: მოჭიქული ჯამის ნატეხი მკრთალი ამონაკაწრებით, ფერადი ლაქებით შემკული[341] და სუფთად განლექილი მოვარდისფრო თიხის ხელადის ყური[342]. ამას გარდა, ფენათა აღრევას (შიდა და გარე ზღუდეების აფეთქებას, თანამედროვე დროის წყალსაქაჩის ასაგებად) უნდა მივაწეროთ აქ უფრო ძველი ნიმუშების მოხვედრაც. ასეთია: წყლისებური ორნამენტით დაფარული თეთრი თიხის ჭურჭლის კედლის ნატეხი[343].

შიდა ზღუდის სამხრეთი ფასადი. ტერასული აგებულების შიდა ზღუდეზე გამართული ალიზის მასიური კედლის გასუფთავებას შემდგომ თანდათანობით მოჰყვა ქვედა - ფასადური (სამხრეთი პირის) გამოვლენაც. ამისათვის აუცილებელი იყო გარღვეული ფერდობის ნაყარისაგან განთავისუფლება. გაწმენდის შედეგად გამოვლინდა შიდა ზღუდის სამხრეთი - რიყის ქვის წყობით მკვიდრად ამოყვანილი პირი, რომელსაც თითქმის მჭიდროდ ებჯინება XX ს-ის 40-იან წლებში ჩადგმული წყალსაქაჩი შენობა. სწორედ ამ უკანსკნელის აშენებამ გამოიწვია ციხის როგორც გარე, ისე შიდა ზღუდეების ძლიერი დაზიანება. შიდა ზღუდის სამხრეთი რიყის ქვით ამოყვანილი ფასადური პირის ნარღვევი ამ ადგილებში მოიცავს B^1_{2-3} – C^1_{2-3} კვადრატებს (ტაბ. XXII_1, ნახ. 4).

აქ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა შიდა ზღუდის აგების პრინციპი (ფასადური სამხრეთი პირის მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლეა 1.30-1.50 მ.): გამოირკვა, რომ ქვედა ტერასაზე სამხრეთი კედლის ფასადური პირი ამოყვანილი ყოფილა 6-7 ჰორიზონტალურად წყობილი რიყის ქვის მკვიდრი რიგებით (ტაბ. XXII_1), ხოლო ზურგის უფრო მაღალი, მაგრამ ვიწრო კედელი ნაგებია დიდი ყვითელი ქვის კვადრებით და აქა-იქ შერეულად ჩასმული აგურებით. მათ შორის არე, ანუ თავი მთლიანად შევსებული ყოფილა ყვითელი (ქვიშის შრეებზე წყობილი) ალიზის სქელი კედლის მასით. სავარაუდოდ 0.80 მ. სისქის კედლის ზოლი ზურგში (ნაგები დიდი ყვითელი კვადრებით და აგურით) უფრო ძველი, V-VI სს-ის თავდაპირველი ზღუდის ნაშთი შეიძლება იყოს; მით უფრო თუ გავითვალისწინებთ მის უკან (ზურგში) თანაბარ ინტერვალებად

335 **რ-72-7229**
336 **რ-72-7229**
337 **რ-72-7412**
338 **რ-72-7229**
339 **რ-72-7412**
340 **რ-72-7413**
341 **რ-72-7450**
342 **რ-72-7449**
343 **რ-72-7449**

განლაგებულ პილონების არსებობასაც, რომელიც შიდა ზღუდეს ნახევარ პერიმეტრზე მაინც გასდევს სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხიდან მოყოლებული ვიდრე ჩრდილო-დასავლეთით ციხის კუთხემდე. ამ ვარაუდის დამტკიცებას მომავალი გათხრები ცხადჰყოფს. რაც შეეხება მის წინ აგებულ 2 მ. სისქის, სამხრეთის კედლის ფასადურ (რიყის ქვით ამოყვანილ) პირს, თავზე გამართული ალიზის სქელი მასით, იგი ალბათ IX-X სს-ის კუთვნილი ზღუდის ზოლი უნდა იყოს. ამ უკანასკნელს, როგორც ირკვევა, თავის მხრივ მთლიანად მოუცავს, ანუ დაუფარავს უკან მდგარი თავდაპირველი და უძველესი V-VI სს-ის ზღუდის ვიწრო ზოლი.

საფიქრებელია, რომ IX-X სს-ში ციხის ზღუდის ხელახალი მშენებლობის დროს, შიდა ზღუდე გაუმკვიდრებიათ და გაუსქელებიათ დაახლოებით 3 მ-მდე, რის შედეგადაც მან ტერასული ხასიათის აგებულება მიიღო.

აქვე უნდა აღინიშნოს ის მეტად ანგარიშგასაწევი გარემოებაც, რომ ორივე შიდა ზღუდე (V-VI და IX-X სს-ის ნაშთი) თავის მხრივ ჯერ მნიშვნელოვნად შეუკეთებიათ XI ს-ში, ხოლო მომდევნო XII ს-ში კი საერთოდ გაუუქმებიათ, დაუხურავთ გარე ზღუდის დამოუკიდებელი ზოლის მშენებლობის დროს. ამის გამო, გარე და შიდა ზღუდეებს შორის არსებული დაახლოებით 4-5 მ-იანი სიგანის სივრცე მთლიანად ამოვსებულია ალიზის უფორმო მასით, მაგრამ ეს მოხდა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, უკვე XII-XIII სს-ში. ამ აფეთქებული შიდა ზღუდის ფასადური პირის გამოვლენისას, რა თქმა უნდა, მოვიპოვეთ სათანადო მასალაც, მაგრამ აფეთქების გამო მასალა აღრეულია: გვხვდება ადრეფეოდალური და შუაფეოდალური ხანის მასალაც, რაც, რა თქმა უნდა, კონკრეტულად აქ არსებული მშენებლობის ნაშთების დასათარიღებლად ვერ გამოდგება.

ასეთ შემთხვევაში, შიდა ზღუდის სამშენებლო ეტაპებს ჩვენ ვადგენთ თვით მშენებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. კერძოდ - ვითვალისწინებთ და ვაანალიზებთ ნაგებობათა სტრატიგრაფიულ განლაგებას; აგრეთვე კედლის აგებაში ქვის წყობის ხასიათს, მით უფრო, თუ ისინი აშკარად განსხვავებულ ნიშნებზე მიგვითითებენ და ამით შესაძლებელი ხდება სხვადასხვა დროის კუთვნილი გარკვეული პრინციპების დადგენაც. ამ მხრივ, აქ აშკარად ჩანს განსხვავებული წყობა, როგორც V-VI სს-ის თავდაპირველი შიდა ზღუდის ზოლში, ისე - მეორადი IX-X სს-ის შიდა ზღუდის ზოლში, რომ აღარაფერი ვთქვათ XII-XIII სს-ის კუთვნილ გარე ზღუდის აგებულებაზე.

ეს სხვაობა, კონკრეტულად, შემდეგში გამოიხატება: I - შიდა ზღუდე (V-VI სს.) ვიწრო, 0.80 მ-იანი ზღუდის სახით გვევლინება, ზურგში ჩაშენებული თანაბარინტერვალებიანი პილონებით. აქ უმეტესად შეიმჩნევა დიდი, ყვითელი კვადრების მჭიდროდ ერთმანეთზე მიწყობა, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ჩასმული ქვების მონაცვლეობით, რომელთა რიგებს, ასე ვთქვათ, „ასწორებს“ ერთი ან ორი აგურის ზოლი. ამგვარად, წამყვანია თლილი ქვის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური წყობით მონაცვლეობა, აგური კი ბევრად ნაკლებია და რიგთა თარაზულად შემასწორებლის როლში გამოდის.

II - შიდა ზღუდე (IX-?? სს.) საშუალო ზომის ყვითელი ქვის კვადრებით ნაგები,

უფრო სქელი, 2 მ-იანი სიგანის ზღუდის სახით გვევლინება, სადაც ადრეფეოდალური ხანის ქვის წყობის მახასიათებელი ნიშნებია შენარჩუნებული (ე.ი. ყვითელი კვადრები ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მონაცვლეობაშია ერთმანეთთან), მაგრამ აქვე ჩანს შერეული წყობაც, ანუ ძველთან შედარებით, აქ მეტდაა გამოყენებული რიყის ქვა და აგური. ამასთან, რიყის ქვა აგურთან ერთად მონაწილეობს ჰორიზონტალური რიგების შექმნაში. ამგვარად, ყვითელი ქვის რიგების ზემოთ ჩანს ჯერ რიყის ქვის თითო პირი (ზოლი), ხოლო რიყის ქვის ზემოთ კი - ასევე, აგურის თითო რიგით წყობილი ზოლი. აქ უფრო ჭარბად შეინიშნება აგურისა და რიყის ქვის შერევა ყვითელი კვადრების რიგთან ანუ ე.წ. პოლიგონალური წყობა.

ამგვარი სახით ნაგებ ქვის კედელს თავზე ადგას ალიზის სქელი კედლის მასა. თავის მხრივ, ქვის კედლის თავების ალიზით შევსებაშიც ჩანს მონაცვლეობა: ყოველი კონტრფორსის ან კოშკის შემდეგ იცვლება ალიზის წყობის ხასიათიც; ერთ შემთხვევაში - ალიზის კვადრები წყობილია ქვიშის თხელ ფენაზე (რის გამოც მკრთალი ზოლები ჩანს და მიწისგან თითქმის არ განირჩევა), მეორე შემთხვევაში - ქვის კედლის თავზე გამართული არის ალიზის კვადრები - წყობილი გაჯის ხსნარზე (რაც მკვეთრად ჩნდება მოჩარჩოებული ბუდეების სახით). ჩვენ შემთხვევაში - ქვის კედლის თავზე გამართული ალიზის კვადრები ნაწყობია ქვიშის თხელ ფენაზე.

ამას გარდა, სხვაობა ვლინდება სტრატიგრაფიულადაც: II შიდა ზღუდემ მთლიანად დაფარა (ე.ი. მისმა ალიზის კედელმა დაფარა) თავდაპირველი შიდა ზღუდე - I ფასადური პირი; ამგვარად მოიცვა ძველი ნაშთებიც და ციხის ზღუდე საგრძნობლად გამკვიდრდა, გასქელდა 3 მ-მდე, ზურგით მიებჯინა შიდა ზღუდე I ვიწრო ზოლს და ამით, მთლიანობაში, ტერასული აგებულების ხასიათი მიიღო. II შიდა ზღუდის განადგურება კი XI ს-ს უნდა მიეწეროს, რადგან მთლიანად I და II შიდა ზღუდეების გაუქმება-დახურვას მოჰყვა სრულიად ახალი, დამოუკიდებელი, გეგმითაც და მშენებლობის პრინციპითაც განსხვებული გარე ზღუდის აგება XII ს-ში.

რაც შეეხება XII ს-ში გარე ზღუდის მშენებლობის პრინციპს, თავის მხრივ, მასაც ემჩნევა ძველისაგან განსხვავებული ხერხი. ეს შემდეგში გამოიხატება: ყვითელი კვადრები უკვე მომცრო და უხეშად თლილია, ოთხკუთივ შემოჩარჩოებული თითო აგურით. ამას გარდა, აქ წამყვანია შენობების აგება მთლიანად აგურით. მაგ. გვირაბიანი კარიბჭე და ტეხილ ტალანში ჩართული ორი ერთმანეთში გამავალი კამაროვანი კარი, შიდა ზღუდეზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში №15 აგურით ნაგები შენობა და №3 სენაკის აგურით მოპირკეთებული ტალანი.

ისევ დავუბრუნდეთ შიდა ზღუდის რიყის ქვით ამოყვანილი სამხრეთი პირის გამოვლენას. ზემოთ ვთქვით, რომ, აფეთქების გამო, მასალა არეულია, ფენები არამდგრადია და ამიტომ შენობათა ნაშთების დათარიღება შევძელით ზემოაღწერილი განსხვავებული მშენებლობის პრინციპებისა და წესების, მშენებლობაში ქვის წყობის ხასიათის გათვალისწინების საფუძველზე.

მონაპოვარ მასალაში, სადაც ზედა ფენებიდან მოხვედრილი შუაფეოდალური ხანის XII-XIII სს-ის ნაწარმიც არის, გვხვდება IX-X და X–XI სს-ის კუთვნილი ნიმუშებიც. კერამიკული მასალის დამოუკიდებელი კლასიფიკაცია და შედარება სხვა განათხარ

პარალელურ მასალასთან, საფუძველს გვაძლევს ამა თუ იმ ნიმუშის მიკუთვნებას გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურთან. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კონკრეტულად აქ აღმოჩენილ მასალაში უმრავლესი მაინც ადრეფეოდალური ხანის ნაწარმი ჩანს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს არა სტრატიგრაფიულად, არამედ განყენებული კლასიფიკაციით დადგენილი ნორმებით, მასალის ეს ჯგუფი მივაკუთვნოთ IX-X სს-ს და დავუკავშიროთ ამავე საუკუნეების შიდა ზღუდე II არსებობის ხანასაც.

ამგვარად, აქ აფეთქებული შიდა ზღუდის სამხრეთის ფასადური რიყის ქვით ამოყვანილი პირის გამოვლენისას შეგვხვდა შემდეგი ნიმუშები: IX-X სს-ის კეცზე მოხატული და მოჭიქული ჯამის ნატეხი[344]; თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამი[345]; წითელპრიალა ჭურჭლის ნატეხი[346]; თეთრი თიხის გაპრიალებული, თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხი[347]; შიგნით და გარეთ წვრილხაზოვნად დაღარული შავი ქოთანი[348]; შავად გამომწვარი ქოთნის ნატეხი, მოკლე, ბრტყელი ყურით[349]. XI-XIII სს-ის მწვანედ მოჭიქული ჯამის ნატეხი[350]; ცისფრად მოჭიქული ჯამი[351]; ცისფერჭიქურიანი ქილის ნატეხი[352]; XI-XII სს-ის მრავალფერადი, ფრინველის გამოსახულებიანი ჯამი[353] ; XII-XIII სს-ის მოუჭიქავი ჭურჭლის პირ-ყელი, ფართო ყელგამოყვანილი და ვიწროყელიანიც[354]; დიდი ზომის წითელი თიხის ჭურჭელი[355]; ყვითელი ანგობით დაფარული, წითელწერნაქიანი ჭურჭელი[356] და სხვ. ქვევრი[357] და კრამიტი[358].

ამგვარად, შიდა ზღუდის აგებულება და ხასიათი ჩვენ ძირითადად გავარკვიეთ და დავათარიღეთ ისევ მშენებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. მხედველობაში მივიღეთ I და II შიდა ზღუდის სტრატიგრაფიული განლაგება და ამავე დროს კედლის წყობაში ქვის წყობის მახასიათებელი ნიშნები.

სამხრეთი გარღვეული შიდა ზღუდის №2 კარი (?). განათხარი ნაშთების გარკვევაგაანალიზებაში ერთგვარი სიახლე შეიტანა შიდა ზღუდეში ჩართული №2 კარის ნანგრევის აღმოჩენამ[359], მაგრამ გათხრების შეწყვეტის გამო მისი ბოლომდე გათხრა-გამოვლენა ვერ მოხერხდა. ამიტომ, აქ კარს მაინც ვარაუდით ვგულისხმობთ. თუმცა, გარკვეული ნიშნების გამო იგი ჯერჯერობით მაინც კარის სახით წარმოგვიდგენია.

№2 კარი მოხვედრილია A_{3-4}-B^1_4 კვადრატებში (ნახ. 5), სადაც თანამედროვე

344 **რ-72- 7342**
345 **რ-72-7384**
346 **რ-72-7383**
347 **რ-72-7406; 7477**
348 **რ-72-7383**
349 **რ-72-7477**
350 **რ-72-7342, 7407**
351 **რ-72-7404**
352 **რ-72-7490)**
353 **რ-72-7384)**
354 **რ-72-7382**
355 **რ-72-7402**
356 **რ-72-7403**
357 **რ-72-7492**
358 **რ-72-7491**
359 **იხ. შენიშვნა 80, ამავე კრებულის 79 გვერდზე.**

წყალსაქაჩის შენობის გამო ბოლომდე მორღვეული ჩანს გარე ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი, შიდა ზღუდე კი თითქმის საძირკვლამდეა დარღვეული. სავარაუდო კარი №2 შიდა ზღუდის ნანგრევის გასწვრივ (ხსენებულ ტერასულ) კედელშია ჩართული. იგი ჯერჯერობით, შედარებით მომცროა, ვიდრე ისეთივე ფართო კარი №1 აღმოსავლეთი შიდა ზღუდის კუთხეში, მაგრამ უფრო უძველესი კარი (№2) კონტურების სახითაა გამოვლენილი. ამ უკანასკნელს კლდეში ნაკვეთი ზღურბლიც უჩანს (აქვე ამოღებული საკონტროლო ჭრილიდან).

დარღვეული შრეების გასუფთავების შემდეგ აღმოჩნდა, ამ კარის პილონების თავზე გადამავალი II შიდა ზღუდის (ე.ი. IX-X სს-ის) ნანგრევი ზოლი, ზედ გამართული ალიზის კედლის მასით. ხოლო თავის მხრივ, შიდა ზღუდის ამ ნარღვევზე გამართული ჩანს (აგრეთვე წყალსადენის გაყვანილობისაგან დანგრეული) შუაფეოდალური ხანის კუთვნილი რიყის ქვით ნაგები ნასახლარის ნაშთი - №19 კედლის სახით. ასე რომ, აქ თითქმის ყველა დონისა და ხანის დანაშენი იმდენად ძლიერ (საძირკვლამდეა) არის დაზიანებული, რომ მოცემულ ეტაპზე (დაუმთავრებელი გათხრების გამო) მაინც ძნელი გასარკვევი დარჩა - ეს არის კარი, თუ არა .... თუმცა ჯერჯერობით კი კარად მიგვაჩნია; გამორიცხული არაა, რომ აქ საქმე გვქონდეს უძველეს, ანუ ადრეფეოდალური ხანის დასაწყისის ნაგებობასთან (V-VI სს-ის კუთვნილი კარის, ან ეგებ ოთხკუთხა კოშკის ნარღვევთან?). როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია - IX-X სს-ში მას გადაკეთების და ხელახლა გამოყენების კვალი ეტყობა.

აღმოჩენილი ნაშთების ანალიზის საფუძველზე ისიც შევნიშნეთ, რომ გეგმარებით ეს ახლადგამოვლენილი, შიდა ზღუდის სავარაუდო №2 კარი ისეთივე ყოფილა, როგორიც დღეს გვაქვს ამავე უბნის ძველ განათხარში - აღმოსავლეთ შიდა ზღუდეში ჩართული №1 კარის სახით, ოღონდ ეს უკანასკნელი ბევრად უკეთაა შემონახული, ვიდრე ახალგამოვლენილი №2 კარი. ამ სავარაუდო №2 კარს შიდა ზღუდეში 1.10 მ. სიმაღლემდე შემორჩენილი დიდრონი ყვითელი კვადრებით ნაგები, ორი მკვიდრი პილონი უჩანს. ხოლო კლდეში ნაკვეთი მისი ზღურბლი დავინახეთ №19 ნასახლარის კუთვნილ დარღვეული რიყის ქვის კედლის ქვეშ 1.80 მ. სიღრმეზე ამოყვანილი საკონტროლო ჭრილის საშუალებით. ჭრილი ამჟამად ისევ მიწით არის ამოვსებული. ვფიქრობთ, მომავალში ამ ფართობის გათხრა გადაუდებელი ამოცანაა. ჯერჯერობით კი ისე გამოდის, რომ სამხრეთიდან ციხეს ადრეფეოდალურ ხანაშივე ჰქონია შიდა ზღუდეშივე ჩართული კიდევ ერთი - №2 კარი, მაგრამ უფრო მომცრო, ვიდრე ასეთივე №1 კარია აღმოსავლეთიდან.

სავარაუდო №2 სამხრეთი კარის გვერდითა პილონებს და მის გასწვრივ გრძელ (შიდა) კედლებსაც თავზე შერჩენილი აქვთ ყვითელი ალიზის კედლის სქელი ფენა. ალიზის კვადრები დაწყობილი ჩანს ქვის კედლებზე ქვიშის ხსნარის ნარევით: მას მკრთალი განივი და შვეული შრეები ემჩნევა.

ამგვარად, ჩანს, რომ IX-X სს-ის უძველეს (შესაძლებელია V-VI სს-ის) ნაგებობის თავზე (შესაძლოა №2 კარზე) გაუმართავთ სხვა ზღუდე თავისი კუთვნილი ალიზით (ამ შემთხვევაში - შიდა ზღუდე II). მათი საბოლოო განადგურება კი XI ს-ში სელჩუკთა შემოსევას უნდა მიეწეროს. ამ ნაშთების ადრეფეოდალური ხანისათვის მიკუთვნებას,

ნაგებობათა შენების ტექნიკისა და წესის გათვალისწინების გარდა, მხარს უჭერს სათანადო მასალაც. მათ შორის ჭარბობს შიშველ კეცზე ფერადი საღებავებით მოხატვის ტექნიკა, ნაღვენთებიანი ჯამები მკრთალი ნაკაწრებით, ან ანგობის ხვიებით მოხატული მწვანე ჯამები და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც, ისევე როგორც სხვაგან, შუაფეოდალური ხანის ნაწარმი არეულია და უმრავლესი, წამყვანი ტიპების მიხედვით ვცდილობთ ამ ნაშთების მიკუთვნებას IX-X სს-ისთვის.

№2 სავარაუდო კარის პილონების გასუფთავებისას აღმოჩნდა გარდამავალი ხანის - X-XI სს-ის მასალა: მინის ჭურჭლის ყური[360]; ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამი[361]. V-VIII სს-ის მოთეთრო-ჩალისფერი თიხის ნატეხები, ზედაპირგაპრიალებული[362] და ისეთივე თიხის ჭურჭლის ყელ-კედლის ნატეხები[363]; XI-XII სს-ის კუთვნილი ცისფრად მოჭიქული ჯამის ნატეხი[364]. XII-XIII სს-ის მრავალფერადი ჯამის ნატეხები, ფრინველის ფრთის ნაწილით[365], ქილის პირის ნატეხები მოწითალო თიხისა[366].

ამგვარად, ადრეფეოდალური ხანის სამხრეთის შიდა ზღუდეში ჩართულ სავარაუდო №2 კარს, აღმოსავლეთის შიდა ზღუდის №1 კარის მსგავსად, ასევე ამ უბანზე არსებულ ადრეული ხანის ნაგებობებს, მკვეთრად ეტყობა გადაკეთება-დაშენების კვალი, როგორც IX-X სს-ში, ასევე თავის მხრივ IX-X სს-ის ნაგებობათა ნაშთებს - XI ს-ის ჩათვლით, რის შემდეგაც შიდა ზღუდე თავისი ელემენტებით: ბურჯებით, კოშკებით, კარიბჭეებით - საბოლოოდ დახურულა და გაუქმებულა.

ასე დაიხურა შიდა ზღუდის №2 კარიც (შესაძლოა V-VI სს-ის ნაგებობა) – IX ს-ისთვის; ხოლო ზედ გამართული ზღუდის ახალი ზოლი (ალიზიანი - IX-X სს-ის მშენებლობა) კი მასში ჩართულ №1 ბურჯთან ერთად IX ს-ის მიწურულისთვის გაუქმდა. ამათგან შიდა ზღუდის მხოლოდ გარკვეული ნაწილების მოქმედებაღა ჩანს XI ს-ში. მაგ: აღმოსავლეთის შიდა ზღუდის №1 კარისა, რომელიც აგრეთვე საბოლოოდ გაუქმდა XII ს-დან. შესაძლოა, XII ს-ის დამდეგისათვის ციხის ტერიტორიის გაფართოებასა, ან საერთო გეგმის ცვლასთან დაკავშირებით, ციხის მესვეურნი ცდილობდნენ ძველი ზღუდეების ან კარიბჭეების ჯერ გამაგრებას ან გადაკეთებას, ხოლო შემდეგ კი საერთოდ გაუქმებას, რადგანაც სამოსახლო კვარტლების გაზრდა თავისთავად საჭიროებდა ახალი - გარე ზღუდის აგებასაც და ამით ციხის მკვიდრად დაცვას. ამ ვარაუდს, ჩვენი აზრით, ისიც ამაგრებს, რომ გარე და შიდა ზღუდეების სივრცე ალიზით ამოვსებული ჩანს უკვე XI ს-ში სელჩუკთა შემოსევის შემდეგ, უფრო კი XII ს-ის დამდეგისათვის, ვიდრე რამდენიმე ფენის ნასახლარი არ გაიმართა მასზე თვით XIII ს-ის ჩათვლით. ამგვარად, ეს ადგილები ამოვსებული ჩანს უკვე გარე ზღუდის კუთვნილ სამოსახლოთა გამაგრება-განმტკიცების მიზნით. ამიტომ გაუქმდა შიდა ზღუდეც, ბურჯებიც, კოშკებიც და ციხეში შემოსასვლელი კარიც. ამის შემდეგ, ზოგი

360 **რ-72-7495**
361 **რ-72-7427**
362 **რ-72-7486**
363 **რ-72-7494**
364 **რ-72-7427**
365 **რ-72-7488**
366 **რ-72-7487**

ძველი ნაშთი საომარ სათავსოდ გადაუკეთებიათ, აუშენებიათ დამატებითი წინა ღობე და სიმაგრენი, და მთლიანად ციხის ახალი - XII ს-ის გარე ზღუდე, რომელიც თავის მხრივ დაინგრა მონღოლთა შემოსევის შედეგად.

საკონტროლო ჭრილი გარღვეულ შიდა ზღუდის ზურგში. მუშაობის საბოლოო ეტაპზე, ნაგებობათა ნაშთების სტრატიგრაფიული გარკვევისა და მასალის შესაბამისობის მიზნით აფეთქებულ შიდა ზღუდის ზურგში, დარღვეულ №19 სენაკის რიყის ქვის კედლის ძირში ამოვიღეთ 4 მ^2 ფართობის მქონე და 3 მ. სიღრმის საკონტროლო ჭრილი (კვ. B^1_{-3}) ტაბ. XXIV_1, ნახ. 5)). ამ ტერიტორიაზე ჯერ არ არის შენიშნული V-VI და X-XI სს-ის კუთვნილი ნასახლარები, თუმცა საკონტროლო ჭრილის საშუალებით დადასტურდა ადრეფეოდალური ხანის კუთვნილი სამოსახლოს შესაბამისი მასალა, სადაც უმთავრესად მოუჭიქავი თეთრი თიხის ჭურჭელი ჭარბობდა.

ჭრილიდან ამოღებული მასალა - ზევიდან ქვევით, შრეების თანამიმდევრობით, შემდეგნაირად დალაგდა: სულ ზედა შრეში, კედლის ნარღვევის საძირკვლის ქვეშ, შეინიშნა II ნახშირიანი ზოლის კუთვნილი მასალა, სადაც X-XI სს-ის მოხატულ-მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშებიც ერია[367]. უფრო ქვევით კი ამგვარი ფაქტურა საერთოდ აღარ ჩანდა. იყო მხოლოდ მოუჭიქავი, თეთრი და მოვარდისფროპრიალა თიხის ჭურჭელი (III-IV ნახშირიანი ზოლის კუთვნილი - V-VIII სს.). ხოლო, თითქმის გრუნტზე აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კუთვნილი მასალა (შავპრიალა ჭურჭელი - V შრე).

გამოირკვა, რომ II ნახშირიანი ზოლის სისქე 0.40 მ-ია, კედლის ნარღვევის თავიდან კი საერთო - 1.10 მ. სიღრმეზე ამოღებული მასალა: უანგობოდ, მოყავისფროდ მოჭიქული სამარილე[368], შიშველ კეცზე ფერადი საღებავებით მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები[369], მრავალფერადი ნაღვენთებიანი ჯამები[370], ანგობის მარყუჟებით მოხატული მწვანე ჯამები[371] (ტაბ. XXXIV_2) და სხვ. უმთავრესად IX-X სს-ის ფარგლებში თავსდება[372]; ოღონდ მკრთალი ნაკაწრებით შესრულებული ნაღვენთებიანი ჯამები[373], მწვანე პრიალაპირიანი ჯამები[374] (ტაბ. XXXIII_2, XXXV_3) და სხვ. შესაძლოა X და XI ს-ის I ნახევრამდეც ავიდეს. ამ შემთხვევაში, ჩვენ არ გამოვრიცხავთ ადრეფეოდალური ხანის სამოსახლოს ნაშთთა განადგურებას XI ს-ში.

მოუჭიქავი ჭურჭლიდან აღსანიშნავია: დაბალი ყელით, ჭდეებით და ტალღური ორნამენტით შემკული მოყვითალო თიხის გამურული დიდი ქოთნის ნატეხები[375] (ტაბ.

---

367 **I ნახშირიანი ზოლი ჩვენ მიერ შენიშნული სტრატიგრაფიით საკონტროლო ჭრილში არ ითვლება, რადგან მას შეესაბამება ზედა ფენის - შუაფეოდალური ხანის - XII-XIII სს-ის ნასახლართა ნაშთი, გათხრილ ფართობზე და მათ შორის №19 სენაკის კედელიც.**

368 **რ-72-7542, 7547**

369 **რ-72-7546**

370 **რ-72-7544-46**

371 **რ-72-7543**

372 **მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, თბ., 1969, ტაბ. I, IV-V.**

373 **რ-72-7544-46**

374 **რ-72-7540-41, 7547**

375 **რ-72-7560**

XLVIII$_1$); ქარსნარევი მოყვითალო თიხის ქოთნები, დაბალყელიანი, მოკლე ყურით, გვერდითი შვერილებით, კოპებით, მხარს ირგვლივ ტალღური ორნამენტით[376] (ტაბ. L$_2$). ნაცრისფერი და ყვითელი თიხის ქარსნარევი ქოთნის კედლები, ჭდეული და მჭიდრო ხაზოვანი ორნამენტით და ზოომორფულშვერილებიანი ყურებით[377] (ტაბ. XLVII$_2$) - უმთავრესად X–XI სს-ის კუთვნილად მიგვაჩნია. აქვეა, ამავე გარდამავალი ხანის გაპრიალებული ჭურჭლის ნატეხები, მოყვითალო და მოვარდისფრო თიხისა, სქელკედლიანი[378], ბრტყელძირიანი[379]. ჭურჭლის უმეტესობა მჭიდრო, წვრილტალღოვანი და ხაზოვანი ორნამენტით არის ირგვლივ დაღარული, ფერადი, თიხა უმთავრესად გაპრიალებულია[380]. გვხვდება მოვარდისფრო თიხის დიდი სადღვებელი, გარედან ხაზოვანი და ტალღური ორნამენტით შემკული, ბრტყელი ყურით და გახვრეტილი გვერდით[381]; არანაკლები რაოდენობით გვხვდება ბრტყელი ღობიანი და ღარიანი კრამიტებიც[382]. II შრეს შეესაბამება მასალა: რ-72-7538-75.

საინტერესოა, რომ ჭრილის მომდევნო III შრემ (სისქით 0.35 მ.) 1.80-2.15 მ. სიღრმეზე, რომელსაც აგრეთვე, სათანადო ნახშირიანი ზოლი შეესაბამება, მოგვცა უმეტესად VIII ს-ის კუთვნილი მასალა თეთრი წვრილტალღოვანი წყლისებური ორნამენტით, თხელკედლიანი კოპიანი ფინჯნებისა და სხვათა სახით[383]. ორი ნატეხი ურევია მხოლოდ უანგობოდ მოჭიქული (ჩალისფერი და მწვანე) პაწია ფიალებისა[384] (ტაბ. XXXIII$_1$) და ერთიც - მწვანე მინის ნადნობი[385].

ეს მასალა ძირითადად აღმოჩნდა ჭრილში გამოკვეთილი შიდა ზღუდეში ჩართული №2 სავარაუდო კარის ზღურბლის გასწვრივ. აქვე ეგდო, აშკარად ადრეფეოდალური ხანის კუთვნილი, მოყვითალო თიხის, მაღალღობიანი დიდი ზომის შეღებილი კრამიტები[386]. ხოლო ჭრილში გამოკვეთილი კარის ზღურბლის ქვეშ ეგდო: სუფთად განლექილი მოთეთრო-მოყვითალო თიხის მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხები[387], მოვარდისფრო ყურიანი ხელადის ნატეხები[388] (ტაბ. XLVI$_4$). გვხვდება მოწითალო თიხის ზედაპირგაპრიალებული ჭურჭელიც[389] და უმეტესად - წყლისებურორნამენტიანი ფინჯნების ან ხელადის ნატეხები[390]. გვაქვს მოშავო თიხის, ღრმად ამოკვეთილი ბადისებურორნამენტიანი კოჭობის პირ-კედლის ნატეხი[391]. III შრეს შეესაბამება მასალა: რ-72-7576-97.

376 **რ-72-7562**
377 **რ-72-7563**
378 **რ-72-7538-39**
379 **რ-72-7566**
380 **რ-72-7567**
381 **რ-72-7570**
382 **რ-72-7569**
383 **რ-72-7577-8**
384 **რ-72- 7576**
385 **რ-72-7579**
386 **რ-72-7580-81**
387 **რ-72-7587, 7590**
388 **რ-72-7589**
389 **რ-72-7592**
390 **რ-72-7593**
391 **რ-72-7588**

მომდევნო, IV ნახშირიან შრეს შეესაბამება მთლიანად მოუჭიქავი, თეთრი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ერთი ნაწილი შესაძლოა, შეეფარდებოდეს აგრეთვე, VII-VIII სს-ის ნაწარმს[392] (ტაბ. XXV_{3-4}), ნაწილი კი უფრო ადრეულებსაც, მაგ. გვიანანტიკურ-ადრეფეოდალურ ხანას - IV-VI სს-ს. ამ უკანასკნელს შეესაბამება შემდეგი ნიმუშები: მოვარდისფრო პრიალა თიხის თხელკედლიანი, ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი ხელადა[393] (ტაბ. XXV_1) და სქელი ლანგრის პირ-გვერდები[394] (ტაბ. $XXV_{2,5}$) - პარალელურ მასალასთან შედარების მიხედვით, IV შრეს შეესაბამება მასალა: რ-72-7598-7613.

და ბოლოს, V ნახშირიან შრეში (სისქე - 0.30 მ.) 2.80-3 მ. სიღრმეზე გრუნტამდე მოთავსდა შავპრიალა ყავისფერი თიხის დიდრონი ჭურჭლის ნატეხები: ჭდეულ-ამოღარული, ხან რელიეფური ორნამენტით შემკული, რომლებიც რუსთავის ციხის სხვა უბნებისა და ზოგადად საქართველოს სხვადასხვა ძეგლების განათხრებიდან ცნობილი პარალელური მასალის მიხედვით, მიეკუთვნა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანას. როგორც ჩანს, ეს ფენა ქვეშ უძევს ადრეფეოდალური ხანის ნაშთებს, რომელზედაც შემდგომ ადრეული და შუაფეოდალური ხანის საცხოვრისი წამოიმართა. ამ არქაულ ხანას - V შრეს შეესაბამება მასალა: რ-72-7614-7632.

განხილული ნაშთების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდა ზღუდე თავისი აგებულებით, კონსტრუქციით, მშენებლობის ხერხებით, ქვის წყობის ხასიათითა და სტრატიგრაფიულადაც ადრეფეოდალური ხანის ორი უმთავრესი საფეხურის მშენებლობის პროდუქტია: 1) – V-VI სს. - შიდა ზღუდე I, ოთხკუთხა კოშკების მქონე; 2) - IX-XI სს - შიდა ზღუდე II, მრგვალი კოშკებისა და ტერასული აგებულების ზღუდის მქონე, ზედ გამართული ალიზით.

შიდა ზღუდე I პერანგში ქვის წყობის ხასიათი მის ადრეულობაზე მიგვანიშნებს დიდი ყვითელი კვადრები ვერტიკალურის ჰორიზონტალურთან შეფარდებითაა წყობილი; ე.ი. შერეული, პოლიგონალური წყობა ამ შემთხვევაში აგურის თითო ზოლითაა შესწორებული. შიდა ზღუდე II ტერასული აგებულებისაა, ზედ გამართული ხაკისფერი ალიზის მასით, რომლის შრეებში ქვიშის თხელი ფენის ოდნავ შესამჩნევი ზოლები გამოირჩევა. ამგვარად, თლილი ქვის კვადრების და აგურის შერეულ წყობაზე გამართულია ალიზის მასიური კედელი. ასეთია შიდა ზღუდე II აგებულება და ხასიათი IX-XI სს-ში.

ასეთივე ხასიათი უჩანს შიდა ზღუდის №1 დიდ კარსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი XI ს-შიც შეკეთებული სახით მოქმედი იყო, რადგან აქ მასიურ პილონთა მშენებლობაში უფრო ჭარბად ჩანს გაჯის ხსნარზე წყობილი აგურის გამოყენება. იმავე შიდა ზღუდის ზოლში სამხრეთიდან (წყალსადენისაგან გარღვეულ ზოლში) გამოკვეთილია მეორე, ძლიერ დაზიანებული, №2 კარის კონტურები კლდოვანი ზღურბლით, ისეთივე არქიტრავული აგებულებისა, როგორიც შენიშნული იყო აღმოსავლეთ კუთხეში.

ამგვარად, შიდა ზღუდის ზოლში ჩართულია ორი არქიტრავული განიერი კარი, რომელთაგან ერთი (აღმ. კუთხეში) უკეთაა შემორჩენილი, ხოლო მეორე (სამხრ.

392 **რ-72-7599-7603**
393 **რ-72-7612**
394 **რ-72-7604, 6712**

კუთხეში) - ძლიერ დაზიანებულია. ამ უკანასკნელის აგების ასაკი ვარაუდით შესაძლოა ადრეფეოდალური ხანის ადრეული საფეხურით - ეგებ V-VI სს-ით განისაზღვროს, მაგრამ ამას შემდგომი ძიება გამოარკვევს. ჯერჯერობით კი, აქ აღმოჩენილი მასალით, ქვის წყობის ხასიათით და აგებულებით შიდა ზღუდე (№1 ბურჯით და №1 განიერი კარით აღმოსავლეთ კუთხეში) IX-XI სს-ის მშენებლობისა და მოქმედების ხანას განეკუთვნება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შიდა ზღუდის მოქმედების დროინდელი, ე.ი IX-XI სს-ის კუთვნილი ნასახლარების კვალი ჯერჯერობით ნათლად არ არის გამოვლენილი განათხარში, რადგან მასზე დაშენებულია უფრო წამყვანი, უმეტესად - XII-XIII სს-ის ნასახლართა ჯგუფი თავისი დროის შემცველი კერამიკით და სხვა ნიმუშებით. ეს გარემოება კი თავისთავად მეტყველებს შიდა ზღუდის კუთვნილ ნასახლართა დამარხვაზე მომდევნო ხანის ნაშთების ქვეშ. იმედია, მომავალი გათხრები ადრეფეოდალური ხანის ნასახლართა ჯგუფსაც გამოავლენს და მაშინ, უფრო კონკრეტული თარიღის განსაზღვრის საშუალებაც მოგვეცემა, ვიდრე IX-XI საუკუნეებია, და ეგებ უფრო ძველიც V-VIII სს-ის პერიოდიც გამოიკვეთოს.

ჯერჯერობით განათხარი ზედა დონის ნაშთების მიხედვით ვხედავთ შიდა ზღუდის აგებისა და მოქმედების ეტაპს IX-XI სს-ში, ასევე ადრეფეოდალური ხანის ნაშთთა საფუძვლიან შეკეთებას XI ს-ში. ამას კონკრეტულად გვიჩვენებს შიდა ზღუდის თავზე დაშენებული და, ჯერჯერობით, ბოლომდე გამოუკვეთელი №15 აგურით ნაგები შენობის ნაშთი; სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, თვით შიდა ზღუდის №1 ბურჯის პერანგის წყობის ხასიათი (ზედა დონის მიხედვით) და აგრეთვე შიდა ზღუდეში აღმოსავლეთიდან ჩართული №1 განიერი კარის შეკეთების ნიშნები. თუმცა დღევანდელი განათხარის დონის მიხედვით, ერთი რამ აშკარაა: შიდა ზღუდე თავისი ელემენტებითურთ არსებობას წყვეტს XII ს-თვის, მაშინ, როცა მის ნაცვლად საგანგებოდ იგება გარე ზღუდე სხვა კარიბჭეებითურთ და ცხოვრებას იწყებს XII-XIII სს-ის სხვა სამოსახლო-სამეურნეო უბნები.

ამგვარად, შიდა ზღუდის ზოლის გასწვრივ და მასთან მიმდებარე განათხარი ნაშთების ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ მასზე (მის თავზე) გადამდგარია XII-XIII სს-ის სამოსახლო. ხოლო შიდა ზღუდის ზოლი, კუთვნილი ატრიბუტებით, განათხარში იმდენად ფიგურირებს, რამდენადაც ჯერ ეს ახალი, XII-XIII სს-ის ნაშთები იწმინდება. შიდა ზღუდეზე დამდგარ-დაშენებული ნაშთები კი, ცხადია, ასაკობრივად დაუკავშირდება არა შიდა ზღუდის მოქმედების ხანას (IX-XI სს-ს), არამედ, ისევ გარე ზღუდის მოქმედების პერიოდს - XII-XIII სს-ს.

II. გარე ზღუდე (XII-XIII სს.). ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანში 1959-73 წლებში გათხრით გამოვლენილი გარე ზღუდის საერთო გარშემოწერილობა 65 მ-ია, თვით ზღუდის სისქე - 2 მ. სამხრეთი ფასადიდან მას ორი კონტრფორსი აქვს, ხოლო აღმოსავლეთ ფასადში 2 კოშკია ჩართული (ტაბ. I_{1-2}, ნახ. 1); მათგან ერთში (კუთხეში) საფეხურებიანი გვირაბია გაჭრილი, რომელიც ზემოთ, ციხის ტერიტორიაზე შემოსასვლელ ტალანში ამოდის (ტაბ. II_{1-2}, ნახ. 2) და აგრეთვე აგურით ნაგები 2 კამაროვანი კარით მთავრდება (ტაბ. III_{1-2}).

ეს გვირაბიანი კოშკი, ტეხილი ტალანითურთ და №1 კამაროვანი ღიადით ჩვენ ადრევე გვქონდა აღწერილი სათანადო ანგარიშებში 1960-65 წლების განათხარის მიხედვით[395], ამიტომ აქ მათ დეტალურად აღარ განვიხილავთ. თუმცა, ქვემოთ ზოგადად აღვწერეთ მაინც, რადგან იგი არის ჯერჯერობით ერთადერთი საცალფეხო, დამაკავშირებელი რგოლი ციხის შიდა ტერიტორიაზე განლაგებულ სამოსახლო კომპლექსთან XII-XIII სს-ში, რომლის საშუალებითაც ორ ზღუდეს შორის აღმოსავლეთით იხსნება სავალი. რაც შეეხება XII-XIII სს-ს ციხის ტერიტორიაზე შემოსასვლელ საურმე გზის კარს, ეს უკანასკნელი ამ საკვანძო ადგილებში, დაუმთავრებელი თხრის გამო, ჯერ არ გამოვლენილა, თუმცა მისი არსებობა აქვე ახლოს არის მოსალოდნელი[396]. უნდა შევნიშნოთ, რომ სადღეისოდ ასევე არ ჩანს V-VI სს-ის უძველესი შიდა ზღუდის კუთვნილი საურმე გზაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი გზები საერთოდ არ არსებობენ. გათხრების გაგრძელება მომავალში თავისთავად მოგვცემს მათი ფიქსაციის შესაძლებლობას. ამჯერად კი შევეხებით მხოლოდ გარე ზღუდის იმ ნაწილების აღწერილობას, რომელნიც 1972-73 წლებში გათხრით იქნა გამოვლენილი.

გარე ზღუდის ფასადური პერანგის წყობა (ანუ გარე და შიდა პირისა) ძალზე ტიპურია XII-XIII სს-ის მშენებლობისათვის. ყვითელი ქვიშაქვის შედარებით მომცრო და უხეშად თლილი კვადრები შემოჩარჩოებულია თითო აგურით, რომელთა შორის ღრიჭოების შესავსებად რიყის ქვაც არის დატანებული. რაც შეეხება კუთხის კოშკში (№1) გაჭრილ საფეხურებიან გვირაბს, თავისი ქვედა და ზედა ჩამკეტი კარითურთ, აგრეთვე ტეხილ ტალანს და №2 კოშკთან ფართო ტალანში ჩართულ ორივე ღიადს, ისინი მთლიანად აგურით არის ამოყვანილი (ტაბ. Ш$_{1-2}$, IV) და შემაკავშირებელ ხსნარად კირ-დუღაბის მტკიცე მასაა გამოყენებული.

ზედა ტერასის №2 კოშკში ფართო ტალანის იატაკი აგურფენილია, რომელზედაც თავის მხრივ, კირხსნარიანი ალიზის მასაა მოტკეპნილი (როგორც ზემოთაც დავინახეთ, სწორედ, ამ აგურფენილი იატაკის ქვეშ გამართული ყოფილა უფრო ძველი, შიდა ზღუდის კუთვნილი, №1 კარის ბრტყელი ფილაქვებით მოგებული IX-XI სს-ის იატაკი (ტაბ. III$_2$, VII$_2$)). ტეხილ ტალანში კი რიყის ქვაფენილია დაგებული (ტაბ. III$_1$). აქ ყველგან ძლიერი ხანძრის კვალია - XIII ს-ში მონღოლთა შემოსევის შედეგად, ციხის გადაწვა-განადგურების მანიშნებელი.

ვფიქრობთ, გარე ზღუდესაც (სამხრეთი კუთხიდან - ვიდრე წყალსადენისგან გარღვეულ ზოლამდე) თავზე ალიზის კედელი ედგა, რომელიც სადღეისოდ მთლიანად დარღვეულ-ჩამორეცხილია.

გარე ზღუდის აღმოსავლეთი ფასადიდან, დამრეცი რელიეფის გამო კიდევ შემორჩენია მაღალი კოშკები, თუმცა მათაც ძლიერი ნგრევის კვალი ემჩნევათ. განსაკუთრებით დაზიანებულია ციხეზე ამჟამად არხის მხრიდან ამოსასვლელი სამანქანო გზის მიმყოლი ზოლი. პერანგის ქვა გამოგლეჯილია და კირ-დუღაბით შეკავშირებული რიყის ქვის შუაგული მასა ჩანს (ხურდა ქვა). არ არის გამორიცხული ის წინა-

395 **იხ. წინამდებარე კრებული გვ. 39 -43**

396 **იხ. წინამდებარე კრებულის გვ. შენიშვნა 105**

სწარი ვარაუდი, რომ სწორედ აქ (დღევანდელი სამანქანო გზის ნაწილში) გარღვეულ ზღუდეებთან იყოს ჩართული XII-XIII სს-ს საურმე ფართო კარიც, რომელიც არა ჩანს; თუმცა, შესაძლოა, ციხეში მთავარი შემოსასვლელი კარი სწორედ იქ დაინგრა და მიწის პირამდე მოსწორდა, სადაც ყველაზე მეტი დარტყმის ძალა ხვდებოდა შემოსევების დროს. ამ აღმოსავლეთის ფერდობიდან კუთხის კოშკები (№1-2) და ზღუდის ნაწილიც სადღეისოდ 12-18 მ. სიმაღლეზეღაა შემორჩენილი (ტაბ. I_{1-2}).

ყურადღება მისაქცევია იმ გარემოებაზეც, რომ გარე ზღუდის სამხრეთ ნაწილში, შიდაპირის პერანგის წყობა იმგვარივეა, როგორც გარე პირისა (ფასადისა). აქ გარე ზღუდის შიდა პირიც ყვითელი კვადრებითაა ნაგები, ოთხკუთხივ თითო აგურით შემოჩარჩოებული. მაშასადამე, როგორც ჩანს, ეს შიდა პირიც გამოსაჩენი ყოფილა, ეგებ XIII ს-მდე (?); ყოველ შემთხვევაში სავარაუდოდ, მანამდე, სანამ ეს ზოლიც ალიზით ამოივსებოდა და შიდა ზღუდის თავზე გამართული XII-XIII სს-ის ნასახლართა ჯგუფი მიებჯინებოდა ამ გარე ზღუდის პერანგის შიგნითა პირს. ეს გარემოება მეტად ანგარიშგასაწევია მომავალი გათხრების დროს, რადგან ჯერჯერობით, როგორც ვიცით, XI ს-ში, შიდა ზღუდის გაუქმების შემდეგ - XII ს-დან აქ უნდა აგებულიყო გარე ზღუდის ზოლი ციხის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე, შიგ ჩართული კოშკებითურთ.

1965 და 1972 წლების განათხარი კი ისეთ დონეზეა გაჩერებული, რომ აქ გარე და შიდა ზღუდეებს შორის 5 მ. სიგანის სივრცე გაუქმებული, ანუ ალიზის მასით ამოვსებული ჩანს XI ს-ის შემდეგ. მაგრამ ისე გამოდის, რომ აქ მარტო შუა ზღუდე კი არა, თვით XII ს-ში აგებული გარე ზღუდის შიდა, პერანგიანი ქვედა ნაწილიც XII-XIII სს-ში საცხოვრებელ-სამეურნეო შენობების დადგმის გამო, ამ გაუქმებულ ნაწილშია მოყოლილი. ისმის კითხვა: მაინც როდის უნდა გაუქმებულიყო გარე ზღუდის პერანგიანი შიდა პირი ანუ ქვედა დონე? ჩვენ ხომ შემჩნეული გვაქვს ნასახლართა ცხოვრების 3 დონე XII-XIII სს-ში, რომელთაგან ქვედა ორი დონე გარე ზღუდის კუთვნილია და I ნახშირიან ზოლს შეესაბამება; ზედა ერთი დონე კი - ამ ნასახლართა განადგურების შემდგომი დროებითი დასახლების მანიშნებელია XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ან XIV სს-ში; თუმცა კი მონაპოვარ მასალაში მკვეთრი ტექნოლოგიური ცვლილებები არ შეინიშნება და მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით ეს მასალა XII-XIII სს-ის ნაწარმად არის მიჩნეული.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გარე ზღუდეც სწორედ XI ს-ის II ნახევარში ან XII ს-ის I ნახევარში აიგო და მას ქვედა, ანუ II ნახშირიანი ზოლის (იგივე II ქვედა დონის) ნასახლარებიც შეესაბამება (რაც ჯერ განათხარში, რომლის საძირკველი თითქოს აქ - ორ ზღუდეთა შორის სივრცეში ჯერ არ გამოვლენილა, მოსალოდნელიც კი არის); ხოლო მას შემდეგ, რაც ორ ზღუდეს შორის მანძილი ალიზის მასით ამოივსო, მაშინ შიდა ზღუდის გარდა, გარე ზღუდის ქვედა დონეც გაუქმდა, რის შემდეგაც მასზე ისევ დაშენდა XII-XIII სს-ში სხვა სამოსახლო - I ზედა დონის კუთვნილი, რომელიც შემდგომ, საბოლოოდ გადამწვარა XIII ს-ის II ნახევარში მონღოლთა შემოსევის შედეგად. რაც შეეხება XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში და XIV ს-ში დროებით დასახლების კვალს, მას უკვე სამოსახლოს ნაშთებში გამორჩეული ყველაზე ზედა

დონე შეესაბამება, რომელსაც არ ეთანხმება I ნახშირიანი ზოლიც კი (ასეთია მაგ. №11 კირდუღაბიანი რიყის ქვის გრძელი კედელი, რომლის საძირკველი თითქოს I ზედა ნახშირიანი ზოლის ზევით რჩება).

ყოველივე ამის გამო ხომ არ არის, რომ I ზედა ნახშირიანი ზოლი ჯერჯერობით მხოლოდ გარე ზღუდის თავებთან (ზედა ნაწილთან) გადის, მის პერანგთან წყობას შიგნიდან ებჯინება და არა მის ქვევით, სადაც ამ გარე ზღუდის მოპირკეთებული შიდა პირი აგრეთვე სიღრმისკენ გრძელდება?!. ამ კითხვებზე რა თქმა უნდა, პასუხს მოგვცემს მხოლოდ მომავალი განათხარი, როცა ზღუდეთა შორის ალიზით ამოვსებული ზოლი საძირკვლამდე გაითხრება და მთლიანად გამოჩნდება გარე ზღუდის შიდა პირის პერანგი. მანამდე კი, ჩვენ იმ ნაშთების ფიქსაციას მოვახდენთ, რომელიც შიგნიდან მიდგმულ XII-XIII სს-ის ნასახლართა სახით, გარე ზღუდის ზედა ნაწილს (თავებს) ებჯინება.

ამგვარად, გარე ზღუდის კუთვნილ ნასახლარებში გამოიყო 3 დონის მშენებლობა: **1** - ზედა დონე (№11 კედლის სახით) – XIII-XIV სს; **2** – I ნახშირიანი ზოლის კუთვნილი (სენაკები: №7, 8, 9, 10) - XII-XIII სს-ის შესაბამისი; **3**. - შესაძლოა II ნახშირიანი ზოლისა, მაგრამ უმეტესად ისევ I ნახშირიანი ზოლის კუთვნილიც ჩანს (სენაკები: №6, 19) - XI-XII და XIII სს-ის; აქედან XI ს-ის სამოსახლო მაინც არ არის მკვეთრად გამოვლენილი, მაგრამ გარდამავალი ხანის (X-XI სს.) მასალა კი მაინც ჩანს. მონაპოვარი მასალის მიხედვით ამ სამოსახლო კომპლექსებში მაინც წამყვანია - XII-XIII სს-ის მასალები. წყალსადენით გარღვეულ გარე ზღუდის ზოლს რაც შეეხება, მასალის აღრევის გამო, აქ თითქმის შეუძლებელია რაიმე კონკრეტული ქრონოლოგიური ნიუანსების დაჭერა, თუმცა ზოგადი ჩარჩო შეიძლება XII-XIII სს-ით განისაზღვროს. ასე მაგ: წყალსადენისგან გარღვეულ სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდესთან ნანგრევ-ნაყარი ფერდობის ჩაწმენდისას (კვ. B^1_{4-2}), მიწის ზედაპირიდან 0.65 მ. სიღრმეზე გამოვლინდა შუაფეოდალური ხანის ნაწარმის ზოგი ნიმუში: მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამის ნატეხები[397], ცისფრად და მწვანედ მოჭიქული ჯამები[398], წერნაქიანი ჭურჭელი[399], გვხვდება მოყვითალო სუფთა თიხის ჭურჭლის ნატეხებიც წვრილი ხაზებით შემკული[400] და ქვაბ-ქოთნის პირ-გვერდები.

სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის №1 კოშკში გაჭრილი საფეხურებიანი გვირაბი (გარე ზღუდე). XII-XIII სს-ში აგებული, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის №1 კოშკი გარე ზღუდის მთავარი რგოლი გახდა მას შემდეგ, რაც XI ს-ში საერთოდ გაუქმდა შიდა ზღუდე თავისი კუთვნილი №1 დიდი არქიტრავული კარით (აღმოსავლეთ მხარეზე). მისი გარე ფასადი უხეშად თლილი, შედარებით მომცრო ყვითელი კვადრებით არის ნაგები და შემოჩარჩოებულია ოთხკუთხივ თითო აგურით (ტაბ. I_{1-2}, ნახ. 2). ამგვარი წყობა ტიპურია შუაფეოდალური - XII-XIII სს-ის ქართული ციხეთმშენებლობისათვის. ამას გარდა, აქ შეინიშნება ქვის ზედმიწევნით ჰორიზონტალური რიგით განლაგება, რაც ამ დროის კედლის წყობის ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორია. კოშკის

397 **რ-72-6720**
398 **რ-72-6727, 6888**
399 **რ-72-6720**
400 **რ-72-6886**

შემორჩენილი სიმაღლე 18 მ-ია. იგი დახურულია, მრგვალთავიანია და, ამიტომ მასში ამოჭრილი საფეხურებიანი გვირაბი გარედან არა ჩანს. კოშკი გვირაბითურთ თავიდანვე გამიზნულად არის დაგეგმარებული და მომდევნო საუკუნეების გადაკეთების ნიშნები თითქმის არ ემჩნევა. გვირაბის ოდნავ შეისრული ჭერი და საფეხურები ამოყვანილია კირ-დუღაბით და ვიწრო, გვერდით მჭიდროდ წყობილი აგურებით, რაც ამ ნაგებობას განსაკუთრებით მკვიდრ კონსტრუქციას უქმნის.

გვირაბიან კოშკს თავის მხრივ დაყოლილი აქვს ორი კარი. ერთი გარე ზღუდის სამხრეთი მხრიდან, ქვედა ტერასიდან გვირაბში შემოსასვლელი, ალმაცერად ჩადგმული და საგანგებოდ დაგეგმარებული; გარე ზღუდის ფრთა შემოსასვლელი კარის საფარია, რადგან გარე ზღუდის ხაზი მაღალი ტერასიდან გვირაბში შემოსასვლელი კარის სამეთვალყურეო და თავდაცვითი პუნქტის როლში უნდა გამოსულიყო. როგორც ჩანს, გვირაბის საშუალებით ციხიდან გარეთ გასასვლელი კარი საფუძვლიანად იკეტებოდა. ამ ქვედა კარს ჩამკეტი საურდულე ღარი დაუყვება მაღალი კოშკის მთელ სიმაღლეზე, ე.ი. აქ ასაწევი კარია საგულისხმებელი, რადგან ურდული ზევით უნდა აწეულიყო კარის გაღებისას. ეს კარიც ოდნავ შეისრულია (ტაბ. II_1, ნახ. 2). გარედან ციხეში შემომსვლელს ამ კარის საშუალებით უნდა გაევლო საფეხურებიანი გვირაბი და მეორე - ისეთივე შეისრული აგურის კარის საშუალებით ციხის ზედა ტერასაზე მოხვედრილიყო. სწორედ აქ, გვირაბიდან ზედა ტერასაზე გამოდის მეორე კარი (ტაბ. II_2), რომლის საშუალებით შემომსვლელი ვიწრო ტეხილ ტალანში მოხვდება (შესაძლოა, იგი ღია დერეფანიც ყოფილიყო?), სადაც მის გარე კედელს თვით გარე ზღუდე ქმნის (№1 კოშკსა და №2 კოშკს შუა ამოყვანილი), ხოლო ტალანის შიდა კედლად გამოყენებულია აგურით მოპირკეთებული შიდა ზღუდის ხაზი (ტაბ. II_2, XIX_2). ვფიქრობთ, რომ შიდა ზღუდის ძველი ოთხკუთხა კოშკის აგურით მოპირკეთებული და შეკეთებული ზედა თავი ხელახლა არის გამოყენებული გარე ზღუდის მოქმედების ხანაში ტეხილი ტალანის ვიწრო სავალი ზოლის შესაქმნელად (ტაბ. III_1). ეს ტეხილი ტალანი, რომლის იატაკი რიყის ქვაფენილია, უთუოდ წარმოადგენს გადასაბმელ „ხიდს“ №1 გვირაბიანი კოშკისა და №2 კოშკში დაგეგმარებული კიდევ სხვა ორ თაღოვან კართა შორის (ტაბ. XIX_2).

ამგვარი, საგანგებოდ გართულებული შემოსასვლელის კონსტრუქცია ციხის შიდა ტერიტორიაზე განლაგებულ შენობებში, ტიპურია შუაფეოდალური ხანის მშენებლობისა და საფორტიფიკაციო სისტემისათვის.

აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 კოშკი, ფართო ტალანით, ორივე თაღოვანი კარით და აგურფენილი იატაკით. №1 გვირაბიანი კოშკიდან ამომსვლელი ვიწრო ტეხილი ტალანის, ანუ დერეფნის გავლით მოხვდება უფრო ფართო ტალანში, რომელიც აღმოსავლეთით გარე ზღუდის №2 კოშკის ფართობშია გამოყვანილი (ტაბ. IV_1, VII_1). №2 კოშკის ფასადი ისეთივე წყობისაა, როგორც №1 გვირაბიანი კოშკი და საერთოდ, გარე ზღუდეა. მაგრამ ამავე დროს, მისი შიდა პირიც „პერანგიანია“ (ტაბ. VI_1, VII_1, ნახ. 6), ანუ გამოსაჩენია, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მის ფართობში დაგეგმარებული ფართო ტალანი არ იყო დახურული, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქედან იხსნება აღმოსავლეთისაკენ სავალი გზა, ორ

ნახ. 6



რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის უბნის N 2 დიდი ბურჯის შიდა პირისა და თაღოვანი კარების განშლა.

ზღუდეს შორის ჩართული ორი კამაროვანი აგურის კარის საშუალებით.

სწორედ აქ ჩანს, რომ ორივე ზღუდე მოქმედია XII-XIII სს-ში, რადგან გარე ზღუდეს და შიდა ზღუდის ძველ ხაზს აქვე ჩართული და ერთმანეთთან დამაკავშირებელი რგოლები აქვს. ასეთი რგოლებია: ვიწრო ტეხილი ტალანიდან შემოსასვლელი №1 აგურით ამოყვანილი კამაროვანი კარი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ფართო ტალანში მოხვედრა (ტაბ. III, IV, XIX_2). მეორე რგოლი - ეს არის №1-ის მოპირდაპირედ მდგარი, ისეთივე №2 აგურით ნაგები, კამაროვანი კარი (ამჟამად თაღჩამონგრეული), რომელიც გვიჩვენებს აღმოსავლეთის ზღუდეთა შორის ღია სავალის არსებობას (ნახ. 6). თუმცა, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ №2 კოშკი თავისი ფართო ტალანით და მათში ჩართული ორი კამაროვანი, ერთმანეთში გამავალი, აგურის კარი აგებულია პირდაპირ ძველი, შიდა ზღუდეში ჩართული №1 კარის მოპირდაპირედ; შიდა ზღუდის ამ ნაწილის აღწერისას ჩვენ ზევითაც შევნიშნეთ, რომ ძველი კარი XI ს-ის შემდეგ გადაკეტილია პილონებს შორის ჩადგმული მაღალი რიყის ქვის კედლით. თავისთავად ცხადია, რომ ამ კედელმა გააცალკევა, გამოყო ორ ზღუდეს შორის ფართო ტალანიც (№2 კოშკთან შეფარდებაში - გარე ზღუდესთან) და კამაროვან კართა საშუალებით გრძელი სავალი აღმოსავლეთ ზღუდეთა შორის (ტაბ. V_2, VII_2, XIII_1) .

ამგვარად, ცხადია, XI ს-ის შემდეგ შიდა ზღუდეში შემოსასვლელი კარი №1 ჩაკეტილია არა მარტო მის ზღურბლზე დადგმული რიყის ქვის კედლით, არამედ გარე ზღუდის მთელი სისტემითაც და განსაკუთრებით ძველი კარის წინ მდგარი №2 კოშკით. ამიტომ შეუძლებელია დღეს შიდა ზღუდეში ჩართულ №1 კარით შემოსვლა ციხის შიდა ტერიტორიაზე - ამას ხელს უშლის კარის წინ მდგარი XII-XIII სს-ში აგებული გარე ზღუდე კოშკებითურთ.

XII-XIII სს-ის ციხეთმშენებლობის განსხვავებული ხერხების და დამოუკიდებელი გეგმარების აქ გამოვლენა ძველი და ახალი ფენების სრულყოფილად გარჩევის საწინდარია. სწორედ ამიტომ გვაძლევს ნაგებობათა დამოუკიდებელი კლასიფიკაცია და სტრატიგრაფია იმის საშუალებას, რომ აქ ძველი და ახალი მშენებლობის ნაშთები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ და თითოეულს თავისი მოქმედებითი ფუნქციებიც მივანიჭოთ ქრონოლოგიური პრინციპის საფუძველზე. როგორც ჩანს, XII-XIII სს-ში ციხეში შემოსასველელ კართა სრულიად სხვა, დამოუკიდებელი გეგმა არსებობს, რომელთაგან ჯერჯერობით გამოვლენილია გვირაბის საცალფეხო სავალი, ტალანების და თაღოვან კართა ერთმანეთის მიმდევარი სისტემა - ერთგვარი ჯაჭვი. ამ უბნის შემდგომმა გათხრამ არ შეიძლება, არ გამოავლინოს იმავე XII-XIII სს-ის კარიც, რომელიც ვფიქრობთ, იქვე (შესაძლოა დღევანდელი სამანქანო) საძირკვლამდე დარღვეულ ნაშთებშია საძიებელი.

ამგვარად, ფართო ტალანში, №2 კოშკსა და შიდა ზღუდის ზოლებს ერთმანეთთან აკავშირებს ორი ერთმანეთის მოპირდაპირედ მდგარი კამაროვანი კარი.

გამოირკვა ისიც, რომ №2 აგურით ნაგები კამაროვანი კარის თავი თუმცა ჩანგრეულია, მაგრამ მასზე მომდევნო ხანაში - ალბათ XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ან შემდგომაც, დაშენებულია დროებითი სადგომების კუთვნილი სუსტი კედლები, ხოლო კარის ზღურბლთან, აგურფენილ იატაკზე შუაფეოდალური ხანის

სხვა მასალასთან ერთად ეგდო რკინის დიდი საურდულე ბუდეც[401]. აგურფენილი იატაკის კუთვნილი კერამიკული და სხვა მასალიდან აღსანიშნავია: ორმხრივ, ცისფრად და ღვიძლისფრად მოჭიქული ჯამები[402], ასეთივე გარედან მოჭიქული ქილების ნატეხები[403], ცისფერი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი[404]. მოუჭიქავი ჭურჭლიდან აღსანიშნავია: კოკისა და ქილის პირ-ყელები[405], დეკორატიული დერგის ყელი[406], მოვარდისფრო თიხის სამტუჩა დოქები[407], სარქველები[408] და სხვ. მინის ნაწარმიდან ვხვდებით: ლურჯი მინის მრგვალ სამაჯურებს[409], სასმისის პირ-ყელს[410] და XII-XIII სს-ის სხვა ნაწარმს.

მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, გარე ზღუდე თავისი ყველა საფორტიფიკაციო ელემენტით - კოშკებით, ვიწრო ტეხილი და ფართო ტალანებით, ორივე კამაროვანი აგურის კარით და გვირაბიანი კოშკითაც - XIII ს-ში მონღოლთა შემოსევისას უნდა განადგურებულიყო; ამ ნაშთთა არქეოლოგიური კვლევისას დადასტურდა, რომ ამის შემდეგ გაუქმებულა როგორც ციხის შიგნით ტერიტორიაზე სავალი გვირაბიანი კარიბჭე, ასევე ორივე კამაროვანი კარი ფართო ტალანში; ხოლო ამ კართა ზღურბლის წინ სუსტად ნაგები დროებითი სადგომები გაჩენილა, რომლებიც ბუნებრივია, კართა ჩამკეტი უნდა ყოფილიყო; ხოლო ამ ადგილებში მოძიებული მასალა უფრო დროებით სამოსახლოებს უნდა უკავშირდებოდეს, ვიდრე თვით კართა, ან ტალანთა მოქმედების ეტაპს, რადგან კერამიკული და სხვა მასალის არსებობაც კართა „მოძრაობის“ გამო მათ პირდაპირ ფუნქციას არ შეესაბამება.

ვფიქრობთ, ამ დეტალების გათვალისწინების შედეგად შესაძლებელია, უფრო დაკონკრეტდეს მთავარ ნაგებობათა (გვირაბიან კარიბჭისა და ტალანში კამაროვან კართა) აგების თარიღი - შესაძლოა, გარე ზღუდე თავისი კარიბჭეებითურთ, სწორედ XI ს-ის ბოლო წლებში, ან XII ს-ის დასაწყისში აიგო. იგი მუდმივად მოქმედი იყო XIII ს-ის მეორე ნახევრამდე (მონღოლთა შემოსევამდე). თუმცა დიდი კატასტროფის შემდეგ, XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში იგი დაუხურავთ, გაუუქმებიათ, რადგან კართა ზღურბლის წინ ახალი მოსახლის დროებითი სადგომები ჩაუდგამთ. ამიტომაა, რომ აქ მოძიებული მასალა, მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, XIII ს-ის ფარგლებს არ სცილდება; თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ მათშივე გამოირჩეს XIV ს-ის ნაწარმიც, როგორც XIII ს-ის შემდგომი ხანების დასახლების კუთვნილი.

ვფიქრობთ, მომავალი ძიების დღის წესრიგში უნდა დადგეს არა მხოლოდ XII-XIII სს-ის ციხის შიდა ტერიტორიაზე შემოსასვლელი საურმე გზის ძებნა, არამედ იმ შემოსასვლელებისაც, რომლებითაც სარგებლობდა, თუნდაც, XVII-XVIII სს-ის ნაზარ-

401 04-73- 329
402 04-73- 315
403 04-73-314, 316
404 04-73-278
405 04-73-269
406 04-73-272
407 04-73-327
408 04-73- 328
409 04-73-312
410 04-73- 217, 259, 260

ალი ხანის დროინდელი სამოსახლო, რადგან, ამ უბანზე, წინა წლების ძიებისას, ძლიერ სუსტად, მაგრამ მაინც შენიშნული იყო, შუაფეოდალური ხანის ნანგრევებზე დაშენებული გვიანფეოდალური ხანის სუსტ სამოსახლოთა კვალი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდის კუთვნილ ნასახლართა ჯგუფი (XII-XIII სს.). XI ს-ის ბოლოს შიდა ზღუდის გაუქმებამ და, სამაგიეროდ, ახალი - გარე ზღუდის აგებამ თავისთავად განაპირობა ციხის სამოსახლო კომპლექსების ტერიტორიული ზრდა. თავის მხრივ გარე ზღუდე მტკიცედ იცავდა ამ სამოსახლო-სამეურნეო უბნებს. ამის მაგალითს თვალნათლივ გვიჩვენებს გარე ზღუდესთან სამი დონით გამოყოფილი ნასახლართა ჯგუფი, რომელნიც უშუალოდ ებჯინებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდის შიდა „პერანგიან“ პირს და, ზოგადად, XII-XIII სს-ის ფარგლებში თავსდებიან. მშენებლობის პრინციპში აქ დიდი სხვაობა არა ჩანს, ისევე როგორც, მის კუთვნილ ინვენტარში, მაგრამ ამ სხვაობას დონეთა შესაბამისობით ვარჩევთ.

თითქმის ყველა შუაფეოდალური ხანის სამოსახლო კომპლექსი ნაგებია თიხის ხსნარით შეკავშირებული, თევზიფხურად წყობილი რიყის ქვით. მათი საძირკველი ყვითელი, სქელი თიხის „ბალიშებზეა“ გამართული. ივარაუდება, რომ რიყის ქვის კედლებს თავზე ალიზით ამოყვანილი კედლები ედგათ, ისევე, როგორც ეს რუსთავის შუაფეოდალური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიის გათხრებისას არის შემჩნეული[411]. თუმცა აქ, ციხის ნამოსახლართა შორის, ეს მომენტი ვეღარ შეიმჩნევა, რადგან ნაშთები თითქმის საძირკვლამდეა დარღვეული. ყოველ შემთხვევაში, აქ ის მაინც შეინიშნება, რომ ორ ზღუდეს შორის ალიზით შევსებულ მასაში აშკარად XII-XIII სს-ის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსოები დგას - თონით, ქვევრით, სხვადასხვა საოჯახო და სამეურნეო ჭურჭლით. ხოლო ნაშთების სტრატიგრაფიული ანალიზი სამოსახლო კომპლექსების რამდენიმე ეტაპად ცხოვრების მაუწყებელია.

ციხის შიდა ფართობის ზრდამ და მჭიდროდ დასახლებამ, რა თქმა უნდა, ისიც გამოიწვია, რომ სამოსახლოთა უმრავლესობა თვით შიდა ზღუდის ზოლზე, მის გაუქმებულ და ალიზით მოტკეპნილ თავზე გაიმართა. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ შეინიშნებოდა ძველი IX-X სს-ის ზღუდის ნაწილობრივ გამოყენება-შეკეთება, ან ახალ ნაგებობათა დაშენება. ახალი საგანგებო დანიშნულების შენობები კი XII-XIII სს-ში აგურით იგებოდა. ასეთია: კარიბჭენი, გვირაბი, კამაროვანი კარი, გრძელი აგურის №15 შენობა და მასთან მიმდებარე №3 სენაკი. ასევე ციხის აგურით ნაგები და ფრესკებით მოხატული სასახლე, აბანო (თხრილი X, ჩრდილო-აღმოსავლეთით და თხრილი I ჩრდილო ზღუდესთან, ჩრდილო-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის გარეთა აბანო და სხვ.). ყველა დანარჩენი სახლი (ალბათ, მდაბიოთა კუთვნილი და სამეურნეო სათავსონი) იგებოდა რიყის ქვით და ალიზით, რომელიც შესაძლოა, შელესილიც ყოფილიყო. გადახურვა ამ სამოსახლო კომპლექსისა - ბანური უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს რიყის ქვის კედლის ძირებში გასწვრივ ჩადგმული ხის ბოძები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამოსახლო კომპლექსებში ერთი ხანის, ერთი პერიოდის მასალა ჭარბობს, მაინც დონეთა სხვადასხვაობის მიხედვით შევძელით მათ შორის მეტ-ნაკლები სიძველის ნაშთთა გამორჩევა.

[411] **ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958.**

ჩვენი აზრით, ქვედა II დონის კუთვნილი უნდა იყოს შიდა ზღუდის დარღვეულ ზოლზე (წყალსადენთან) ჩაშენებული №19 სენაკის რიყის ქვით ნაგები კედლის ნაშთი, რომლის მასალაში ჭარბობდა გარდამავალი ხანის X-XI სს-ათვის დამახასიათებელი ნიმუშები; აგრეთვე №6 სენაკის ნარღვევი ნაშთი, რომელსაც შუაფეოდალური ხანის მასალასთან ერთად, ასევე ურევია უფრო ადრეული ეტაპის, ყოველ შემთხვევაში - X ს-ის მასალა მაინც.

ხოლო №7, 8, 9, 10 სენაკების მასალა მთლიანად XII-XIII სს-ის შემცველი და I ნახშირიანი ზოლის კუთვნილია; თუმცა, მათშიც ირჩევა ორი განსხვავებული სამშენებლო დონე. რაც შეეხება №11 გრძელი რიყის ქვის კედელს, იგი დონით ყველა ნაშთზე მაღლა ძევს - მისი საძირკველი ზედ გადადის ზემოჩამოთვლილ სენაკთა ნაშთებზე და თუმცა შუაფეოდალური ხანის მასალის მიხედვით აშკარა ცვლილებები არ ჩანს, იგი სტრატიგრაფიული დონის, სამშენებლო წესის და აგებულების თანახმად XIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ან XIV ს-ის მშენებლობის მაჩვენებლად მიგვაჩნია; რადგან ვფიქრობთ, მონღოლთა მიერ ციხის დარბევის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია ცხოვრების ერთიანად შეწყვეტა და იგი მომდევნო ეტაპზე დროებითი დასახლების მაუწყებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, ქვემოთ თანმიმდევრულად განვიხილავთ იმ სენაკთა ნაშთებს, რომელნიც დონეთა მიხედვით, ანუ სტრატიგრაფიულად შენიშნული გვქონდა განათხარში და, რომელთა შორის მეტნაკლებად გამოირჩევა შედარებით წინა ეტაპისა და მომდევნო ეტაპის ნაშთები.

სენაკი №19, დარღვეულ სამხრეთ ზღუდესთან (დაშენებული შიდა ზღუდის თავზე). ეს ნასახლარი მოხვედრილია სამხრეთით, წყალსაქაჩი შენობის ჩადგმის გამო, ზღუდეთა აფეთქების შედეგად ძალზე დაზიანებულ ნაწილში. ხოლო წყალსადენის მიღმა, მოზრდილ ფართობზე, ციხის შიგნით, აფეთქებამ საერთოდ გაანგრია ისედაც თითქმის მიწის ზედაპირზე საძირკვლის სახითღა შემორჩენილი XII-XIII სს-ის ნასახლართა ჯგუფი (ტაბ. XV_1).

ამ ნასახლარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ფართობზე შემოგვრჩა რიყის ქვით ნაგები და მკვრივი ალიზის მასაზე გამართული ჩრდილოეთი კედლის მოკლე ნარღვევი (კვ. B^1_{3-4-5}, C^1_{3-4-5}). ნასახლარი მოიცავს ფართობს - 8.50X9 მ. იგი მოქცეულია №6 სენაკის დასავლეთ კედელსა და თხრილის დასავლეთ ჭრილს შორის, ხოლო სამხრეთი ნაწილი - საერთოდ აფეთქებულია (რაც წყალსაქაჩ შენობამდე იგულისხმება). თავისთავად ცხადია, რომ ამ ადგილას ნასახლარი ზედ გადადიოდა შიდა ზღუდეზე და, აგრეთვე, მასში ჩართულ №2 კარის თავზე. ამდენად, ამ ნასახლარის ზედა დონე შეესაბამება I ნახშირიან ზოლს და მასალით XII-XIII სს-ის კუთვნილი ნაშთია; ხოლო მის ქვეშ არსებული დონე შეესაბამება II ნახშირიან ზოლს და IX-XI სს-ის კუთვნილია.

ძლიერი ნამწვი და ნაშალი მთლიანად გასდევს ამ ფართობზე აფეთქებულ კედლის ნაშთებს. ყველაზე ძლიერად 0.20-0.30 მ. სისქით იგი შემორჩა აღმოსავლეთის მხრიდან გაწყვეტილ №11 კედლის დასავლეთ ზოლს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ნაწყვეტს - „მარყუჟამდე“.

ამ ადგილებში შიდა და გარე ზღუდეები მიმდგომი ნასახლარებითურთ იმ

ზომამდეა ჩანგრეული, რომ მხოლოდ ვარაუდით შეიძლება სენაკის კედლების მიმყოლი ფართობის წარმოდგენა. ამიტომ, თხრის პროცესის დროს, აქ არათანაბარი სიღრმეები გამოიკვეთა - სხვადასხვა დროის ნიმუშებთან აღრეული ნაყარი, ნამწვი და ნაშალი. ამიტომ ვცდილობთ, მასალის უმრავლესი ტიპის მიხედვით ეს ნაშთები ორ სხვადასხვა სამშენებლო ეტაპს მივაკუთვნოთ (რადგან აქ მასალაც განსხვავებული აღმოჩნდა). I ნახშირიანი ზოლი მიეკუთვნება XII-XIII სს-ის ნასახლართა ნაშთს, მასალითურთ; მის ქვეშ მდებარე II ნახშირიანი ზოლი კი - IX-XI სს-ის ნაგებობათა ნაშთს, ანუ შიდა ზღუდეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ჩართული №2 კარით და ამავე ხანის შესაბამისი მასალით. ერთი რამ კი შესამჩნევია - ამ დარღვეული ნასახლარების ზედა ფენა, შესაბამისი მასალითურთ, აშკარად გაირჩევა მისი ქვედა ფენისაგან, რაც მხოლოდ ჭრილების საშუალებით იქნა გამორჩეული და გარკვეული.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ №19 გაწყვეტილი კედელი თავისთავად შეესაბამება ზედა I დონის ნასახლართა ნაშთს, ანუ XII-XIII სს-ს ეს დონე (№11 აგრეთვე გაწყვეტილი კედლის დასავლეთ პირიდან) დადასტურდა 0.80 მ. სიღრმემდე. აფეთქებულმა და განგრეულმა ჭრილმა აღმოსავლეთი მხრიდან აქ მკვეთრად გამოავლინა ფენობრივი განლაგება იმ შენობებისა, რომლებიც ერთმანეთზე ყოფილა დაშენებული.

ამგვარად, სულ ზედა დონე განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდის კუთვნილ ნასახლართა ჯგუფს, რომელიც ამ ფართობზე №19 გაწყვეტილი რიყის ქვის კედლის სახითღა შემოგვრჩა. მის დონეზე საძირკვლამდე შეინიშნა XII-XIII სს-ის შესაბამისი მასალა. ყოველივე ამის ქვეშ კი ჩანს შიდა ზღუდისა და მის უკან მდგარი პილონებიანი შენობის კუთვნილი მასალა, №2 კარის დარღვეული კონტურები და X-XI სს-ში შიგნიდან მიდგმულ ნასახლართა ნაშთი, რაც ჯერჯერობით დაუმთავრებელი განათხარის გამო, მხოლოდ ჭრილებში შეინიშნა. მასვე შეესაბამება ჭრილებში შენიშნული 0.35 მ. სისქის II ნახშირიანი ზოლი - რაც წაფერდებულად გასდევს ძველ ნასახლართა ნაშთს და ვფიქრობთ, შიდა ზღუდე II-ის კუთვნილი უნდა იყოს.

ამგვარად, მასალის ფენობრივი განლაგება ამ გაწყვეტილ-აფეთქებულ ნაწილებში ასე გამოიყურება:

I ზედა ნახშირიან ზოლს ეკუთვნის XII-XIII სს-ის ნასახლარებიდან მომდინარე მასალა: მინის ჭურჭლის ნატეხი[412]; გრეხილი შავი მინის სამაჯური[413]; ნიჟარისებრი, ცისფრადმოჭიქული ჭრაქი[414]; მწვანე სამარილე[415]; მოჭიქული - მწვანე, ცისფერი, ღვიძლისფერი ჭურჭლის ნატეხები[416]. ანგობით მოხატული მწვანე ჭიქურიანი ჯამები[417]; მრავალფერადი ჯამის ნატეხები[418]: ერთი ნატეხი ადამიანის ხელის გამოსახულებით, რომელსაც გრაგნილი უპყრია[419] (ტაბ. XLI_5), და ერთი ფრინველის გამოსახულებიანი

412 **რ-72-6822**
413 **რ-72-6848**
414 **რ-72-6825**
415 **რ-72-7133, 7289, 7295, 7349**
416 **რ-72-6823, 6825, 6885, 6939, 6998, 7290, 7348**
417 **რ-72- 6880-81, 6884, 6993**
418 **რ-72-6878, 6885, 7348**
419 **რ-72-6939**

ჯამის ფრაგმენტი[420]. მოუჭიქავი ჭურჭლიდან აღსანიშნავია: ქვაბ-ქოთნის ნატეხები[421]; მოთეთრო ჭურჭლის ნატეხები, გამურული[422] და ზოგი ზედაპირგაპრიალებული[423]; ლანგარი, სქელკედლიანი და გამურული[424] (ტაბ. LIII_2); ქვევრის პირები[425] - მათში არის ჭდეულორნამენტიანი და რელიეფურორნამენტიანიც[426] (ტაბ. LIII_5); ქოთნების ნატეხები, ყურზე შვერილით[427] (ტაბ. XLIX_4), ზოგი ნაჭდევებიანი[428]; სარქველის ნატეხები[429].

II ქვედა ნახშირიანი ზოლის - IX-XI სს-ის ნასახლართა ჯგუფს ეკუთვნის: უანგობოდ, ფერადი საღებავით მოხატული ჯამის ნატეხები[430] (ტაბ. XXVI_1), ნაღვენთებიანი ჯამის ნატეხები[431]; მოუჭიქავი ჭურჭლიდან: მოყვითალო თიხის პირ-ყელის ნატეხები, ზედაპირდაფარული წვრილი, ოდნავ შესამჩნევი ღარებით[432]; ჭდეულსარტყელიანი და ზედაპირდაღარული ქვევრის ნატეხი[433]; წვრილღაროვანი და ტალღური ორნამენტით შემკული მოყვითალო თიხის ქოთნები[434]; ნაცრისფერი თიხის ქოთნები, ქარსნარევი, ჭდეებიანი[435]; თეთრი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ზედაპირგაპრიალებული და მაღალპირიანი ჭურჭელი[436].

ასეთივე სურათი მოგვცა ამ ადგილზე №19 კედლის ქვეშ გათხრილმა საკონტროლო ჭრილმაც (კედლის თავიდან 1.10 მ. სიღრმეზე), სადაც პირდაპირ II ნახშირიანი ზოლიდან გამოვიღეთ: მწვანე ფრიალაპირიანი ჯამების ნიმუშები[437] (ტაბ. XXXIII_1, XXXV_3) და ნაღვენთებიანი ჯამის ნატეხები[438]; პასტის მძივი[439] და ცისფერი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი[440]; უანგობოდ, მოყავისფროდ მოჭიქული სამარილე[441]. მოუჭიქავი ჭურჭლიდან მნიშვნელოვანია: მოყვითალო-ჩალისფერი, ქარსნარევი თიხის ბრტყელძირიანი ქოთნების ზედაპირგაპრიალებული ნატეხები, წვრილხაზოვნად დაღარული[442]. ეს არის დაბალყელიანი ქოთნები,

420 **რ-72-7288**
421 **რ-72-6826**
422 **რ-72-6877**
423 **რ-72-7135, 7286**
424 **რ-72-7135, 7345**
425 **რ- 72-6879, 6883, 7350-51**
426 **რ-72-6934**
427 **რ-72-6935**
428 **რ-72-7346**
429 **რ-72-7345**
430 **რ-72-6884, 7232**
431 **რ-72-6934, 6940, 6995, 6998, 7232, 7289, 7348**
432 **რ-72-7284**
433 **რ-72-7293, 7315**
434 **რ-72-7316, 7401**
435 **რ-72-7376, 7401**
436 **რ-72- 7316, 7347, 7377, 7401 (ღილაკიანი)**
437 **რ-72-7540-41,7543**
438 **რ-72- 7544-46**
439 **რ-72-7549**
440 **რ-72-7548**
441 **რ-72-7542, 7547**
442 **რ-72-7538-39**

ოდნავ გადმოკეცილი პირით, პარალელურ ხაზებს შორის - ჭდეებით და ტალღური ორნამენტით[443] (ტაბ. XLVIII$_1$), ხან შვერილებით[444] (ტაბ. L$_2$). აქ შეგვხვდა მოვარდისფრო თიხის დიდი სადღვებელი, წვრილხაზოვანი ორნამენტით და ჩახაზული ტალღური ზოლით, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით[445]. აქა-იქ ჩნდებოდა წყლისებურორნამენტიანი მოყვითალო თიხის სასმისების ნატეხები[446]. არის ჭდეულორნამენტიანი ქვევრის პირის ნატეხები[447], სარქველი[448]. გვხვდება დიდი ზომის მოვარდისფრო და მოყვითალო თიხის ღობიანი კრამიტები[449].

ჩვენი ვარაუდით, II ნახშირიანი ზოლი (სისქით 0.35 მ.) უნდა შეესაბამებოდეს ციხის სამოსახლოების და შიდა ზღუდის გადაწვის პირველ კატასტროფას, ანუ სელჩუკთა შემოსევის პერიოდს - XI ს-ს[450]. რადგან ამ ზოლის შესაბამის კერამიკულ მასალაში ვხვდებით საკუთრივ ადრეფეოდალურ, კერძოდ, IX-X სს-ის ნიმუშებსაც, ამიტომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ფენათა აღრევას; მით უმეტეს, რომ მრავალგზის მშენებლობისა და ნგრევა-განადგურების შემდეგ, აქ თითქმის შეუძლებელია მდგრადი ფენების დადგენა (ამას გარდა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ ადგილას ზღუდე და ნასახლარები წყალსადენის გაყვანილობის გამო არის აფეთქებული).

მაგრამ ჩვენ, მასალის უმრავლესი ტიპის მიხედვით ვცდილობთ ნაშთების ქრონოლოგიურ გარკვევას. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ II ქვედა დონის კუთვნილ სენაკთა არსებობის პერიოდი IX-X სს-ით და XI ს-ის I ნახევრით, ხოლო მათი განადგურება კი სელჩუკთა შემოსევის შედეგად XI ს-ის II ნახევრით განვსაზღვროთ.

№6 ოთკუთხა სენაკი. ჩვენს განათხარში აღმოჩენილი (ჩრდილო-დასავლეთ ფართობზე), რიყის ქვით მკვიდრად ნაგები №6 სენაკის ნაშთები ზედა დონის მიხედვით, I ნახშირიანი ზოლის შესატყვისი - XII-XIII სს-ის უნდა იყოს; ქვედა დონის მიხედვით კი - II ნახშირიანი ზოლის დასაწყისისა და ამდენად, შესაძლოა, აქ შენიშნული და გამორჩეული მასალის გამო გარდამავალი ხანის - X-XI სს-ისაც იყოს.

სენაკი №6 მოხვედრილია C^1_{4-5}-D^1_4 კვადრატებში. ფართობი 5X6 მ. ჩრდილოეთი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 0.45-0.60 მ. (ნახ. 5).

აქ აღმოჩენილი უმეტესი, წამყვანი მასალის კლასიფიკაციის მიხედვით, ეს ნაშთები უფრო XII-XIII სს-ს უნდა ეკუთვნოდეს და ამდენად, უკავშირდება სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდის ნასახლართა ჯგუფს. №6 სენაკის თიხის ხსნარით შეკავშირებული, ირიბად წყობილი რიყის ქვის მკვიდრი კედლები განათხარში კარგად ჩანს, ხოლო საძირკველი ჯერ არ გამოვლენილა. შემორჩენილია სათავსოს სამი კედელი, ერთ-ერთ (სამხრეთ-დასავლეთ) მხარეს თითქო ღია სივრცეა გამოკვეთილი, რაც აქ სენაკში შესასვლელი კარის ღიობის არსებობაზე მიგვანიშნებს.

443 **რ-72-7560**
444 **რ-72-7561-67**
445 **რ-72-7570**
446 **რ-72-7538**
447 **რ-72-7567**
448 **რ-72-7568**
449 **რ-72-7569**
450 **ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955, გვ. 310$_{2,4}$; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 152.**

მეოთხე (სამხრეთი) კედლის თავზე კი (ჩანს მთელ სენაკზედაც) ზედ გადადის №11 დიდი რიყის ქვით ნაგები კედლის დასავლეთი ფრთა; ამ კედელთა შორის დონეთა სხვაობა 0.35 მ-ს უდრის. სენაკის კედლებიდან ერთ-ერთი მისი ფრთა გამართულია ძალზე მკვრივ მოყვითალო-ხაკისფერი თიხის „ბალიშზე". დანარჩენთა საძირკველი ჯერ არ გამოვლენილა.

გამოირკვა ისიც, რომ ამ სენაკის გაუქმების შემდეგ, ზედ მოსხმული ყოფილა კირხსნარიანი მასა, რომლის ზევიდანაც მომდევნო ეტაპზე გაუმართავთ №11 დიდი კედლის საძირკველი. ასე რომ, №11 კედლის კუთვნილი კირხსნარიანი იატაკის აღების შემდეგ, გამოიკვეთა მის ქვეშ არსებული №6 სენაკის კედლები და მასალა. აქვე აღმოჩნდა შედარებით უკეთ ნაკეთები ამოკაწრულორნამენტიანი, მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი[451] და მრავალფერადი ჯამები[452]. აგრეთვე, შავი და მწვანე მინის სამაჯურები[453], ბრინჯაოს ქარქაში[454] და სხვ.

სენაკის აგებულება და მასალა ჰგავს ამავე უბნის ძველ განათხარში II დონის შესაბამისი კირხსნარიანი იატაკის ნაშთებს. კერძოდ, კირხსნარიან იატაკში ამოჭრილ ორმოთა კუთვნილ მასალას (რუსუდანის მონეტების შემცველ ქვედა შრეს - აღმოსავლეთ ფართობზე). აქვეა მოხატული თეთრი დოქების[455] და ზოგი (შერეული) მრავალფერადი ნაღვენთიანი ჯამების ნატეხები[456]. ასე, რომ წამყვანი მასალის მიხედვით, №6 სენაკის ზედა ფენა ჯერჯერობით XII-XIII სს-ს მიეკუთვნება და გარე ზღუდის ნასახლარებთან არის დაკავშირებული. რადგან ჯერ მისი საძირკველი ბოლომდე არ გამოვლენილა (თუმცა ზოგი შერეული მასალა ადრეფეოდალური ხანის უკანასკნელ გარდამავალ ეტაპზე - X-XI სს-ზე მიგვანიშნებს), ამიტომ ვფიქრობთ, მომავალში ეს უკანასკნელი მის მომდევნო ქვედა - II ნახშირიან ზოლს უნდა დაუკავშირდეს.

ნალისებური სენაკი №7. სენაკი მოხვედრილია E^1_{3-4}-$F^1_{3-4.}$ კვადრატებში. იგი ჩაშენებულია შიდა ზღუდის №1 ბურჯის ზურგთან, მაგრამ გადადის პილონებიან შენობაზე (ტაბ. XXI_1, XXIV_2, ნახ. 5) თავის მხრივ კი №7 სენაკის კედლებზე დევს №11 რიყის ქვის გრძელი კედელი. ეს კედელი ასევე გადადის მომიჯნავედ მდებარე №9 სამკუთხა სენაკზედაც, რომელიც ასევე ჩაშენებულია №1 ბურჯის ზურგთან.

ნალისებრი №7 სენაკის ფართობია 4,50X4 მ. კედლების მაქსიმალური სიმაღლე - 0.50-0.70 მ. იგი აგებულებითაც და მასალითაც I ნახშირიანი ზოლის შესაბამისია და შუაფეოდალური ხანის ერთ-ერთ სამშენებლო ეტაპს (XII-XIII სს.) ეკუთვნის. უფრო სწორად, მონღოლთა შემოსევის შემდგომ, დროებით სადგომს წარმოადგენს. თიხის სქელ ფენაზე და მასალზე გამართულ რიყის ქვის წყობაში აქა-იქ შერეულია უთანაბროდ განლაგებული, ცალპირად წყობილი გათლილი კვადრებიც. ქვები და კედლები აქ ყველგან გადამწვარ-გაწითლებულია.

---

451 **რ-72-6781, 6924**
452 **რ-72-6759, 6919 ,6924, 6956, 6959, 6961, 6971**
453 **რ-72-6858-9**
454 **რ-72-3964**
455 **რ-72-6760-61, 6952, 6958, 6960, 6970, 6972**
456 **რ-72-6956**

სენაკი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი შიდა ზღუდის №1 ბურჯის ზურგში, პილონებიანი შენობის (№15) ფართობშია ჩაშენებული. ე.ი. ის დაშენებულია არა მარტო ბურჯის თავზე, არამედ მის ზურგში არსებულ პილონებიან შენობაზეც. ამ სენაკის კუთვნილია ორი თონის ნაშთი და რამდენიმე ფოსო, ერთ-ერთი მათგანი ბურჯის თავზე, ალიზის ნაშალშია მოხვედრილი. ამდენად, იგი I ზედა კირხსნარიანი იატაკის დონის კუთვნილი ნაშთებია; ანუ იმ დონისა, რომელიც შეესაბამება შიდა ზღუდის გაუქმების ხანას და მასზე გამართულ სხვა XII-XIII სს-ის ნასახლართა ცხოვრების ეტაპს.

აღსანიშნავია, რომ ამ ნასახლარის დონეზე, №11 კედლის თავიდან 0.50-1 მ. სიღრმეზე, მეტწილად XII-XIII სს-ის მასალა გვხვდება. ესენია: მრავალფერად მოჭიქული ლანგრის და ჯამის ნატეხები[457]; მწვანედ, ცისფრად, ღვიძლისფრად მოჭიქული ჯამები[458]; მწვანედ მოჭიქული ჭრაქი[459]; სამზარეულო ჭურჭელი - ქოთნები[460] (ტაბ. XLIX), სარქველი[461] (ტაბ. LII_4); ხელადის პირ-ყელის და გვერდის ნატეხები[462] და სხვ.

რაც შეეხება ამ სენაკის ქვედა დონეს, რომელიც შეესაბამება პილონებიანი შენობის კონტურების გამოკვეთას, აქ სიღრმის 1.20-1.40 მ-მდე მომატებასთან ერთად, უფრო მომრავლდა XI-XII სს-ის ჭურჭელი, რაც ვფიქრობთ, უკვე უნდა განეკუთვნებოდეს იმ ნასახლართა არსებობის ხანას, რომელიც საყრდენ კოჭებად ხმარობს №15 პილონებიანი კედლის ზოლს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ სენაკის ქვედა შრეებში აღმოჩენილი მასალა მეტწილად XII-XIII სს-ს შეესაბამება. ეს კი თავის მხრივ, ალბათ უნდა გვაუწყებდეს პილონებიანი დიდი შენობის გადაკეთებასა და სახეცვლას უკანასკნელ საფეხურზე (XI ს.). სავარუდოდ, ეს დონე სელჩუკთა მიერ XI ს-ში ციხე-ნასახლარების გადაწვის დროინდელი II ნახშირიანი ზოლის კუთვნილი უნდა იყოს.

ამ დონეზე უფრო მომრავლდა შედარებით ადრეული საფეხურის მასალა. ესენია: სუფთად განლექილი მოყვითალო-მოთეთრო თიხის ხელადის პირ-ყელის ნატეხები[463] (ტაბ. XLVII_3); ჭდეულორნამენტიანი, კეცზე ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელთა ნატეხები; ნაღვენთებიანი ჯამები, ზოგი მკრთალი ნაკაწრებით შემკული[464]; მოჭიქული ჯამის ნატეხები კეცზე თეთრი ანგობით და ფერადი საღებავით მოხატული[465].

1973 წელს, როცა ამ ადგილებში სამუშაოები მივმართეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლში №1 ბურჯის ზურგთან მიშენებული დიდი პილონებიანი №15 შენობის ფართობის გამოვლენისაკენ, აუცილებელი გახდა აქ გვიან ჩადგმულ

457 **რ-72-7026, 7144**
458 **რ-72-7144, 7328**
459 **რ-72-7142**
460 **რ-72- 7011, 7140**
461 **რ-72-7139**
462 **რ-72-7141**
463 **რ-72-7027**
464 **რ-72- 7053**
465 **რ-72-7130**

ნასახლართა ნაშთების ნანგრევ-ნაშალის აღება, რადგან 1965 წლის შემდეგ მხოლოდ ულაზათო ნაშალი კედლების გროვაღა იყო დარჩენილი. ასე მოიხსნა სამხრეთ შიდა ზღუდის №1 ბურჯის ზურგთან ჩაშენებული ნალისებრი №7 სენაკის კედლების ნარჩენები და ახლა უკეთ გამოჩნდა ამ ზოლზე განლაგებული უძველესი პილონების შეკეთებული თავები 0.70-0.80 მ-მდე სიმაღლით (ტაბ. XXI_2). შესაბამისი ნასახლართა დონის გამო აქ მოპოვებულ არტეფაქტებს შორის წამყვანი მასალა მაინც შუაფეოდალური ხანისა დარჩა. მათ შორის აღსანიშნავია: კეცზე ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამები[466] (ტაბ. XXXIII_{4-5}) და მკრთალი ნაკაწრებით ორნამენტირებული ორმხრივ მოჭიქული ჯამები[467], რომლებიც უფრო IX-XI სს-ის უნდა იყოსდანარჩენი კი - მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები[468] (ტაბ. XLII_1); ორმხრივ ცისფრად მოჭიქული ფაიანსის ჭურჭლის და სხვა ნატეხები - XII-XIII სს-ის ნაწარმს ეკუთვნის. მოუჭიქავ ჭურჭელშიც წამყვანი ისევ XI-XIII სს-ის ნიმუშებია: ხელადების პირ-ყელ-ყურებისა [469] (ტაბ. XLVI_1) და თეთრ ანგობზე შავი და წითელი საღებავებით მოხატული ხელადების[470] სახით (ტაბ. XLV_{5-6}). აქვეა ქვაბ-ქოთნების დაკუწუბოებული ნიმუშები[471], სადა ქოთნების[472] და დერგების[473], ქვევრების (ნიშნიანი) დამახასიათებელი ფორმები. ზოგი აქაც არის შერეული უფრო ადრეული ეტაპის მოუჭიქავი ჭურჭელი: მოყავისფრო თიხის ჯამები ან ბადიები, კალთაგაშლილი, ორმხრივ მთლიანად წვრილხაზოვნად მჭიდროდ დაღარული[474], და მოყავისფრო თიხის ქილები უთანაბროდ გაპრიალებული წაბლისფერი ხაზებით[475] - IX -XI და XI-XII სს-ის ნაწარმი.

სენაკი №9. სენაკი მდებარეობს D^1_{3-4} - E^1_{3-4} კვადრატებში (ტაბ. XXI_1, XXIV_2, ნახ. 5). იგი, აგრეთვე, ჩაშენებულია შიდა ზღუდის №1 ბურჯის ზურგში (№7 ნალისებრი სენაკის მსგავსად). ესეც დადგმულია უძველესი პილონებიანი შენობის №15 თავზე, მაგრამ სანაცვლოდ სენაკის კედლებზე გადადის №11 რიყის გრძელი კედელი.

სენაკი №9 აგებულებით და მასალითაც I ნახშირიანი ზოლის შესაბამისია. ეს ზოლი ამ ადგილებში 0.20-0.25 მ. სისქისა ჩანს და ეკუთვნის XII-XIII სს-ში ნასახლარის ცხოვრებისა და გადაწვის ეტაპს. მისი ფართობია - 4,50X6 მ.

სენაკის ჩრდილოეთ კედლად გამოყენებულია №11 გრძელი კედლის სამხრეთი პირი, რომლის ქვეშ, იმავე ზოლზე, 0.85 მ. სიღრმეზე ჩნდება №9 სამკუთხა სენაკის შემადგენელი ჩრდილოეთი კედლის ხაზი. ის აგრეთვე რიყის ქვითა და თიხის ხსნარითაა ნაგები. საცხოვრისის ნაშთი აქაც ორი თონით არის წარმოდგენილი. სენაკის სამხრეთი კედელი თევზისფხური წყობისაა და, მიუხედავად იმისა,

466 **04-73- 51**
467 **04-73-52**
468 **04-73-35, 53**
469 **04-73-54**
470 **04-73-40**
471 **04-73-37**
472 **04-73-55**
473 **04-73-41**
474 **04-73- 55**
475 **04-73-37**

რომ ბურჯის ზურგშია ჩაშენებული, პილონებიანი №15 შენობის დასავლეთისკენ მიმართულ ხაზს მაინც აცდენილია. იგი ჩაშენებულია №1 ბურჯსა და №11 კედელს შორის. გადამწვარი, აქა-იქ ჩადგმული მოყვითალო ქვებისგან შედგენილი აღმოსავლეთი კედელი კი მას №7 სენაკისაგან გამყოფს. იგი ძალზე დარღვეული სახითაა შემორჩენილი. სენაკის კედლების საერთო სიმაღლე 0.70-0.85 მ. არ აღემატება. გამონაკლისია სამხრეთი კედლის გარე პირი, რომლის სიმაღლე, მეტად დაღრმავების გამო, 0.90-1.10 მ. უდრის. ამიტომ შეინიშნა უფრო ქვედა დონის - XI-XIII სს-ის, ხან კი X ს-ის მასალა (შედარებით მოჭარბებულად). ეს დაღრმავება აქ პილონების გამოკვეთასთან იყო დაკავშირებული და შესაძლოა, ამის გამო მცირედ ჩაიჭრა X-XI სს-ის ფენა. საერთოდ კი - სენაკი და ნასახლარი ზოგადად იმავე XII-XIII სს-ის ზედა დონის კუთვნილია, რომელიც შიდა ზღუდის გაუქმების შემდეგ გაიმართა და განადგურების თვალსაზრისით (სენაკი ამ დროს წყვეტს არსებობას) XIII ს-ეს, მონღოლთა შემოსევის შედეგს - კატასტროფას დაუკავშირდა.

ამ ხანის შესაბამისი ტიპური მასალაც მოჭიქული ჭურჭლიდან ჩნდება: მწვანედ, ცისფრად მოჭიქული ჯამები[476]; გარედან მოჭიქული ორნამენტიანი ქილები[477] და ნახევარფაბრიკატები[478]; მრავალფერად მოჭიქული, მაგრამ ცეცხლში გადამწვარი ჯამები[479] და სხვა - ყველა XI-XIII სს-ის ნაწარმი. სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია: ფაიანსის ნატეხები[480], მინის ჭურჭლის ძირი[481], მწვანედ მოჭიქული სამარილე[482] (ტაბ. XXXIX_3). მოუჭიქავი ჭურჭლიდან XII-XIII სს-ს ეკუთვნის: ჭდეულორნამენტიანი ქვაბქოთანა[483]; რელიეფურორნამენტიანი ქოთნები[484]; ქილისა და ხელადის ორნამენტიანი ნატეხები[485] (ტაბ. XLVII_2); ტალღურორნამენტიანი მოთეთრო თიხის ჭურჭლის ნატეხები, მათ შორის ერთი - თხელკედლიანი[486]; გვხვდება სამტუჩა ხელადებიც[487]; სამზარეულო-საოჯახო ჭურჭლიდან: კოკის პირ-ყელები და სარქველი[488]. სამეურნეო ჭურჭლიდან: წითელი თიხის ქვევრის ნატეხები[489].

ქვედა ფენის კუთვნილი X-XI სს-ის მოჭიქული ჭურჭლიდან აღსანიშნავია: მოვარდისფრო თიხის ჯამის ნატეხები, კეცი ანგობით მოხატულია ხაზოვანი და ტალღური ორნამენტით, გადასხმული აქვს გამჭვირვალე ჭიქური[490]; აქვეა

476 **რ-72-6820, 6928, 6938, 6941, 6920, 6991, 7138**
477 **რ-72-6936**
478 **რ-72-6920,7073**
479 **რ-73-6920, 6941, 6991, 7074**
480 **რ-73-6990**
481 **რ-73-7136**
482 **რ-72-7022**
483 **რ-72-6821**
484 **რ-72-6927, 7072**
485 **რ-72-6937**
486 **რ-72-6942-43**
487 **რ-72-7058-59**
488 **რ-72-7020**
489 **რ-72- 6987, 7057, 7071**
490 **რ-72-7065**

ნაღვენთებიანი ჯამი[491] (ტაბ. XXX_4); ბრტყელქუსლიანი ჯამი[492] და სხვ. მოუჭიქავი ჭურჭლიდან - იგივე ქვედა ფენის X-XI სს-ის კუთვნილი უნდა იყოს: გაპრიალებული, მოთეთრო ჩალისფერი თიხის ჭურჭლის ნატეხები, მათ შორის ნისკარტიანი ჭურჭელიც[493]; ლეგა თიხის, წერტილოვანი ორნამენტით შემკული ქოთნის ნატეხები, აგრეთვე გაპრიალებული[494]. არის ტანდაღარული მოყვითალო სუფთა თიხის, განიერყელიანი სამტუჩა ხელადები[495] და ისეთივე თიხის დიდი ზომის ქოთნები, მცირედ ჩაღარული ირგვლივი ხაზოვანი ორნამენტით[496] და სხვ.

1973 წელს პილონების რიგის გამოჩენის მიზნით ამ სენაკის ნარღვევიც იქნა აღებული. ამგვარად, 4 მ-იანი ინტერვალის დაცვით თანაბრად განლაგებული გამოჩნდა შიდა ზღუდე - I ზურგში მიშენებული ხუთი პილონი, რომლის თავებს XI ს-ის აშკარა შეკეთების კვალი ეტყობა.

სამკუთხა და ნალისებრი ჩანაშენი სენაკების მოხსნის შემდეგ უპირატესად XII-XIII სს-ის მასალა გამოვლინდა, თუმცა ცოტაოდენი IX-XI სს-საც ეკუთვნის, რადგან ამ ნასახლართა კუთვნილი დონე დაუღრმავებელი დარჩა. დონეების შემოსწორების შემდეგ აქ ვნახეთ შედარებით ადრეული საფეხურის - IX-X და X-XI სს-ის მასალა: კეცზე ფუნჯით მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამები[497] (ტაბ. XXXII_{3-4}); კეცზე ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამები[498]; ანგობზე ფუნჯით მრავალფერად გაღვრილად მოხატულ-მოჭიქული ჯამები[499] (ტაბ. XXIX_{1-2}); ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით მოხატულ-მოჭიქული მრავალფერადი ჯამები[500] (ტაბ. XXX_3); კეცზე გარედან ანგობით მოხატული, მწვანეჭიქურიანი ქილა[501] და სხვ. - ყველა IX-XI სს-ის ნაწარმი. მოუჭიქავი, ადრეფეოდალური ხანის (შესაძლოა VI-VIII სს-ის) კუთვნილი ჩანს მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხის სასმისის პირ-ყელი, თხელკედლიანი, ძაბრისებრი პირით, წვრილი რელიეფური წიბოებით და წვრილტალღოვანი ჩაღარული ზოლით[502] (ტაბ. XXVI_4). XI-XII სს-ს მიეკუთვნება ერთფერჭიქურიანი ჭურჭელი, ამოკაწრულორნამენტიანი მწვანე, ცისფერი ჯამები[503]; ცისფერჭიქურიანი გარედან ამოღარულორნამენტიანი ქილები[504]; ცისფერი და მწვანეჭიქურიანი ნიჟარისებრი ჭრაქი[505] და სამარილე. XII-XIII სს-ს ეკუთვნის მცენარეული სახით[506] (ტაბ.

491 **რ-72-7074**
492 **რ-72-7137**
493 **რ-72-6988**
494 **რ-72-6989, 7058**
495 **რ-72-7060**
496 **რ-72-7061**
497 **04-73-95, 75**
498 **04-73-76**
499 **04-73-77, 78, 79, 96**
500 **04-73-80**
501 **04-73-88**
502 **04-73-91**
503 **04-73-81, 97**
504 **04-73-98**
505 **04-73-101**
506 **04-73-99**

XLII$_5$), გეომეტრიული მოტივით[507] მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამები (ტაბ. XLIII$_4$) და სხვ. XI-XIII სს-ის მოუჭიქავი ნაწარმიდან აღსანიშნავია: ბიკონუსური პატარა ხელადა-სასმისი, პირგანიერი, სწორი ყელით[508] (ტაბ. XXVI$_7$); XII-XIII სს-ის მოხატული ხელადები და ფინჯანი[509] (ტაბ. XLV$_5$); მოთეთრო ჩალისფერი თიხის, თხელკედლიანი, ძაბრისებურ პირ-ყელიანი მოხატული ხელადა[510] (ტაბ. XXVI$_3$). საოჯახო ჭურჭლიდან: წითელი თიხის მრგვალპირიანი დოქები[511]; სამტუჩა, ყელ-მაღალი დოქები[512]; სამტუჩა კოკები რელიეფური წიბოთი[513] (ტაბ. XLVI$_5$); სამზარეულო ჭურჭლიდან: ქვაბ-ქოთნები, შვერილა კოპით[514]. ამათში ერთი ქოთანი უფრო ძველი ჩანს X-XI სს-ის ნაცრისფერი თიხის, გარედან მჭიდროდ წვრილხაზოვნად დაღარული[515]. სამეურნეო ჭურჭლიდან XII-XIII სს-ს ეკუთვნის დეკორატიული დერგები რელიეფური წიბოთი და ღრმა „თვლისებური“ ნაჭდევებით[516]. გვხვდება მინის ნაწარმიც - მწვანე მინის ჭურჭლის ნატეხი[517].

ამ ნაშთების შესწავლით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ შიდა ზღუდე და მის ზურგში განლაგებული, შესაძლოა უფრო უძველესი (V-VI სს?), პილონები ერთდროულად გადაუკეთებიათ XI ს-ში. ალბათ, ამ დროს, პილონებზე, როგორც საბჯენებზე, დაყრდნობილი იყო ამავე ხანის, X-XI სს-ის სამოსახლოთა კოჭები - მანამდე, ვიდრე XI ს-ის ბოლოს, შიდა ზღუდე საერთოდ გაუქმდებოდა. ამის შემდეგ, XII-XIII სს-ში აქ გაშენდა იმ ფართო და ვრცელი სამოსახლოს კუთვნილი სენაკები №7, №9 და მომდევნო ნაგებობები, რომელიც დაუკავშირდა და მიებჯინა XII ს-ში აშენებულ დამცველ გარე ზღუდეს (ტაბ. XIII$_2$, XV$_1$).

ოთხკუთხა სენაკი №8 (ჩრდილო-დასავლეთ ფართობზე). ოთხკუთხა სენაკი №8 აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ფართობზე - კვ. B$^1_{4-5-6}$ - C$^1_{5-6}$ (ნახ. 5). ფართობი - 8,50X7,50 მ. კედლების მაქსიმალური სიმაღლე, შემორჩენილი მიწის ზედაპირიდან 0.25-0.70 მ-ია. იგი იმდენად დანგრეულია, რომ თითქმის მიწის პირთანაა გასწორებული, ხოლო კედლების ნაშთი მხოლოდ საძირკვლებზე ერთპირი რიყის ქვის წყობითა არის შემონახული.

შემორჩენილი კონტურული ნაშთების მიხედვით გამოირკვა, რომ რიყის ქვის სუსტი წყობით და თიხის ხსნარით შეკავშირებული კედლები გამართული ყოფილა კირხსნარიან თიხატკეპნილ „ბალიშებზე“. აქვე პირველად შეინიშნა საცხოვრისის I კატასტროფის მანიშნებელი ნაშალ-ნარღვევი ფენა: რიყის ქვის კედლების, კერამიკისა და ძვლოვანი ნაშთების სახით. B$^1_{4-5-6}$ - C$^1_{5-6}$ კვადრატების არეზე რიყის

507 **04-73-100**
508 **04-73-102**
509 **04-73-89**
510 **04-73-90**
511 **04-73-84**
512 **04-73-92**
513 **04-73-93**
514 **04-73-103**
515 **04-73-94**
516 **04-73-83**
517 **04.73-87**

ქვით ნაგებ ნაშთებშიც ჩანს სათავსოთა არათანაბარი განლაგება. თონის ნაშთი, ფოსოები თუ ორმოები უმთავრესად ისეთივე კონფიგურაციისაა, როგორც ადრევე ამ მიდამოებში აღმოჩენილი I დონის შესაბამისი ორმო-ფოსოები, ნიადაგი, ნამწვი და ნაშალი თავისი შესაბამისი კერამიკით, ქვით, აგურით და სხვა მასალით (ადრევე აღმოჩენილ რუსუდანის დროის მონეტებთან ერთად)[518]. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს ნაშთებიც I ნახარშიანი ზოლის კუთვნილია, ანუ XIII ს-ის კატასტროფის მანიშნებელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ყველგან, ამ სენაკის ნაშთებზედაც ზედ გადადის №11 კედელი (ტაბ. XIII_2, XXII_2), ხოლო თავის მხრივ, №8 სენაკის ნაშთები ზედ გადადის №6 სენაკის ჩრდილო კედელზე.

ამგვარად, №8 და №6 სენაკთა ნაშთების არათანაბარ დონეზე განლაგება (ზოგი კედლის ნაშთი ერთმანეთზე გადადის) ჩვენი ვარაუდით, მიუთითებს ერთი სამშენებლო პერიოდის ორ სხვადასხვა ეტაპზე და ძირითადად შეესაბამება I ნახშირიან-ნაცროვანი ზოლის დონეს, რომელიც საკონტროლო ჭრილის მიხედვით, ნავარაუდევია XIII ს-ში მონღოლთა შემოსევის შედეგად ამ ადგილების ნგრევა-განადგურების მაჩვენებლად[519].

სტრატიგრაფიულად ამის მიმანიშნებლად, თუნდაც ის ფაქტი ჩაითვლება, რომ №11 დიდი კედელი საძირკველითურთ ამ სუსტი კედლების თავზე გადადის (ტაბ. XIII_2, XXII_2).

ამგვარად, გამოირჩევა შუაფეოდალური ხანის ორი განსხვავებული სამშენებლო ეტაპი, რასაც აღმოჩენილი მასალაც ადასტურებს: ამოკაწრულორნამენტიანი, მწვანედ მოჭიქული ჯამის ნატეხი[520]; გვაქვს ცისფრად მოჭიქულიც[521]; ანგობით მოხატული, მწვანედ და ლურჯად მოჭიქული ჯამები[522]; მრავალფერადი ჯამები[523]; სამეურნეო ჭურჭლიდან გვხვდება: დაბალყელიანი დერგის ნატეხი[524]; ქვევრის პირ-გვერდები[525]; ქვაბ-ქოთნისა და ქოთნების, სარქველების, კოკების, ხელადების და სხვა ნატეხები[526], - ხაზოვანი, ტალღური, ან ჭდეულორნამენტიანი ნატეხები.

სენაკი №10. სენაკი გათხრილია ჩრდილო-აღმოსავლეთ ფართობზე - კვ. D^1_{4-5}-E^1_{4-5} (ნახ. 5). ფართობი - 8X7 მ. სენაკი ძალზე დარღვეულია. შერჩენილია მხოლოდ ცალპირა რიყის ქვის წყობა თიხის „ბალიშებზე", მიწის ზედაპირიდან სულ 0.50-0.60 მ. სიმაღლეზე. №11 გრძელი რიყის ქვის კედლის ქვეშ მოთავსებული ეს სუსტი სათავსო (№10) ნაგებია ერთპირი, ირიბწყობიანი რიყის ქვით; გამართულია მკვრივი თიხის კირხსნარიან „ბალიშზე". №3-4 ორმო (მასალითურთ), თონე და სხვ. შეესაბამება დამწვარ-გაწითლებულ და ნახშირიან ნიადაგს; ხოლო სამხრეთ კედელთან თონის

---

518 **იხ. ე. ჯანდიერის 1960-1965 წწ. შემაჯამებელი ანგარიში (თხრილი - XI).**

519 **ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრების მარიამისეული ნუსხა, გვ. 694; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 86.**

520 **რ-72-6705, 6756**

521 **რ-72-6756, 6868**

522 **რ-72-6706, 6892**

523 **რ-72-6706, 6892**

524 **რ-72-6703**

525 **რ-72-6754, 6867, 6889**

526 **რ-72-6757, 6758, 6891, 6890, 6869**

ნაშთზე ზედ გადადის №11 კედელი.

ამგვარად, ეს სამკუთხა სენაკიც I დიდ ნახშირიან ზოლში ექცევა და ძირითადად XII-XIII სს-ის საცხოვრისის ნაშთია, რომელიც ალბათ, XIII ს-ში დიდი კატასტროფის დროს განადგურებულა.

აქვე, შენობათა დონის მიხედვით, გამოირჩევა ამავე - შუაფეოდალური ხანის ორი განსხვავებული სამშენებლო ეტაპიც. ამასვე ადასტურებს აქ აღმოჩენილი XII-XIII სს-ით დათარიღებული მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები. მოჭიქული ჭურჭლიდან აღსანიშნავია: ანგობზე ამოკაწრული, ფრინველის გამოსახულებიანი, ცისფერჭიქურიანი ჯამი[527]; გეომეტრიულორნამენტიანი, მწვანედ მოჭიქული ჯამი[528]; ღვიძლისფერჭიქურიანი ჯამები, მათ შორის არის ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქულიც[529]; გვხვდება მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჭურჭელიც[530] - მათში არის ფრინველის გამოსახულებიანი[531]. გვხვდება ნახევარფაბრიკატები[532]. აქა-იქ, ძალზე მცირედ ურევია კეცზე ანგობით მოხატული მრავალფერადი ჯამის ნატეხები[533]. გვხვდება შავი მინის სამაჯურიც[534]. მოუჭიქავი ჭურჭლიდან გამოირჩევა: ჭდეული და რელიეფურორნამენტიანი მოყვითალო თიხის ხელადის პირ-ყელი[535]; მაღალყელიანი, თხელკედლიანი ფინჯნის პირი[536], განიერბაკოიანი ქოთნის პირები რელიეფური ტალღური ორნამენტით და პაწია ღილაკებით დაძერწილი[537], სარქველები[538] და სხვ.

ნასახლართა კვალი და სამეურნეო ორმოები თხრილის აღმოსავლეთ ფართობზე. მას შემდეგ, რაც ციხის შიდა ზღუდის ზოლი (ორივე ფართო კარით) გაუქმდა (ანუ მათ პილონებს შუა რიყის ქვის კედლები ჩაშენდა), „ამოქმედდა“ გარე ზღუდე (გვირაბიან და თაღოვან კართან ერთად) და, ამიტომ გასაგები ხდება, რომ დაახლოებით XII-XIII ს-ში აღნიშნულ ფართობზე უნდა გაჩენილიყო შიდა ზღუდესთან, შიგნიდან მიდგმულ ნასახლართა კუთვნილი სამეურნეო ორმოები. 30-მდე ასეთი სამეურნეო ორმო გაიწმინდა 1962-1965 წლების არქეოლოგიური კამპანიების დროს, რომელთა მასალა ძირითადად შუაფეოდალური ხანისაა (მოხატული თეთრი დოქები, რუსუდანის დროს მოჭრილი მონეტა და სხვ.). თუმცა დროთა განმავლობაში ჩამოშლილი და ჩამორეცხილი მიწის გამო ეს ადგილები წაიშალა, ამიტომ აუცილებელი გახდა ამ ფართობის შესწორება-გასუფთავება. აღმოსავლეთ შიდა ზღუდესთან, პირდაპირ დიდი კარის (№1) წინ ჩაჭრილი ორმოები და ნასახლართა ნაშთი გაიწმინდა ჩამონაშალი მიწისაგან, სადაც აღმოჩნდა XII-XIII სს-ის უამრავი მასალა. II კირხსნარიანი იატაკის დონის ქვეშ გამოვლინდა უფრო ადრეული

527 **რ-72-6744**
528 **რ-72-6746**
529 **რ-72-6875, 6709, 6712**
530 **რ-72-6709[1], 6712[1], 6743, 6875**
531 **რ-72-6742**
532 **რ-72-6745**
533 **რ-72-6747**
534 **რ-72-6748**
535 **რ-6709, 6712, 6749, 6871**
536 **რ-72-6709. 6749, 6871-72**
537 **რ-72-6709, 6750, 6874**
538 **რ-72-6709, 6714**

ეტაპის - IX-XI სს-ის ზოგი ნიმუში. მათში აღსანიშნავია: IX-XI სს-ის ჯამები - კეცზე ანგობის ზოლით მოხატული და მოყვითალო ჭიქურით დაფარული[539], კეცზე ანგობით მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები[540]. X-XI სს-ის ჯამები - ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით ორნამენტირებული, მრავალფერად გაღვრილად მოხატულ-მოჭიქული[541]. IX-X სს-ის ჯამები - ანგობზე გაღვრილად მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული[542] და სხვ. X-XI სს-ის გარედან ორმხრივ მოჭიქული დეკორატიული ქილა, მწვანეჭიქურიანი, რელიეფური კოპებით შემკული[543] (ტაბ. XXXVIII_3).

მოუჭიქავი ჭურჭლიდან ადრეული ეტაპის V-IX სს-ის კუთვნილია: მოყვითალო თიხის თხელკედლიანი ხელადები, ყელწიბოიანი[544] (ტაბ. XXV_3); VI-VIII სს-ის: მოვარდისფრო თიხის ხელადის განიერი ბრტყელი ძირები, შიდა პირი ღრმად, ირგვლივ დაღარული[545]; IX-XI სს-ის: უყელო, ორმხრივ წვრილხაზოვნად დაღარული დერგები ან დიდი ქილები[546].

აშკარაა, რომ ეს მასალა ქვედა ფენის კუთვნილი ნასახლარებისა უნდა იყოს და შიდა ზღუდის და №1 კარის არსებობა-მოქმედების ხანას უნდა დავუკავშიროთ. ხოლო მომდევნო ეტაპზე - XII-XIII სს-ში, როცა მასზე კირხსნარიანი - ზედა დონის იატაკი გაიმართა და ამავე ხანის ნასახლარებიც განლაგდა, მაშინ დაიკეტა შიდა ზღუდეც და მისი №1 კარი, ხოლო მისი ზღურბლის წინ ახალი სამოსახლოს სამეურნეო ორმოები გაჩნდა. სწორედ XII-XIII სს-ის სამოსახლოს ეკუთვნის ზედა ფენებიდან მომდინარე შესაბამისი მასალაც. ესენია: XI-XII სს-ის ერთფერჭიქურიანი, ამოკაწრულორნამენტიანი ჯამები[547], XII-XIII სს-ის მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ფრინველის[548] და ცხოველის გამოსახულებიანი[549] ჯამები. XI-XIII სს-ის კუთვნილია: გარედან ცისფერჭიქურიანი ხელადები, ქილები[550] და ნახევრადდამზადებული ჯამი[551]. XI-XIII სს-ის მოუჭიქავი ჭურჭლიდან გვხვდება: წითელი თიხის მსხლისებური ხელადები[552] (ტაბ. XLVI_2), ასევე ძაბრისებრპირიანებიც[553]. მოვარდისფრო თიხის ხელადები[554]; ბადიები[555]; ქილები[556]; კოკები - სამტუჩა, ყელწიბოიანი[557]; გვხვდება ნიშნიანიც - ამოკაწრული

539 **04-73-388**
540 **04-73-297**
541 **04-73-389, 356**
542 **04-73-255, 298**
543 **04-73-390, 369**
544 **04-73-372**
545 **04-73-301**
546 **04-73-305**
547 **04-73-362-3, 330, 256**
548 **04-73-366, 257, 299**
549 **04-73-285**
550 **04-73-300, 256**
551 **04-73-299**
552 **04-73-379, 391**
553 **04-73-286, 372**
554 **04-73-399, 400**
555 **04-73-395**
556 **04-73-371, 304, 357**
557 **04-73-374, 376**

„ჯვრით“[558]; ქოთნები[559]; ქვაბ-ქოთნები[560]; სარქველები[561]. გვაქვს XII-XIII სს-ის დეკორატიული დერგებიც, წითელწერნაქიანი და ნაჭდევი „თვლებით“ ორნამენტირებული[562]. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია: ცისფერი მინის მძივი, ჭრილა[563]; სამაჯურები[564] - წვრილგრეხილი და სადა. აქვეა მინის ჭურჭლის კედლისა[565] და ფეხის ნატეხი[566]. მრავლად არის სამშენებლო კერამიკაც - ღობიანი კრამიტები.

ნასახლართა კვალი სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე და შიდა ზღუდეებს შორის ალიზით შევსებულ არეზე. როგორც ადრევე აღვნიშნეთ, გარე და შიდა ზღუდეებს შორის არსებული ზოლი გაუქმებულია XI ს-ის შემდგომ. ასე რომ, შიდა ზღუდე მთლიანად და მასში ჩართული №1 ბურჯი, აგრეთვე, წყალსადენისაგან განგრეული №2 კარი, დაფარულია ალიზის მასით, ხოლო შემდგომ ზედ არის გამართული XII-XIII სს-ის ნასახლარი. ალიზის მასა ადევს შიდა ზღუდის თავსაც და კედლად გასდევს მას. ასევე კარგად გამოირჩევა ისეთი ალიზის, ანუ თიხის მასაც, რითაც (უფორმო მასაა) ამოვსებულია ორ ზღუდეს შორის არსებული ფართობი. სწორედ ასეთი თიხის მასაზეა მოსხმული კირხსნარიანი ფენა, რაც ალბათ I ზედა დონის იატაკად გამოუყენებიათ გარე ზღუდის კუთვნილ იმ ნასახლართათვის, რომლებიც უშუალოდ ებჯინება გარე ზღუდეს.

ეს ფართობი გარე და შიდა ზღუდეებს შორის მოქცეულია B^1_{1-2}-$C^1_{1,2}$-D^1_{1-2} კვადრატებში. ზღუდეთა შორის მანძილი 4-6 მ-ია. აქ, კირხსნარიანი ფენის აღების შემდეგ, ალიზის მასიდან გამოვიღეთ I ნახშირიანი ზოლის კუთვნილი შუაფეოდალური ხანის მასალა: ცისფრად და მწვანედ მოჭიქული ჯამის ნატეხები[567]; არის ანგობით, მწვანე და ღვიძლისფერი წერტილებით მოხატული და უფერო ჭიქურით დაფარული[568]. გვაქვს წიწვოვანი ორნამენტით შემკული წითელწერნაქერიანი ჭურჭელიც[569], მინის ჭურჭლის კედლის ნატეხები[570] და სამაჯური[571]. ეს დონე გარე ზღუდის თავიდან ჯერჯერობით გაჩერებულია 1.40 მ. სიღრმეზე.

ზღუდეთა შორის ალიზით შევსებული მასიდან, ე.ი. კირხსნარიანი I დონის „იატაკის“ ქვეშ აღმოჩნდა წინა საფეხურის კუთვნილი მასალაც, თუმცა იგი შესაძლოა ფართობის ამოვსებისას ალიზის მასაში შეყოლილიც კი იყოს. ესენია: ნაღვენთებიანი ჯამისა და ქილის ნატეხები; გადამწვარი[572], მკრთალი ნაკაწრებიანი თიხის

558 **04-73- 376-7**
559 **04-73-370, 369**
560 **04-73-368**
561 **04-73-287**
562 **04-73-378**
563 **04-73-252**
564 **04-73-253-4, 359**
565 **04-73-294**
566 **04-73-295**
567 **რ-72-6708, 6855-6**
568 **რ-72-6856, 7484**
569 **რ-72-6708**
570 **რ-72-6849, 6851**
571 **რ-72-6850**
572 **რ-72-7484**

ქურჭელი, შედგენილი ორნამენტით[573]; მოთეთრო-მოყვითალო თიხის ქურჭელი[574]; წვრილხაზოვნად დაღარული ზედაპირის მქონე მოყვითალო თიხის ქოთანი[575]; გვაქვს ზედაპირგაპრიალებულიც[576]; ასევე, მოკლე ჯგუფური ხაზებით შემკული თეთრი თიხის თხელკედლიანი ქურჭლის ნატეხები[577].

ნასახლართა კვალი სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე და შიდა ზღუდეების შერწყმის კუთხეში (გვირაბიან კარიბჭესთან). ადრევე, 1965 წლის განათხარში, შეინიშნა, რომ გარე ზღუდის კუთვნილ ნასახლართა ერთი ჯგუფი გადადგმული იყო პირდაპირ შიდა ზღუდის ზოლში ჩართულ №1 ბურჯის თავზე; აქვე, ბურჯის ალიზის ნანგრევ მასაში, ჩადგმული იყო თონე და მასზე იდგა რიყის ქვით ნაგები კედლის ნაშთი (ტაბ. XIV_1), რომელიც შემდგომ მოვშალეთ (დაინგრა მომავალი 1972 წლის კამპანიის დაწყებამდე).

ამას გარდა, 1972 წელს, ზღუდეთა შორის ალიზით ამოვსებული ზოლის გათხრისას, აქ კიდევ ერთხელ დადასტურდა გარე ზღუდის კუთვნილ ნასახლართა ნაშთი სამი თონისა და ერთი ქვევრის სახით, რომელიც ამ მასაში იყო ჩადგმული (ორი ზღუდის შერწყმის კუთხესთან - გვირაბიანი კარიბჭის მიმართულებით). თონეები და ქვევრები შიდა ზღუდის №1 ბურჯის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია ჩადგმული, ბურჯის თავიდან თითქმის 1.20 მ. სიღრმეზე (ტაბ. XX_2, XXIII_2). ამით დადასტურდა XI ს-ის მიწურულისათვის შიდა ზღუდის ზოლის გაუქმება, ხოლო XI-XIII სს-ში გარე ზღუდის შენება და მისი მიმყოლი ფართობის სამოსახლოებით დაფარვა. ეს ფართობი მოქცეულია E^1_{2-3}-F^1_3-G_3 კვადრატებში (ნახ. 5). ზღუდეთა შორის მანძილი აქ 2-5 მ-ია, ხოლო მონაპოვარი მასალა ჯერჯერობით გამოვლენილია გარე ზღუდის თავიდან დაახლოებით 1.40 მ. სიღრმეზე. ასე რომ, მონაპოვარი მასალა მთლიანად შეესაბამება XI-XIII სს-ს და ცხადია, XIII ს-ში ციხის გადაწვის მანიშნებელ I ნახშირიან ზოლსაც.

თონეებისა და ქვევრის ირგვლივ მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია: XIII ს-ის სპილენძის მონეტა[578] (ტაბ. LVI_1); ლურჯი მინის სამაჯური[579]; მწვანედ მოჭიქული სამარილე[580] (ტაბ. XXXIX_2); ნაღვენთებიანი ჯამის ნატეხი[581] (ტაბ.XXIX_{4-5}), მწვანე ჭიქურიანი ჯამის ნატეხები[582]; გვხვდება ანგობით მოხატული მწვანეჭიქურიანი ჯამებიც[583] (ტაბ. XXXIV_3); ცისფერჭიქურიანი ფაიანსის ნატეხი[584]; მოუჭიქავი ქურჭლი-დან გვაქვს: წვრილტალღოვანი ორნამენტით შემკული ქოთნისა და სარქველის

573 **რ-72-6853**
574 **რ-72-6854**
575 **რ-72-7409**
576 **რ-72-7410**
577 **რ-72-7483**
578 **მონეტა, განსაზღვრა ირ. ჯალაღანიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.**
579 **რ-72-7123**
580 **რ-72-7048**
581 **რ-72-7127, 7326**
582 **რ-72-7128**
583 **რ-72-7326**
584 **რ-72-7050**

ნატეხები[585]; თეთრი თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხები[586]; მოვარდისფრო თიხის ზედაპირგაპრიალებული ჭურჭელი[587]; მოყვითალო და წითელი თიხის ქოთნის ნატეხები[588].

№11 კედელი - XIII ს-ის ბოლო - XIV ს-ის ნასახლარის ნაშთი (ზედა დონე). და ბოლოს, გარე ზღუდის კუთვნილ ნასახლართა ჯგუფს ზევიდან ადგას №11 კედლის ნაშთი - დროებითი სადგომების ნიმუში (ტაბ. XIII_2, XVIII_2, XXII_2), რომელიც აქ გაჩენილა XIII ს-ის მონღოლური კატასტროფის შემდეგ, ან შესაძლოა XIV ს-შიც. ზემოაღწერილი ნასახლარები კი, უთუოდ, XIII ს-ში ჩანს განადგურებული. მაგრამ მათი წარმოშობა კი უეჭველია გარე ზღუდის აგების (XII ს.) და არსებობის (XII-XIII სს.) თანადროული უნდა იყოს, რადგან ნასახლართა აქ გაჩენა, თავისთავად, გულისხმობდა გაუქმებულ შიდა ზღუდზე დაშენებას და გარე ზღუდის შიდა პირთან მიდგმა-მიბჯენასაც.

მიწის ზედაპირზე, კირდუღაბიანი ქვა-ღორღის ნაშალის აღების შემდეგ, ზედაპირიდან 0.60-0.70 მ. სიღრმეზე, თანდათან გამოიკვეთა სქელი დუღაბით მკვიდრად ნაგები რიყის ქვის გრძელი კედელი - №11, საძირკვლითურთ, რომლის ქვეშ ფართობზე განლაგდა ყველა იმ სათავსოთა ჯგუფი, რომელიც აქ გამოვლინდა და, რომლის აღწერილობაზე და ფენობრივ განლაგებაზე ჩვენ ზევით უკვე ვისაუბრეთ.

ასე, რომ ყველა ზემოაღწერილი ნაშთი სტრატიგრაფიულად №11 კედლის საძირკვლის ქვეშ არის განფენილი. ხოლო ჩვენი კვლევა სწორედ, ამ ნაშთთა სტრატიგრაფიულად გარჩევა-გაანალიზებას ისახავდა მიზნად. ამანვე განაპირობა ამ ნაშთთა ქრონოლოგიური შესატყვისობაც - სტრატიგრაფიის, მშენებლობის წესის, მასალის განფენების და დაკავშირების პირობის დაცვით. ამგვარად, კედელი №11 ამ ფართობზე, ჯერჯერობით, ყველა გამოვლენილ ნაგებობასთან შედარებით უფრო „ახალი“ ჩანს. იგი მოქცეულია C^1_3-D^1_{3-4}-E^1_4 კვადრატებში (ნახ. 5). კედლის სიგრძე - 11 მ-ია, სიგანე - 0.90-1 მ, სიმაღლე - 0.60-0.70 მ.

განათხარი ნაშთების საერთო კონფიგურაციის მიხედვით აღწერილ ნასახლართა ჯგუფი უშუალოდ მიდგმულია სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდესთან. თავის მხრივ, შიდა ზღუდის ზოლში ჩართული დიდი ბურჯი №1 და სხვა ელემენტები, კუთხით შერწყმული აღმოჩნდა გარე ზღუდესთან, რომლებიც განათხარის სახის მიხედვით, ერთად შეუკავშირდნენ ზემოთხსენებულ გვირაბიან კარიბჭეს.

ჩანს, რომ სავარაუდოდ XII ს-ში, ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შიდა ზღუდის გაუქმების შემდეგ ახლად აიგო გარე ზღუდე, რომლის კუთხეშიც ჩართულია გვირაბიანი კარიბჭე. ამდენად, რიყის ქვით და კირ-დუღაბით ნაგები №11 კედელი, ვფიქრობთ, წარმოადგენდა გარე ზღუდის შესაბამის, მაგრამ სულ ზედა დონის კუთვნილ სხვა სათავსოთა ერთ-ერთ შემადგენელ კედელს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დაშენებულია შიდა ზღუდის ზოლში ჩართულ №1 ბურჯის თავზე (ალბათ XIII ს-ის შემდეგ). ან შესაძლოა, იგი ასრულებდა XII-XIII სს-ის სადგომთა დამცველ, ანუ ჩამკეტი ფლანგის როლს (ეგებ XIII ს-ის შემდგომ ეტაპზედაც).

585 **რ-72-7125**
586 **რ-72-7126**
587 **რ-72-7324**
588 **რ-72-7478**

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ №11 კედელი აქ ყველაზე „მოგვიანოა“, რადგან ყველა სხვა სათავსოს ნაშთებთან შედარებით, მისი საძირკველი, აშკარად, ზემოთ დარჩა. შესაძლოა, იგი აგრეთვე XIII ს-ში მონღოლთა მიერ ციხის ნგრევის შემდგომ - ხელახალი დასახლებისა და მშენებლობის უკანასკნელ - 30 წლიან ეტაპსაც შეესაბამებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ დონის შესაბამისი უმეტესი მონაპოვარი მასალა ძირითადად მაინც XII-XIII სს-ს ეკუთვნის, ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა. ეს გამონაკლისი მასალა კი შესაძლოა, XIII ს-ის შემდგომი წარმოების მანიშნებელიც იყოს (ეგებ XIV ს?). ამ ვარაუდის დაზუსტებას კერამიკის შემდგომი კვლევა დასჭირდება, რადგან მათში შეიძლება გამოირჩეს XIV ს-ის ნიმუშები მაინც, თუმცა ტექნოლოგიური ხერხებით ისინი ალბათ არცთუ დიდად უნდა იყვნენ განსხვავებულნი XIII ს-ის ნიმუშებისგან, არამედ - უფრო სტილისტური თვალსაზრისით, ხელწერით და შესრულების მანერით. ჩვენი წინასწარი ვარაუდით კი ვფიქრობთ, რომ XIII-XIV სს-ის გარდამავალ ნიმუშებს ალბათ, უნდა წარმოადგენდნენ: მრავალფერადი ჯამის ნატეხები, რომელთაც მჭახე ფერები აქვთ და მხოლოდ ფუნჯით არიან მოხატულები, სადაც მკვეთრი ყავისფერი სქელი კონტურით გამოიყოფა გამოსახულება და გადავლებული აქვთ ძალზე თხელი უფერო ჭიქური, ან საერთოდ აღარ არაინ მოჭიქული და ასე ჭიქურის გარეშე არიან დამზადებული. ეს უკანასკნელნი ნახევრადდამზადებული არიან. ჩვენ ამგვარ სტილისტურ „დაკნინებაში“ ვხედავთ მოგვიანო შუა საუკუნეების ტექნოლოგიაზე გადასვლის საფეხურს, რადგან ცნობილია რომ მონღოლთა შემოსევის შემდეგ, ერთ დროს აღზევებულ და დაწინაურებულ შუაფეოდალური ხანის ციხე-ქალაქებში ცხოვრება ჩაკვდა, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა წარმოების დაკნინება-დამცრობა, ეკონომიკის დაცემა, - **მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთიანად მოსპობა და გაქრობა.** ამიტომ, ვფიქრობთ, რომ XIII–XIV სს-ის გარდამავალი ტექნოლოგიური ხერხი შერეული ნიმუშების სტილისტურ „სიღარიბეში“ ვეძიოთ და ამით გამოვარჩიოთ ეს საფეხურიც, რომელიც დღემდე ლაკუნად - თეთრ ლაქად რჩებოდა არქეოლოგიურ დისციპლინაში.

რაც შეეხება №11 კედლის ნაშთის მიკუთვნებას უკვე გვიანფეოდალური ხანისათვის (მაგ. ნაზარ-ალი ხანის დროისათვის XVII-XVIII სს?), გამორიცხული გვგონია, რადგანაც ამ ადგილებში აშკარად გვიანი მასალა საერთოდ არა ჩანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ №11 კედელი მშენებლობის წესითა და დონითაც ნამდვილად შეესაბამება აღმოსავლეთ შიდა ზღუდის X უბანზე - ე.წ. „სასახლის“ უბანზე 1976 წელს გათხრილი დარბაზული ტიპის ეკლესიის საძირკვლის ნაშთს. ამდენად, ერთობლივ, ეს ნაშთები ერთ სამშენებლო ეტაპს და მაშასადამე, ქრონოლოგიურადაც ერთდროულ ნაგებობას უნდა მიეკუთვნოს, რადგან მათთან დაკავშირებული ერთი სტილით აგებულ-აშენებული სამოსახლოს ჯგუფიც აქვეა შენიშნული.

ამგვარად, №11 კედლის შესაბამის დონეზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის კლასიფიკაციის შედეგად, სათანადო პარალელურ მასალასთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე,[589] გამოირკვა, რომ მათი უმეტესობა XII–XIII სს-ს მიეკუთვნება[590]

[589] **მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, თბ. 1969, ტაბ. XXXVIII; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ. 1956.**

[590] **რ-72- 6700 – 6702, 7184 - 7189**

(ტაბ. XLI_4). ამ კედლის თავისა და სამხრეთი პირის პრეპარაციისას, კირხსნარიან მასაში აღმოჩნდა: ანგობით მოხატული, მწვანედ და ცისფრად მოჭიქული ჯამის ძირ-კედლის რამდენიმე ნატეხი; ასევე მრავალფერად მოხატულ-მოჭიქულები[591]; ჭრაქისა და ცისფრად და მწვანედ მოჭიქული სამარილის ნატეხები[592]; გვხვდება ნახევრადდამზადებულნიც[593]. აქვეა ლურჯად მოჭიქული ფაიანსის ნატეხები[594]. გვაქვს გამურული ქოთნის რამდენიმე ნატეხი[595]; წერნაქიანი და რელიეფურორნამენტიანი დერგის ნატეხებიც[596] (ტაბ. LV_2); დიდი ჭურჭლის (დერგის?) ყურები[597]; სარქველის ნატეხები[598] და ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხი[599]. ამ ნიმუშთა უმეტესობა XII–XIII სს-ის ნაწარმს ეკუთვნის და ადგილობრივი - რუსთავული ხელობისათვის არის დამახასიათებელი.

ამ კედლის გამოვლენის შემდეგ, და საერთოდ თხრის პროცესის თანახმად, გამოირკვა, რომ №11 კედლის საძირკველი ზედ გადადიოდა იმ რამდენიმე სენაკის შემადგენელ კედელთა ნაშთებზე, რომლებიც ზევით აღვწერეთ. ეს სენაკებია: №6, 7, 8, 9, 10, 19, რომლებიც თავის მხრივ, როგორც დავრწმუნდით, ამ კედლის მათზე დაშენების წინა საცხოვრებელ ეტაპებს გვისურათებდნენ.

ამგვარად, განხილულ ნასახლართა კომპლექსის ნაშთები გარე ზღუდესთან კავშირში იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ XI ს-ის შემდეგ, როცა გაუქმდა შიდა ზღუდის ზოლი მასთან მიმდგომი სამოსახლოებით (რანიც ჯერ მკვეთრად არც კია განათხარში გამოვლენილი), - მომდევნო ეტაპზე უკვე XII ს-თვის აგებულა გარე ზღუდე გვირაბიანი საცალფეხო კარიბჭითურთ. ამით ციხის თავდაცვითი სისტემა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ განმტკიცებულა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემატებულ და გაფართოებულ ტერიტორიაზე ახალი სამოსახლოები გაჩენილა. ეს სამოსახლოები უშუალოდ გარე ზღუდის შიდა - პერანგიან პირზე ყოფილა მიბჯენილი, მაგრამ ამ სამოსახლოთა კომპლექსშიც ჩანს დონეებით განსხვავებული სამი საცხოვრებელი სამშენებლო ეტაპი, რომელიც მასალით დიდად გამორჩეული არ არის.

XII ს-ში მთელ ციხეზე, ნათლად ჩანს ახალი ტექნიკური-კონსტრუქციული წინსვლა - როგორც მშენებლობაში (ხელახლა აიგო გარე ზღუდის ზოლი და გვირაბიანი კარიბჭე თავისი გართულებული სამოძრაო მიმოსვლითი სისტემით, რამდენიმე კამაროვანი ერთმანეთში გამავალი კარით) - ისე ხელოსნობაში (განსაკუთრებით მეთუნეობაში), თუმცა ეს ყოველივე, მონღოლთა რბევის შედეგად, XIII ს-ში, დიდ კატასტროფას ემსხვერპლა. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რბევის შემდეგ, ისევ XIII ს-ის ბოლო მეოთხედში ან XIV ს-ში, ციხის ტერიტორია ისევ დასახლებულა დროებითი

591 **რ-72-6701 – 7185 - 6**
592 **რ-72-6701**
593 **რ-72-7187**
594 **რ-72-7184**
595 **რ-72-6701**
596 **რ-72-6700**
597 **რ-72-6702**
598 **რ-72-7188**
599 **რ-72-6702**

სადგომებისა და სუსტად ნაგები სათავსოების სახით, რომელთა აგებულებაში აქა-იქ შერეული რიყის ქვასა და ნატეხ აგურებთან ერთად ხელმეორედ გამოყენებული ჩანს ნანგრევი ყვითელი ქვის კვადრები. ასეთი სურათი მოგვცა №11 გრძელი, რიყის ქვით ნაგები კედლის აღწერილობამ და იმ სუსტმა ნაშთებმა, რომლებიც გვირაბიანი კარიბჭის და კამაროვანი ღიადების წინ, გარდიგარდმოდ იდგნენ და ამ სუსტი კედლებით კართა „გადაკეტვა-გაუქმებაზე“ მიგვანიშნებდნენ. ეს უკანასკნელი გარემოება, საფიქრებელია, ისევ XIII ს-ის ფარგლებში უნდა მომხდარიყო - იმ 30 წლიან შუალედში, რომელიც მონღოლთა შემოსევის - 1265 წლის შემდეგ არის ნავარაუდევი.

ადრეფეოდალური ხანის მშენებლობის წესისაგან განსხვავებით, შუაფეოდალური ხანის მშენებლობას თავისებური ნიშან-თვისებანი გააჩნია. მაგ. XII-XIII ს-ში ზღუდე-ბურჯებისა და კოშკების შენება მკვრივი რიყის ქვითა და კირდუღაბიანი ხსნარის კავშირით წარმოებს. ფასადის მოპირკეთებაში კი ჩანს უმთავრესი ნიშანი: საშუალო ზომის, უხეშად თლილი ყვითელი ქვიშაქვის კვადრების მეტწილად ჰორიზონტალური რიგით წყობა, რომლებიც ოთხკუთხივ შემოჩარჩოებული არიან თითო, ან ორი აგურით. ზღუდე-ბურჯებს, შესაძლოა, ამ დროისათვის ჰქონდათ ალიზის „თავები“, მაგრამ ეს კვალი მკვეთრად არ ჩანს. სამაგიეროდ, უფრო მკაფიოდ, წინწამოწეულია საგანგებო დანიშნულების ციხის ატრიბუტებისა და დამოუკიდებელი შენობებისაგურითშენება;მაგ.გვირაბიანკოშკსადატალანებშიკამაროვანიღიადების აგურით ამოყვანა, აგრეთვე შიდა ზღუდის ძველ ზოლზე ნაწილობრივ ახალი - №15 და №3 გრძელი შენობების აგურით დაშენება, რომელთა შემაკავშირებელი ხსნარი ამ დროისთვის უფრო გაჯია (დანაყილი აგური შერეული კირხსნარიან მასასთან). ალიზს რაც შეეხება, ამ დროს უფრო ფართოდ გამოყენება ზღუდეთა შორის ფართო სივრცის ამოსავსებად; ამ შემთხვევაში ეს უფორმო, ფაფისებური სქელი თიხის მასა უფროა და არა დაყალიბებული-ფორმოვანი, როგორც ეს ადრეფეოდალურ ხანაში შიდა ზღუდის და კოშკების თავის ალიზის კვადრებით აგებისას გვხვდება. ასეთივე უფორმო, სქელი, ხაკისფერი თიხის მასა გამოყენებულია სამოსახლო კომპლექსებში რიყის ქვის შენობათა კედლების გასამართავად, როგორც ამ უკანასკნელთა საყრდენი ძირები, „ბალიშები“. სამოსახლო, მასიური კომპლექსების კედელთა დიდი ნაწილი კი უმთავრესად თიხის ხსნარით შეკავშირებული და რიყის ქვის თევზისფხური წყობითაა ნაგები. არ არის გამორიცხული, რომ მასობრივ სამოსახლო-სამეურნეო კომპლექსებში, თავის მხრივ, „ბალიშებზე“ გამართული რიყის ქვის „ძირებზე“ ალიზის კედლები ყოფილიყო ამოყვანილი, რომელთა ძირითადი მასა (კედლების სხეული) სადღეისოდ ისე განადგურებულა, დაშლილა, ან ჩამორეცხილა, რომ თითქმის კვალიც აღარა ჩანს. მხოლოდ აქა-იქ, განათხარში თუ შეინიშნება რიყის ქვის ძირებზე (თავზე) შერჩენილი ალიზის ოდესღაც მდგარი კედლის თხელი ფენა.

ამგვარად, გარე ზღუდე - ორი კოშკითურთ, გვირაბიანი საცალფეხო კარით და ტალანთა შორის გადასაბმელ „ხიდად“ მდგარი ორი კამაროვანი ღიადით, აგრეთვე ამ დონეზე გამოვლენილი და გარე ზღუდესთან მიმდგომი სამოსახლო - სამეურნეო კომპლექსი, ვფიქრობთ, XII ს-ის დასაწყისის მშენებლობას განეკუთვნება. იგი შუაფეოდალური ხანის ციხეთმშენებლობის და გეგმარების თვალსაჩინო ნიმუშია,

ხოლო აქ ცხოვრების სამი ეტაპი - მთელ XII-XIII სს-ის მანძილზე შეინიშნება. ამ დიდი სამოსახლოს და ციხის განადგურება კი XIII სს-ის შუა წლებს ეთანხმება. ამავე ადგილებში დროებითი სადგომები უკვე სახელდახელოდ მოშენების კვალს ატარებს და შეიძლება XIII ს-ის ბოლო მეოთხედით, ან XIV ს-ით განისაზღვროს.

დასკვნა

რუსთავის ციხის ე.წ. „გვირაბიანი კარიბჭის უბანი“ (XI და XI[a]) მხოლოდ ერთ-ერთი მონაკვეთია იმ განათხარ ნაშთთა შორის, რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვიხასიათებენ ფეოდალური ხანის ციხის საერთო ცხოვრებას მის სხვადასხვა საფეხურზე.

ამ უბანზე, განათხარი ნაშთების მონაპოვარ მასალასთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დადასტურებულია ციხეზე მშენებლობის, ცხოვრებისა და განადგურების ოთხი ძირითადი პერიოდი - თავისი შესაბამისი ქვეეტაპებით, რომელთაც აგრეთვე შეესაბამება საცხოვრისის კუთვნილი მრავალგვარი მასალაც.

I. **გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდანვე -** როგორც ირკვევა, დასახლებული ყოფილა რუსთავის ნაციხვარი ბორცვი. XI უბანზე ამ ხანის საცხოვრისის ნაშთები ნაგებობათა სახით თუმცა ჯერ არ გამოვლენილა (ასეთი ნაშთები სხვა უბნებზე უფრო ჩანს), მაგრამ ამას ვარკვევთ, თითქმის დედაქანზე (გრუნტზე) აღმოჩენილი მასალით. ამასვე მოწმობს საკონტროლო ჭრილის - V შრეს მიხედვით განფენილი უძველესი კერამიკის: ნაცრისფერი, ყავისფერი, შავპრიალა დიდრონი ჭურჭლის ნიმუშები. ეს კი იმას ადასტურებს, რომ მომდევნო ხანაში - შესაძლოა, გვიანანტიკურ, ან ადრეფეოდალური ხანის დასაწყისშივე (IV-V სს.), რუსთავის შემოზღუდული ციხე-სიმაგრე სწორედ, ამ არქაული ხანის გორა-ნამოსახლარის ნაშთებზე გამართულა.

II. **ადრეფეოდალური ხანის (IV-X სს.)** ნაგებობათა ნაშთების მიხედვით, რუსთავის ციხის XI უბანზე შეინიშნა მშენებლობისა და ცხოვრების ოთხი ძირითადი ეტაპი, რომელთაგან უკანასკნელი (მე-4) - ადრეულიდან შუაფეოდალურ ხანაზე გარდამავალ ეტაპს (X-XI სს.) უნდა გვანიშნებდეს:

1. **გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისი (I) ეტაპის (IV-VI სს.)** ნაგებობათა ნაშთები „კარიბჭის უბანზე“ ჯერჯერობით მართალია მკვეთრად არ არის გამოვლენილი, მაგრამ ამას ვვარაუდობთ ზოგ ნაშთთა სახით; ასეთებია: შიდა ზღუდე I-ის სუფთად თლილი, ყვითელი ქვიშაქვის კვადრების მჭიდრო წყობით ნაგები (ჰორიზონტალურის-ვერტიკალურთან შეფარდებით) ვიწრო ზოლი (სამხრეთით, წყალსადენისაგან გარღვეულ ნაწილში), სადაც გამათანასწორებელ ზოლს ქმნის ურთიერთმონაცვლე რიყის ქვისა და აგურის თითო რიგი; აგრეთვე, შიდა ზღუდე I-ში ჩართული სავარაუდო №2 კარის პილონები, რომლებიც მომდევნო ეტაპზე შეკეთებისა და ხელახლა გამოყენების ნიშნებს ატარებენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის კუთხეში შემორჩენილი №3 ოთხკუთხა შენობის ქვედა, უძველესი შრეები, რომლის კონფიგურაცია უძველესი, ოთხკუთხა კოშკის გეგმას უნდა გვანიშნებდეს; ამ ელემენტის თავდაპირველი სახით გამოვლენას ქვედა ფენებში, მომავალი გა-

თხრები შეუწყობს ხელს.

ხსენებული ნაშთები შეკეთებული სახით ამჟამად განათხარში ზედა ნაწილების - თავების სახითაა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, ეს გარემოება არ უნდა გამორიცხავდეს მათ პირვანდელი სახით ქვედა ფენებში გამოვლენასაც. ისინი თავდაპირველი გეგმისა და ქვის წყობის ხასიათის მიხედვით, გვიჩვენებენ ციხის ზღუდე-კოშკებისა და კარიბჭეების სისტემის თავდაპირველ, V ს-ის მშენებლობის ნიმუშს - თუმცა, ისინი მომდევნო ეტაპზეც არაერთგზის შეუკეთებიათ.

სამაგიეროდ ამავე ეტაპს ფართოდ გვიმოწმებს საკონტროლო ჭრილის მიხედვით დადასტურებული IV შრის კუთვნილი მასალა - გვიანანტიკური-ადრეფეოდალური ხანის შესაბამისი კერამიკის ნიმუშები: მოვარდისფრო და ჩალისფერი სუფთად განლექილი თიხის პრიალა ჭურჭლის ნატეხები; ვარდისფერპრიალა თიხის სფერულმუცლიანი და ყელწიბოიანი ხელადები და სხვ. აქ ჯერ არსად ჩანს მოჭიქული ჭურჭელი.

2. ადრეფეოდალური ხანის მომდევნო - შუა (II) ეტაპის (VII–VIII სს.) კუთვნილი ნაგებობები განათხარში არ არის მკვეთრად გამოვლენილი; ისინი თითქმის არ განირჩევა წინა საფეხურის კუთვნილ ნაგებობათაგან, რადგან შესაძლოა, პირვანდელ გეგმას ინარჩუნებენ.

ამდენად, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ VIII ს-მდე შეკეთებული სახით განაგრძობს არსებობას შიდა ზღუდე - I, მასში ჩართული №2 კარი და შიდა ზღუდე I-ის ზურგში განლაგებული პილონებიც, რომელთა თავებს უკვე ემჩნევა მოჭარბებული რიყის ქვითა და აგურით შევსება-შეკეთების კვალი. საერთოდ კი, სამშენებლო წესი და გეგმარება ადრეფეოდალური ხანის ტექნიკურ დონეს შეესატყვისება: ისევ ჩანს რიყის ქვისა და აგურის თითო ჰორიზონტალური რიგის მონაცვლეობით შესწორებული დიდრონი ყვითელი კვადრების ჰორიზონტალური და ვერტიკალური წყობით მჭიდროდ შენების წესი.

ამ ნაგებობათა ნაშთების განადგურება, ალბათ, განეკუთვნება არაბთა ლაშქრობის დროს.[600] თუმცა, განათხარ ნაშთებში ქრონოლოგიურად დიდად არ იკვეთება ამ დროს დამოუკიდებლად მდგარი ნაგებობანი, მაგრამ ამ საფეხურს ძირითადად გვიჩვენებს საკონტროლო ჭრილის III შრის ნივთიერი მონაპოვარი - კერამიკული ნიმუშების სახით, რომელთა შორის არა ჩანს მოჭიქული ჭურჭელი (ორიოდე გამონაკლისის გარდა: კეცზე უანგობოდ, მოყავისფროდ მოჭიქულ ადრეულ სამარილეთა სახით). თუმცა, უფრო ჭარბობს მოვარდისფრო და მოთეთრო-ჩალისფერი სუფთა თიხის მოუჭიქავი ჭურჭლის დამახასიათებელი ფორმები; ასეთია: სუფრის ჭურჭელი (სასმისები, ხელადები) - წვრილტალღოვანი წყლისებური ორნამენტით შემკული; ამ დროს მოუჭიქავი სუფრის ჭურჭლის კეცი, მოყვანილობა და ორნამენტი დახვეწილია, ხოლო სამზარეულო ჭურჭელი (ქოთნები, კოჭობები) - უფრო ქარსნარევი ყავისფერი თიხისაა, ორმხრივ წვრილხაზოვნად, მჭიდროდ ირგვლივ დაღარული. აქვეა მოყვითალო თიხის წითლადშეღებილი მაღალღობიანი ბრტყელი კრამიტები და სხვ. ყოველ შემთხვევაში, აქ არსებული კერამიკული მასალა

[600] **ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 161, 188.**

უმთავრესად, საკონტროლო ჭრილის III და IV შრეებს შეესაბამება და ამ ადგილების საცხოვრისის სათანადო დონესაც, ზოგადად, VI-VIII სს-ით გვითარიღებს.

3. ადრეფეოდალური ხანის მიწურულ (III) ეტაპზე (IX-XI სს.) - იწყება ძველისგან განსხვავებული გეგმის მქონე სხვა - შიდა ზღუდე II-ის დიდი მშენებლობა, რომელიც უშუალოდ მიდგმულია ვიწრო შიდა ზღუდე I-ზე. როგორც ჩანს, ადრეფეოდალურ ხანაშივე დანგრეული უძველესი შიდა ზღუდე I (V-VIII სს.) საფუძვლიანად შეიცვალა და გადაკეთდა, რადგან უკვე IX-X სს-ში ჩანს ძველზე მიდგმული სხვა - შიდა ზღუდე II-ის ახალი გეგმით და პრინციპებით შენება, ასე რომ, შიდა ზღუდე II-მ მთლიანად დაფარა პირვანდელი შიდა ზღუდე I-ის ვიწრო ზოლი თავისი კუთვნილი ოთხკუთხა კოშკებით და ზურგში განლაგებული პილონებით.

ამგვარად, კონსტრუქციული მთლიანობის თვალსაზრისით, შიდა ზღუდე II სადღეისოდ განათხარში უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი, ვიდრე შიდა ზღუდე I. იმავე ზოლზე შიდა ზღუდე II-ის აგება და მასში შიდა ზღუდე I-ის ჩართვა, ალბათ, პირვანდელი ვიწრო ზღუდის განმტკიცების მიზნით მოხდა და აგრეთვე, იმ ახალი სამშენებლო-კონსტრუქციული პრინციპების განხორციელებით (სხვა ტექნიკურ ან ტექნოლოგიურ ნორმებთან ერთად), რომელთა ჩასახვა IX ს-დან ჩანს; ასეთია შედარებით მომცრო ყვითელი კვადრებით და მის თანაბრად - აგურისა და რიყის ქვის შერეული (პოლიგონალური) წყობით ნაგები IX-X სს-ის შიდა ზღუდე II ზედ გამართული ალიზის მასიური თავით. ამ უკანასკნელისათვის საყრდენ ზურგად გამოყენებულია შიდა ზღუდე I-ის ქვის კვადრების წყობა. ამგვარად, შიდა ზღუდე II-მ, მთლიანად მოიცვა რა შიდა ზღუდე I-ის ვიწრო ზოლი, ერთობლივ იქცა ტერასული აგებულების სქელ მკვიდრ ზღუდედ.

შიდა ზღუდე II-ს ეკუთვნის დიდი, მრგვალი, ყრუ ბურჯები (№1 ძირები სამხრეთ კუთხეში წყალსადენთან და აღმოსავლეთ შიდა ზღუდის ზოლზე) და ნალისებრი კოშკები (სამხრეთ-დასავლეთი - უბანი XIII), რომელთა მასიურ თავს წარმოადგენს ქვიშის, ხან კი - გაჯის ხსნარზე წყობილი ალიზის კვადრების სქელი და მაღალი ფენა. ამგვარად, აქ მთავარია: ალიზის კედლის დაშენება ზღუდე-ბურჯების თავზე, როგორც ქვის მყარ სადგარებზე, ანუ ბაზებზე. ამავე ზოლში ჩართულია არქიტრავული სისტემის ორივე კარიც (შესაძლოა, ამ დროისათვის, უკვე შეკეთებული) - №1 სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში და №2 სამხრეთ კუთხეში (წყალსადენთან).

IX-X სს-ში რუსთავის ციხის შიდა ზღუდე II-ის მოქმედების ხანას აგრეთვე შეესაბამება სათანადო არქეოლოგიური მონაპოვარიც - კერამიკული მასალა, რომელთა კეთების წესში ჩანს ტექნოლოგიური გარდატეხის მომენტი: შემოდის ჭურჭლის შემკულობის ახალი ხერხები, მასიურად ჩნდება ფერადი მოჭიქულ-მოხატული ჭურჭელი: შიშველ კეცზე ფუნჯით იხატება თეთრი და ღვიძლისფერი ხაზები, ან რგოლები და ხვიები და იფარება გამჭვირვალე უფერო ჭიქურით; ან კიდევ: კეცზე ფუნჯით იხატება ანგობის ფოთლები, მარყუჟები, ხვიები და იფარება ერთფერი ჭიქურით - მწვანედ ან ღვიძლისფრად. ციხეზე მშენებლობისა და ცხოვრების ამ ეტაპს სტრატიგრაფიულად განსაკუთრებით გამოსახავს საკონტროლო ჭრილის II შრე, სადაც უკვე მოჭარბებულად გვხვდება IX-X სს-ის მოჭიქული ჭურჭელი.

4. ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურ ხანაზე გარდამავალ (IV) ეტაპს (X-XI ს. I ნახ.) - მიგვანიშნებს განათხარში შიდა ზღუდე II-ის შეკეთებისა და ხელახლა გამოყენების ფაქტი. XI უბნის განათხარმა ნაშთებმა გვიჩვენა, რომ შიდა ზღუდე II, რომლის აგება (ზემოხსენებული III ეტაპის კუთვნილი ნაშთების აღწერილობის მიხედვით) IX-X სს-შია ნაგულისხმევი, საფუძვლიანად შეუკეთებიათ XI ს-ის I ნახევარშიც, რის გამო ამ ადგილებში აშკარაა შიდა ზღუდე II-ის ნაწილობრივი გამოყენებაც. მაგ.: აგურით შეკეთებულია უძველესი შიდა ზღუდე I-ის ზურგში მდგარი პილონთა თავები, რომელნიც შიგნიდან მიდგმულ ნასახლართა კოჭების საყრდენ ბაზებად არიან გამოყენებული. შეკეთებულია შიდა ზღუდე II-ში აღმოსავლეთიდან ჩართული №1 ალაყაფის კარის პილონებიც. აქ ჭარბობს გაჯის ხსნარზე გამართული აგურის წყობა. როგორც ჩანს, ეს კარი მოქმედი იყო მანამ, სანამ XII ს-ში აშენდებოდა გარე ზღუდე, ე.ი. სანამ ეს კარი საბოლოოდ გადაიკეტებოდა მის ზღურბლზე საგანგებოდ ჩადგმული შუაფეოდალური ხანის ნასახლარის კუთვნილი დიდი რიყის ქვის კედლით. ამას გარდა, შეკეთებული ჩანს შიდა ზღუდე II-ში სამხრეთიდან ჩართული №1 დიდი ბურჯის პერანგის წყობა. აქ, ზედა ფენებში, ჭარბობს თითო აგურით შემოჩარჩოებული, უხეშად თლილი მომცრო, ყვითელი ქვის კვადრების გამოყენება. ქვის წყობის ეს ხასიათი უკვე სავსებით შეეფარდება შუაფეოდალური ხანის დასაწყისში ჩამოყალიბებულ სამშენებლო პრინციპებს. სწორედ, ამის გამო დაემსგავსა სამხრეთი შიდა ზღუდის №1 ბურჯი აღმოსავლეთ შიდა ზღუდის სხვა დანარჩენ ყრუ ბურჯებს (არხის მხრიდან) და ყველა ამითვე განსხვავდება დასავლეთი შიდა ზღუდე II-ის მრგვალი ბურჯებისაგან.

ამგვარად, ირკვევა, რომ ადრეფეოდალური ხანის მიწურულში - IX-X სს-ში აგებული შიდა ზღუდე II ალბათ, XI ს-ის დასაწყისისათვის გადაუკეთებიათ, ან აგურით ხელახლა მოუპირკეთებიათ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით ვრცელ ზოლზე, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შიდა ზღუდე II-ის პირვანდელი აგებულება უფრო თვალსაჩინოა სწორედ სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით (უბანი XIII), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით (უბანი XI ს.) იგი შეკეთებული სახით არის შემორჩენილი. გამორიცხული არ არის, რომ აღმოსავლეთ ზოლზე (უბნები VI-X) ეს ზღუდე-ბურჯები ხელახლა იყოს აგებული XI ს-ში, რადგან აქ უფრო ჩანს ორ - შიდა და გარე ზღუდეთა შორის მოქმედება თითქმის XII ს-მდე. XI ს-ის დასაწყისის კუთვნილ სამოსახლოს ნაშთებს აგრეთვე გვიხასიათებს №6 და №19 სენაკების შემადგენელი რიყის ქვით ნაგები და თიხის ხსნარით შეკავშირებული, მაგრამ სადღეისოდ უკვე საგრძნობლად დარღვეული კედლები, რომელთა საძირკვლები ჯერჯერობით განათხარში არ გამოვლენილა. ამ სენაკთა ნაშთები, როგორც ირკვევა, უშუალოდ მიყრდნობილია შიდა ზღუდე I-ის ზურგში განლაგებულ პილონებთან, რომელნიც აქ საყრდენი კოჭების როლს ასრულებენ.

ცხოვრებისა და მშენებლობის ამ გარდამავალ ეტაპს განსაკუთრებით გამოსახავს საკონტროლო ჭრილის II შრის შესატყვისი ნახშირიან-ნაცროვანი ზოლი, მომდინარე მასალითურთ, რომელთა შორის უკვე ჭარბად ჩანს მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. ამ ნიმუშთა ზოგი სახეობა, კეთების ტექნიკის მიხედვით, შეიძლება X-XI

სს-მდეც ამოვიდეს. ამ დროს ისახება შემკულობის ახალი ტექნოლოგიური ხერხიც - ამოკაწვრის ტექნიკა. ასეთია: ანგობზე ამოკაწრული, წვრილხაზოვნად ნაკაწრი ორნამენტით შემკული და მრავალფერად გაღვრილად მოხატული ნაღვენთებიანი ჯამები; აგრეთვე, ანგობზე სადა, კრიალა მწვანე ჭიქურით დაფარული ღრმა ჯამები და სხვ. ცნობილია, გარდამავალი ეტაპის - X–XI სს-ის მოუჭიქავ ჭურჭელთა ფორმებიც, კეთების ტექნიკა და შემკულობა: მოყავისფრო თიხის ქარსნარევი, გამურული ქოთნების გარე და შიდა პირი წვრილხაზოვნადაა დაღარული, რომელთაც უმეტესად კიდეებთან შვერილი კოპები ამშვენებს.

სტრატიგრაფიულად ირკვევა, რომ შიდა ზღუდე II-ის შეკეთებული ნაშთები XI ს-ის II ნახევარშივე გადამწვარა და განადგურებულა სელჩუკთა შემოსევისას[601], რასაც შედეგად მოჰყვა შიდა ზღუდის ზოლის ერთდროული გაუქმება და საბოლოოდ დახურვა, - მისი კუთვნილი №1 ბურჯით და ციხეზე შემოსასვლელი ორივე არქიტრავული სისტემის განიერი კარით.

ამდენად, შესაძლოა, XI ს-ის II ნახევრიდან, ან XII ს-დან იგება უკვე სხვა, დამოუკიდებელი და განსხვავებული გეგმის მქონე სასიმაგრო-თავდაცვითი სისტემა - გარე ზღუდე.

III. შუაფეოდალური ხანის (XI–XIII სს.) კუთვნილ ნაგებობათა ნაშთების მონაცემებით რუსთავის ციხის XI უბანზე შეინიშნა მშენებლობისა და ცხოვრების სამი ძირითადი საფეხური, რომელთაგან უკანასკნელი (III) - შუაფეოდალურიდან-გვიანფეოდალურ ხანაზე გარდამავალ ეტაპს (XIII-XIV სს.) უნდა მიანიშნებდეს. აქედან:

1. შუაფეოდალურ ხანაში ერთ-ერთი (I) მომენტი (XI ს. II ნახ.–XII ს.) - შეიძლება დაუკავშირდეს ორი ზღუდის (შიდა ზღუდე II-სა და ახლად აგებული - გარე ზღუდის) ხანმოკლე, მაგრამ ერთდროული მოქმედების ეტაპსაც. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა კარიბჭეთა უბანზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით შიდა და გარე ზღუდეების შერწყმის კუთხეში. ამასვე გვაუწყებს შიდა ზღუდე II-ისა და გარე ზღუდის ფასადურ აგებულებათა შედარების მიხედვით გამორჩეული ზოგიერთი თვალსაჩინო დეტალი, ისევე როგორც სხვა ნაგებობათა ნაშთებისა და მათთან დაკავშირებული მასალის სტრატიგრაფიული განფენების ანალიზი.

სტრატიგრაფიულად ჩანს, რომ XI ს-ის II ნახევარში სელჩუკთა მიერ რუსთავის დანგრევის შემდეგ, ციხის მთელ ტერიტორიასთან შედარებით, ყველგან თანაბრად არ გაუქმებულა შიდა ზღუდე II. კარიბჭეთა უბნის ერთ-ერთ მონაკვეთში მაინც ჩანს ორ ზღუდეთა შორის, შესაძლოა ხანმოკლე და დროებითი, მაგრამ ერთდროული მოქმედების ეტაპი. ამაზე კი შემდეგი გარემოება მიგვანიშნებს: სამხრეთით, შიდა ზღუდე II-ში ჩართული №1 დიდი ბურჯის პერანგის წყობის ხასიათი (ზედა ფენებში), სავსებით შეეფარდება გარე ზღუდის შიდა პირის „პერანგის“ წყობის ხასიათს - ორივე ამ ელემენტის ქვის წყობა შუაფეოდალურ ხანაში გავრცელებული პრინციპითაა განხორციელებული: ოთხკუთხივ, თითო აგურით შემოჩარჩოებული ყვითელი ქვის კვადრებით არის ნაგები. ეს გარემოება კი თითქო მიგვანიშნებს მათ შორის არსებული

601 **მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები, ნაკვ. 31.**

2-6 მ. სიგანის მქონე თავისუფალი ზოლის ერთდროულ მოქმედებაზე, რადგან ამის შემდეგ აშკარად ჩანს ამ სივრცის ალიზის მასით ამოვსება. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, თანაბრად გამოიწვია როგორც შიდა ზღუდე II-ის, თავისი კუთვნილი №1 დიდი ბურჯით, ისე გარე ზღუდის მოპირკეთებული „სარჩულის“ (= შიდა პირის!) სრულად დაფარვა.

მაშასადამე, აქ უკვე ანგარიშგასაწევი ხდება ის, ჯერჯერობით, გადაუჭრელი კითხვაც (საკითხის დასმის წესით), შესაძლებელია თუ არა, რომ გარე ზღუდის ქვედა ზოლი XI ს-ის I ნახევრიდანაც არსებობდეს. უკვე XII ს-ში მას მოჰყვა მისი ქვედა - პერანგიანი „სარჩულის“ გაუქმება, ისე, როგორც ჩასხმული ალიზის გამო საერთოდ გაუქმდა შიდა და გარე ზღუდეს შორის არსებული სივრცე.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ისე მოხდა, რომ ჩასხმული ალიზით ორ ზღუდეს შორის არსებული თავისუფალი სივრცის ამოვსების შემდეგ, რამაც ჩაიყოლია და გააუქმა გარე ზღუდის მოპირკეთებული „სარჩულის“ ქვედა ფენაც, XII ს-დან ამავე გარე ზღუდის ზოლს ზემოდან დაადგეს ახალი ზღუდის კედელი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, ჯერ ერთი - გაამაღლა გარე ზღუდე ერთობლივ, ხოლო მეორე - სწორედ, ამ გამაღლებულ და დანამატ გარე ზღუდეს დაუკავშირდა ის სამოსახლო კომპლექსი, რომელიც მასვე მიედგა შიგნიდან XII-XIII სს-ში, და არა გარე ზღუდის ქვედა ფენას.

აქ, ალბათ, ისიც იქნება გასათვალისწინებელი, რომ განათხარში აშკარად ჩანს, თუ როგორაა ტეხილი კუთხით გამოყოფილი გარე ზღუდის ზევიდან დაშენებული კედლის მასივი იმავე ქვებით მოპირკეთებული, ანუ „პერანგიანი“ მასივისგან; ე.ი. გარე ზღუდის ზედა დანაშენი გადმოფარებულია ქვედაზე - ორმხრივ მოპირკეთებულ კედელზე.

სტრატიგრაფიულად ასეთივე სამშენებლო ხასიათს გვიჩვენებს ზღუდეთა სისტემა სამხრეთი კუთხიდან დაწყებული ვიდრე აღმოსავლეთ შიდა ზღუდე II-ის ბოლომდე (X უბნამდე). აქაც (არხის მხრიდან) ჩანს შიდა ზღუდე II-ის ბურჯების პერანგის წყობის თანაფარდობა გარე ზღუდის „სარჩულის“ წყობასთან. ამას ერთვის შუაფეოდალურ ხანაში წარმოშობილი, ორ ზღუდეთა შორის დამაკავშირებელ რგოლად ჩართული, აგურით ნაგები ორი კამაროვანი კარის არსებობაც, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ ორ ზღუდეს შორის სავალს გვიჩვენებენ.

აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ორ ზღუდეს შორის სავალი მანამდე არსებობდა, სანამ შიდა ზღუდე II თავისი ბურჯებით გაუქმდებოდა, ხოლო ამ გაუქმებამ თან ჩაიყოლია გარე ზღუდის „პერანგიანი“ წყობის მქონე „სარჩულიც“, რაც თავიდანვე ალბათ, გამოსაჩენად იყო გამიზნული და არა თიხის სქელ მასაში ჩასამარხად. თუკი განათხარი ნაშთების ურთიერთშეჯერებისას ეს უკანასკნელი მომენტი მაინც შეინიშნება, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს (გარე ზღუდის „სარჩულის“ გაუქმებაც) უფრო მომდევნო საფეხურზე XII ს-ში მომხდარა, როცა საერთოდ გაუქმდა შიდა ზღუდე II, გაუქმდა N1 განიერი კარიც - ჩაიდგა რა მის ზღურბლში XII ს-ის ნასახლარის კედელი.

ამ შემთხვევაში ისე გამოდის, რომ შიდა და გარე ზღუდეების ურთიერთმოქმედება შეიძლება 50-60 წლიანი მონაკვეთით განისაზღვროს (XI ს-ის II ნახევრით).

ხოლო საბოლოო გაუქმება, ანუ ორ ზღუდეს შორის სასიარულო სივრცის ალიზით ამოვსება კი XII ს-დან ვივარაუდოთ. ალბათ, ამავე დროს უკავშირდება სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გარე ზღუდის ქვედა მასივზე ზემოდან გადმოფარებული და დაშენებული კედლის მასივი, რომელმაც ერთობლივ გაამაღლა გარე ზღუდე და სწორედ, ამ ზღუდის ზედა ფენასაც მიედგა XII–XIII სს-ის სამოსახლო კომპლექსები.

XI-XII სს-ის ნასახლართა ნაშთებიდან მომდინარე მასალაში უკვე თვალსაჩინოდ ირჩევა X–XI სს-ში ჩასახული ტექნოლოგიური ხერხის განვითარება: კერძოდ ისეთი მოჭიქული ჭურჭლის მასიურად წარმოება, რომელთა შორის მოყვანილობის (სწორპირიანი, ბორბალაქუსლიანი ჯამების) გარდა, შემკულობაც ახალ, გამომსახველობით ხერხებს აღწევს. მათში ჭარბობს, ანგობზე უკვე არა მკრთალად, არამედ ღრმად ამოკაწრვის ტექნიკით მიღებული სხვადასხვა მცენარეული, გეომეტრიული ორნამენტული სახეები, გვხვდება ფრინველის გამოსახულებიანი ჯამებიც, მაგრამ უმთავრესად ერთფერჭიქურიანები: მწვანედ, ღვიძლისფრად, ცისფრად მოჭიქული ჭურჭელი.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ IX–X სს-ში თვით XI ს-ის I ნახევარშიც მოქმედებდა ციხის შიდა ზღუდე II თავისი განიერი, არქიტრავული კარიბჭეებითურთ და ერთი ბურჯით. XI ს-ის II ნახევრიდან - XII ს-მდე კი შესაძლოა, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში გარე ზღუდის ქვედა მასივიც წარმოიშვა, რადგან სწორედ, ამ მხრივ ჩანს ორი ზღუდის ურთიერთმოქმედების ხანმოკლე ეტაპი, ვიდრე მათ შორის სივრცე ალიზის მასით ამოივსებოდა, რამაც გაუქმებისას თან ჩაიყოლია გარე ზღუდის ქვედა მასივიც. ხოლო XII ს-დან უკვე ჩანს, რომ სამხრეთი შიდა ზღუდის ზოლი საბოლოოდ გაუქმდა და ციხის გარე ზღუდის გასწვრივ ზევიდან სხვა გამაღლებული კედელი დაშენდა.

ამიერიდან ციხეზე აშკარად ჩანს შუაფეოდალური ხანის ძლიერი ხასიათის ახალმშენებლობა - ციხის პირვანდელი გეგმის საფუძვლიანი ცვლა და პირვანდელ სათავსოთა გადაკეთებაც.

2. შუაფეოდალური ხანის მომდევნო (II) ეტაპის (XII-XIII სს. I ნახ.) კუთვნილია, უმთავრესად, გარე ზღუდის და მისი ელემენტების, როგორც ციხის ახალი თავდაცვითი სისტემის, დამოუკიდებელი მშენებლობა და ამით წინა ეპოქის ნაგებობათა გეგმარების საფუძვლიანი ცვლა.

როგორც ჩანს, XII ს-ის დასაწყისისათვის შიდა ზღუდე II უკვე ამოივსო ალიზის მასით, რამაც გამოიწვია მისი სრული გაუქმება. ამას შედეგად მოჰყვა გარე ზღუდის ქვედა მასივის გამკვიდრება და დამატებით წინაღობათა შექმნაც: XII ს-ში იგება ციხის ახალი - გარე ზღუდის ზედა მასივი თავისი ბურჯებით და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის კოშკით, რომელშიაც იჭრება საცალფეხო საფეხურებიანი გვირაბი.

გარე ზღუდის კუთვნილი ბურჯებისა და NN№1 და №2 კოშკების ფასადური აგებულება ტიპურია განვითარებული ფეოდალური ხანის ციხეთმშენებლობისათვის. ამ მასივის გარე და შიდა „პერანგი“ უმთავრესად ნაგებია თითო აგურით შემოჩარჩოებული, უხეშად თლილი, მომცრო ყვითელი ქვის კვადრების ჰორიზონტალური წყობით. ამავე დროს ხდება თვით გვირაბისა და მასთან დაკავშირებულ მთავარ

შენობათა მთლიანად აგურით შემოსვა-მოპირკეთებაც. მაგ. კუთხის კოშკში გაჭრილი საფეხურებიანი გვირაბი, თავისი ორი ოდნავ შეისრული კარით, მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. გვირაბი ციხის ზედა ტერასას ვიწრო, ტეხილი ტალანის საშუალებით უკავშირდება, ხოლო თავის მხრივ, იგი №2 კოშკთან მოწყობილ ფართო ტალანში გადის. ამ უკანასკნელის იატაკი კი აგურფენილია, რომელიც წინა ეტაპის - IX-XI სს-ის კუთვნილ, დიდრონი, ბრტყელი ფილაქვებით მოგებულ იატაკზე ზევიდანვეა გამართული.

სწორედ, ამ კვანძში, მას შემდეგ, რაც შიდა ზღუდე II-ის ძველი კარი №1 საბოლოოდ გადაიკეტა მის ზღურბლში გარდიგარდმოდ ჩადგმული XII ს-ის ნასახლარის კუთვნილი, მაღალი რიყის ქვის კედლით, უკვე სხვა მიმართულებით გაიხსნა ციხეზე შემოსასვლელ კართა სულ სხვა ჯგუფი; ციხის ზედა ტერასაზე, საცალფეხო გვირაბთან მიმდებარე ტალანებში, აღმოსავლეთ შიდა და გარე ზღუდეთა დამაკავშირებელ რგოლად ჩართული არის ერთმანეთში გამავალი, აგურითვე ნაგები ორი კამაროვანი კარი, რომელიც სავალს ხსნის აღმოსავლეთისაკენ - ზღუდეთა შორის.

ამგვარად, გააუქმეს რა IX-XI სს-ის სამხრეთი შიდა ზღუდე და დახურეს იმდროინდელ ციხეზე მთავარი შემოსასვლელები, სამაგიეროდ, XII ს-დან ორ ზღუდეს შორის ვიწრო სავალი გახსნეს აღმოსავლეთისაკენ. ამაზე მიუთითებს №2 კოშკთან შექმნილ ფართო ტალანში, ერთმანეთის მოპირდაპირედ მდგარი აგურით ნაგები, ზღუდეთა შორის დამაკავშირებელ რგოლად ჩართული ორი კამაროვანი კარი. რუსთავის ციხეზე ჯერჯერობით ჩანს მხოლოდ XII-XIII სს-ში მოქმედი „ცოტა კარი“ - საცალფეხო გვირაბით სავალ კართა ჯაჭვი, თუმცა არ ჩანს ამ დროს მოქმედი დიდი კარი. იმედია, შემდგომი თხრა ამ უბანზე გამოავლენს მის კვალსაც, რაც შესაძლოა, მხოლოდ ზღურბლის სახითღა იყოს შემორჩენილი.

ვფიქრობთ, ამავე დროს მოხდა სამხრეთიდან შიდა ზღუდე II-ზე, როგორც საფუძველზე, №15 აგურით ნაგები დიდი შენობის დაშენებაც, რომლის აგურით მოპირკეთებული ფრთა უწყვეტლივ გადადის უძველესი ოთხკუთხა კოშკის თავზე და აქ, (აღმ. კუთხესთან) ვიწრო ტალანში ქმნის №3 სათავსოს. ძველ კოშკზე ზევიდან დაშენებული ეს სათავსო №3 სამივე მხრიდან მოპირკეთებულია გაჯზე წყობილი აგურით. ამ დროს სახეცვლილია ძველი შიდა ზღუდე I-ის ზურგში მდგარი პილონებიც, რომელიც ამ ფართობზე გაშლილი შუაფეოდალური ხანის სამოსახლოებისათვის გამოყენებულია როგორც კოჭების საყრდენი. ასე რომ, გარე ზღუდე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებთან მიბჯენილი XII-XIII სს-ის საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსების უმთავრესი დამცველია. ამ ხნის მანძილზე ჩანს ციხეზე 2-3 ერთმანეთის თანამიმდევარი სამშენებლო ეტაპიც, რომლის მაგალითად მიგვაჩნია აქ გათხრილი შენობების რიყის ქვით ნაგები ნაშთების განსხვავებული დონეები. ასეთია, უმთავრესად, სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდესთან მიმდებარე ფართობზე გათხრილი რიყის ქვით ნაგები და თიხის ხსნარით შეკავშირებული №№ 8, 9, 10 სენაკების ნაშთები; აგრეთვე, ის დიდ-პატარა სამეურნეო ორმოები, რომლებიც ჩაჭრილია ციხის შიდა არეზე შემოსასვლელ და უკვე გაუქმებულ №1

კარის წინ (ზღურბლთან) - კირხსნარიან იატაკში. ეს ორმოები შუაფეოდალური ხანის უამრავი მასალის შემცველია - რუსუდანის მონეტებთან ერთად და სტრატიგრაფიულად, ცხადია, იმ სამოსახლოს ნაშთს (რიყის ქვით ნაგებ მაღალ კედელს) ეკუთვნის, რომელიც XII ს-დან გამართულა აქ შიდა ზღუდის ალაყაფის კარის გადაკეტვის შემდეგ.

XII–XIII ს-ის I ნახევარში ციხეზე ინტენსიური ცხოვრების მაჩვენებლად უმთავრესად, ამავე ხანის სამოსახლო კვარტალებიდან მომდინარე მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა გვაქვს. ამ დროს შემოდის მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჭურჭელი. ცნობილია, მათი ფორმები და ტექნოლოგიური ხერხები: ამ დროს წამყვანია ანგობზე ღრმა კონტურით ამოკაწრული, სხვადასხვა ორნამენტული სახეებით - გეომეტრიული, ფრინველის, ცხოველის და ადამიანის გამოსახულებით შემკული, მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამები. ამავე დროს ჩნდება სხვადასხვა დანიშნულების (სუფრის, სამზარეულო, სამეურნეო) მოუჭიქავი ჭურჭელიც: წითელი და შავი საღებავით ფუნჯით მოხატული სასმისები, ფინჯნები, სტილიზებული ყვავილოვანი და მცენარეული სახეებით შემკული დოქები; კუწუბოანი და სამკუთხაყურიანი ქვაბ-ქოთნები, სარქველები, სადღვებელი, მზისა და ირმების გამოსახულებით შემკული დატვიფრული და წითელი წერნაქით შეღებილი დერგები, მათარები და სხვ.

გარე ზღუდე და მასთან მიმდგომი საცხოვრებელ-სამეურნეო უბნები, როგორც ჩანს, XIII ს-ის II ნახევარში - მონღოლთა შემოსევის დროს განადგურებულა, რის შედეგადაც საცალფეხო გვირაბით სავალი გზაც დაკეტილა, რადგან აქაც კი მომდევნო ეტაპზე სხვა - ჩამკეტი კედლებია აგებული. ვფიქრობთ, დიდი კატასტროფის დამადასტურებლად განათხარი ნაშთების სტრატიგრაფიული ანალიზის შედეგად შემჩნეული ფაქტი გამოდგება: გარე ზღუდეს თითქმის ყველგან, მთელ ფართობზე (ალიზით ამოქოლილ ძველ ნაგებობათა ნაშთების თავზე) გასდევს მხოლოდ ერთი - მძლავრი ნახშირიანი ზოლი, სულ ზედა, ანუ როგორც მიჩნეულია, 1265 წელს გადაწვის შესაბამისი, რის შემდეგაც ციხეზე მხოლოდ არაინტენსიური, დროებითი დასახლება მიმდინარეობს.

3. **ამიერიდან, ალბათ შუაფეოდალური ხანის უკანასკნელ (III) ეტაპზე (XIII ს. 70-იანი წლებიდან - XIV ს.)** მონღოლების შემდეგ, ციხის მხოლოდ ზოგ უბანზე განახლებულა მშენებლობა და ცხოვრება: გაჩენილა დროებით სადგომების იერის მქონე სუსტი, მაგრამ ახალი საცხოვრისი. ასეთ სადგომთა სუსტად ნაგები, ცალპირა ქვით წყობილი კედლები ჩადგმულია ფართო ტალანშიც, აგურის კამაროვან კართა წინ, რომლებმაც თავის მხრივ გადაკეტეს შუაფეოდალური ხანის ციხეზე ჯერჯერობით ერთადერთი შემოსასვლელი - საცალფეხო საფეხურებიანი გვირაბით სავალი „ცოტა კარიც“ კი. ამასვე ადასტურებს შუაფეოდალური ხანის ციხის შიდა ტერიტორიაზე ვრცლად გაშლილ სამოსახლოებში გამორჩეული - განსხვავებულ დონეთა მქონე ზოგიერთი სადგომის ნაშთიც.

ვფიქრობთ, შუაფეოდალურიდან-გვიანფეოდალურ ხანაზე (XIV სს-ზე) გარდამავალი ეტაპის კუთვნილი უნდა იყოს დროებითი სადგომების ერთ-ერთი ნაშთი. მაგ.:

თევზიფხური წყობის მქონე რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები №11 კედლის ნარღვევი, რადგან, სტრატიგრაფიულად, იგი სულ ზედა - I დონის ნაგებობათა ისეთ ნიმუშს წარმოადგენს, რომლის ქვეშაც განათხარში შესაბამისი თანმიმდევრობით განლაგდა თითქმის ყველა წინამორბედი დროის სამოსახლო კომპლექსი. ამას გარდა, კარიბჭის უბნის №11 კედელი, მშენებლობის წესითაც და სტრატიგრაფიულადაც, სრულ თანაფარდობას ავლენს აღმოსავლეთ ზღუდესთან X უბანზე გათხრილ დარბაზული გეგმის მქონე ეკლესიის ნაშთთან. ამ უკანასკნელის საძირკველი კი, თავის მხრივ, გამართულია XIII ს-ში მონღოლობის დროს განადგურებულ სასახლის ნანგრევებზე.

ამდენად, ორივე ნაგებობა: XI უბანზე გათხრილი I - ზედა დონის ნასახლარის ნაშთი №11 კედლის სახით და X უბანზე აღმოჩენილი დარბაზული ეკლესიის საძირკველი, წარმოადგენს XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ან XIV ს-ში რუსთავის ციხეზე ხელახლა წარმოქმნილ დროებითი სამოსახლოების მშენებლობისა და არსებობის მეტად სახასიათო ნიმუშს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამოსახლო კომპლექსებში და მათ შორის I - ზედა დონის კუთვნილ ამ ნაშთებშიც აღმოჩენილი მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჭურჭლის უმეტესობა ერთი შეხედვით თითქოს არ არღვევს XII-XIII სს-ში ჩამოყალიბებულ წარმოების წესებს და კლასიფიკაციის მიხედვით დადგენილ ნორმებსაც შეესაბამება; მაგრამ შუაფეოდალური ხანის ამ დამახასიათებელ ნიმუშთა შორისაც კი შესაძლებელია გამოვარჩიოთ სტილისტური თვალსაზრისით მასალის ერთი ისეთი ჯგუფი, რომელიც ალბათ, უნდა გვანიშნებდეს შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურ ხანაზე, გარდამავალ ეტაპზე სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ ვარიაციებს.

ვფიქრობთ, მრავალფერად მოხატულ და თხელი გამჭირვალე ჭიქურით დაფარულ, ან საერთოდ ჭიქურით დაუფარავ (ანუ ნახევრადდამზადებულ) ჯამთა ერთი ჯგუფი XIII-XIV სს-ის ნაწარმს უნდა მიეკუთვნოს, მით უფრო, რომ სტილისტურად ასეთი ნიმუშები ძალზე ჩამოუვარდებიან XII-XIII სს-ის დახვეწილი მანერით შესრულებულ მრავალფერად ჭურჭელს. მაგ. XII-XIII სს-ის ნაწარმად ვთვლით: ჯამებს, სადაც ანგობზე ფუნჯით ყავისფერი საღებავის მსხვილი კონტურით მოხატულ-გამოყვანილია გეომეტრიული, ყვავილოვანი ან ფრინველის გამოსახულების მქონე სახეები, ხოლო მუქ კონტურს შუა არე მოხატულია მჭახე, შემღვრეული ყვითელი, ან მწვანე საღებავებით; ამის შემდეგ კი ჯამები დაფარულია, ან ძალზე თხელი გამჭვირვალე ჭიქურით, ან საერთოდ აღარ არის მოჭიქული - ნახევრადდამზადებულია. ამგვარი ნიმუშები, XII-XIII სს-ის მკაფიო და დახვეწილ მოჭიქულ ჯამებთან შედარებით, სტილისტურად საკმაოდ მდარე ნახელავად მიგვაჩნია. თუ ამას მათი აღმოჩენის პირობებსაც შევუფარდებთ, მაშინ შეიძლება შევამჩნიოთ, რომ მდარე ხელოვნებით შესრულებული ჯამები XIII ს-ში მონღოლთაგან გადამწვარ ნაგებობათა ნაშთების ზევით განლაგებულ - დროებით სადგომთა ფართობებში უფრო გვხვდება, ვიდრე XII-XIII სს-ის კუთვნილ ნაგებობათა შორის. თუმცა, არ გამოვრიცხავთ დროთა განმავლობაში ფენათა აღრევის შესაძლებლობასაც. ყოველ შემთხვევაში, მრავალფერად მოხატულ-მოჭიქულ ჭურჭელთა ბევრად დახვეწილი ნიმუშები გვხვდება უფრო ქვედა

ფენებში - XII-XIII სს-ის კუთვნილ შენობებში, ხოლო მათ ზევით - მდარეხარისხიანი.

IV. გვიანფეოდალური ხანის - ნაზარ-ალი ხანის დროინდელი XVII-XVIII სს. საცხოვრისი, როგორც ჩანს, მხოლოდ ხანგრძლივი წყვეტილის შემდეგ გაჩენილა რუსთავის ციხეზე. კერძოდ, „კარიბჭეთა უბანზე“ ადრინდელ განათხარშივე ძალზე სუსტად - მცირე ნაშთების სახით ჩანდა ამ დროის კვალი, რასაც თან ერთვოდა, თუმცა მწირი, მაგრამ მეტყველი კერამიკული მასალაც.

გვიანფეოდალური ხანის მშენებლობა XI უბანზე შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია, თითქმის შეუმჩნეველიც კი, ვიდრე ციხის სხვა უბანზე, თუნდაც - ჩრდილო-აღმოსავლეთით (X უბანზე), სადაც ნაზარ-ალი ხანის დროინდელი სამოსახლოს ნაშთები: თიხის ხსნარით შეკავშირებული ცალპირა ლოდებით წყობილი, ხან კი ნატეხი აგურითა და რიყის ქვით სუსტად ნაგები, სახელდახელოდ შემოფარგლული (№6), ან ოვალური (№4) სენაკები, აშკარად გამოირჩევა შუაფეოდალური ხანის სასახლის დიდი კომპლექსისაგან.

აქა-იქ კიდევ ჩანს გვიანფეოდალური ხანის ციხეზე დასახლების კვალი; მაგ.: ჩრდილო-დასავლეთ ზღუდეზე (XIII უბანი) შიგნიდან მიდგმულ სათავსოთა სახით, რომლის ორი სენაკი 1 მ. სისქის ნაყარ-ნანგრევზე გამართული, აგურფენილი იატაკითურთ, შედარებით უკეთ არის შემორჩენილი.

ამ სენაკებში მოპოვებული მცირერიცხოვანი, მაგრამ სახასიათო იერის მქონე კერამიკული მასალა კეთების ტექნიკით, მოყვანილობით და შემკულობითაც აშკარად განეკუთვნება გვიანფეოდალური ხანის ნაწარმს, რასაც აგრეთვე აღმოჩენის პირობებიც უწყობს ხელს: მშენებლობის ხასიათი, განვითარებული შუაფეოდალური ხანის სამოსახლოთა ფართობებში გვიანდელი სენაკების ჩადგმა-ჩაშენების ფაქტი.

ჯამები ამ დროს თითქმის უანგობოდ იფარება ჭიქურით, ან მოვარდისფრო-მონაცრისფრო ანგობზე ფუნჯით არის მოხატული მცენარეული ორნამენტი, ხოლო შემდეგ გამჭვირვალე ჭიქურია გადავლებული; გვხვდება სადა, ჩალისფრად, ნაცრისფრად, ან მოყავისფროდ ორმხრივ მოჭიქული ქილებიც. უფრო მკვეთრი სხვაობა შეინიშნება მოუჭიქავი ჭურჭლის ფორმებში: გვხვდება ქიმგამოწეული, მაღალქუსლიანი ღრმა ფიალები; ქილები, დოქები და კოკები კი გარედან წითელი წერნაქიანი საღებავით დაუდევრად, აქა-იქ გაღვრილად და ფუნჯით არის მოხატული.

გვიანი ხანის ზოგიერთი ახალმშენებლობისა და მოპირკეთების კვალი „გვირა-ბიანი კოშკის“ XI უბანზეც შეინიშნება, მაგრამ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, ციხეზე შემოსასვლელ კართა აღდგენის ცდით განპირობებული. სამხრეთ-აღმოსა-ვლეთ კუთხეში გარე და შიდა ზღუდეების დამაკავშირებელ რგოლად ჩართული, მა-გრამ XII ს-ში გადამწვარი აგურით ნაგები №2 კარის ჩამონგრეულ თაღზე, ზედაპირ-ზევე ჩანს გვიან დადგმული, უეჭველად, ხელახლა გამოყენებული ნანგრევი ყვითელი ქვის უთანაბრო და სუსტი კედლების ცალპირი წყობა. გვიანფეოდალურ ხანაში, რო-გორც ჩანს, ციხის მესვეურთ მშენებლობა ყველა უბანზე ერთნაირი ინტენსივობით აღარ უწარმოებიათ.

X X X

ამგვარად, გამოვიკვლიეთ რა რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ „გვირაბიანი კარიბჭის“ უბანი (XI-XI[a]), შევისწავლეთ ციხის ადრე და შუაფეოდალური ხანის სასიმაგრო-თავდაცვითი სისტემა, კერძოდ, IX-XI და XII-XIII სს-ის ციხეზე ერთ კუთხეში თავმოყრილ შემოსასვლელ კართა კონსტრუქციული ხერხები და მშენებლობის ტექნიკა.

მშენებლობის ხერხების და სტრატიგრაფიის მიხედვით, რუსთავის ციხეზე გამოიკვეთა უფრო ადრეფეოდალურ ეტაპზე (IX-XI სს.) მოქმედი - შიდა ზღუდე II-ში ჩართული ორი არქიტრავული სისტემის, განიერი კარი. ამათგან ერთი - ფილაქვით მოგებული იატაკით, პილონებით, საურდულეთი და ზღურბლით - სადღეისოდ უკეთაა შემორჩენილი; მეორე კი (წყალსადენთან) - დაზიანებულია. არ არის გამორიცხული, რომ ეს შემოსასვლელები შიდა ზღუდე I-თან ერთად, ადრეფეოდალური ხანის საწყის ეტაპზეც (V-VIII სს.) მოქმედებდნენ. მაგრამ ჯერჯერობით, მათი ფუნქციონირება შიდა ზღუდე II-თან ერთად უფრო IX-XI სს-ში ჩანს. ეს ორივე კარი, ციხის სამხრეთ და დასავლეთი ზოლის გაფართოების გამო, მნიშვნელოვნად შეცვლილა: როგორც ჩანს, შიდა ზღუდე II - ჯერ გაუქმებულა, ხოლო შემდეგ საერთოდ დახურულა. ამის შემდეგ, აქ XII-XIII სს-ში გარე ზღუდის მშენებლობის დროს, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის დიდი ბურჯის კოშკში (№1) გაუჭრიათ აგურით ამოყვანილი კარი, ანუ საფეხურებიანი გვირაბით სავალი საცალფეხო „ცოტა კარი“, რომელიც ტეხილი ტალანით დაუკავშირებიათ კამაროვან ღიადებთან. ამით, თითქმის XIII ს-ის 60-იან წლებამდე გახსნილა ორ ზღუდეთა შორის სავალი. არ ჩანს, მხოლოდ XII-XIII სს-ის კარი. იმედია, შემდგომი სამუშაოები ამ უბანზე გამოავლენს მის კვალს, რაც შესაძლოა, მხოლოდ ზღურბლის სახითღა იყოს შემორჩენილი. გვირაბიანი კარის საბოლოო განადგურება კი, უეჭველია, XIII ს-ში მონღოლთა შემოსევას უნდა მიეწეროს.

სადღეისოდ, რუსთავის ციხეზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად (1959-1973 წწ.) დაფიქსირებულია სამი შემოსასვლელი კარი: II შიდა ზღუდეში ჩართული IX-XI სს-ის ორი ფართო კარიბჭე და ერთიც - ციხის ზედა ტერასაზე საცალფეხო საფეხურებიანი გვირაბით ამოსასვლელი XII-XIII სს-ის კარი, რომელიც ორი კამაროვანი ღიადით სრულდება.

ამას გარდა, გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა, გარე ზღუდესთან და, ცხადია, გვირაბიან კარიბჭესთან დაკავშირებული XII-XIII სს-ის კუთვნილი სამოსახლო და სამეურნეო უბნებიც: №№3, 6-11, 15, 19 სენაკები, რომელთა შორის სამი სამშენებლო დონე გამოირჩა. ამათგან, უკანასკნელი - ზედა დონის საცხოვრისის ნაშთები ეკუთვნის 1265 წლის კატასტროფის შემდგომ, მაგრამ XIII ს-ის ბოლო მეოთხედში, ან XIV ს-ის დასაწყისში ხელახლა წარმოქმნილ დროებით სადგომებს, რომელნიც კეტავენ თვით XII ს-ში აშენებულ გვირაბიან კარიბჭესაც კი.

რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანი

(თხრილი XI, XI^ა)

ნივთიერი მასალა

რუსთავის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი უბნის არქეოლოგიური მონაპოვრის უდიდეს ნაწილს კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს. გვხვდება აგრეთვე მინის ნაწარმიც - ჭურჭელი, სამაჯურები და სხვ. გვაქვს მცირერიცხოვანი ლითონის ნივთები: რკინის, ბრინჯაოს ნაკეთობები.

კერამიკული ნაწარმის კლასიფიკაციისათვის მხედველობაში მივიღეთ როგორც კეცის გამოწვის რაგვარობა, დამუშავების ტექნიკა, ასევე მათი დანიშნულებაც, მხატვრული სტილი, ზედაპირის შემკობა და სხვ.

ჩვენი უბნის განათხარიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის კლასიფიკაციისას გავითვალისწინეთ აღმოსავლურ-ქართული წარმომავლობის, სათანადო მასალის საფუძველზე შემუშავებული და დადგენილი ნორმები, სტილი, ტექნოლოგია, რამაც განაპირობა ამ ჯგუფის მიკუთვნება ადრეფეოდალური და ასევე შუაფეოდალური ხანისათვის[602]. გამოიყო აგრეთვე უძველესი კერამიკული ნიმუშებიც.

ამგვარად, მონაპოვარში შეინიშნება ორი დიდი ჯგუფი კერამიკული ნაწარმისა: I. ფერადკეციანი (ჩალისფერი, მოვარდისფრო და წითელკეციანი) თიხის ჭურჭელი, და II. თეთრკეციანი თიხის ჭურჭელი, ფაიანსი. ზედაპირის შემკობის მიხედვით, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოიყოფა ორი ჯგუფი: **I. მოჭიქული და II. მოუჭიქავი კერამიკა.**

უნდა შევნიშნოთ, რომ კერამიკული მასალის ცალკე განხილვა მით უფრო აუცილებელია, რამდენადაც იგი განათხარ ნაგებობათა ნაშთების განფენების ნახვის საშუალებასაც მოგვცემს სათანადო ქრონოლოგიური ეტაპებისადმი მიკუთვნების საქმეში, რაც ერთგვარ თანაფარდობას შეიტანს ადრეულ ფენათა მოწესრიგებაში (ეს მეთოდი განმსაზღვრელი უნდა იყოს უმრავლესი ტიპის კერამიკულ ნიმუშთა ამა თუ იმ ნაგებობისათვის მიკუთვნების თვალსაზრისით).

ამგვარად, ჩვენი მასალის შესწავლის საფუძველზე გამოირკვა წარმოების ტექნოლოგიური მხარისა და მხატვრული დამუშავების სტილის ის მკვეთრად დამახასიათებელი ნიშნები, რაც განსაზღვრავს მათ მიკუთვნებას ადრეული და შუაფეოდალური ხანისათვის.

---

602 ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა; მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში; გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი; კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბ., 1969 და სხვ.

I. მოჭიქული კერამიკა

ა) ადრეული ფეოდალური ხანა

1. **ჯამები** - მოვარდისფრო, სუფთად განლექილი თიხის, მაღალი ქუსლებით, ძირბრტყელები, ოდანავ პირაწეული. შიშველ კეცზე ფუნჯით მოხატულია მწვანე, თეთრი და ღვიძლისფერი სხივები, ხან ბადე, ან რგოლები და კლაკნილი ხაზები. დაფარულია უფერო, გამჭვირვალე ჭიქურით. დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ასეთი ნიმუშები IX-X სს-ს განეკუთვნება[603] (ტაბ. XXXI_{1-6}, XXXII_{2-4})
2. **ჯამები** - სუფთა თიხისა; დაბალი, განიერი ქუსლით, ძირბრტყელი. შიშველ კეცზე ფუნჯით მოხატულია თეთრი ანგობის რგოლები, ან მარყუჟები, ზოგჯერ ფოთლები; გაღვრილად, აქა-იქ აქვს მწვანე ან ყვითელი და ცისფერი ლაქები და ღვიძლისფერი ხალები. დაფარულია უფერო, გამჭვირვალე ჭიქურით. ასევე, IX-X სს-ს მიეკუთვნება[604] (ტაბ. XXXIII_3).
3. **ჯამები** - წითელი თიხისა, დაბალი ქუსლით, დიდი ბრტყელი ძირით, სწორპირიანი, ოდნავ კიდეჩაღარული. შიშველ კეცზე ფუნჯით მოხატულია თეთრი ანგობის წრეები, ან მარყუჟები, ხვიები, ფოთლები, ზოგჯერ ფსკერთან ბრტყელი კონცენტრული წრეებია. დაფარულია მწვანე, ღია, ხან მუქი კრიალა ჭიქურით (ტაბ.XXXIII_{4-6}, ტაბ.XXXIV_{1-3}). თარიღდება IX-X სს-ით[605]. (საკონ. ჭრილი II შრე).
4. **ჯამები** - მოვარდისფრო, სუფთა თიხისა. მცირედ გამოყოფილი მომცრო ქუსლით, ძირბრტყელი. მოთეთრო, ხშირად მოვარდისფრო ანგობზე მრავალფერად, გაღვრილადაა მოხატული ზოლები ან კლაკნილები, ხვიები, ლაქები, ხალები. გვხვდება ყვითელი და ღვიძლისფერი, ხან მწვანე, ყვითელი და ღვიძლისფერი ან მხოლოდ ღია მწვანე გაღვრილი ლაქები და ნაღვენთებიანი ზოლები. დაფარულია ღია უფერული ჭიქურით (ტაბ. XXIX_{1-2}),
5. **ჯამი** - ტლანქი, უცხო იერის, დაბალი, განიერი ქუსლით, ძირბრტყელი, დაბალი ვიწროკიდიანი პირით. ძირზე დამღით. მოვარდისფრო ანგობზე ფუნჯით მოხატულია მოყავისფრო მჭიდრო და გადამკვეთი ზოლები, შიგ ჩასმული წერტილებით[606] (ტაბ. XXXVI_1). შესაძლოა შემოტანილი იყოს. IX-X სს-ის ნაწარმადაა მიჩნეული[607].
6. **ქილები თუ სასმისები** - გარედან გაღვრილად, მრავალფერად მოხატული, მრგვალი ყურით (ტაბ. $XXIX_{3, 6}$). ყველა IX-X სს-ს მიეკუთვნება.
7. **ჭრაქები** - დაბალი, ნიჟარისებური, შვერილყურიანი, მწვანე (ტაბ. XXXIX_4).
8. **სამარილეები**, უანგობოდ, ყავისფერი კრიალა ჭიქურით დაფარული[608] (საკონტროლო ჭრილის მიხედვით, II შრე), აგრეთვე **პაწია ფიალები** უანგობოდ

603 **იხ. დასახ. ნაშრომები**
604 **იქვე**
605 **იქვე**
606 **რ-72-6815**
607 **მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი**
608 **რ-72-7542**

მოჭიქული ჩალისფერი[609] (ტაბ. XXXIII_1) და მომწვანო (III შრე), - უფრო X ს-ის კუთვნილი უნდა იყოს.

ბ) გარდამავალი ეტაპი

(X ს-ის II ნახევარი - XI ს-ის I ნახევარი)

1. **ჯამები,** მოვარდისფრო-მოყვითალო თიხისა. ოდნავ გამოყოფილი, დაბალი, შემცირებული ქუსლით, ძირბრტყელი. უმეტესად ფრიალაპირიანი, ზოგჯერ დაბალი სწორი პირით, ოდნავ კიდეჩაღარული. უმეტესად თეთრ, ხან ვარდისფერ ანგობზე მოცემულია მრავალფერადი გაღვრილი სახე: ყვითელი, მწვანე და ღვიძლისფერი ზოლები ან ყვითელი, მწვანე ლაქები და ღვიძლისფერი ხალები, შერწყმული მუქი და ღია ტონით. გადავლებული აქვთ ღია გამჭვირვალე უფერო ჭიქური. ასეთი ნიმუში[610] უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდა საკონტროლო ჭრილიდან (II შრე). გავრცელებული ჩანს X ს-ში[611].
2. **ჯამები -** უმეტესად იმგვარივე მოყვანილობისა; ოღონდ თეთრ ან ვარდისფერ ანგობზე ფსკერთან, ხან კიდესთან მკრთალადაა ამოკაწრული მარყუჟები, ან გამოყვანილია ფოთლოვანი სახე, შიგ ამოკაწრული წერტილოვანი ორნამენტით. გვხვდება მკრთალად ნაკაწრი ხვიები ან უბრალოდ კონცენტრული ხაზები. გვაქვს წიწვოვანი და გეომეტრიული ორნამენტიც (რომბები). შემდეგ, მრავალფერად - მწვანედ, ყვითლად, ღია-ღვიძლისფრად გაღვრილად მოხატული. გადავლებულია უფერო, გამჭვირვალე ჭიქური (ტაბ. XXX_{3-4}, XXXVI_2). ესენი, უფრო X ს-ის II ნახევრის ნიმუშები უნდა იყოს, რომელნიც, შესაძლოა XI ს-ის I ნახევრამდეც რჩებოდა ხმარებაში. მით უფრო, თუ ვიგულისხმებთ, რომ (ფორმასთან ერთად) ამოკაწვრის ტექნიკა ისახება X ს-ის ბოლოს, რამაც გავრცელება ჰპოვა XI ს-შიც[612].
3. **ჯამები -** მოყვითალო-მოვარდისფრო თიხისა, მცირედ გამოყოფილი ქუსლით, ძირბრტყელი. ფრიალა კალთიანი, ან დაბალი სწორი პირით, ოდნავ ჩაღარული. თეთრ ანგობზე დაფარული კრიალა ღია ან მუქი მწვანე ჭიქურით, სადა[613] (ტაბ. XXXIII_2, XXXV_{3-6}); ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაცრისფერი თიხის სადა ჯამი, ღია მწვანე ჭიქურით, ფსკერზე მკრთალი ირგვლივი ნაკაწრით[614] და ლურჯი, ლილისფერი, მკრთალი ნაკაწრებით შესრულებული ხვიების სახით[615], რომელნიც მოყვანილობით თუმცა X ს-ის II ნახევარს ეკუთვნიან, ტექნოლოგიურად და სტილისტურად შესაძლოა XI ს-ის I ნახევარშიც შეგვხვდეს.
4. **ქილები,** სადა, ორმხრივ მუქ-ყავისფრად, ან მწვანედ მოჭიქული,

609 სდ. რ-72-7576
610 სდ. რ-72-7544, 7545, 7546
611 მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი რ-72-7542
612 მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი
613 სდ. რ-72-7540, 7541
614 სდ. რ-72 6991
615 სდ. რ-72-6706

ოვალურმუცლიანი[616], ან მრავალფერადი, გარედან გაღვრილად მოხატული[617], მცირედ ამოკაწრული წყვილი სალტით[618], ასევე შესაძლებელია მოყვანილობის მიხედვით გარდამავალთა ჯგუფს მივაკუთვნოთ.

5. **ჯამები,** მოვარდისფრო-ნაცრისფერ ანგობზე მოხატული მწვანე მარყუჟებით და ღვიძლისფერი ზოლებით, ფსკერზე მოხატული ჯვრით, კალთაზე მწვანე ნახევარწრეებით, შემაღლებული გამოყოფილი ქუსლებით, ძირშეღარული[619]. უფრო XI ს-ისკენ იხრებიან.

გ) შუაფეოდალური ხანა, XI-XII საუკუნეები
(ერთფერჭიქურიანები)

1. **ჯამები** - წითელკეციანი, გამოყვანილი, ბორბალა ქუსლით, ძირშეღარული, სწორპირიანი, კიდეჩაღარული. კეცზე თეთრი ანგობის ბრტყელი ზოლებით ფუნჯით მოხატულია ხვიები, მარყუჟები, რგოლები. დაფარულია ცისფერი ჭიქურით[620]. ასეთები ისევ კეთდება XI ს-ში[621].
2. **ჯამები** - წითელკეციანი, ბორბალა ქუსლით, ძირშეღარული. სწორპირიანი და ფრიალა კალთითაც; სადა, კრიალა მწვანე ჭიქურით დაფარული[622] (ტაბ. XXXV_5). ზოგი მომწვანო-მონაცრისფროა, სწორპირიანი, ბაკობრტყელი. არის ჯამები სწორპირიანი, კიდეჩაღარულიც და ვიწროკიდიანიც.
3. **ჯამები** - ისეთივე მოყვანილობისა ოღონდ ანგობზე ღრმად ამოკაწრულია სხვადასხვა ორნამენტული სახე: რომბები, ხვიები, წრეები, კალთის ზედა არეზე ხვიათა ჯაჭვით, ან ირგვლივი ზოლებით, ზოგჯერ ფსკერზე ამოკაწრულია ვარდული, ან კალთის ირგვლივ ტეხილი ხაზი[623]. დაფარულია მუქი კრიალა, ხან ღია მწვანე ჭიქურით, შესაბამისად დათარიღებულია XI-XII სს-ით[624] (ტაბ. XXXVIII_2).
4. **ჯამები** - მწვანე და ცისფერჭიქურიანი, ამოკაწრული ფრინველის გამოსახულებით[625]. გვხვდება კუფური ორნამენტიც[626].
5. **ჯამები** - ამოკაწრული ორნამენტით, ცისფერი ჭიქურით (ტაბ. XXXVII_1).
6. **ჯამები** - ამოკაწრული ორნამენტით, ღვიძლისფერი ჭიქურით[627].
7. **ქილები და სასმისები,** გარედან მწვანე, ცისფერი და ღვიძლისფერი ჭიქურით დაფარული. ტეხილი ან სწორი ირგვლივი ხაზებით ამოკაწრული. პირგანიერი,

616 **სდ. რ-7128, 6718**
617 **სდ. რ-6823**
618 **სდ. რ-72-7326, 7289**
619 **სდ. რ-72-6755**
620 **სდ. რ -72-7012, 6959**
621 **მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი**
622 **სდ. რ-72-7015, 6941**
623 **სდ. რ-72-6919**
624 **მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი**
625 **სდ. რ-72 -6744, 6924**
626 **სდ. რ-72- 6781**
627 **სდ. რ-72- 7144, 7337)**

მრავალყურიანი, ბორბალა ქუსლით, ეკუთვნის XI-XII სს-ს[628].

8. **ჭრაქები** - ნიჟარისებური, მწვანე ან ცისფერჭიქურიანი (ტაბ. XXXIX_5) და **სამარილეები,** ასევე მოჭიქული, ბაკობრტყელი, ხან კიდეკუწუბიანი და რელიეფური წიბოთი (ტაბ. XXXIX_{1-3}), ზოგადად დათარიღებულია XI-XIII სს-ით.

9. თითო-ოროლა ნიმუშის სახით გვაქვს სადა ჯამები: ყვითელი ჭიქურით, ლურჯი და ჩალისფერი ჭიქურით, თეთრ ანგობზე უფერო კრიალა ჭიქურით.

დ) შუაფეოდალური ხანა (XII-XIII სს.)

(მრავალფერადები)

1. **ჯამები** - წითელკეციანი, გამოყვანილი, ბორბალა ქუსლით, სწორპირიანი, ვიწროკიდიანი, ან ბაკობრტყელი, ხშირად შიგნით დამრეცი, ჩაღარული კიდით. თეთრ ანგობზე მოხატულია ფუნჯით, მრავალფერად - ყვითელი, მწვანე, ღვიძლისფერი ხალებით. გამოყვანილია სხვადასხვა ორნამენტიანი სახე: ვარდულები, კლაკნილები, რგოლები, ხვიები და სხვ. გადავლებულია უფერო გამჭვირვალე ჭიქური[629]. სახე ზოგჯერ გაღვრილიცაა, გამოსახულია ფოთლოვანი, ზოგჯერ გეომეტრიული ორნამენტიც[630]. გვხვდება ორმხრივი მოხატულებიც, გარედან ყავისფერი ზოლებით, კალთა დაფარული ბადით და ჩასმული ხალებით.

2. **ჯამები** - მოყვანილობით აღწერილთა მსგავსი. თეთრ ანგობზე ამოკაწრულია მცენარეული, ფოთლოვანი სახე, ნაყოფი და სხვ. მოხატულია მწვანე, მუქი ყვითელი საღებავით, დაწინწკლულია სამ-სამი ღვიძლისფერი ხალით. გადავლებულია უფერო ჭიქური (ტაბ. XLI_{1-4}). ზოგი მათგანი[631] შესაძლოა ყლორტოვანი ფონის ამსახველიც იყოს[632].

3. **ჯამები** - ანგობზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტით: რომბები, სამკუთხედები, მრავალკუთხედები, ტრაპეციები, კვადრატები და მათში ჩახაზული წრეები, ჭადრაკული, „მზისებური“ სხივები, „ჯვრის“ სტილიზაციით და სხვ. შეღებილი მწვანე და ყვითელი, ან ღვიძლისფერი და ყვითელი, ზოგჯერ გაღვრილი ფერებით. გვხვდება გადამკვეთი დიდი რგოლები, პარალელური სალტეებით ჩახაზული ბადისებური გამოსახულება, მანები და სხვ. უფერო ჭიქურით გადავლებული (ტაბ. XLIII_{1-4}).

4. **ჯამები** - ფრინველის გამოსახულებით[633] (ტაბ. XLII_{1-6}), არის აგრეთვე სირინოზის გვირგვინის თუ ორფრთიანი დიადემის მწვანედ შეღებილი ნაწილი, კუდებთან დაწინწკლული ღვიძლისფერი წერტილებით[634]. გადავლებულია გამჭვირვალე

628 მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი
629 სდ. რ-72- 6743, 7317
630 სდ. რ. -72- 6706
631 სდ. რ-72-6701
632 მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი
633 სდ. რ-65-5963, რ-72-6742, 7288, 7488, 04-73-35, 04-73-257,
634 სდ. რ-72- 7384

უფერო ქიქური[635].

5. **ჯამი** - ადამიანის გამოსახულებით[636], ხელში გრაგნილი უპყრია, ხელის მაჯა მწვანედაა შეღებილი, გადავლებულია გამქვირვალე, მოყვითალო ქიქური (ტაბ. XLI_5).
6. **მრავალფერადი ჯამთა პირები** - სწორი, ბაკობრტყელი, ხან შიგნით კიდე დამრეცი და ჩაღარული, ხან კიდემოვიწროვებული[637]. არის ორმხრივ მოჭიქულიც, გარედან ღრმად ამოღარული ტალღოვანი ან ტეხილი ხაზით.
7. **ჯამები** - აღმოსავლური იერის, კომბინირებული ხერხით დამზადებული: ანგობზე ამოჭრის და ამოკაწვრის ხერხით, ორმხრივ მოჭიქული. შიდაპირზე ამოჭრილია ბადურა, ტეხილი ორნამენტი, ან წნული სალტეები. არე დასერილი წვრილი ბადით; მოყავისფრო და ღია მწვანედ მოხატული, უფერო ქიქურით დაფარული[638]. გვხვდება აგრეთვე გარედან მოკლე ღრმა ნაჭდევებიანი, ორმხრივ მოჭიქული, მონაცრისფრო-მოყავისფრო ქილის[639] ნატეხიც[640].
8. **ჯამები** - მჭახე, უსიამოვნო ფერთა შეხამებით ანგობზე ფუნჯით მოხატული. კონტური მუქი ყავისფერია, შიგ უთანაბროდაა მოხატული მწვანე და ყვითელი საღებავით; რომბები, ხვიები, ბრტყელი ზოლებია გამოსახული. გადავლებულია უფერო ქიქური[641] (ტაბ. XLIV_{1-6}) ესენი უფრო XIII ს-ის ან მომდევნო ხანისა გვგონია.
9. **მრავალფერადი ჯამები** - ნახევრადდამზადებული, თეთრ ანგობზე ფუნჯით გამოყვანილია ხვია, რომბი, წრე, ზოლი; ან ამოკაწრულია გეომეტრიული ან მცენარეული ორნამენტი. გამოსახულებათა სახე შეღებილია მწვანე და ყვითელ ქიქურიანი საღებავით, მაგრამ ფონი მოუჭიქავი რჩება, აღარ არის გადავლებული უფერო ქიქური[642] (ტაბ $XLIII_{2,3,4}$). გვხვდება წუნიც და ცეცხლში ნამყოფი, გადამწვარ-დაბუშტული ნიმუშებიც[643].

ფაიანსი

განათხარში უმცირესი ნატეხების სახითაა წარმოდგენილი, რის გამოც ფორმათა დადგენა არ ხერხდება. მაგრამ ზოგადად თარიღდება XI-XIII სს-ით. კეცი თეთრი აქვს, უმეტესად მოჭიქულია ცისფრად და ირიზებულია[644]. საკონტროლო ჭრილის II შრეს ეკუთვნის მრგვალი მძივი, ჭრილა[645] და ჭდეულორნამენტიანი ჭურჭლის ნატეხი[646].

635 **მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი**
636 **სდ. რ-72-6939**
637 **სდ. რ-72- 6712, 6742, 6939, 7288, 7488**
638 **სდ. რ-72- 6759**
639 **სდ. რ-72- 6991**
640 **მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრომი**
641 **სდ. რ-72- 6743, 6924**
642 **სდ. რ-72- 6878, 6919**
643 **სდ. რ- 72- 6820, 7328**
644 **სდ. რ-72- 6717, 6860**
645 **სდ. რ-72-7549**
646 **სდ. რ-72-7548**

მოუჭიქავი კერამიკა

ა) თეთრკეციანი ჭურჭელი (ჩალისფერი)
ადრეული ფეოდალური ხანა, VI-VIII და IX-X სს.

1. ასეთი ჭურჭლის ადრეული ფორმები წარმოდგენილია უმეტესად მოყვითალო-ჩალისფერი ან მოვარდისფრო თიხით, სუფთად განლექილი კეცით, თხელკედლიანებია. უმთავრესად ფინჯნები, სასმისები ან პაწია ჭინჭილებია - სფერული ან კონუსური ტანით; დაბალი, თხელი, სწორი ან ძაბრისებური პირით, თხელი ყურებით. ტანი მთლიანად დაფარულია წვრილტალღოვანი - წყლისებური ორნამენტით, პირთან ამონაჩხვლეტებით. მსგავსი მასალა ძირითადად მომდინარეობს საკონტროლო ჭრილის III და IV შრიდან, რომელთაც უანგობოდ მოჭიქული (ჩალისფრად, მომწვანოდ) ჭურჭლის მხოლოდ ორი ნატეხი ახლავს; დანარჩენი მთლიანად მოუჭიქავია, მასალის დიდი ნაწილი გარედან გაპრიალებულია, გაცვილული ხაზებით. ზოგს (ფინჯნებს) ამობურცული კოპები ან კანელურები აქვს. ძირბრტყელებია. ბევრია აგრეთვე, მოზრდილი ჭურჭლის - ქილების, სამტუჩა დოქების ჩალისფერი, გაპრიალებული ნატეხები, ტანდაღარული, წვრილხაზოვანი ორნამენტით, ყელთან მაღალრელიეფური წიბოთი (ტაბ. XXV, XXVI). მსგავსი ჭურჭელი ზოგადად თარიღდება ადრეფეოდალური ხანით[647].

შუაფეოდალური ხანა

გარდამავალი ეტაპი (X-XI სს.)

1. გვხვდება მოვარდისფრო-ჩალისფერი ჭურჭლის ფორმები, შედარებით უხეში მოყვითალო თიხისა, ნაწილობრივ ან უთანაბროდ გაპრიალებული. გვაქვს ჭინჭილები, სასმისები (უფრო თხელკეციანი, კოპიანი), დიდი ქილის და დოქების ნატეხები, კანელურებიანი, მოვარდისფრო, პრიალა სასმისები და სხვ. გამოყოფილი ქუსლებით, მაგრამ ძირბრტყელი; ყურები - ოვალურგანივკვეთიანი. ამათ კეცი შედარებით სქელი აქვთ. ტანი გაშლილადაა დაღარული ირგვლივი ზოლებით, ან გაცვილული ნაცრისფერი შვეული ხაზებით გაპრიალებული. გვხვდება გაშლილი ტალღოვანი ზოლებიც ან მცირედ ჩაღარული ირგვლივი სალტე[648].

---

647 **მ. სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, კრ. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 39-90; ლ. ჭილაშვილი, ურბნისი, თბ., 1964.**

648 **სდ. რ-72-6739**

შუაფეოდალური ხანა, XI-XII სს.

(ჩალისფერი და მოვარდისფრო კეცი)

1. **ქილები, კოკის პირ-ყელები,** უმეტესი ნაწილი მოვარდისფროდ გამომწვარი; გადაწეული, ვიწრო, ბრტყელი ბაკოთი, ყელთან რელიეფური წიბოთი. გვაქვს **დოქები,** ჭდეულ ორნამენტიანი, მსხლისებური მოყვანილობისა, გაპრიალებულიც. გვხვდება **სამტუჩა დოქები,** ყელთან შეზნექილები, რელიეფური წიბოთი. ყურები მრგვალგანივკვეთიანი ან ოვალური; ძირისკენ მოვიწროვებულია, ძირბრტყელები (ტაბ. XLVII_4).
2. **დოქები, ხელადები, ფიალები,** მოთეთრო-ჩალისფრად გამომწვარი; მრგვალგანივკვეთიანი ყურებით, ზურგზე მეჭეჭით[649]. დოქები უმეტესად მსხლისებური მოყვანილობისაა, სქელკედლიანი, ძირბრტყელი. ტანი გაცვილული ხაზებით მცირედ გაპრიალებული[650]. ნატეხების სახით გვხვდება თხელკეციანი ჯამის თუ ფიალის პირიც, ოღონდ იასამნისფერი გადაჰკრავს, გარედან სამი დაბალი წიბო გაუყვება.
3. **ჭინჭილა,** მოვარდისფრო-ყვითლად გამომწვარი, ოვალურტანიანი, სწორი ყელით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ბრტყელი ძირით; შავი და წითელი საღებავის ზოლებით მოხატული[651]. გვხვდება აგრეთვე მოთეთრო თიხის მცირედ გაპრიალებული დოქის ორი ნატეხი, წითელი[652] და მოშავო საღებავის რგოლებით მოხატული[653]. მიეკუთვნება შუაფეოდალურ ხანას, უფრო კი XI-XII სს-ს[654] .

ბ). სამზარეულო და სამეურნეო ჭურჭელი
(მოშავო-მოყავისფრო, ნაცრისფერი კეცით)
უძველესი ფორმები (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა)

1. **ქოთნები,** ნაცრისფერი თიხისა. განიერი ყელით, კიდემომრგვალებული, მრგვალი მუცლით, დიდრონები, ბრტყელი ყურებით. განივად გაპრიალებული გაცვილული ხაზებით, ზოგჯერ ირიბი ნაჭდევებით ტანზე, ან წვრილად დაღარული ტანით და ტალღოვანი ორნამენტით. გვხვდება დიდი ბადიის ნატეხიც, კიდესთან წერტილებით ჭდეული[655] (ტაბ. LIII_1).
2. **დიდი ქოთნები, ლანგრები, ქვევრები, დერგები,** შავად გამომწვარი, სქელი, გარედან გაცვილული, შავად გაპრიალებული, რელიეფური წიბოებითა და ნაჭდევი ორნამენტით. ძირითადად ეკუთვნის საკონტროლო ჭრილის V შრეს.

649 სდ. რ-72- 7347, 7477, 6927, 7401
650 სდ. რ-72-7131, 6701
651 სდ. რ - 72-6960,
652 სდ. რ-72-6942
653 სდ. რ-72-6988
654 ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 105, მისივე, ნაქალაქარი ურბნისი.
655 სდ. რ-72- 7135

გვაქვს აგრეთვე, მოშავო-ყავისფრად გამომწვარი შავპრიალა ქოთნის პირ-ყელი, ვიწროპირიანი, კიდეგადაწეული, გაცვილული ირგვლივი ხაზებით[656] (ტაბ. XLVIII_5).

ადრეფეოდალური ხანა (IV–VIII სს.)

1. **სამშენებლო კერამიკა, კრამიტი,** წითლადგამომწვარი, მაღალღობიანი, წითლად შეღების კვალით. გვხვდება მოყვითალო-ვარდისფერი თიხის სქელი კრამიტებიც, მაღალი ღობით. უმეტესად საკონტროლო ჭრილის III და IV შრეს ეკუთვნის[657]. აქვეა მინის ზოდიც[658].
2. **დოქის პირ-ყელი,** ღია მოყავისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, პირის ირგვლივ მაღალრელიეფური წიბოთი[659] (ტაბ. XLVI_4; საკონტროლო ჭრილი, III შრე). მოწითალო-ვარდისფერი თიხის **ბადია**, სწორი ტანით[660] (ტაბ. XXVIII_2; IV შრე); ასევე მოშავო ჭურჭლის ნატეხებიც. გვხვდება თხელკედლიანი, სუფთად განლექილი, ვარდისფერი თიხის **გაპრიალებული ხელადაც,** ყელთან რელიეფური წიბოთი, სფერულმუცლიანი, ყურიანი[661] (ტაბ. XXV_1; საკონტროლო ჭრილი - IV შრე[662]).

ადრეფეოდალური ხანა (IX-X სს.)

(წითელი და ყავისფერი თიხის ნაწარმი)

1. **დერგები,** მოყვითალო-მოყავისფრო თიხისა, უყელო წვრილხაზოვანი ღარებით[663] (ტაბ. XXVII_4). გვაქვს ქოთნები, კოჭობები, მურიანი, ჩაღარული ტალღოვანი ხაზით ან ჭდეული წერტილებით. მხართან ზოომორფული ყურებით და კოპებით, ოვალურმუცლიანი[664] (ტაბ. XLVIII_{2-3}, L_2). არის სარქველებიც, ბრტყელი, ცილინდრული სახელურით[665] (III შრე). ასევე ქოთნები, მოყავისფრო-შავი, ოვალური ტანით, მრგვალყურიანები[666] .
2. **ხელადისა და ქილის გვერდის ნატეხები,** მოწითალო-ყავისფერი თიხისა, შვეული ხაზებით გაცვილულად ნაპრიალები, კოკის პირ-ყელები, მოწითალო და მოყავისფრო-ნაცრისფერები, რელიეფური წიბოთი[667].
3. **უყელო ქოთნები,** ნაცრისფერი, გაპრიალებული გაცვილული ხაზებით, წვრილად

656 სდ. რ-72-6701
657 სდ. რ-72-7580, 7581
658 სდ. რ-72-7579
659 სდ. რ-72-7589
660 სდ. რ-72-7604
661 სდ. რ-72- 7612
662 იხ. მცხეთის ამავე ხანის მასალა
663 სდ. რ-72- 6757
664 7562, 7563
665 სდ. რ-72-7594
666 სდ. რ-72-7599
667 სდ. რ- 72- 6711, 7487, 7382

ტანდაღარული, წიბო დაკეჭნილი. ზოგი ყავისფერია[668].

4. **ბადიები, ქილები, ქოთნები, კოჭობები,** უყელო, მცირედ კიდეგადაწეული ტანდაღარული წვრილი ხაზებით, ზოგჯერ პირთან მეჭეჭებით. უმეტესად ქარსიანი. შვერილებიანი ყურით[669] (ტაბ. XLVI_3, ტაბ. XLIX_2). მოყვანილობით, თიხის ფაქტურით, გაფორმებით ადრეფეოდალური ხანის ბოლო ეტაპს - VIII-X სს-ს უნდა ეკუთვნოდეს[670].

შუაფეოდალური ხანა (XI-XII სს.)

(წითელწერნაქიანი, პრიალა ჭურჭელი)

1. **დეკორატიული დერგები**[671], ჭდეულორნამენტიანი, ზოგი ირმების გამოსახულებით, ზოგი ვარდულებით. ინკრუსტრირებულია პასტის ცისფერი კენჭებით[672] (ტაბ. $LIV_{2,4}$; ტაბ. LV_{2-3}).
2. **სამტუჩა ხელადები, დოქები, ფიალები, კოჭობები, ჯამი და სხვა**, წითელი თიხისა, წერნაქიანი და გაპრიალებული. აქვთ დაკეჭნილი წიბოები, კუწუბოიანი, ან ამოკაწრული წიწვოვანი ორნამენტი[673].

შუაფეოდალური ხანა (XI-XIII სს.)

(წითელი და ყავისფერი თიხა)

1. **სუფრის ჭურჭელი -** მოუჭიქავი ჯამები, მსხლისებური ხელადები, დოქები, ლანგარი. ზოგი სამტუჩა, ზოგი სწორპირიანი. უმეტესად სადა, ზოგჯერ წვრილი, ბრტყელი, ტალღოვანი ორნამენტით; უმეტესად მოწითალო-ვარდისფერი ან მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხისა. ყურები ოვალურგანივკვეთიანი, ზოგი პირიდანვე გადმოდის, ზოგი ყელთანაა მიძერწილი. ტანი შემკული მარტივი ორნამენტით, ზოგი მცირედ გაპრიალებულია (ტაბ. XXXV, XXXVI, XXXIX).
2. **სამზარეულო ჭურჭელი -** ქოთნები, კოჭობები, ქილები, ქვაბ-ქოთნები, სარქველები, ბადია. უმეტესად მოყავისფრო-მოწითალო, უხეში თიხისა; გვხვდება სადა და წიბოიანი ქოთნები, ჭდეულორნამენტიანი, ან ამოკაწრული ღარებით (ტაბ. LI_{1-5}, LII_{1-3}). ასევე ჩაფი, კოკა, სამტუჩა და სწორპირიანიც, რომელშიც დიდი ბრტყელი პირიდან ყურებია ამოყვანილი - წითელი სადღვებელი, განივი ბრტყელი ყურით (ტაბ. LV_4), ტანი დაფარულია ტალღოვანი და ხაზოვანი ორნამენტით[674] (საკონტროლო ჭრილის II შრე).

668 სდ. რ-72-6750
669 სდ. რ-72-7058, 7020, 6916. 7027, 3436
670 მ. სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, გვ. 52-57.
671 იხ. თ. არჩვაძე, დეკორატიული დერგები რუსთავიდან, კრებული, 1959 წ.
672 სდ. რ-72- 6700, 6761, 6889
673 სდ. რ-72-7403, 7315,
674 სდ. რ-72-7570

3. **სამეურნეო ჭურჭელი** - დერგები, ქვევრები, ქოცოები, მოწითალო-მოყავისფრო, ბრტყელი ბაკოთი; დერგებს მარტივი ხაზოვანი, ტალღოვანი და წიბოიანი დაკეჭნილი სარტყელები აქვთ (ტაბ. LIV_3, LIV_1). დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ყველა განეკუთვნება XI–XII და XII-XIII სს-ს.[675]

I. მინის ნაწარმი (XI-XIII სს.)

უმთავრესად შუაფეოდალური ხანის სამაჯურებითაა წარმოდგენილი. გვაქვს მწვანე და ცისფერი გრეხილი სამაჯურები (ტაბ. LVII_4). ცოტაა ჭურჭლის ნაწილები[676]. აქედან, ერთი[677] ეკუთვნის საკონტროლო ჭრილის III შრეს, ერთიც - IV შრეს[678].

II. ლითონის ნაწარმი (XI-XIII სს.)

ბევრია რკინის ლურსმნები. გვხვდება ბრინჯაოს და სპილენძის ნივთებიც, მათ შორის ქარქაში[679]. გვაქვს ასევე XIII ს-ის კუთვნილი ორი მონეტა[680].

ტაბულების აღწერა:

ტაბ. I. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ გარე ზღუდე, №1 ბურჯის გვირაბიანი კოშკი, ხედი აღმოსავლეთიდან; **2**. რუსთავის ციხე, აღმოსავლეთ გარე ზღუდე №1 და №2 ბურჯებით, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. II. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ №1 ბურჯის გვირაბიან კოშკში შემავალი აგურის თაღიანი კარი, ხედი სამხრეთიდან; **2**. იგივე კოშკიდან ტეხილ ტალანში გამომავალი აგურის თაღიანი კარი ზედა ტერასაზე, ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. III. 1. რუსთავის ციხე, აგურით მოპირკეთებული ტეხილი ტალანი, მასში ჩართული №3 კამაროვანი კარით (IX-XI სს.). მარცხნივ - ოთხკუთხა (ადრე ალიზიანი), შემდეგ სათავსოდ (პირობითად სენაკი №4) გამოყენებული და აგურით მოპირკეთებული კოშკის ნაშთი (IV-IX და XII-XIII სს.), ხედი სამხრეთიდან; 2. იგივე კამაროვანი კარი, წინ ჩანს აგურით მოპირკეთებული კედლის ზეძირკველის ქვები (IX-XI და XII–XIII სს.) და ქვიშაქვის ფილებით მოპირკეთებული ფართო ტალანი, ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. IV. 1. რუსთავის ციხე, მარჯვნივ - გარე და შიდა ზღუდეების დამაკავშირებელი №3 კამაროვანი კარი დასავლეთი ფრთის სამაგრებელი „ბურჯით"; მარცხნივ - ნანგრევში (ღიობში) ჩანს №3 აგურის კამაროვანი კარის მოპირდაპირე, ისეთივე კამაროვანი, აგურით ნაშენი №4 კარის ნაშთი (IX-XI და XII-XIII სს.), უკან ხედზე - გარე

675 ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 94.
676 სდ. რ-72-6713, 6714, 6748
677 სდ. რ-72-7579
678 სდ. რ- 72-7605
679 სდ. რ-72-6702
680 სდ. რ-72- 6818, 7121.

ზღუდის №2 ბურჯი შიდა პირზე მიკრული საკონტროლო ქრილით და ფართო ტალანი, წინა ხედზე - შიდა ზღუდეში ჩართული განიერი (№1) კარიბჭის პილონები და მათ შორის ჩაშენებული რიყის ქვის კედლის ნაშთი. ხედი ჩრდილოეთიდან. 2. გარე ზღუდის №2 ბურჯის შიდა პირზე (ფართო ტალანში) მიკრული საკონტროლო ქრილი, ნაყარის ქვეშ გამოვლენილი სქელი, ნახშირიანი ფენით ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. V. 1. რუსთავის ციხის ზედა ტერასა, სამხრეთ-აღმოსავლეთის გვირაბიანი კარიბჭის უბანი: უკანა პალნზე - გარე ზღუდის №2 ბურჯის თავი, მარჯვნივ კუთხეში - შიდა ზღუდის ოთხკუთხა ალიზიანი კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე და ინტერიერი (V ს.); მარცხნივ - შიდა ზღუდის ფართო კარიბჭის პილონებს შორის ჩაშენებული №1 და №2 სენაკების რიყის ქვით ნაგები ჩრდილოეთი კედელი; 2. მარჯვნივ - გარე და შიდა ზღუდეების დამაკავშირებელი აგურის №3 კამაროვანი კარი, მის წინ №1 და №2 სენაკები, მათი გამყოფი კედელი; წინა პლანზე იგივე სენაკების ჩრდილოეთი კედელი მარჯვენა კუთხეში ჩართული ადრეული შუასუკუნეების კარნიზის ქვით.

ტაბ. VI. 1. რუსთავის ციხის შიდა და გარე ზღუდეთაშორისი ფართო ტალანი: აღმოსავლეთი გარე ზღუდე - ბურჯის შიდა (ჩრდილო-დასავლეთი) პირის პერანგის წყობა (საკონტროლო ქრილის ჩამოხსნის შემდეგ - XII–XIII სს.), მარჯვნივ - ზღუდეების დამაკავშირებელი აგურის კამაროვანი კარი (№3) – XII-XIII სს. წინ და მარცხნივ ჩანს ფართო ტალანის ბრტყელი და რიყის ქვებით მოგებული იატაკი (IX–XI სს.), ხედი დასავლეთიდან; 2. ფართო ტალანის ფილაქვებით მოგებული იატაკი (IX–XI სს.). მარცხნივ - გარე ზღუდე, ბურჯზე მიკრული დამწვარ-ნახშირიანი ფენის ნაშთი (საკონტროლო ქრილი). მარჯვნივ - შიდა ზღუდის განიერი კარი (IX-XI სს.) გაუქმებულია პილონთა შორის ზღურბლზე ჩაშენებული რიყის ქვის კედლით (XII-XIII სს.), ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. VII. 1. რუსთავის ციხე. სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანი, ციხის ზედა ტერასა: შიდა ზღუდეში ჩართული განიერი ალაყაფის კარი (ზღურბლით), ჩრდილო და სამხრეთი პილონები (გახსნილი და გაწმენდილი) – IX–XI სს.; შუაში - ბრტყელი ფილაქვებით მოგებული ფართო ტალანის იატაკი; უკან ჩანს გარე ზღუდე - ბურჯის დასავლეთ პირზე, შერჩენილი ნანგრევ-ნახანძრალი ფენის ნაშთი (საკონტროლო ქრილი) – XII-XIII სს და შემდგომი ხანა, ხედი დასავლეთიდან; 2. დიდრონ პილონებს შორის გაჭრილი, შიდა ზღუდის კუთვნილი ალაყაფის კარი, ბრტყელი ფილაქვებით მოგებული ზღურბლით - IX-XI სს., უკან ჩანს ფართო ტალანში, პილონთა შორის ჩაშენებული რიყის ქვის კედელი (ნასახლარისა) - XII-XIII სს., რითაც გაუქმებული იყო ძველი კარი, ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. VIII. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიანი კარიბჭის უბანი, შიდა ზღუდის ჩრდილო პილონის წყობა ფართო ტალანში (ჩრდილო-დასავლეთი კუთხე) – IX-XI სს. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 2. საბეჭდავით დატვიფრული ირმებისა და ვაზის ფოთლების გამოსახულებით შემკული (XII-XIII სს.), წითელწერნაქიანი დეკორატიული დერგის პირ-ყელის ნატეხი, ზღუდეთა შორის

ფართო ტალანის ფილაქვიან იატაკზე, №3 კამაროვანი კარის ძირში, ზედხედი.

ტაბ. IX. 1. რუსთავის ციხე, გვირაბიანი კოშკის უბანი (ციხის ზედა ტერასაზე): შემორჩენილია შიდა ზღუდე I-ის კუთვნილი ოთხკუთხა ალიზიანი და აღმოსავლეთ პირიდან აგურით მოპირკეთებული (ტეხილ კორიდორში) კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე (V ს.? - IX-XI სს.), ხედი ჩრდილოეთიდან; 2. იგივე, ოთხკუთხა კოშკის დასავლეთი ქვითკირის კედელი - სადგარი, რომელზედაც შესაძლოა დაშენებული იყო უტიხრო ალიზის კედელი, რომელიც აგრეთვე მოიშალა კოშკის ოთახად გადაკეთების დროს (V ს ? – IX–XI სს.). ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. X. 1. რუსთავის ციხე, პირობითი სენაკი №3, ჩაშენებული შიდა ზღუდის ფართო კარიბჭის ზღურბლსა და მის ჩრდილო და დასავლეთ პილონთა შორის, ხედი ჩრდილოეთიდან;

2. წინა პლანზე - მარჯვნივ - შიდა ზღუდე I-ის კუთვნილი ოთხკუთხა ალიზის კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე „იატაკითურთ“ (ადრე პირობითი №4 სენაკის ფართობი), მარცხნივ - შიდა ზღუდე I-ის კურტინის ზოლი; უკანა პლანზე - მარჯვნივ, გარე ზღუდე №2 ბურჯი, ფართო ტალანში შესასვლელი აგურის თაღოვანი კარი №3, მისი ფრთის სამაგრებელი ოთხკუთხა „ბურჯი“, და №4 აგურის თაღოვანი კარის ფრაგმენტი; მარცხნივ, ქვედა კუთხეში - შიდა ზღუდის ფართო, №1 კარიბჭის პილონებს შორის ჩაშენებული კედელი და კარიბჭის დასავლეთი პილონი, ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. XI. 1. რუსთავის ციხე, მარჯვნივ ზემოთ - გვირაბიანი კოშკის ქვითკირის თავი (XII-XIII სს.). მარჯვნივ შუაში - გარე (XII-XIII სს.) და შიდა (IX-XI სს.) ზღუდეების დამაკავშირებელი (ტეხილი კორიდორიდან ფართო ტალანში შემოსასვლელი), აგურის კამაროვანი კარი №3. მარცხნივ ზემოთ - გარე ზღუდის ბურჯზე დასავლეთ პირზე შერჩენილი საკონტროლო ჭრილის ნაშთი (გაწმენდამდე). მარცხნივ წინ - შიდა ზღუდის ნანგრევი და მასში ჩართული განიერი ალაყაფის კარის ჩრდილოეთი პილონი - ციხის შიდა არეზე შესასვლელი ძველი კარის საყრდენი (IX-XI სს). ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.; 2. იგივე პილონი, განიერი კარის ზღურბლით, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ტაბ. XII. 1. მარჯვნივ ზემოთ - გვირაბიანი კოშკის ქვითკირის თავი, ძველი ოთხკუთხა კოშკის აგურით მოპირკეთებული აღმოსავლეთ კედლის დასავლეთი (შიდა) პირი (V ს.? – IX–XI სს.). წინ - შიდა ზღუდის დასავლეთი პირი (ნაგები ყვითელი ქვის კვადრებით და რიყის ქვებით კირხსნარზე), რომელშიც ჩართულია ალაყაფის კარის სამხრეთი პილონი (IX–XI სს.). ხედი დასავლეთიდან; 2. შიდა ზღუდის სამხრეთ პილონის სამაგრი კედელი: მარცხნივ - №3 აგურის კამაროვანი კარის დასავლეთი ფრთის საყრდენი კედელი და აქვე ჩართული ალაყაფის კარის სამხრეთი პილონის ნაშთი(V ს.? - IX-XI სს.); წინ ჩანს - განიერი კარის ზღურბლზე, ორ პილონს შორის ჩაშენებული რიყის ქვის კედლის ნაშთი (XII-XIII სს.). ხედი ჩრდილო-აღმოსვლეთიდან.

ტაბ. XIII. 1. რუსთავის ციხე, გარე (XII-XIII სს.) და შიდა (V ს.?, IX-XI სს.) ზღუდეების დამაკავშირებელი, ტეხილი კორიდორიდან ფართო ტალანში შესასვლელი აგურით

ნაგები კამაროვანი კარი №3 (XII-XIII სს.). მარჯვნივ ჩანს შიდა ზღუდეში გაჭრილი კარის კუთვნილი, დიდრონ პილონებს შორის IX-XI სს. ზღურბლზე ჩაშენებული ნასახლარის რიყის ქვით ნაგები კედელი (კარის ჩამკეტი მომდევნო ხანაში - XIII ს. უკანასკნელი მეოთხედი - XIV სს.). მარცხნივ წინ ჩანს დროებითი სადგომის კუთვნილი, ცალპირა ქვით ნაშენი კედლის ზოლი (უფრო მოგვიანო - XVI-XVII სს. პერიოდის). ხედი ჩრდილოეთიდან; 2. მარჯვნივ წინა პლანზე: აგურით მოპირკეთებული პილონებიანი სამხრეთი შიდა ზღუდე I-ის კუთვნილი (?) ვიწრო ზოლი, №1 პილონით (შუაში) და იმავე დროს ზღუდის სამხრეთ-აღმოსავლეთი ზოლი - შუაში, ზემოთ, აქვე №2 პილონით; კიდეში: შიდა ზღუდე II-ის ალიზიანი თავი და ამავე ზღუდეში ჩართული №1 ბურჯის თავი; უკანა პლანზე: გარე ზღუდის სამხრეთ-აღმოსავლეთი №1 გვირაბიანი კოშკის თავი; მარცხნივ, უკანა პლანზე - აღმოსავლეთ გარე ზღუდის №2 ბურჯის თავი, წინა პლანზე - გაუქმებული სამხრეთ შიდა ზღუდის ზურგში ზედა დონის ნასახლართა ჯგუფი: პირობითი №7 - ნალისებური სენაკი (მარცხნივ შუაში) და პირობითი სენაკი №9 - სამკუთხა სენაკი (მარჯვნივ წინ), მათზე ზემოდან დაშენებული №11 კედელი (მარცხნივ კიდეში). ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ტაბ. XIV. 1. რუსთავის ციხე, ზედა დონის ნასახლართა კვალი: ოთხი ქვით შედგენილი კერა, რიყის ქვის ნასახლართან (XIII–XIV სს.), გარე ზღუდის ზედა ფენაზე. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 2. კირხსნარიან იატაკში ჩაჭრილი ნასახლარის კუთვნილი სამეურნეო ორმოები, (XII-XIII სს. მასალების შემცველი), შიდა ზღუდის ალაყაფის კარის სამხრეთი პილონის თავზე რიყის ქვით ნაშენი ნასახლარების არეზე, ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. XV. 1. რუსთავის ციხე, გარე და შიდა ზღუდეების ურთიერთშერწყმის საკვანძო უბანი სამხრეთ-აღმოსავლეთ გვირაბიან კოშკთან და ნასახლართა არეზე (ზედა ტერასაზე): ზემოთ შუაში - უბანი №11 (1961, 1962, 1965 წწ. განათხარი). მარჯვნივ ზემოთ ჩანს კიბეებიანი გვირაბიანი კოშკის ქვითკირის თავი (გარე ზღუდე, XII-XIII სს.). მარჯვნივ - სამხრეთი გარე ზღუდის ნანგრევი ზოლი (XII-XIII სს.). შუაში - სამხრეთი შიდა ზღუდის დიდი მრგვალი ბურჯი, ალიზის თავის ნაშთით (IX–XI სს.), მათ შორის არე შევსებულია უფორმო ალიზის ნაშალი მასით. წინ - თანამედროვე წყალსაქაჩი სადგურის ჩადგმის გამო აფეთქებული ორი ძველი ზღუდე, რიყის ქვით ნაგები ნასახლართა ნაშთები. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. 2. რუსთავის ციხე, აღმოსავლეთი და სამხრეთი ზღუდეების შერწყმის კუთხე: შუაში ზემოთ ჩანს მათი შემაერთებელი „ნიშა“ (კოშკის თავზე ციხის ზედა ტერასა); მარცხნივ - ძველი შიდა ზღუდის კუთვნილი აგურით მოპირკეთებული ოთხკუთხა კოშკის ნაწილი, უტიხრო ალიზის მასით (V ს.? – IX–XI სს.); ჩანს შიდა ზღუდეზე დაშენებული (გვირაბიანი კოშკის თავზე გარდამავალი) აგურით ნაგები შენობის ზოლი სამხრეთიდან (IX–XI სს.). მარჯვნივ - გარე ზღუდის მრგვალი კოშკის ქვითკირის თავი (XI–XIII სს.) ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ტაბ. XVI. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთი გვირაბიანი კოშკის ქვითკირის თავი (მარჯვნივ) და მასთან მომრგვალებული კუთხით შერწყმული შიდა ზღუდის ნაწილი (მარცხნივ) - ზედ დაშენებული აგურის წყობით ნაგები შენობის ზოლი,

რომელიც სამხრეთი ზღუდის თავსაც გასდევს (ციხის ზედა ტერასა) – IX–XI და XII-XIII სს. შუაში ჩანს ზღუდეთა შერწყმის კუთხე („ნიშა“). ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. 2. იგივე „ნიშა“, ზედხედი სამხრეთიდან.

ტაბ. XVII. რუსთავის ციხე, გვირაბიან კოშკთან ტეხილი კუთხით შეერთებული ციხის სამხრეთი შიდა ზღუდე (V ს.? – IX–XI სს.), (XII-XIII სს.), მარცხნივ შუაში ჩანს - შიდა ზღუდის აღმოსავლეთი ფრთის ნაწილი. მარჯვნივ შუაში - შიდა ზღუდის კუთვნილი ოთხკუთხა ალიზიანი კოშკის ნაწილი (აგურით მოპირკეთებული, შედეგად - ოთახად გადაკეთებული (V ს.?– IX-XI სს). მარჯვნივ ზემოთ ჩანს ტეხილი კორიდორიდან ფართო ტალანში გასასვლელი აგურის კამაროვანი კარი №3 (ორივე ზღუდის დამაკავშირებელი) – XII-XIII სს. წინ და მარცხნივ - შიდა ზღუდის თავზე დაშენებული, გაჯზე ბრტყელი აგურით ნაგები და ასევე აგურით მოპირკეთებული (სამხრეთიდან) შენობის ზოლი, რომელიც სამხრეთიდან გვირაბიანი კოშკის თავს უერთდება მომრგვალებული კუთხით (IX-XI სს.). ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. XVIII. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის თავი (V ს.? – IX–XI სს.) და ზურგთან (პილონთან) ჩადგმული ნასახლარის თონე (XII-XIII სს.). ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 2. რუსთავის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შიდა ზღუდის №1 ალიზიანი დიდი ბურჯი (V ს.? –IX–XI სს.) და მის ზურგში, წინა პლანზე - აგურით მოპირკეთებული პილონებიანი შიდა ზღუდე (პირობითი კედელი №15); მარჯვნივ წინ - შიდა და გარე ზღუდეების შერწყმის კუთხე, შუაში გვიანდელი (XIII-XIV სს.) კედელი №11, მარცხნივ ზედა კუთხეში ჩანს ციხის შიდა ზღუდის გაგრძელება უწყვეტი ხაზით სამხრეთი და დასავლეთი მიმართულებით, დიდი ბურჯებით და კოშკებით, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XIX. 1. რუსთავის ციხე, მარჯვენა ზედა კუთხეში გარე ზღუდის №1 გვირაბიანი კოშკიდან ტეხილ ტალანში შემავალი აგურის კამროვანი კარი და შიდა ზღუდის ოთხკუთხა კოშკის ინტერიერი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 2. ტეხილი ტალანი და ფართო ტალანში შემავალი №3 აგურის კამაროვანი კარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ტაბ. XX. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთი შიდა ზღუდის №1 ბურჯი (თავზე შემორჩენილი ალიზის თხელი ფენით (V ს.? - IX-XI სს.); წინ, შუაში და მარცხნივ ჩანს №1 ბურჯსა და შიდა ზღუდეზე ჩრდილოეთიდან მიდგმული შენობების მომცრო საყრდენი პილონები შერეულად ნაშენი რიყის ქვითა და აგურით, გაჯისა და კირხსნარის მასით - XII-XIII სს. შორს ჩანს სამხრეთი გარე ზღუდის ნანგრევი თავი „ფარით“ (XII-XIII სს.). ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. 2. იგივე, მარჯვნიდან - შიდა ზღუდის №1 დიდი ბურჯი (V ს.? - IX–XI სს.), მარჯვნივ ზემოთ, ნასახლარების რიყის ქვის კედლების ნაშთები ციხის შიდა ტერიტორიაზე და ქვევრის ნატეხები ბურჯის აღმოსავლეთ პირთან (XII-XIII სს.). მარცხნივ - სამხრეთ-აღმოსავლეთ - გარე ზღუდის („ფარი“) ნანგრევი თავი (ორმხრივ ყვითელი ქვებით მოპირკეთებული „პერანგი“ – XII-XIII სს.), ზღუდეებს შორის მანძილი ამოვსებულია ნაშალი უტიხრო ალიზით, (შორს ჩანს თანამედროვე წყალსაქაჩის შენობა). ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XXI. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთი შიდა ზღუდე №1 დიდი ბურჯით: მარჯვნივ, ქვემოთ - შიდა ზღუდეზე აგურით მოპირკეთებული შენობის სამხრეთი პირი, მინაშენი პილონით (ჩრდილოეთი ზურგიდან); მარჯვნივ ზემოთ ჩანს რიყის ქვით ნაგები ნასახლართა ნაშთები ციხის შიდა ტერიტორიაზე (XII-XIII სს.). მარცხნივ - სამხრეთი გარე ზღუდის თავი (XII-XIII სს.). ზღუდეთა შორის არე შევსებულია ჩაქცეული ალიზის მასით (შორს ჩანს თანამედროვე წყალსაქაჩის შენობა, კუთხით ჩადგმული ორივე ძველ ზღუდეში). საერთო ზედხედი აღმოსავლეთიდან. 2. სამხრეთ შიდა ზღუდე და №1 დიდი ბურჯი მათზე ზურგიდან მიდგმული მომცრო პილონებით, მარჯვნივ - რიყის ქვით ნაგები გვიანდელი ნასახლარის №11 კედელი; მარცხნივ - გარე ზღუდის „ფარის“ ნაწილი (XII-XIII სს). ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XXII. 1. რუსთავის ციხე, გარღვეული სამხრეთის შიდა ზღუდის (IX-XI სს.) ტერასული აგებულება, ჭრილები; მარცხნივ, შუაში - პილონებიანი შიდა ზღუდე I-ის კუთვნილი ვიწრო ზოლი (V ს.), წინ და შუაში - XX ს-ის წყალსაქაჩი შენობისგან გაწყვეტილი შიდა ზღუდე - II (რიყის ქვით ნაგები, ზედ დაშენებული უტიხრო ალიზის „თავით“, რომელმაც შეიერთა და შიგ მოიქცია შიდა ზღუდე I. IX-XI სს.). ზემოთ ჩანს: სამხრეთის შიდა ზღუდეში ჩართული დიდი მრგვალი ბურჯის, სამხრეთ-აღმოსავლეთი გვირაბიანი კოშკის თავის, ზედა ტერასაზე კორიდორში ჩართული აგურის კამაროვან კართა კვანძი (IX-XI სს.), აგრეთვე გარე ზღუდის კუთვნილი ფენის შესაბამის ნასახლართა ჯგუფი (კერა-ორმოები) – XII-XIII სს. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. 2. მარცხნივ ზემოთ კიდეში - სამხრეთ-აღმოსავლეთი გარე ზღუდის №1 გვირაბიანი კოშკის თავი; მარჯვნივ ზემოთ კიდეში - სამხრეთ გარე ზღუდის ნაწილი, თავზე „ ჯავშნით“, წინ და შუაში - ზედა დონის რიყის ქვით თიხის ხსნარზე ნაგები ნასახლარის ჯგუფი: წინ, მარჯვნივ პირობითი №6 ოთხკუთხა სენაკის ჩრდილო-დასავლეთ გარე კუთხე და ჩრდილო კედლის გარე პირის წყობა; მარცხნივ, ზემოთ - სამკუთხა სენაკი №10 დარღვეული კედლის თავით; წინ, მარჯვნივ - ოთხკუთხა სენაკი №8, გადამკვეთი ირიბი კედლის ძირით; ზემოთ, შუაში ყველა ამ ნაშთზე ზემოდან დადგმული №11 კედლის საძირკველი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

ტაბ. XXIII. 1. რუსთავის ციხე, №11ᵃ უბანი, სამხრეთი განგრეული შიდა ზღუდის ნაშთები: წინ, მარჯვნივ და შუაში - ძველი, ვიწრო შიდა ზღუდე I-ის ნანგრევი თავი პილონითურთ(რიყისქვითდაგაჯნარევიკირხსნარითნაგები,აგურითმოპირკეთებული - V ს.? - IX-XI სს.). მარცხნივ - ამავე შიდა ზღუდეში გამოყვანილი „ტეხილი მუხლი“, კირხსნარიანი თავით (IX-XI სს.). წინ, მარცხნივ - შიდა ზღუდე II -ის კუთვნილი ალიზის თავის მასა (IX-XI სს.), რითაც შევსებულ-დაფარულია ვიწრო შიდა ზღუდე I; მარჯვნივ, ზემოთ - ორივე შიდა ზღუდეზე დაშენებული რიყის ქვის ნასახლართა ნაშთები (XII-XIII სს.). ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. **2.** სამხრეთი შიდა ზღუდეები I და II (V ს. - IX-XI სს.). წინ, მარცხნივ და შუაში ჩანს - ვიწრო შიდა ზღუდე I-ის ტეხილი კონტური (ნაგები შერეული ქვით, კირხსნარზე) – V ს. – IX-XI სს; მარჯვნივ, შუაში - შიდა ზღუდის №1 დიდი ბურჯის სამხრეთ-დასავლეთი პირი (IX-XI სს.), ზედ დადგმული კერით (XII-XIII სს.); წინ და მარჯვნივ - ორივე შიდა და გარე ზღუდეებს შორის არე შევსებულია ჩაქცეული ალიზის მასით (IX–XI სს.); უკან, ზემოთ ჩანს გვირაბიანი კოშკის ქვითკირის (XII-XIII

სს.) და აღმოსავლეთი გარე ზღუდის ნანგრევი თავი, მათ შორის - შიდა ზღუდესთან გადაბმული კორიდორებით, ალაყაფის კარითა და აგურის კამაროვანი კარით (IX–XI და XII-XIII სს.). მარცხნივ, შუაში - ციხეზე განლაგებული რიყის ქვის ნასახლართა ნაწილი (XII-XIII სს.). საერთო ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. XXIV. 1. რუსთავის ციხე, სამხრეთის შიდა, ორივე ზღუდის ზურგში (ჩრდილოეთიდან) რიყის ქვის ნასახლართა არე: წინ, სამხრეთ-აღმოსავლეთი პილონებიანი შიდა ზღუდე I-ის ზოლი; შუაში გაუქმებული სამხრეთ-აღმოსავლეთი შიდა ზღუდეების ზურგთან ჩაშენებული - ზედა დონის კუთვნილი პირობითი №9 სამკუთხა სენაკის ფართობი; ამ სენაკის და პირობითი №7 ნალისებური სენაკის მომიჯნავე კედელი; ზემოთ - პირობითი № 8 და №10 სენაკების ფართობი; ზემოთ, შუაში ყველა ამ ნაშთზე ზევიდან დადგმული №11 კედლის საძირკველი; მარცხნივ - აქვე ამოჭრილი საკონტროლო ჭრილის ღრმული (3x3x3 მ.) – V-XIII სს-ის მასალის შემცველი. უკანა პლანზე მოჩანს ციხის ჩრდილოეთი ზღუდე. ხედი სამხრეთიდან. 2. რუსთავის ციხე, გვირაბიანი კარიბჭის უბანი, ნასახლართა არე სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღუდესთან: მარცხნივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შიდა ზღუდის №1 ალიზიანი ბურჯი; წინ - სამხრეთ-აღმოსავლეთ პილონებიანი შიდა ზღუდე (პირობითი №15 კედელი), მასზე მიდგმული №7 და №9 სენაკები; უკან, მარჯვნივ - ზედა დონის №11 კედელი, უკან, შიდა ზღუდეების ზოლი - ბურჯებითა და კოშკებით. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XXV. 1. ხელადის პირ-ყურის ნატეხი (რ-72-7612) - სუფთად განლექილი მოვარდისფრო თიხისა, თხელკედლიანი, სფერულმუცლიანი, ვიწრო ყელით, პირგაშლილი, ყელს ირგვლივ მაღალრელიეფური წიბოთი, ბრტყელი ყურით. გაპრიალებულია ვარდისფრად განივი გაცვილული ხაზებით. 2. კოჭობის პირ-ყელის ნატეხი (04-73-550), წვრილმარცვლოვანი თიხისა, ვარდისფრად გამომწვარი, კანელურებიანი ტანით. 3. დოქის პირ-ყელის ნატეხი (04-73-342), წვრილმარცვლოვანი, სუფთად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, ყელის ძირში დაბალრელიეფური წიბოთი. 4-6. დოქის ნატეხები (რ-72-7600 (2), რ-72-7578), მოვარდისფროდ გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისა, მსხლისებური ტანით, ყელის ირგვლივ ჭდეულწერტილოვანი ზოლით, წვრილტალღოვანი „წყლისებური“ ორნამენტით შემკული.

ტაბ. XXVI. 1. დოქის პირ-ყელის ნატეხი (რ-65-5600), ჩალისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ვიწრო ყელით, ყელის შუა ნაწილში მაღალრელიეფური წიბოთი, ყელის ძირში ირიბნაჭდევიანი სარტყლით. 2. დოქის პირ-ყელის ნატეხი (რ-65-5600), მოვარდისფრო-მოყავისფრო თიხისა, სწორპირიანი, ძაბრისებურყელიანი, ნაპრიალები ზედაპირით. 3. დოქის პირ-ყელის ნატეხი (04-73-90), ჩალისფრად გამომწვარი, შეთხელებული სწორი პირით, ძაბრისებური ყელით. 4. დოქის პირ-ყელის ნატეხი (04-73-91), ჩალისფრად გამომწვარი, სწორპირიანი, ძაბრისებური ყელით, პირთან ამოღარულ, კონცენტრულ ხაზებს შორის ტალღური ორნამენტით შემკული. 5. დოქის ყელისა და გვერდის ნატეხი (რ-65-5678), ჩალისფრად გამომწვარი, სფერულტანიანი, ყელის ძირში სამი დაბალრელიეფური სარტყლით და ირიბად დაკეჭნილი ორნამენტით. 6. დოქის ძირ-კედლის ნატეხი (04-73-399), ჩალისფრად

გამომწვარი, ბრტყელი ძირით. 7. კოჭობი (04-73-102), ჩალისფრად გამომწვარი თიხისა, ბიკონუსური მუცლით. აკლია ყური და პირ-ყელი, ყურის ძირში წყვილი კონცენტრული ღარით.

ტაბ. XXVII. 1. ქოთანი (რ-65-5605), ჩალისფრად გამომწვარი, სფერულტანიანი, ფართო მცირედ გადაშლილი სწორი პირით, პირთან ამოღარული ტალღური ორნამენტით, ყელის ძირში წყვილი კონცენტრული ხაზით. 2. ქოთნის პირ-ყელის ნატეხი (რ-72-7601), მოყავისფრო-შავად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა, აქვს დაბალი, მცირედ გარეკიდისკენ გადაშლილი ყელი და მომრგვალო პირი. 3. ქოთნის პირ-ყელის ნატეხი (04-73-94), მოყავისფრო-მოყვითალო თიხისა, დაბალყელიანი, შესქელებული და შიდაპირისკენ მცირედ შეკეცილი პირით. 4. დერგის პირის ნატეხი (რ-72-6757) მოყავისფრო-მოყვითალო თიხისა, პირაწეული და კიდეშესქელებული, სფერულმუცლიანი, მხარი ირგვლივ დაფარულია მჭიდრო კონცენტრული ხაზებით.

ტაბ. XXVIII. 1. ჯამის პირ-კალთის ნატეხი (04-73-286), ჩალისფრად გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისა, გადაშლილი სწორი კალთით, მომრგვალებული პირით. 2. ჯამის პირ-კალთის ნატეხი (რ-72-7604) მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი, დამზადებული მსხვილმარცვლოვანი თიხისგან, აქვს სწორი, მომრგვალებული პირი, მცირედ მორკალური კალთა. 3. „ტაფისებური“ ჭურჭლის ნატეხი (რ-65-5677), მონაცრისფრო-მოშავო მსხვილმარცვლოვანი თიხისა, დაბალი, გადაშლილი კალთით, ბაკო დაბრტყელებული, ბრტყელი ძირით. 4. ბადიის ნატეხი (რ-65-5598), ჩალისფერი თიხისა, სწორი კალთით, დაბრტყელებული, მცირედ შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი. 5. ბადიის პირ- გვერდის ნატეხი (რ-72-6712) მოწითალო თიხისა, შიგნით დამრეცი წიბოიანი ბაკოთი. 6. ბადიის პირ-გვერდის ნატეხი (რ-65-6505) მოწითალო თიხისა, კალთამომრგვალებული, მცირე გადმოსაღვრელი ტუჩით.

ტაბ. XXIX. 1. ჯამის პირ-კალთის ნატეხი (04-73-96) მოწითალო თიხისა, თეთრ ანგობზე ყავისფერი, ყვითელი და მომწვანო გაღვრილი „სხივებით“ მოხატული, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. 2. ჯამის ძირის ნატეხი (04-73-78) მოწითალო თიხისა, მცირედ გამოყოფილი დაბალი ქუსლით, თეთრ ანგობზე გაღვრილად, ყავისფერი და მწვანე ნაღვენთებისგან შედგენილი ფოთლებით მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული. 3. ქილის ნატეხი (რ-65-5706) მოწითალო თიხისა, ბრტყელი ძირით, თეთრ ანგობზე, გაღვრილად, მომწვანო, ყვითელი და ყავისფერი საღებავებით მოხატული და ყავისფერი ხალებით დაწინწკლული, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. 4. ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი (რ-72-7127) მოწითალო თიხისა, მცირედ გამოყოფილი დაბალი ქუსლის ფრაგმენტი, მოხატულია ანგობზე გაღვრილად ყვითელი, ყავისფერი და მოცისფრო ნაღვენთიანი ზოლებით, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. 5. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (რ-72-7127) სწორი, მცირედ ჩაღარული, შემკულია ანგობზე დაწინწკლული ყავისფერი „ხალებით“. 6. კათხა (რ-72-6940) მრგვალყურიანი, გარედან თეთრ ანგობზე მრავალფერადი ნაღვენთებით შემკული.

ტაბ. XXX. 1. კათხის ნატეხი (რ-72-7107) მოწითალო თიხისა, ყურზე კონუსური

დანაძერწით, თეთრ ანგობზე მრავალფერად ნაღვენთებით შემკული, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. 2. ჯამის ნატეხი (04-73-298) მოწითალო თიხისა, დაბალი მცირედ გამოყოფილი ქუსლით, თეთრ ანგობზე, ყავისფერი, მომწვანო და ყვითელი ჭიქურის გაღვრით, გამოყვანილი სამკუთხა ორნამენტებით შემკული, უფერო ჭიქურგადავლებული. 3. ჯამის პირ-კალთის ნატეხი (04-73-80), მოწითალო თიხისა, თეთრ ანგობზე ამოკაწრული კლაკნილი სახეებითა და მომწვანო გაღვრილი ხალებით შემკული, უფერო ჭიქურგადავლებული. 4. ჯამის ნატეხი (რ-72-7074), მოწითალო თიხისა, დაბალი ქიმიანი ქუსლით, ანგობზე მკრთალად ამოკაწრულია მარყუჟები, ფუნჯით მოხატულია მწვანე და ყვითელი „სხივები“. 5. ჯამის ნატეხი (04-73-121), მოწითალო თიხისა, თეთრი ანგობით დაფარული, ანგობზე ამოკაწრული ფოთლოვანი ორნამენტით, ჭიქურის ფერადი ლაქებითა და გაღვრილი ორნამენტით შემკული, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ტაბ. XXXI. 1-2. ჯამის პირ-კალთის ნატეხები (რ-72-7232; რ-73-157), მოვარდისფრო-მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე ფუნჯით მოხატული ბადისებრი და გეომეტრიული სახეებით, უფერო ჭიქურგადავლებული. 3. ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხი (რ-73-157), მოვარდისფრო-მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე თეთრი ანგობის, მომწვანო და ყავისფერი ჭიქურით ხვეული მცენარეული ორნამენტებით შემკული, გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური. 4. ჯამის ნატეხი (რ-72-6924), დაბალი ქიმიანი ქუსლით, შიშველ კეცზე ფუნჯით თეთრი ანგობის, მწვანე და ყავისფერი ჭიქურის „სხივებია“ მოხატული, უფერო ჭიქურგადავლებული. 5. ჯამის ნატეხი (რ-72-7026) მოვარდისფრო-მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე მოხატულია ბადისებური ორნამენტით, სხივებით და მარყუჟებით. 6. ჯამის ნატეხი (რ-73-297) მოვარდისფრო-მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით, ღვიძლისფერი და მომწვანო ჭიქურით მოხატული, გაღვრილი ლაქებით შემკული, გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური.

ტაბ. XXXII. 1. ჯამის ნატეხი (რ-72-7287), მოვარდისფრო კეცზე კალთამოხატული მწვანე მარყუჟებითა და ღვიძლისფერი ზოლებით, გადავლებულია ღია მონაცრისფრო ჭიქური. 2. ჯამის ნატეხი (რ-65-5594), შიშველ კეცზე ღვიძლისფერი და მომწვანო ჭიქურით ბადისებრი ორნამენტით შემკული, უფერო ჭიქურგადავლებული. 3-5. ჯამის ნატეხები (04-73-75; 04-73-95; 04-73-128), შიშველ კეცზე, თეთრი ანგობითა და ღვიძლისფერი ჭიქურით მოხატული გეომეტრიული სახეებით შემკული და უფერო ჭიქურით დაფარული.

ტაბ. XXXIII. 1-2. ჯამები (რ-72-7576; რ-72-7541), მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე მწვანედ მოჭიქული. 3. ჯამის ნატეხი (რ-65-5672), მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული, უფერო ჭიქურით დაფარული. 4-6. ჯამის ნატეხები (04-73-51; 04-73-51; 04-73-129), მოწითალო თიხისა, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული, მწვანედ მოჭიქული.

ტაბ. XXXIV. 1. ჯამი (რ-72-7074), მცირედ გამოყოფილი ქუსლით, დაბალი სწორი პირით, ოდნავ ჩაღარული, შიშველ კეცზე მოხატულია ანგობის რგოლები, მწვანედ მოჭიქული. 2. ჯამი (რ-72-7543) სწორპირიანი, უკან გაწეული მცირედ ჩაღარული ვიწრო

კიდით, კეცზე ფუნჯით მოხატულია ანგობის „ხვიები“, მწვანედ მოჭიქული. 3. ჯამი (რ-72-7326), დაბალი სწორი ჩაღარული ბაკოთი, პირის გარე კიდესთან ორი ჩაღარული ზოლი აქვს, მოხატულია ანგობის რგოლებით, მოჭიქულია მწვანედ. 4. ჯამი (რ-65-6080), სწორი მაღალი შიდაპირისკენ ჩაღარული პირით, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით გამოსახულია ე.წ. მოძრაობის ხაზები, ცისფრად მოჭიქული.

ტაბ. XXXV. 1-2. დოქის ნატეხები (04-73-300; რ-72-7128), თეთრი ანგობით დაფარული და მწვანედ მოჭიქული. 3. ჯამი (რ-72-7540), დაბალქუსლიანი, ძირბრტყელი, პირგაშლილი, ღია მწვანედ მოჭიქული (X ს. II ნახ. – XI ს.). 4-5. ჯამის ნატეხები (04-73-97; რ-72-7015), თეთრი ანგობით დაფარული და მწვანედ მოჭიქული.

ტაბ. XXXVI. 1. ჯამი (რ-72-6815), მოწითალო თიხისა, ტლანქი, ბრტყელ ძირზე ამოკაწრული დამღით. კალთა დაფარულია მოყვითალო ანგობზე ყავისფერი გადამკვეთი ზოლებითა და მათ შორის ჩასმული „ხალებით“, მოჭიქულია ყვითლად. 2. ჯამის ძირ-ქუსლი (04-73-191), მოწითალო თიხისა, თეთრი ანგობით დაფარული, ნაკაწრი ორნამენტებით შემკული, მწვანედ მოჭიქული.

ტაბ. XXXVII. 1. ჯამი (04-73-363), მოწითალო თიხისა, უხეში, სქელკეციანი, მაღალი, სწორი კიდით, გამოყოფილი ბორბლისებური ქუსლით, მწვანედ მოჭიქული. 2. კათხის ნატეხი (რ-72-6961), მოწითალო თიხისა, სწორპირიანი, პირთან ღრმა ორი კონცენტრული სარტყლით, სოსნისფრად მოჭიქული. 3. კათხა (რ-72-7490), სწორპირიანი, კიდეჩაღარული, გარედან ცისფრად მოჭიქული, მრგვალი ყურით. 4. ქილა (04-73-256), პირმოყრილი, ოვალურმუცლიანი, პირთან და მხარზე ამოღარული წყვილი კონცენტრული სარტყლით, თეთრ ანგობზე ცისფრად მოჭიქული.

5. ჯამის პირის ნატეხი (04-73-330), მცირედ გადაშლილი და დაბრტყელებული ბაკოთი, მწვანედ მოჭიქული.

ტაბ. XXXVIII. 1. ჯამი (რ-65-5671), მოწითლო თიხისა, გამოყოფილი, დაბალი ბორბლისებური ქუსლით, შიდაპირისკენ ჩაღარული პირით, თეთრი ანგობით დაფარული, ამოკაწრული ორნამენტით შემკული და ცისფრად მოჭიქული. 2. ჯამის ძირის ნატეხი (რ-72-6919), გამოყოფილი ბორბლისებური ქუსლით, თეთრი ანგობით დაფარული, ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მწვანედ მოჭიქული. 3. კათხა (რ-73-390), კონუსური დანაძერწებით შემკული. 4. ქილა (რ-72-6746) სწორპირიანი, ირგვლივ კიდეჩაღარული, გარედან კოპით შემკული, მწვანედ მოჭიქული.

ტაბ. XXXIX. 1. სამარილე (04-73-164), გამოყოფილი ბრტყელი ძირით, მწვანედ მოჭიქული. 2. სამარილე (რ-72-7048), წიბოიანი, ბრტყელი ძირით და ბაკოთი, მწვანედ მოჭიქული. 3. სამარილე (რ-72-7022), დაბალწიბოიანი, მცირედ გადაშლილი კალთით, ბრტყელი ძირით და ბაკოთი, მწვანედ მოჭიქული. 4. ჭრაქი (რ-72-6923), დაბალქუსლიანი, გულისებური შვერილი ყურით, მწვანედ მოჭიქული (X-XI სს.). აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგებ სათავსოთა შორის, დაბალი კედლის პრეპარაციისას (I ნახშირიან ფენამდე). 5. ჭრაქი (04-73-101), ნიჟარისებური, ბრტყელი ძირით, ანგობზე ცისფრად მოჭიქული.

ტაბ. XL. 1-2. ჯამები (რ-65-5674), მოწითალო თიხისა, ანგობზე ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული. 3. ჯამი (რ-65-6418), მოწითალო

თიხისა, სწორი პირით, დაბრტყელებული ბაკოთი, ანგობზე ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული. 4. ჯამის ძირ-ქუსლი (რ-65-6153), ბორბლისებური ქუსლით, ამოკაწრული ორნამენტით მრავალფერად მოჭიქული. 5. ჯამი (04-73-347), სწორი პირით, გარე კიდეზე რკალისებური დანაძერწებით, ანგობზე ამოკაწრული ორნამენტით შემკული და მრავალფერად მოჭიქული.

ტაბ. XLI. 1. ჯამის პირის ნატეხი (რ-72-6809), სწორპირიანი, „ფოთლებით“ მოხატული, სამ-სამი ყავისფერი „ხალით“ დაწინწკლული. 2. ჯამის პირის ნატეხი (04-73-265); 3-4. ჯამის ნატეხი (რ-72-6701), მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული: ანგობზე ამოკვეთილია ყვითელი წრეები, ჩახაზულია მწვანე ზოლები და ყვითელ-ყავისფერი ხალები. 5. ჯამის ნატეხი (რ-72-6939), მრავალფერად მოჭიქული, თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოჭრილი მწვანესამოსიანი ადამიანის გრაგნილიანი ხელისა და მუხლის გამოსახულებით.

ტაბ. XLII. 1. ჯამი (04-73-35), მაღალი სწორი პირით, მაღალქუსლიანი, შიდაპირზე ფრინველის გამოსახულებით, მრავალფერად მოჭიქული. 2-4. ჯამების ნატეხები (04-73-257, რ-65-5963 (2)), ფრინველების გამოსახულებით, მაღალქუსლიანი, მრავალფრად მოჭიქული. 5. ჯამის ნატეხი (04-73-99), 6. ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხი (რ-72-6742), ფრინველის გამოსახულებით, მაღალქუსლიანი, მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული.

ტაბ. XLIII. 1. ჯამის ძირ-ქუსლი (რ-65-6418), მაღალქუსლიანი, შიდაპირზე თეთრ ანგობზე ამოკაწრული და მწვანე ჭიქურით შევსებული ოთხფურცელა ყვავილის გამოსახულებით და ამოკაწრული რადიალური ხაზებით შემკული. 2-4. ჯამების ძირ-ქუსლი (რ-65-5707, 04-73-53; 04-74-100), ბორბლისებური ძირით, მრავალფერად მოჭიქული და ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტებით შემკული. 3. ჯამის ნატეხი (04-73-213), მცირედ შიგნით შეკეცილი, შეთხელებული პირით, ამოკაწრული ორნამენტით შემკული, მრავალფერად მოჭიქული და ყავისფერი ხალებით დაწინწკლული.

ტაბ. XLIV. 1-2, 5-6. ჯამები (რ-65-6390, 6391, 6392, 6393), წითელი თიხის, კვარცის მინარევებით, სწორი პირით, გამოყოფილი ბორბლისებური ქუსლით, თეთრ ანგობზე მრავალფერად ფუნჯით მოხატული. 3. ჯამის პირ-გვერდი (რ-65-5707), წითელი თიხისა, სწორი პირით, ანგობზე მრავალფერად მოხატული. 4-7. ჯამის ნატეხები (04-73-299 (2)), მოწითალო თიხისა, მრავალფერად მოჭიქული, ერთი შემკულია მცენარეული ორნამენტით, მეორეზე გამოსახულია ჩიტის კუდი და ფრთა. აღმოჩნდა ორმოების არეზე.

ტაბ. XLV. 1-2. სასმისები (რ-65-6395, რ-65-6394), მოვარდისფრო-მოთეთრო თიხისა, თხელკედლიანი, სწორპირიანი, პირიდან ამოსული ბრტყელი ყურით, დაბალი გამოყოფილი ქუსლით, ზედაპირგაპრიალებული. 3-4. სასმისის ძირები (რ-65-6263; რ-65-6263), ჩალისფერი თიხის, დაბალი გამოყოფილი, ბრტყელი ძირით, ზედაპირი მცირედ გაპრიალებული. 5. სასმისის პირ-გვერდი (04-73-89), ჩალისფერი თიხის, მაღალი სწორი პირით, თხელკედლიანი, შავი საღებავით მოხატული, პილონებიანი ნაგებობების არეზე, I ნახშირიანი ფენის ქვეშ. 6. სასმისის ნატეხი (04-

73-40), ჩალისფერი თიხის, თხელკედლიანი შავი და წითელი საღებავით მოხატული, აღმოჩნდა ნალისებური სენაკის კედლის თავიდან 1.50 მ-ზე.

ტაბ. XLVI. 1-2. ხელადის პირ-ყელის ნატეხები (04-73-54; 04-73-391), ჩალისფერი თიხის, მაღალი ვიწრო ყელით, მომრგვალებული პირით, მრგვალგანივკეთიანი ყურით. 3. კოკის პირ-ყელის ნატეხი (რ-72-6916), წითელი თიხის, სწორპირიანი, მაღალყელიანი, ზედაპირნაპრიალები, ამოღარული ტალღური ორნამენტით შემკული. 4. ჩაფის ყელ-ყურის ნატეხი (რ-72-7589), სქელკედლიანი, მოყვითალო თიხის, ოვალური ყური პირის კიდიდანვე გადმოდის, ყელზე მაღალრელიეფური წიბოთი. 5. დოქი (04-73-93), მოწითალო მსხვილმარცვლოვანი თიხისა, სამტუჩიანი, პირიდან გადმოსული ოვალურგანივკვეთიანი ყურით.

ტაბ. XLVII. 1. კოჭობის პირ-ყელის ნატეხი (რ-72-7327), მოწითალო თიხისა, თხელკედლიანი, ზედაპირგაპრიალებული. 2. ქილის პირ-გვერდის ნატეხი (რ-72-6937), წითლად გამომწვარი თიხის, ვიწროყელიანი, მცირედ გადაწეული კიდით, ოვალურმუცლიანი ჩანს, მუცელზე ირგვლივ ორ ღარს შუა ტალღოვანი ზოლია ჩახაზული. 3. ჩაფის განიერი პირ-ყელი (რ-72-7027), მოვარდისფრო თიხისა, აქვს გადაწეული ბრტყელი ბაკო და ყელს ირგვლივ რელიეფური წიბო. 4. ქილის პირ-ყელი (რ-72-6703), მოვარდისფრო თიხისა, სწორი, დაბალი ყელით, ბაკო ბრტყელია, დაბალი რელიეფური წიბოთი.

ტაბ. XLVIII. 1. ქოთანი (რ-72-7560), ყავისფერი თიხისა, სფერულმუცლიანი, დაბალყელიანი, გადაწეული კიდით, მხარი და მუცლის ზედა არე ორ პარალელურ ხაზს შორის შემკულია მოკლე ამონაჩხვლეტებით, ტანს ირგვლივ გაშლილი ტალღოვანი ზოლი შემოუყვება. 2-3. ქოთნების პირ-ყურისა და კედლის ნატეხები (რ-72-7563 (2)), ყავისფერი თიხისა, შემკულია მჭიდროდ დასერილი წვრილხაზოვანი ან გაშლილტალღოვანი ჭდეული ამონაჩხვლეტებით; 4. კოჭობის პირ-გვერდის ნატეხი (რ-72-7588), შავად გამომწვარი თიხისა, გაპრიალებული, ყელს ირგვლივ მჭიდრო განივი ხაზები აქვს და მხარზე ირიბად დასერილია ბადისებრი ორნამენტი, შემკულია ირიბი ნაჭდევებით; 5. შავპრიალა ქოთნის პირ-ყელის ნატეხი (რ-72-6701), მოშავო ყავისფრად გამომწვარი თიხისა, დაბალი მოვიწროვებული ყელით, კიდეშესქელებული, მუცელგამობერილი, მხარზე კონცენტრული ნაკაწრი ღარებით შემკული.

ტაბ. XLIX. 1. ქოთნის პირ-ყურის ნატეხი (რ-72-7140), ყავისფერი თიხისა, დაბალყელიანი, მცირედ პირკიდეშესქელებული, ირგვლივ ღარით, მხარზე მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ძირში ნათითური ფოსოთი; 2-3. კოჭობების პირ-კედლის ნატეხები (რ-72-7058 (2)), ერთი - მონაცრისფრო-მოყვითალო თიხისა, მაღალი ყელით, ბრტყელგანივკვეთიანი კოპიანი ყურით, მხარზე შემოუყვება წერტილოვანი ორნამენტი; მეორე - მრგვალგანივკვეთიანი შვერილი ყურით, დაბალი დაღარული ყელით, მხარზე სამკუთხა შვერილით, ოვალურმუცლიანი; 4. ქოთნის ყელ-ყურის ნატეხები (რ-72-6935), მოწითალო-მოყავისფრო თიხის ყურია, რომელიც პირიდანვე რბილად ამოდის, მხარზე აქვს ორი „ზოომორფული“ შვერილი კოპი, ზურგი სიგრძივ

დასერილია მოკლე განივი ხაზებით, ყელს ქვემოთ ირგვლივ შემოუყვება „წიწვოვანი“ ამონაჩხვლეტების ზოლი; 5. დიდი ქოთნის პირ-კედლის ნატეხი (რ-72-6921), წითელი თიხისა, ტლანქი, დაბალყელიანი, ბრტყელი (მოტეხილი) ყური პირიდანვე გადმოდის, მუცლის ირგვლივ ორი დაბალი ღარი აქვს.

ტაბ. L. 1. ქოთანი (რ-62-4323), მოყავისფრო თიხისა, სადა, დაბალი გადაკეცილი პირით, პირიდან ამოსული ოთხი ბრტყელგანივკვეთიანი ყურით; 2. კოჭობის პირ-ყურის ნატეხი (რ-72-7562), მოყავისფრო თიხისა, დაბალყელიანი, მრგვალი ყური პირიდანვე ამოდის და მხარს ებმის, ვიწრო ბაკო ბრტყელი და გადაწეული; ბაკოს კიდეზე ყურის ორივე მხარეს თითო შვერილი კოპი აქვს, მხარს ირგვლივ შემოუყვება თითო ხაზოვანი და გაშლილი ზოლი. 3. ქოთნის ყურის ნატეხი (რ-65-5714) შავად გამომწვრი თიხისა, ბრტყელგანივკვეთიანი, ყურზე ნალისებური დანაძერწით; 4. ქოთნის ყურ-კედლის ნატეხი (რ-65-6413), შავად გამომწვარი თიხისა, დაბალი სწორი პირით, პირიდან ამოსული ბრტყელგანივკვეთიანი ყურით, ყურის ძირში ნათითურით. 5. ქოთნის პირ-ყელი (რ-65-6085) ყავისფერი თიხისა, პირიდან ამოსული ბრტყელგანივკვეთიანი ყურით, ამოჩხვლეტილი ორნამენტით შემკული.

ტაბ. LI. 1. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი (რ-65-6916), მოყავისფრო თიხისა, დაბალყელიანი, ყელზე ტალღური, მხარზე კი რელიეფური ირიბი ნაჭდევებით შემკული სარტყლით. 2. ქოთნის პირ-ყელის ნატეხი (რ-72-6739), მოყავისფრო თიხისა, წერტილოვანი და რომბისებური ორნამენტით შემკული სარტყლით; 3-4. ქვაბ-ქოთნების პირ-გვერდის ნატეხები (რ-65-6075(2)), მოწითალო-მოყავისფრო თიხისა, ერთი - დაბალწიბოიანი, პირთან ტეხილხაზიანი ამოჩხვლეტილი ორნამენტით შემკული; მეორე - წყვილშვერილიანი ყურებით, პირთან ირიბხაზოვნად ამო-ჩხვლეტილი და მხარზე მაღალი, თოკისებური ორნამენტით შემკული წიბოთი. 5. ქოთანი (რ-65-6087), მოყავისფრო თიხისა, სადა, პირი შიგნით გადაკეცილი, გამურული.

ტაბ. LII. 1. ქოთანი (რ-65-6084), მოყავისფრო თიხისა, გამურული, ოთხყურა, ბრტყელგანივკვეთიანი ყური წყვილი კოპისებური დანაძერწითა და ღრმა ნათითური ფოსოთი. მხარზე ამოკაწრული ორი კლაკნილი ორნამენტით შემკული. 2-3. ქვაბ-ქოთნის ყურის ნატეხები (რ-62-4325; რ-62-4325), მოწითალო თიხისა, სამკუთხა, შუაში გახვრეტილი. 4. ქვაბ-ქოთნის სარქველი (რ-72-7139), მოყავისფრო თიხისა, ბრტყელი კალთის ირგვლივ სამი დაბალრელიეფური წიბო აქვს, კიდეკუწუბოიანი, გამურულია, შუაში - სადა ცილინდრული სახელური თავბრტყელი და კიდეკუწუბოიანი. 5. ქვაბ-ქოთნის სარქველი (რ-65-6082), მოწითალო თიხისა, სადა თავჩაღრმავებული სახელურით, ძირი ბრტყელი, შუაში შედრეკილი.

ტაბ. LIII. 1. ბადიის (დიდი ლანგრის) ნატეხი (რ-72-7135), მოწითალო-მოვარდისფრო თიხისა, ტლანქი, ღრმა, დამრეცკალთიანი, კიდე მცირედ აწეული და შესქელებულია, ირგვლივ ორი ღარით, აქვს თეთრი ბათქაშის ნალექი. 2. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (რ-72-7131), ჩალისფერი თიხისა, სწორპირიანი, გარე კიდესთან ზედაპირდაღარული. 3. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (რ-72-6881), მოწითალო თიხისა, სწორპირიანი,

დაბალი ვიწრო ბაკო, უკან გადაწეული კიდით. 4. დერგის კედლის ნატეხი (რ-65-6124), მოწითალო თიხისა, რელიეფური სარტყლით. 5. ქვევრის კედლის ნატეხი (რ-72-6934), მოყავისფრო თიხისა, სქელკედლიანი, აქვს მაღალრელიეფური, გაშლილი, ტალღურორნამენტიანი სარტყელი.

ტაბ. LIV. 1. ფართოპირიანი დერგის პირ-ყელი (რ-65-5676); 2. დერგის პირ-ყელი (რ-65-5676), კიდე გრეხილი ორნამენტით შემკული; 3. დერგის პირ-კედლის ნატეხი (რ-72-7013), წითლად გამომწვარი თიხის, გარედან მოთეთრო ანგობის თხელი ფენა უსვია, ბაკო ბრტყელი და გადაწეულია, ირგვლივ ტალღოვანი ზოლით; მხარის ირგვლივ სამმაგად ჭდეულ სარტყელს შორის ასევე სამმაგი ირიბი ტალღოვანი ორნამენტია ჩახაზული; 4. დერგის პირ-გვერდის ნატეხი (რ-72-7315), მოყავისფრო-მოწითალო თიხისა, აქვს ვიწრო, ბრტყელი ბაკო, პირთან ნათითური კუწუბო, ყელის ქვემოთ ჩაღარული ზოლი და ბრტყელი წვრილხაზოვანი ტალღოვანი ორნამენტი.

ტაბ. LV. 1. ქვევრის პირ-ყელი (რ-72-7124), მოწითალო-მოყავისფრო თიხისა, სადა. აქვს სწორი პირი და ბრტყელი ბაკო; 2. დერგის პირის ნატეხი (რ-72-6700), წითლად გამომწვარი თიხისა, მაღალი ყელით, შეზნექილი და შიგნით დამრეცი პირით. გარედან შემკულია ირგვლივი ღრმა ღარებით და ტალღური ორნამენტით. შეღებილია წითელი წერნაქით და გაპრიალებულია; 3. დერგის ნატეხი (რ-72-6761), სქელკედლიანი, წითელპრიალა წერნაქიანი. შემკულია „ირმის“ გამოსახულებიანი საბეჭდავით და ინკრუსტრირებულია ცისფერი პასტის მოზაიკური კენჭით; 4. სადღვებლის ყურის ნატეხი (რ-65-5713), მოწითალო თიხისა, ბრტყელ ყურზე ხვრელითა და ოვალური ფოსოთი.

ტაბ. LVI. 1. მონეტა (რ-65-7121), სპილენძი; 2. მონეტა (რ-65-5682), სპილენძი; 3-5. რუსუდან მეფის მონეტები (რ-65-5680; რ-65-5681; რ-65-6816), სპილენძი; 6. ბეჭედი (რ-65-6328), სპილენძი, ფარაკიანი; 7. კანდელაბრის ფეხი (რ-65-6325), ბრინჯაო; 8. ჭვირული ღილი (რ-65-5684), ბრინჯაო.

ტაბ. LVII. 1. ფაიანსის ქილის ნატეხი (რ-65-6415), ყალიბში დამზადებული, ცისფრად მოჭიქული; 2. ფაიანსის მძივი (რ-65-6127), კასრისებური, რელიეფური ორნამენტებით შემკული, ცისფრად მოჭიქული; 3. ფაიანსის მძივი (რ-65-6330), ცისფრად მოჭიქული; 4. სამაჯურის ნატეხი (რ-65-5683), მინისა, სადა; 5. სარკმლის მინა (რ-65-6125), ღია მწვანე, რელიეფური ორნამენტით შემკული.

ტაბ. I

1



2

ტაბ. II

1

2

ტაბ. III

1

2

ტაბ. IV

1

2

ტაბ. V

1

2

ტაბ. VI

1

2

ტაბ. VII

1

2

ტაბ. VIII

1

2

ტაბ. IX

1

2

ტაბ. X

1

2

ტაბ. XI

1

2

ტაბ. XII

1

2

ტაბ. XIII

1

2

ტაბ. XIV

1

2

ტაბ. XV

1

2

ტაბ. XVI

1

2

ტაბ. XVII



ტაბ. XVIII

1

2

ტაბ. XIX

1

2

ტაბ. XX

1

2

ტაბ. XXI

1

2

ტაბ. XXII

1

2

ტაბ. XXIII



1

2

ტაბ. XXIV

1

2

ტაბ. XXV



ტაბ. XXVI



ტაბ. XXVII

ტაბ. XXVIII



ტაბ. XXIX



ტაბ. XXX



ტაბ. XXXI



ტაბ. XXXII



ტაბ. XXXIII



ტაბ. XXXIV

ტაბ. XXXV



ტაბ. XXXVI



ტაბ. XXXVII

ტაბ. XXXVIII

ტაბ. XXXIX



ტაბ. XL



ტაბ. XLI



ტაბ. XLII



ტაბ. XLIII



ტაბ. XLIV



ტაბ. XLV

ტაბ. XLVI

ტაბ. XLVII









ტაბ. XLVIII



ტაბ. XLIX



1



2

3



4



5

ტაბ. L



ტაბ. LI

ტაბ. LII



ტაბ. LIII



ტაბ. LIV



1



2



3

4

ტაბ. LV



ტაბ. LVI



ტაბ. LVII


0 1 2 5 10
0 1 2 5 10
1
mm 5 10 15 20
2
3
mm 5 10 15 20
4
mm 5 10 15 20
5
mm 5 10 15 20

ზ. მაღრაძე

მსუბუქი მეომრის შეიარაღება რუსთავის ნაქალაქარიდან

ციხე-ქალაქ რუსთავის მდიდარ არქეოლოგიურ მონაპოვარში გამორჩეული ადგილი უკავია შუა საუკუნეების საბრძოლო იარაღებს: მოხრილ ხმალს იგივე სეიბრს, სხვადასხვა ტიპის ისრისპირებს, შუბისპირებს, დანას და სხვ. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანს მოხრილი ხმალი, ზოგიერთი ისრის პირი და დანა წარმოადგენს. ყველა ეს ნივთი მომდინარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე შუა საუკუნეების სამაროვნის ტერიტორიიდან. სამაროვანი აღმოჩნდა 1950 წელს, შემთხვევით, ე. წ. „მედქალაქის“ მშენებლობის დროს[1]. ამ წელს რუსთავში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევდა არქეოლოგი გ. ცქიტიშვილი. მან პირველმა აღწერა „მედქალაქის“ მთავარი კორპუსის საძირკვლის ამოჭრისას მშენებლების მიერ დაზიანებული ათამდე სამარხი და თავი მოუყარა სამარხეულ არტეფაქტებს. მოხრილი ხმალი აღმოჩნდა ერთ-ერთ დაზიანებულ სამარხში, 4 ისრისპირი და დანა კი №5 სამარხში (ცქიტიშვილი 1950). 1950 წელსვე, მშენებლობისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე, „მედქალაქის“ ცენტრალური კორპუსის მიმდებარედ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით (თხრილი XVI) გეგმაზომიერი გათხრები დაიწყო არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ. გაითხარა 25 სამარხი. ინვენტარიანი აღმოჩნდა 12 სამარხი, მათგან ორი: №4 და №20 სამარხი შეიცავდა საბრძოლო იარაღს - სხვადასხვა ფორმის ისრისპირებს (ლომთათიძე 1955:183, 192-193).

მოხრილი ხმალი (სეიბრი. რმმ ძფ 462)[2] აღმოჩნდა 1950 წელს, „მედქალაქის“ მთავარი კორპუსის (დღევანდელი რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს) საძირკვლის ამოჭრისას, მშენებლების მიერ დარღვეულ სამარხში (ლომთათიძე 1955:183, 192-193, ჭილაშვილი 1958:143; ცქიტიშვილი 1950). ხმალი ნაკლულია, შემორჩა შვიდი დიდი (6-13 სმ.)[3] და ერთი მცირე ფრაგმენტის სახით (ტაბ. I1). მისი საერთო წონა 845 გრამია. შემორჩენილი სიგრძე შეადგენს 71 სმ., პირის სიგანე ვადასთან - 4,14 სმ., სიგანე ცენტრში - 3,9 სმ. სიგანე წვერისკენ - 3,2 სმ., ყუის მაქსიმალური სისქე ვადასთან - 13 მმ[4], ბოლოსკენ - 10,3 მმ. ხმალზე იკითხება გამოკვეთილი - „ღრმა“ შაშარის კვალი - მისი დასაწყისი მონაკვეთი, რომლის სიგრძე შეადგენს 7,1 სმ. ხმალი დაჟანგებულია, აკლია შუა და წვერის ნაწილი, აგრეთვე ტარის პირი (ლითონის ქუდით), რომელიც ვადისპირზეა გადამტვრეული (ნაკლულია 2-3 სმ) და თვით ვადა (შესაძლოა მისი

---

1 **აღნიშნული ნივთები ჩნდებოდა საავადმყოფოს მშენებლობის ადგილას ჩრდილო-დასავლეთით, ადამიანთა ჩონჩხებთან ერთად, ან მათ შორიახლოს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მშენებლები აქ უკვე სამარხებს (ეტყობა ორმოსამარხს) აზიანებდნენ (ლომთათიძე 1955:183).**

2 **ნივთების ნომრები მოცემულია რუსთავის ისტორიული მუზეუმის საინვენტარო დავთრის მიხედვით.**

3 **რუსთავის ხმლის გადარჩენილი 7 ფრაგმენტი აღდგენილია ორ მოზრდილ ნაწილად და ისეა განთავსებული რუსთავის ისტორიულ მუზეუმში.**

4 **ნაწილობრივ ჟანგის და კორპუსის შემადგენელი პაკეტის მცირედ გაშლის ხარჯზე.**

სამაგრი მჭიდიც (ტაბ. I3ა ე, 3B)[5]. საბრძოლო პირზე ხის მცირე ზომის ანაბეჭდებია, რაც ქარქაშის არსებობას უნდა გულისხმობდეს, ფხაზე შეიმჩნევა ინტენსიური გამოყენების კვალი, ხმლის პირველ მესამედში ვხვდებით ძველთაგანვე პირის განგებ დაზიანების კვალსაც, რაც ე. წ. იარაღის გაუვნებლების რიტუალზე მიგვანიშნებს. ჩვენს ხელთ არსებულმა არქეოლოგიურმა მონაცემებმა შესაძლებლობა მოგვცა ჩაგვეტარებინა ხმლის ნაკლული ნაწილების რეკონსტრუქცია.

სანამ უშუალოდ ხმლის აღწერას შევუდგებით, მნიშვნელოვანია, გავეცნოთ სეიბრის შემადგენელ ნაწილებს: პირის (სეიბრის სხეული) და ტარის (ეფესი). პირის შედგენილობაში შედის: საბრძოლო ნაწილი - ფხა (ტაბ. I, 3A ა), მისი საპირისპირო ბლაგვი მხარე - ყუა (ტაბ. I, 3A ბ) და მათი დაბოლოება - წვერი (ტაბ. I, 3A გ). წვერის ნაწილია შაშარი (ხმლის ორლესული დაბოლოება ე. წ. ელმანი) (ტაბ. I, 3A ა), ხოლო პირისა - ღარი[6]. ტარის შემადგენლობაშია: ხელის დამცავი - ვადა (გარდა) (ტაბ. I, 3A ვ), ტარის პირის (ყუნწი) შემოსაფენი - კოტა (ტაბ. I, 3A ზ), ტარის დაბოლოება - ქუდი[7] (ტაბ. I, 3A თ) და მასზე დამაგრებული ხელზე მოსაჭერი თასმა - ბილდირგა[8] (ტაბ. I, 3A ი).

მოხრილ ხმლებთან – სეიბრებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებებით ითვლება რომ, ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული სეიბრები გვაქვს ჩინეთიდან და იაპონიიდან. ცნობილია ორი ჩინური სეიბრი ფეი-ჩეუ-შანის სამეფო სამაროვნიდან - ჰენანის პროვინციაში, რომელიც თარიღდება VII ს-ით და ორი სეიბრიც ცნობილია იაპონიიდან - ერთი თარიღდება VIII ს-ით სახელად „პატარა ყვავი“, მეორე შესაძლოა დათარიღდეს 750 წლით[9], ინახება სიოსონის საგანძურში (ალექსანდერი 2001:205).

ნ. მერპერტის აზრით სეიბრი ევრაზიულ სივრცეში (სტეპების ზონა) ხმარებაში VII ს-ში შემოდის, აღმოსავლეთ ევროპაში კი VII ს-ის მეორე ნახევრისთვის ჩნდება (მერპერტი 1955:160). საქართველოს მეზობლად, ჩრდილოეთ კავკასიაში სეიბრს უკვე VIII ს-ის მეორე ნახევრიდან იცნობენ (გალიათის სამაროვანი) (მერპერტი 1955:160; კადიევა 2012:110). ა. კირპიჩნიკოვი სეიბრების გაჩენას უკავშირებს ევრაზიის სტეპებს და ამ პროცესს VII-VIII სს-ით ათარიღებს. მისი აზრით, მოხრილი ხმლების არეალი ალთაიდან - უნგრეთამდე, ასევე ჩეხეთიდან - ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთამდე იყო გადაჭიმული (კირპიჩნიკოვი 1966:61). მის შექმნაში მრავალმა ტომმა მიიღო მონაწილეობა, პირველ რიგში ეს ითქმის აზიელ მომთაბარეებსა და იმ ხალხებზე, ვისაც მათთან ჰქონდა კონტაქტი. სეიბრს მომთაბარეთა მთავარ იარაღად თვლის დ.

[5] **მჭიდი მზადებოდა ერთი წილი ლითონის ფირფიტისგან, ძირითადად რკინისგან. შედგებოდა სხეულისგან და ენისგან რომლის ერთი მხარე შეიძლება სახიანი ყოფილიყო, ფორმით ლათინურ დახრილი L მსგავსია. სიგრძე 50-130 მმ, სიგანე დამოკიდებულია ხმლის ზომაზე, ფირფიტის სისქე 1-1,5 მმ (გუსინინი 2010:36-38). ჩნდება IX ს-ში, გავრცელებული იყო XVIII ს-მდე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გამოიყენებოდა ფხის და ქარქაშის დამცავად, იცავდა ბრძოლის დროს მეომრის წინ გაწვდილ თითსაც (ე. წ. რიკასო - წურწუმია 2016:448), გამოიყენებოდა ხმლის პირზე ვადის დასამაგრებლად, შესაძლოა ხმლის შეკეთების შედეგიც იყოს (კაჩკაროვი 2008:30).**

[6] **ღარის არსებობა არ არის სავალდებულო, მაგალითად რუსთავში ნაპოვნ ხმალს ღარი არ გააჩნია.**

[7] **ქუდები ძირითადად რკინისგან მზადდებოდა, ვხვდებით ვერცხლის და მოოქრული ბრინჯაოს ქუდებსაც (კამინსკი, კამინსკაია-ცოკური 1997:63).**

[8] **„თურქული წარმოშობის ბილდირგა თასმას აღნიშნავდა, რომელსაც მაჯაზე წამოიცვამდნენ“ (წურწუმია 2016:430).**

[9] **ეს უკანასკნელი წარმოშობით ჩინეთიდან უნდა იყოს (ალექსანდერი 2001:205).**

ალექსანდერიც (ალექსანდერი 2001:209). განსხვავებული პოზიცია აქვს მ. გორელიკს, მოხრილი ხმლის ავტორად იგი ავარებს ასახელებს და ამ მოვლენას IX ს-ით ათარიღებს (გორელიკი 2001:174). ი. არჟანცევას აზრით, ადრეული სეიბრები ავართა წრეში, უფრო ადრე VII ს-შია სავარაუდებელი, ამ შემთხვევაში ის ეყრდნობა ი. ბონას მონაცემებს, რომელმაც სოფელ ივანჩაში მიაკვლია ავარი მეომრის სამარხს და დაათარიღა VII ს-ის ბოლო მესამედით (არჟანცევა 1987:127-128; ბონა 1970:243-244, 250-252 სურ. 8, 261).

ცენტრალურ ისლამურ ქვეყნებში სეიბრი ჩნდება IX ს-ის პირველ ნახევარში, პირველი აბასიდი ხალიფების მმართველობის დროს (ალექსანდერი 2001:205). ყველაზე ადრეული სეიბრი ნაპოვნია ირანში, კერძოდ ნიშაპურში. თარიღდება IX ს-ით და შესაძლოა ეკუთვნოდეს თურქ ღულამს სამანიდთა დინასტიის ლაშქრიდან. აგრეთვე ნიშაპურიდანაა IX ს-ის კედლის მხტვრობის ნიმუში[10], წარჩინებული მხედრის გამოსახულებით სეიბრით და ხმლით (მონადირე ?) (ალექსანდერი 2001:214-216; ნიკოლი 1999:261-262, 464 სურ. 659, 663A-G; ნიკოლი 2013:29). ფრირის სამხატვრო გალერეაში, დაცულია ნომერი F1943.8 ექსპონატი, XI-XII სს-ის მედალიონი ირანიდან, რომელზეც გამოსახულია მონადირე სეიბრით. განვითარებულ შუა საუკუნეებში, მუსლიმანურ სამყაროში მოხრილი ხმალი ცნობილი იყო კალჯუნიას სახელწოდებით (გურინოვი, ნეჩიტაილოვი 2010:17).

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ბიზანტიაში მოხრილი ხმალი IX ს-ის ბოლოდან იწყებს გავრცელებას, სავარაუდოდ, ბიზანტიის ლაშქარში შემავალი მომთაბარე კონტინგენტების გავლენით; აგრეთვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცალპირლესული მსუბუქად მოხრილი ხმალი ცნობილი იყო პარამირიონის (პარამერიონი, პარამირის) სახელწოდებით (დ`ამატო 2012:41; დოუსონი 2009:33-36, 52-54, 62; კუჩმა 2012:131, 135, 142; ნეფიოდკინი 2005:24, 76; იოტოვი 2008:218; ბარანოვი 2014:84)[11]. მაგალითად, მადრიდის სკილიცაში[12] ჩვენ ვხვდებით მოხრილ ხმლებს როგორც ბიზანტიელთა რიგებში, ისე მათ მოწინააღმდეგეებთან. გამოსახული ხმლების სქემატურობის გამო კონკრეტული დეტალების დადგენა შეუძლებელია.

ნ. მერპერტის, ა. კირპიჩნიკოვის და რიგი სხვა მკვლევარების მოსაზრებით, სეიბრი უმეტესწილად მსუბუქი ცხენოსნების იარაღია და განკუთვნილი იყო სწრაფი, მანევრული ბრძოლისთვის ნაკლებად დაცული მოწინააღმდეგის გასანეიტრალებლად[13] (მერპერტი

---

10 **მხატვრობის ნიმუშებს, დევიდ ნიკოლი X-XI სს-ის დასაწყისით ათარიღებს (ნიკოლი 2013:29).**

11 **ავტორები რატომღაც მოხრილ ცარპირლესულ ხმალს არ უწოდებენ სეიბრს, როცა ხმლის მოხრილობა თავისთავად მისი სეიბრობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია (განმსაზღვრელია). დამაჯერებლობა აკლია გ. ბარანოვის მოსაზრებას, კრასნოდარის მხარეში აღმოჩენილ და მის მიერ X ს-ით დათარიღებული სეიბრის, პარამერიონზე მიკუთვნებას. ვგონებ ნაადრევია ამ ტიპის ხმლები ჩაითვალოს ბიზანტიურ პარამერიონად, მის მოსაზრებას ეწინააღმდეგება რიგი გარემოებები, კერძოდ: პოვნის რეგიონი, ხმლის ზოგიერთი დეტალი, თანმხვედრი არტეფაქტები. შუა საუკუნეების ავტორთა მიერ პარამერიონის აღწერა საკმაოდ მოკლე, ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოც კია. ამ ეტაპზე უფრო სარწმუნო იქნება ის ვარაუდი, რომ ბიზანტიელთათვის ზოგადად გრძელპირიანი, ცარპირლესული სწორი (პალაში) თუ მოხრილი (სეიბრი) ხმლები ამ სახელით იყო ცნობილი.**

12 **იოანე სკილიცას მიერ მიმოხილული ისტორიის მდიდრულად ილუსტრირებული ხელნაწერი, რომელშიც აღწერილია ბიზანტიის იმპერატორების მმართველობა 811 - 1057 წწ. შორის. ხელნაწერი სავარაუდოდ შეიქმნა XII ს-ში, ინახება მადრიდში, ესპანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მოიცავს 574 მინიატურას (ჰოფმეიერი 1966:11-12; ცამაკდა 2002:2-4).**

13 **გამოთქმულია მოსაზრება რომ, სწორ ხმალს ჯავშნის უკეთ დაზიანება შეეძლო.**

1955:154; კირპიჩნიკოვი 1966:61) რაც ალბათ აქტუალური იქნებოდა მოხრილი ხმლების არსებობის საწყის ეტაპზე.

საქართველოში მოხრილი ხმლების გამოჩენას და გავრცელებას რაც შეეხება, ეს საკითხი არაერთხელ ყოფილა სხვადასხვა ისტორიკოსის განხილვის საგანი. ირაკლი ბაქრაძე ვარაუდობს, რომ „X-XI საუკუნეების საქართველოში მოხრილ ხმალს იცნობდნენ და იყენებდნენ“ (ბაქრაძე 2011: 4). მოხრილი ხმლის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა, ერთი მხრივ, მობილური ცხენოსანი მოწინააღმდეგის, თურქ-სელჯუკების გამოჩენას და მეორე მხრივ, დავით აღმაშენებელის სამხედრო რეფორმებს“ (ბაქრაძე 2011:76).

მამუკა წურწუმიას სრულიად სამართლიანი მოსაზრებით, საქართველოში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მოხრილი ხმალი ვანის სამარხიდან არის. იგი ამ სამარხს ყივჩაღს მიაკუთვნებს. ვანის ხმალს კი 1118-20 წლებში დამზადებულად მიიჩნევს (წურწუმია 2015:167-169). მ. წურწუმიას აზრით, მსუბუქი, ცალპირა ხმლების პოპულარობა მომთაბარეების მიერ გავრცელებულმა სწრაფმა და მანევრულმა ბრძოლის სტილმა განაპირობა, თუმცა ამგვარი იარაღის საქართველოში გავრცელების დრო ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს (წურწუმია 2015:165). ვანის ხმალთან მიმართებაში მ. წურწუმია მიუთითებს, რომ „პროცესი შედარებით ახალი დაწყებულია“. როგორც ჩანს, იგი ასეთ პერიოდად XII ს-ის დასაწყისს გულისხმობს, რაც დავითის ეპოქას ემთხვევა (წურწუმია 2015:168; წურწუმია 2016:450).

ამგვარად, ვანის ხმალი ჩვენამდე მოღწეული სეიბრების ყველაზე ადრეული ნიმუშია, თუმცა შუა საუკუნეების ეკლესიების რელიეფების, კედლის მხატვრობის, ხელნაწერების მინიატურების ნიმუშების გამოსახულებებიდან ჩანს რომ, X-XIII სს-ში ქართველებისთვის მოხრილი ხმალი უცხო არ იყო (ტაბ. II). კერძოდ: X-XI სს-ისაა ვალესა და ჯრუჭის ეკლესიის რელიეფებზე გამოსახული წმ. მხედრები (ტაბ. II, 1, 2), აგრეთვე გელათის წმ. გიორგის ხატი (ტაბ. II, 2), გოხნარის და ახალსოფლის საფლავის ქვები სავარაუდოდ XII ს. (ტაბ. II, 4), XII ს-ით თარიღდება მინიატურა იოანე ნათლისცემლის თავის კვეთის სცენით ჯრუჭის II ოთხთავიდან (H-1667 ხელნაწერი) (ტაბ. II, 6), ამავე პერიოდში დამზადებულად მიგვაჩნია ე. წ. შტანდარტი რუსთავიდან (ტაბ. II, 5), XIII ს-ისაა ლაშა გიორგის ფრესკა ბერთუბნიდან (ტაბ. II, 7) (ჩოფიკაშვილი 1964:62 სურ. 40; წურწუმია 2016:452-453, სურ. 202, 203) და დმანისში აღმოჩენილი ჭურჭელი მხედრის გამოსახულებით (ტაბ. II, 8), რომელიც უახლოვდება მ. გორელიკის XIII ს-ის ყივჩაღი მებრძოლის რეკონსტრუქციას (ტაბ. VI)[14].

ჩვენი მოსაზრებით, სეიბრებმა საქართველოში გავრცელება დაიწყო სულ მცირე X ს-ის მეორე ნახევრიდან მაინც. XII ს-ში დავით აღმაშენებელის სამხედრო რეფორმების შედეგად მოხრილმა ხმალმა პოპულარობა მოიპოვა არამარტო საქართველოში არამედ მეზობელ რეგიონებშიც[15], წამყვანი ადგილი კი XIII ს-ის

[14] **გორელიკი 2012:115, სურ. 1.**

[15] **ვგულისხმობთ ყივჩაღურ ფაქტორს, მომთაბარის უმთავრესი იარაღი მშვილდთან ერთად მოხრილი ხმალია. მათ პოპულარიზაციას ხელი შეუწყო დავით IV წარმატებულმა რეფორმებმა. საქართველოს სამხედრო მიღწევების შედეგად, სავსებით შესაძლებელია და სავარაუდებელია ქართული სამხედრო კულტურის გავლენა როგორც წამყვანი სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურული ძალისა ამიერკავკასიაში თუ მეზობელ დიდ და მცირე სამთავროებზე.**

მეორე ნახევრიდან დაიკავა[16]. ამაზე ნაწილობრივ მიუთითებს ჩრდ. ურალში ნაპოვნი სომხურ წარწერიანი ხმალი, რომელიც XII-XIII სს-ის[17] ნაკეთობაა და სამხრეთ კავკასიაში დამზადებულად ითვლება (ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972:27-29, სურ. 3). არსებულ მონაცემებს ავსებს და ამყარებს რუსთავში მიკვლეული მოხრილი ხმალი.

რუსთავის სეიბრზე ზედაპირულმა დაკვირვებამ[18] გვიჩვენა, რომ ვადისკენ ყუის მხარეს იკითხება სამი, შაშართან კი ორი ძირითადი[19] ლითონის ფენა. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება რომ ხმლის დამზადების დროს ოსტატი იყენებდა ე. წ. პაკეტირების მეთოდს (ტაბ. III, 1)[20]. არსებული პაკეტირების შემთხვევაში სამჭედლო შედუღება ხდებოდა მაღალნახშირბადიანი ფოლადის და რკინის ნაჭრების შემდგომი წრთობით - „შეთავსება მტკიცე (სალი) ფოლადის ნაწილის რბილ და დრეკად გულაკთან, ნივთს აძლევდა ბრწყინვალე მუშა თვისებებს“ (ართილაყვა 1976:131). რუსთავული ხმლის დამზადების ტექნოლოგიის წარმოსადგენად შეგვიძლია პარალელები გავავლოთ კარგად შესწავლილ იაპონური ხმლის წარმოების ეტაპებთან. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი, ევროპელი თუ იაპონელი მჭედელი საერთო კონსტრუქციული სქემების ძირითად კრებულს იყენებდა (არხანგელსკი 2007:75).

ცნობილი ძველი სამჭედლო საქმის სპეციალისტი ლ. არხანგელსკის დაკვირვებით, „საერთო წესია ყველასთვის, ყველა დროში - გრძელ ხმალს უნდა ჰქონდეს მტკიცე ფოლადის ფხა ნახშირბადის მაღალი შემცველობით და ნაკლებ სალი, მაგრამ საკმაო მწებვარე-ჭიმვადი ფერდები (და სასურველია ყუაც)“ (არხანგელსკი 2007:75).

რუსთავის ხმალი იაპონური კლასიფიკაციით შეიძლება მივაკუთვნოთ ორ კონსტრუქციულ ჯგუფს როგორიცაა: „კო-ბუშე“ („კობუსე“)[21] განსაკუთრებით შესამჩნევია შაშარის მონაკვეთში, ხოლო ხმლის შუა ნაწილის შესრულება ახლოსაა „მაკურის“ ტიპის ტექნოლოგიასთან (ტაბ. III). „კო-ბუშის“ მეთოდი შემდეგში მდგომარეობს (ტაბ. III, 3): ფოლადის ნაჭერი იკეცება სიგრძივ ორ ნაწილად, შუაში ედუღება რკინის ნაჭერი (ნახშირბადის დაბალი შემცველობით) - რომელიც საფუძველს წარმოადგენს, ისე რომ წვერს არ წვდება (არხანგელსკი 2007:76, ბაჟენოვი 2009:65, 71). მოცემული სქემა გამორჩეული და კარგია, მაგრამ მოითხოვს წრთობის რთულ მეთოდებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხმლის ელასტიურობა. მაგალითად, ამ წესს იყენებდა შუა საუკუნეების იაპონიის ცნობილი მჭედელი - მასამუნე (არხანგელსკი 2007:68, 76). „მაკურის“ წარმოების დროს (ტაბ. III, 4) ოსტატი ხმლის გარე ფენას ფოლადისგან ამზადებდა, ხოლო შიგთავსი კეთდებოდა ორად

16 **რაც ქართული ლაშქრზე მონღოლების გავლენით უფრო აიხსნება.**

17 **ავტორთა ვარაუდით, უფრო XIII ს-ის პირველი ნახევარი (ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972:29).**

18 **დავაკვირდით ოპტიკური მიკროსკოპის საშუალებით.**

19 **ზოგადად, ფენების საერთო რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასამდე.**

20 **„პაკეტირებული მეტალი მიიღება - მეტალის ნაჭრების მრავალჯერადი შეერთებით სამჭედლო შედუღებისა და ჭედვის გზით“ (ართილაყვა 1976:129), ანუ საუბარია იგივე „დამასკურზე“.**

21 **„კო-ბუში“ რაც ნიშნავს „ნახევარმუჭას“, „პეშვს“ ან „ჩაჭედვა კუს აბჯრის მეორე მხარეს“ (არხანგელსკი 2007:76). ცნობილია როგორც „კაბუტო-ფუს(შ)ე,“ „კო-ფუკუ.“**

მოკეცილი რკინის ფირფიტისგან (ბაჟენოვი 2009:65-71).

ჩვენი ამჟამინდელი მიზანია შუა საუკუნეების შემორჩენილ არტეფაქტებზე და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შევძლოთ რუსთავის მოხრილი ხმლის რეკონსტრუქცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთავის ხმალმა ჩვენამდე ნაკლული სახით მოაღწია, მიუხედავად ამისა ხმლის გადარჩენილი ნაწილები საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ და განვსაზღვროთ ის საჭირო ნიშნები, რომლებიც მისი მორფოლოგიის დადგენაში დაგვეხმარება.

როგორც ცნობილია, სეიბრების არსებობის ადრეულ ეტაპზე, VIII-X სს-ში ჭარბობს სუსტად მოხრილი ხმლები (კაჩკაროვი 2008:111-117; ევგლევსკი, პოტიომკინა 2000:125, 145-146). მცირეა საშუალოდ მოხრილი ხმლების წილი, ძლიერ მოხრილი ხმლები ამ პერიოდში არ გვხვდება. VIII-X სს-ში სეიბრები არ გამოირჩევა მასიურობით, მათი სიგრძე 52,5-105 სმ. შორის მერყეობს. სეიბრების უმრავლესობა მოკლეა 50-85 სმ. საშუალო და გრძელი ზომის სეიბრი ჯერ კიდევ იშვიათია. ამ დროის მოხრილი ხმლების სიგანე 2,3-4,1 სმ., ძირითადად კი 3,1-3,3 სმ. (კაჩკაროვი 2008:111-117; ევგლევსკი, პოტიომკინა 2000:125, 145-146), ხმლის პირის სისქე კაჩკაროვის მიხედვით 0,5 სმ., იშვიათია 0,7-1,0 სმ. სისქის პირები.

შემდგომ საუკუნეებში სეიბრების ზომა და წონა იზრდება. თუმცა ეს პროცესი ა. ევგლევსკის და თ. პოტიომკინას მართებული დაკვირვებით არათანაბრად და ნახტომისებურად მიმდინარეობდა (ევგლევსკი, პოტიომკინა 2000:155). XI-XIII სს-ის პირველ ნახევარში იზრდება პირის მოხრა, სიგრძე, სიგანე და სისქეც. ამ პერიოდის სეიბრების მონაცემებია: სიგრძე 70-121 სმ, აქედან უდიდესი ნაწილი საშუალო ზომისაა 80-100 სმ. (კაჩკაროვი 2008:111-117; კირპიჩნიკოვი 1966:94-99; ევგლევსკი და პოტიომკინა 2000:146-147). სიგანე მერყეობს 2,5-4,6 სმ. შორის, ძირითადად 3-3,8 სმ-ია., კაჩკაროვის მიხედვით პირების სისქე 0,7-1,0 სმ., იშვიათია 0,4-0,6 სმ. სისქის პირები.

აღსანიშნავია, რომ შაშარიც იმეორებს სეიბრების საერთო განვითარების ტენდენციას. თუ მაგალითად VIII-X სს-ში ორლესული ნაწილის სიგრძე მერყეობდა 9-25 სმ. ძირითადად კი 14-16 სმ. შორის (საკმოდ იშვიათია სეიბრი 19 სმ. მეტი შაშარით), XI-XIV სს-ში მათი სიგრძე 9-42 სმ. ძირითადად 14-22 სმ. მერყეობს.

ჩვენთვის საინტერესო XII-XIII სს-ის სეიბრებიდან გამოვყავით 23 სეიბრი, ამისთვის კაჩკაროვის მიერ შემოთავაზებული ცხრილიდან გავითვალისწინეთ მყარად დათარიღებული სეიბრების მონაცემები. რვა ცალი 9-18 სმ. სიგრძის შაშარითაა წარმოდგენილი, თხუთმეტი ცალი 20-24,5 სმ. ორლესული დაბოლოებითაა, რამდენიმე დიდი ზომებით გამოირჩევა, 30-42 სმ., რაც ძალიან იშვიათია გვიან შუა საუკუნეებშიც კი. ძირითადად ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია 12-24 სმ. ზომის ორლესული დაბოლოება. ჩვენი დაკვირვებით იმ სეიბრებს, რომლებსაც აქვთ გამოკვეთილი „ღრმა“ შაშარი მათი სიგრძე ძირითადად 14-16 სმ. შეადგენს. შაშარი კარგად იკითხება რუსთავის ხმალზეც.

რუსთავის სეიბრის რეკონსტრუქციისთვის გავითვალისწინეთ XI-XIII სს-ის მოხრილი ხმლებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები და ზოგიერთი კანონზომიერებანი, აგრეთვე გადარჩენილი და დაკარგული ნაწილების ერთმანეთთან

შეთავსება.

ხმლის შუა მონაკვეთში პირის სიგანის კლების ტენდენცია ყოველ 3 სმ-ზე საშუალოდ გამოდის 0,1 მმ, აქედან გამომდინარე გადარჩენილი ნაწილების, „სიგანის კლების“ და პირის მოხრის, შეფარდებით ნაკლული მონაკვეთის სიგრძე განისაზღვრა 9 სმ-ის ფარგლებში. რაც შეეხება შაშარის სიგრძეს წვერის მიმართულებით, აქაც ორი პარამეტრის შეფარდებით ვისარგებლეთ (ასევე ვითვალისწინებთ შაშარის იმ დროს გავრცელებულ ფორმებს): სიგანის კლების და მოხრის ტენდენციების გათვალისწინებით (სიგანის კლება დასაწყისში ყოველ 1 სმ. აღწევს 1.1 დან 1,3 მმ, შემდგომ ყოველ 1 სმ. უდრის 0.8 მმ.) მიღებული ორლესული დაბოლოების სიგრძე 18-20 სმ. ფარგლებში ვივარაუდეთ, რაც ჯამში პირის სრულ სიგრძეს 36,4 + /*9,0*/ + 35,2 (აქედან 7,1 სმ შაშარის გადარჩენილ ნაწილზე მოდის) + /*12,9*/ = 93,5 სმ[22]. გვაძლევს, ხმლის წონა კი 1200 გრ. ფარგლებში იქნებოდა (ქარქაშისა და ლითონის დეტალების გარეშე), შედარებისთვის ვანის ხმალი 1123 გრ. იწონის (წურწუმია 2015:165; წურწუმია 2016:448). მიღებული შედეგი წარმოვადგინეთ რეკონსტრუქციის სახით (ტაბულა IV, 1, 2).

ა. ევგლევსკიმ და თ. პოტიომკინამ შემოგვთავაზეს მოხრილი ხმლების ახლებური ტიპოლოგია, სადაც ძირითად ტიპოშემქმნელ ნიშნებს განეკუთვნება: ხმლის პირის მახასიათებელი - მოხრის სიდიდე, მოხრის მონაკვეთი, პროპორციული დამოკიდებულება ხმლის პირის სიგრძესა და სიგანეს შორის, აგრეთვე ძირითად მახასიათებლებთან ერთად მნიშვნელოვანი დამატებითი მაჩვენებლები, როგორიცაა ვადა, ტარის პირი და ქუდი.

არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ასევე ა. ევგლევსკის და თ. პოტიომკინას კლასიფიკაციით რუსთავის სეიბრის კუთვნილება განისაზღვრა $К_1$ $У_2$ $П_1$ ტიპის ფარგლებში[23], რაც მიიჩნევა საშულო ან გრძელი ზომის სუსტად მოხრილ ხმლად[24]. ამ ტიპის ნაირსახეობის ქრონოლოგიური ჩარჩოები მერყეობს XI ს-ის პირველ ნახევარსა და XIV ს-ის მეორე ნახევრს შორის. სუსტად მოხრილი ხმლები XII ს. - XIII ს-ის პირველ ნახევარში დაახლოებით 50%, საშუალოდ მოხრილი ხმლები 42 %, ძლიერ მოხრილი ხმლები ჯერ კიდევ იშვიათობაა - მათი რაოდენობა მცირეა (კაჩკაროვი 2008:112-117, კირპიჩნიკოვი 1966:94-99, ევგლევსკი და პოტიომკინა 2000:126, 145-146).

ნეჟინის სეიბრის მაგალითზე კირპიჩნიკოვის და კოვალენკოს მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ XII-XIII სს-ში სეიბრებისთვის სუსტი მოხრა ნაკლებადაა დამახასიათებელი, მათი მოსაზრებით, ასეთი პირები გავრცელებული იყო ძირითადად IX-XI სს-ში და თვლიან, რომ ნეჟინის ტიპის სეიბრები არქაულია. ისინი „შესაძლოა დამზადებული ყოფილიყო ისეთ რეგიონში, სადაც იყენებდნენ

---

22 **ხმალი შესაძლოა ცოტათი გრძელიც იყო.**

23 **ა. ევგლევსკის და თ. პოტიომკინას შესწავლილი ხმლებიდან (სულ 135 ეგზემპლიარი) სუსტად მოხრილებზე მოდის 55 ცალი ხმალი. აქედან: П1 (უმრავლესობაა, 32 ეგზემპლიარი), განიერია (32 ეგზემპლიარი), У2 (უმრავლესობაა, 30 ეგზემპლიარი), К1 У2 П1 (უმრავლესობაა, 20 ეგზემპლიარი). სუსტად მოხრილი ხმლების წილი ყველაზე დიდია XII ს. – XIII ს-ის პირველ ნახევარში, 38 ეგზემპლიარია - 70,4 % (ევგლევსკი და პოტიომკინა 2000:120, 126, 146).**

24 **ხმლის მდგომარეობიდან გამომდინარე ზუსტი კლასიფიკაციის დადგენა შეუძლებელია.**

ორლესულ ხმლებს და არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყეს სუსტად მოხრილი პირების დამზადება, რომლებიც გარკვეულწილად აგრძელებდნენ არსებულ ტრადიციას. საიარაღო საქმე ზოგიერთ აღმოსავლურ, ისლამურ ქვეყანაში XII-XIII სს-ში განიცდიდა ზუსტად ასეთ გარდამავალ პერიოდს“ (კირპიჩნიკოვი, კოვალენკო 1993:126). ამ აზრს იზიარებს სოფიის ხმლის მკვლევარი მარიელა ინკოვაც (ინკოვა 2013:77).

როგორც აღვნიშნეთ, XI-XIII სს-ში არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს სუსტად მოხრილი სეიბრების მაღალ წილს (ნახევარია), ამ ტიპის ხმლები იშვიათობას[25] არ წარმოადგენს (კაჩკაროვის 2008:112-117; ევგლევსკი, პოტიომკინა 2000:126, 145-146). იმის მტკიცება, რომ ხმლის სუსტად მოხრილობა არქაული იყო XII-XIII სს-თვის არ დასტურდება ჩვენთვის ცნობილი მასალით, ხოლო რაც შეეხება სუსტად მოხრილი ხმლების წარმოებას, ორლესული ხმლების „გაბატონებულ“ რეგიონებში, განმსაზღვრელი მასალის არქონის გამო ძნელია დაზუსტებული სურათის წარმოდგენა. აქ უფრო საყურადღებოა სეიბრის პირის მასიურობა, სიგანე, სისქე და მიღებული წონა. სწორედ ამაში შეიძლება ვლინდებოდეს ორლესული ხმლების გავლენა „ახლად ფეხადგმულ“ სეიბრებზე.

კუზნეცკის ქვაბულის არქეოლოგიური მასალიდან ვიცით, რომ ამ ტერიტორიაზე ნაპოვნი ხმლები რომლებიც XI-XIV სს-ით თარიღდება (სულ ნაპოვნია 14 სეიბრი), ყველა მიეკუთვნება სუსტად მოხრილ ტიპს (ილიუშინი 2014:246-247). სუსტად მოხრილი ხმლები გავრცელებული იყო ოქროს ურდოს პერიოდშიც. მაგალითად, სიდორენკოვას შჩელის (ჩრდ. კავკასია) XIII-XIV სს-ის სამაროვანში მიკვლეული 10 სეიბრიდან 2 სეიბრი სუსტად მოხრილია, დანარჩენი კი საშუალოდ (აქედან 4 გამოირჩევა მინიმალური საშუალო მოხრით) (დრუჟინინა, დმიტრიევი 2018:351-362). ვ. ვერეშჩაგინის და ლ. გოლუბევის მიხედვით, ანაპისა და ნოვოროსიისკის მიდამოებში მიკვლეულ სამაროვნებზე აღმოჩენილი 9 ხმლიდან „ყველა სეიბრის პირი ერთი ტიპისაა, სუსტად მოხრილია, შაშარი ოთხკუთხედია“. აღნიშნული არტეფაქტები თარიღდება XII ს-ის მეორე ნახევრით და XIII ს-ის პირველი ნახევრით (ვერეშჩაგინი, გოლუბევი 2020:166, 169, 171, 174; 177-191, სურ 1-15).

რუსთავული ხმლის გარეგნული სახის უკეთ წარმოსადგენად გასათვალისწინებელია ზოგიერთი მსგავსი ტიპის ხმალი, მათთვის დამახასიათებელი დეტალებით. *სეიბრი ნოვოკუზნეცკის მხარედმცოდნეობის მუზეუმიდან* (რუსეთის ფედერაცია)*:* 1950 წ. მუზეუმს გადაეცა მოხრილი ხმალი (ტ. IV, 1), რომელიც იპოვეს ქ. ნოვოკუზნეცკის მიდამოებში, კუზნეცკის ციხიდან, ჩრდილოეთით 1 კმ. დაშორებით (პოვნის საერთო გარემოება უცნობია). ხმალი მცირედ მოხრილია და თარიღდება XI ს-ის დასაწყისით. პირის სიგრძე 75 სმ, სიგანე 2,3 სმ, ყუის სისქე 0,7 სმ, შაშარის სიგრძე 15 სმ. ტარის პირი მცირედ დახრილია ფხისკენ, რომლის სიგრძე დაახლოებით 8 სმ. ტარის ყუნწზე შემორჩენილია რკინის 1,6 სმ. სიგრძის მოქლონი, ვადა მოგრძო

[25] **კაჩკაროვის შემოთავაზებული ცხრილიდან დაზუსტებული მოხრის მონაცემით 105 სეიბრია (დარჩენილ 42-ს ფორმა აქვს დაკარგული, 5 მონაცემები უცნობია), აქედან სუსტად მოხრილზე მოდის 43 ეგზემპლიარი, სულ 39%, აქედან XI-XIV სს-ის არის 9 ეგზემპლიარი, ხოლო 13 ცალი დათარიღების გარეშეა, რომელთა ნახევარი შესაძლოა ამ პერიოდს ეკუთვნოდეს. საშუალოდ მოხრილთა რაოდენობა 43-ია, აქედან 11 მინიმალური საშუალო მოხრითაა.**

ფორმისაა, შუაში რომბისებრი გაფართოებით[26] და L ფორმის სამაგრი მჭიდით (შირინი 2002:130, 132, სურ 2, 6). ნოვოკუზნეცკის სეიბრი ჩვენთვის საინტერესოა როგორც მომდევნო ეპოქის ხმლების წინამორბედი ნიმუში და მათი ევოლუციის ერთ-ერთი პირველსახე.

ნეჟინის სეიბრი: 1962 წელს ქ. ნეჟინში საინჟინრო კომუნიკაციების გაყვანის დროს (უკრაინა, ჩერნიგოვის რაიონი), აღმოჩენილი იქნა ადამიანის და ცხენის ძვლები და მათთან ერთად სხვადასხვა ინვენტარი, მათ შორის შეიარაღების ნიმუშებიც (კირპიჩნიკოვი და კოვალენკო 1993:122). ნეჟინის სამარხის ყველაზე შესამჩნევ ნივთს ხმალი წარმოადგენს (ტ. IV, 2). მისი საერთო წონა 700 გრ, სიგრძე 99,7 სმ, სიგანე 3 სმ, ყუის სიგრძე 0,5 სმ, ხოლო შაშარის სიგრძე 24 სმ. პირზე შემორჩა ვადის სამაგრი მჭიდი, (კირპიჩნიკოვი, კოვალენკო 1993:125). ხმლის პირზე შეიმჩნევა წარწერა, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს კუფურ წარწერას ან ორნამენტს კუფურთან მიმსგავსებულ სტილში. ავტორთა მოსაზრებით, ხმალი დამზადებულია ისლამური სამყაროს რომელიმე გეოგრაფიულად დაუდგენელ მაღალკვალიფიციურ სახელოსნოში, რომელიც შემდგომ აღმოჩნდა ჩერნიგოვის მხარეში, მომთაბარის ხელში (კირპიჩნიკოვი, კოვალენკო 1993:126). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მძიმედ შეჭურვილ[27] სტეპებიდან მოსულ მხედართან, რომელიც სავსებით შესაძლებელია პერეიასლავის ან ჩერნიგოვის მთავრის სამსახურში იდგა. ნივთების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ისინი დამზადებულია 1150-1240 წლებს შორის (წინარე მონღოლური პერიოდი (კირპიჩნიკოვი და კოვალენკო 1993:123-125)).

სეიბრი ჩრდ. ურალიდან: ნაპოვნია გეოლოგების მიერ ტიუმენის ოლქის ბერეზოვსკის რაიონში (რუსეთის ფედერაცია)[28]. თავისი ტიპოლოგიური ნიშნებით სეიბრი მიეკუთვნება XII-XIII სს-ის ნაკეთობას (ტ. IV, 3) (ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972:23, 28). ხმალზე შემორჩა დამღა, რომელიც 8 სმ. სიგრძისაა და შედგება 10 გრავირებული ნიშნისაგან, რომელიც მოთავსებულია საწყის და ბოლო ჯვრებს შორის. 10 ნიშნიდან 8 სომხური ანბანის ასოს წარმოადგენს, იშიფრება როგორც - „ვარპეტ ხაჩატური (ოსტატი ხაჩატური)“ (ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972:25-26). სავარაუდოდ ხმალი ქრისტიანულ გარემოში - ამიერკავკასიის ტერიტორიაზეა დამზადებული (სომხეთი ?)[29] და ვაჭრობის შედეგად მოხვდა ჯერ ვოლგის ბულგარში, ხოლო შემდგომ ჩრდ. ურალის მხარეში (ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972:26-29). მეტალოგრაფიულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ სეიბრი გამოუჭედავთ რამდენიმე ფენისგან, შედგებოდა ერთმანეთთან შედუღებით დაკავშირებული ფოლადის და რკინის ფირფიტებისგან, რომელთაც მიდუღებული ჰქონდა ფოლადისვე ფხა. აღნიშნული ანალიზი ჩატარდა

[26] **ასეთი ფორმის ვადები უფრო პოპულარული XII-XIII სს-ში ხდება.**

[27] **სამარხში ნაპოვნი იქნა: ცხენის აღკაზმულობა, ხმალი, რთული მშვილდის ძვლის დეტალები, ოთხი ისრისპირი, ჯაჭვის პერანგის ნაშთები (კირპიჩნიკოვი და კოვალენკო 1993:123-124).**

[28] **ხმლის გადარჩენა მოახერხა გეოლოგების თანმხლებმა ჟურნალისტმა ი. ი. ტიტოვმა - სეიბრი გადატეხილია მუშების მიერ ორ ნაწილად.**

[29] **ხმალი შესაძლოა დამზადებული იყოს იმ რაიონებში, სადაც სომხური კულტურის მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა, მათ შორისაა საქართველოს სამეფოც (სომხეთის ზოგიერთი რეგიონი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა) და მეზობელი პოლიტიკური გაერთიანებები. გვიანდელი შუა საუკუნეების მაგალითებით ცნობილია, რომ მუსლიმურ რეგიონებში ხმლებს ქრისტიანული სიმბოლიკითაც ამზადებდნენ.**

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეტალოგრაფიულ ლაბორატორიაში. ავტორთა შეფასებით წარმოების ამგვარი ტექნოლოგია ტიპურია და მრავალ რეგიონშია გავრცელებული, მაგალითად იაპონიაში ის შეესაბამება „სამმაი ავასეს“ („სან-მაი“) სახეობას (ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972:27; ბაჟენოვი 2009:67-72; არხანგელსკი 2007:76). ხმლის საერთო სიგრძე 1მ-ია, სიგანე 3,5 სმ., ყუის სისქე 0,6 სმ., ხმალზე შემორჩა 8 სმ. სიგრძის რომბისებრი ვადა, პირზე სამაგრი ლითონის მჭიდით. ტარის პირს (ყუნწი) ხეტარის სამაგრი სამი ნახვრეტი აქვს, მცირედ დახრილია ფხისკენ.

სეიბრი სოფიის ისტორიის ეროვნული მუზეუმიდან (ბულგარეთის რესპუბლიკა): 2004 წელს სოფიის ისტორიის ეროვნულმა მუზეუმმა შეიძინა სეიბრი და დანა (ტ. IV, 4), რომელიც მიღებული ინფორმაციით წარმოდგება ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონიდან - შუმენის ოლქიდან. ხმალი ბრწყინვალე მდგომარეობაშია რაც საკმაოდ იშვიათია. სეიბრი მცირედ მოხრილ ხმლებს მიეკუთვნება (11 მმ. მოხრით), მისი საერთო სიგრძეა 90 სმ, პირის სიგრძე 81,1 სმ, სიგანე 3,25 სმ, ყუის სისქე 0, 74 მმ, შაშარის სიგრძე 25,6 სმ. ხმალზე შემორჩა ვადა[30] ცენტრში რომბისებრი გაფართოებით და L ფორმის ლითონის სამაგრი მჭიდით (ინკოვა 2013:63-64, 75). ხმალი დიდი ალბათობით გამოჭედილია ერთიანი ფოლადის ნამზადისაგან. მისი პირი გამოყვანილია ცემენტაციის გზით, ფხა დაბალ ნახშირბადიანია, შაშარი პირთან შედარებით უფრო მტკიცეა და გამოირჩევა ნახშირბადის მაღალი შემცველობით (ინკოვა 2013:66). ხმლის ზუსტი წარმოების ადგილი და დრო უცნობია. ავტორი მას XII-XIII სს-ით ათარიღებს, წარმოების ადგილად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს ასახელებს და თვლის, რომ დამზადებული იყო წარჩინებული მომთაბარე (ყივჩაღი ?) მეომრის შეკვეთით (ინკოვა 2013:83-84).

ყოველივე ზემოთ თქმულის და ხმლის გამოყენების პერიოდის გათვალისწინებით რომელიც XII- XIII სს-ით თარიღდება, რუსთავის სეიბრის გარეგნული სახის წარმოსადგენად მისი სინქრონული მომთაბარული სეიბრების მორფოლოგია გამოვიყენეთ. კერძოდ, ხმლის ისეთი დეტალები როგორიცაა ვადა და ტარი (ქუდით), აგრეთვე თარიღთან ერთად გავითვალისწინეთ რუსთავული ხმლის მფლობელის ეთნო-სოციალური წრე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში მოხრილი ხმალი წამყვან ადგილს XIII ს-ის მეორე ნახევრიდან იკავებს (აღმ. საქართველოში მაინც), ამაზე თვალნათლივ მიუთითებს XIII ს-ის ბოლო მეოთხედში შესრულებული დავითნის H 1665 ხელნაწერის მინიატურები, აგრეთვე შედარებით მოგვიანო, H 75 ხელნაწერის მინიატურებიც. აქ გამოსახული ხმლები ზედმიწევნით იმეორებს და საოცარ მსგავსებას ავლენს ჩვენს მიერ აღწერილ ხმლებთან: მსგავსია ხმლის ფორმა, მჭრელი პირი[31], რომბისებრი ვადა, მოხრილი, მოქლონიანი და ქუდიანი ტარი, აგრეთვე ქუდზე მიმაგრებული ხელის საჭერი თასმა. ვვარაუდობთ, რომ რუსთავულ ხმალს სავსებით შესაძლებელია უფრო მოგვიანო რომბისებრი ვადა და ცილინდრული/სათითისებრი ტიპის ქუდი ჰქონოდა. ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მიუთითებს სამხრეთ კავკასიაში დამზადებული

[30] **ვადა დამზადებულია მოოქროვილი რკინისგან, სიგრძე 10,27 სმ, მაქსიამლური სისქე 2,35 სმ.**

[31] **მინიატურებზე არ ჩანს მხოლოდ მჭიდები და შაშარი. როგორც მოგახსენეთ, მჭიდის არსებობა სავალდებულო არ არის.**

სეიბრი ურალიდან (კირპიჩნიკოვი, ჯანფოლადიანი 1972), რომლის წარმოების ადგილი შესაძლოა საქართველოს სამეფოც იყოს. ადრეული, ვანის ხმლის მსგავსი გაწყობა საქართველოში მე-XIII ს-შიც გამოიყენებოდა (გარკვეული პერიოდი პარალელურად არსებობდნენ), თუმცა ჩვენ ვიხრებით მომთაბარული ვარიანტისკენ.

რუსთავის ხმალი ქართველი, ადგილობრივი მჭედლის ნაკეთობად მივიჩნიეთ. ამ აზრს ამყარებს რუსთავის დედაციხეზე და ნაქალაქარის ტერიტორიაზე არაერთხელ გამოვლენილი რკინის დამუშავების ინტენსიური კვალი, ხშირია რკინის გამოსადნობი ქურების და მრავლობითი წიდების აღმოჩენის შემთხვევები[32]. ის ერთის მხრივ ახლოსაა XII-XIII სს-ის ჩვენთვის ცნობილ მომთაბარულ ტიპებთან, თუმცა ვანის ხმლის მსგავსად ადგილობრივი ნაკეთობებისთვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელიცაა[33]. რუსთავული სეიბრის პირის მცირე მოხრილობას რაც შეეხება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ ფრიად გავრცელებულ და პოპულარულ ფორმას წარმოადგენდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით რუსთავში აღმოჩენილი ხმლის დამზადების და გამოყენების პერიოდი უფრო XII ს-ის მეორე ნახევარის ფარგლებშია სავარაუდებელი.

ისრისპირები მიეკუთვნება მსუბუქად შეიარაღებული მხედრის საბრძოლო იარაღს, რომელიც შედგება ისრის პირისგან (საბრძოლო ნაწილი (ტ. V, Aა))[34] გვირგვინისგან (შესაძლოა არ ჰქონდეს (ტ. V, Aბ)) და ყუნწისგან (ღერო) ტ. V, Aგ)). ამგვარი საბრძოლო იარაღი რუსთავის შუა სუკუნეების სამაროვანზე 6 ერთეულია ნაპოვნი (ლომთათიძე 1955:183, 193, 198; ჭილაშვილი 1958:146-147)[35]. მათგან ფორმის მიხედვით VI ტიპი გამოიყო.

I ტიპი - აღმოჩნდა № 4 სამარხში (რმმ ძფ 1822/საველე 1238 (ტ. V, 1)), საერთო სიგრძე - 12 სმ., პირის სიგრძე - 6,74 სმ., სიგანე - 1,1 სმ., წონა 16,30 გრ. ისარი ვიწროა, წაგრძელებული საბრძოლო პირით, კვადრატული ყუნწით. ისარი საბრძოლო დანიშნულებისაა და მიეკუთვნება ჯავშანგამტან სახეობას. ისრის პირი რთული კონსტრუქციისაა, გვირგვინის გარეშეა. წვერზე ერთ მხარეს შეიმჩნევა ხის ანაბეჭდი, შესაძლოა ისარი კაპარჭში იყო მოთავსებული. ამ ეტაპზე მსგავსი ტიპის ისარი სხვაგან საქართველოში ჩვენთვის უცნობია.

გვიან შუა საუკუნეებში ჯავშანგამტანი ისრები საყალნოს სახელით იყო ცნობილი. „პირწვრილი ისარი“, „ფრთე-დაბალი და პირ-წვრილი, რომელსა ყივჩაყნი და თურქნი /თათარნი იქონებენ არს საყალნო“ (ლექსიკონი 1991:335-336; ლექსიკონი 1993:62), „ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნო, ომსა-ბრძოლასა შინა“ (ყაუხჩიშვილი IV 1973:18).

---

[32] **ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაპოვნია რკინის წიდის მრავალი ნაშთი, განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ციხის ტერიტორიაზე. 2020 წ. ზაფხულში მიმდინარე გათხრების დროს წიდასთან ერთად გამოვლინდა ქურის რამდენიმე ნაშთი (ცივი ბერვით ?). ეს გარემოებები გვაძლევს იმ ვარაუდის საშუალებას, რომ რუსთავის ტერიტორიაზე ხდებოდა რკინის პირველადი დამუშავება, რაც სავსებით დამაჯერებელს ხდის ვერსიას - ქალაქში არსებულიყო სამჭედლო საწარმოებიც, სადაც მზადდებოდა როგორც საბრძოლო, ისე სამეურნეო იარაღი.**

[33] **ხმლის მორფოლოგიიდან გამომდინარე, აშკარად ადგილობრივ ტენდენციასთან გვაქვს საქმე.**

[34] **ისრის საბრძოლო ნაწილი ჭრილში სხვადასხვა ფორმისაა (მობრტყე, ლინზისებრი, კვადრატული და სხვ.).**

[35] **წმ. ნინოს ქუჩაზე არსებული სამაროვანი.**

II ტიპი - აღმოჩნდა №20 სამარხში (რმმ ძფ 1866/საველე 1284 (ტ. V, 2)), ისარი საბრძოლოა, ჯავშანგამტანი (საყალნო). ისრისპირი ჭრილში კვადრატულია, ბოლოში (ყუნწთან) შეიმჩნევა ნაჭდევები გვირგვინის მსგავსი, ყუნწი მრგვალია. საერთო სიგრძე - 12 სმ., პირის სიგრძე - 5,23 სმ., სიგანე - 1,1 სმ., წონა 16,26 გრ. ახლოსაა მედვედევის მიერ განსაზღვრულ 87-ე, 90-ე და 95-ე ტიპებთან, თარიღდება X-XIV სს-ით (მედვედევი 1966:82-84); შეესაბამება რუდენკოს A10 ტიპს, რომელიც XI- XIII სს-ით თარიღდება (მეტწილად XII-XIII სს-ით). რუდენკო მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ზოგიერთი ისარი არბალეტიდან სასროლად გამოიყენებოდა (რუდენკო 2003:78). საინტერესო დაკვირვებაა თუმცა, სხვა საჭირო მონაცემების არქონის გამო ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია გამოიყენებოდა თუ არა ამ ტიპის იარაღის კომპლექსი საქართველოში.

III ტიპი - აღმოჩნდა № 5 სამარხში (რმმ 478 (ტ. V, 3)), ისარი სანადირო-საბრძოლოა, წაგრძელებული სამკუთხედი ფორმის პირით, „შეისრული“ წვერით, მცირედ მორკალური მხრებით, რომელიც გადადის გვირგვინში (ყელი უმნიშვნელოა), ჭრილში ლინზისებრი (?), ყუნწი მრგვალი (?). საერთო სიგრძე - 11 სმ., პირის სიგრძე - 4,5 სმ., პირის სიგანე - 2 სმ. შესაძლოა სარჩას მივაკუთვნოთ. „ზომიერი ისარი ფრთე-მობრტყე/ფრთა-ბრტყელი/ფრთითა, და პირ-მობრტყე არს სარჩა“ (ლექსიკონი 1991:335-336), „სარჩა და ქიბორჯი წვრილთა ნადირთათვის“ (ყაუხჩიშვილი IV 1973:18).

მსგავსია მედვედევის 38/3-ე ტიპთან, თარიღდება XII-XIV სს-ით. რუდენკოს მიხედვით Б36б და Б39а ტიპთან, რომელიც XI-XII სს-ში იყო გავრცელებული (მედვედევი 1966:64; რუდენკო 2003:97). ისარი კუთხოვანი მხრებით და გვირგვინის გარეშე ვანის 57:318 ისრის მსგავსია (წურწუმია 2013:169, 192, სურ. 3).

IV ტიპი - აღმოჩნდა № 5 სამარხში (რმმ 479 (ტ. V, 4)), ორკაპა სანადირო-საბრძოლო ისარი (ნაკლულია) მასიური ფრთებით და ღრმა ვიწრო ყელით, სანადირო-საბრძოლო დანიშნულების, ყუნწი მრგვალი (?), გვირგვინის კვალი არ შეიმჩნევა. საერთო სიგრძე - 12 სმ., პირის სიგრძე - 5 სმ., სიგანე - 2,5 სმ. შესაძლოა ქიბორჯს მივაკუთვნოთ. „ისარი სარჩის მსგავსი პირ-განპებული მომცრო არს ქიბორჯი“ (ლექსიკონი 1991:335-336), „სარჩა და ქიბორჯი წვრილთა ნადირთათვის“ (ყაუხჩიშვილი IV 1973:18). შეესაბამება მედვედევის 60-ე ტიპს, თარიღდება XI-XIV სს-ით. რუდენკოს მიხედვით, ახლოსაა Б54д ტიპთან, რომელიც XI-XIII სს-ში იყო გავრცელებული (მედვედევი 1966:72-73; რუდენკო 2003:105). მსგავსია მესტიის მუნიციპალიტეტის წმ. ივლიტეს და კვირიკეს ეკლესიაში დაცული ისარის (ართილაყვა 1976:113, 228, ტაბ. 57, სურ. 3)

V ტიპი - აღმოჩნდა № 5 სამარხში (რმმ 481 (ტ. V, 5)), მასიური წაგრძელებული სამკუთხედი ფორმის სანადირო-საბრძოლო ისარი, ორი გამოკვეთილი წამახული (?) უკანა ფრთით. გვირგვინის გარეშეა, ყუნწი დაკარგულია. საერთო სიგრძე - 18 სმ., პირის სიგრძე - 8,5 სმ., სიგანე - 4 სმ. მედვედევის მიხედვით მიეკუთვნება 30-ე ტიპს, გამოიყენებოდა XII-XIII სს-ში. რუდენკოს მიხედვით შეესაბამება A1г ტიპს, თარიღდება XI-XII სს-ით (მედვედევი 1966:62; რუდენკო 2003:76). ალგეთის[36] ისრის მსგავსია, თუმცა, ეს უკანასკნელი გამოირჩევა უფრო კუთხოვანი, გამოკვეთილი ფორმებით (ადრეული ვარიანტი ?) (ართილაყვა 1976: 112, 226, ტაბ. 55, სურ. 1).

VI ტიპი - აღმოჩნდა № 5 სამარხში (რმმ 482 (ტ. V, 6)), წაგრძელებული სამკუთხედის

[36] **იხ. ართილაყვა 1976: Железообрабатывающее ремесло древней Грузии. 226, ტაბ. 55, სურ. 1.**

ფორმის მასიური სანადირო-საბრძოლო ისარი, კუთხოვანი დამრეცი მხრებით, შეიმჩნევა გვირგვინის კვალი, ყელის გარეშე, ჭრილში ლინზისებრია (?), ყუნწი დაკარგულია. პირის სიგრძე - 11 სმ., სიგანე - 5,1 სმ. ახლოსაა მედვედევის 40-ე და 41-ე ტიპებთან, გამოიყენებოდა XI-XIV სს-ში. შეესაბამება რუდენკოს მიერ გამოყოფილ Б42б ტიპს, თარიღდება XI-XII სს-ით (მედვედევი 1966:64-66; რუდენკო 2003:99). ასევე ახლოსაა ვანის ისართან (57:316), რომელიც გამოირჩევა გამოკვეთილი მხრებით (წურწუმია 2013:169, 192, სურ. 3).

V და VI ტიპის ისრები შესაძლოა მივაკუთვნოთ ქეიბურის ისრებს. „მისგან უგრძესი/უგრძე/გრძელი პირ-დიდი და ფრთე-მაღალი არს ქეიბური“ (ლექსიკონი 1991:335-336), „ქეიბური მხეცთათვის“ (ყაუხჩიშვილი IV 1973:18).

დანა - რმმ 480 (ტ. V, 7) ნაპოვნია 1950 წ. საავადმყოფოს მთავრი კორპუსის მშენებლობის დროს, სამარხი № 5. 1 მ. სიღრმეზე. ძლიერ დაზიანებულია. შემოგვრჩა ოთხი ნატეხის სახით. დანა შედგებოდა ორი ნაწილისგან: მჭრელი და ტარის პირისგან. გადარჩენილი ნაწილების სიგრძეა: 6, 96 სმ. აქედან ტარზე მოდის დაახლოებით 3,6 სმ. პირის სიგანე კი 1,66 სმ-ია. ფრაგმენტულობისა და ძლიერი ჟანგის გამო დანის ტიპოლოგიის დადგენა გართულებულია.

სამაროვანიდან მომდინარე ისრისპირები და დანა ანალოგიური მასალებისა და აღნიშნული სამაროვანზე გამოვლენილი არტეფაქტების გათვალისწინებით XII-XIII სს-ის ფარგლებში ექცევა[37].

აღსანიშნავია ერთი საიტერესო ფაქტი, რუსთავის შუა სუკუნეების სამაროვნის ამ მონაკვეთში, სამარხებში დაკრძალვის წესი ქრისტიანულია (ლომთათიძე 1955:193; ჭილაშვილი 1958:137). მიუხედავად ამისა, მათ ყოფაში წარმართული ელემენტი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხალია, რაზეც სამარხში ჩაყოლებული ნივთები მიუთითებს. კერძოდ, თუ ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი ხმლის განგებ დაზიანების შესახებაც მართებულია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს „ახლად“ გაქრისტიანებულ უცხო ტომის, დიდი ალბათობით ყივჩაღი მეომრის საფლავთან. ე. წ. იარაღის გაუნვებლების რიტუალი წარმართულ წესების გადმონაშთზე მიგვანიშნებს (წურწუმია 2013:161-165).

რაც შეეხება განხილულ სამარხებში დაკრძალულ პირთა სოციალურ მდგომარეობას, ისინი ქალაქის მოსახლეობის „საშუალო“ ფენას უნდა მივაკუთვნოთ. №№4, 20, განსაკუთრებით კი №5 სამარხის მასალიდან ჩანს, რომ აქ დაკრძალულნი სამხედრო ვალდებულნი იყვნენ. მათი აღჭურვილობა: ხმალი, მშვილდ-ისარი და დანა «მსუბუქად შეარაღებული მეომრის“ ტიპს განეკუთვნება. მათ არსენალში არ ჩანს ისეთი სახეობის იარაღი, რომელიც წაგრძელებული შუბით ბრძოლას გულისხმობს (წურწუმია 2011:186). აქ არ გაგვაჩნია სახაზო, მწყობრში შუბით მებრძოლი მეომრის

[37] **აღნიშნული სამარხების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი აქ აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით, XII ს-ით თარიღდება, ხოლო ზედა ზღვრად XIII ს-ის 60-იანი წლებია მიჩნეული, ისევე როგორც ნაქალაქარის უბანი. ანუ სამაროვანი და აქ აღმოჩენილი ხმალიც არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ნაქალაქარის თანადროული ე. ი. XII-XIII სს-ისაა (ლომთათიძე 1955:192-193, 198; ჭილაშვილი 1958:136, 145).**

ატრიბუტები, ასეთს მიეკუთვნება: მუზარადი[38], საძგერებელი შუბი, ფარი, ლახტი. ე. ი. არ მიეკუთვნებიან დაწინაურებულ სოციალურ ფენას - აზნაურებს და არც მსახურთა იმ ტიპს, რომელთაც „აზნაურული სჭირს“ (დოლიძე 1953:289). აღნიშნულ სამარხებში დაკრძალული სამხედრო ვალდებული პირები (ცხენოსანი ?), XII-XIII სს-ის რეალიების გათვალისწინებით, უფრო მსუბუქად აღჭურვილ მშვილდოსნებს წარმოადგენდნენ. ამ ტიპის მებრძოლის კარგი ილუსტრაციაა დმანისში აღმოჩენილი ჯამი (ტაბ. II, სურ. 8), რომელზეც სწორედ ასეთი მხედარია გამოსახული. კარგად ჩანს მშვილდოსნის ტიპიური აღჭურვილობა: ჯაჭვის პერანგი, მოხრილი ხმალი, მოხრილივე ვადით და საისრე ყუთით - კაპარჭით.

გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია, თუმცა დიდი ალბათობით რუსთავის შუა საუკუნეების სამაროვანზე შესწავლილი იარაღის შემცველი სამარხები, წარმართული ელემენტებით „ახლად“ გაქრისტიანებული (ნაყივჩაღარი ?) მეომრებისა უნდა ყოფილიყო, რომლებიც ცალსახად ქართველი მსუბუქად შეიარაღებული მშვილდოსანი მსახურების თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ.

ტაბილების აღწერა

ტაბ. I.1. მოხრილი ხმალი (სეიბრი), რუსთავის XII-XIII სს. სამაროვანი, დარღვეული სამარხი; 2. რუსთავის ხმლის ნაკლული ნაწილები; 3. რუსთავის ხმლის სავარაუდო რეკონსტრუქცია.

ტაბ. II. 1-2. ვალეს და ჯრუჭის ეკლესიის რელიეფები (X-XI სს.); 3. გელათის წმ. გიორგის ხატი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი); 4. გოხნარის და ახალსოფლის საფლავის ქვები (სავარაუდოდ XII ს.); 5. შტანდარტი, რუსთავის ციხე-სიმაგრის IX - XIII საუკუნეების სასახლე (დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში); 6. იოანე ნათლისცემლის თავის მოკვეთის სცენა, მინიატურა, ჯრუჭის II ოთხთავი (H 1667 ხელნაწერი), XII ს.; 7. ლაშა გიორგის ფრესკა, ბერთუბანი; 8. ჯამი მხედრის გამოსახულებით, XIII ს., დმანისის ნაქალაქარი.

ტაბ. III. რუსთავის მოხრილი ხმლის (სეიბრი) კონსტრუქციული დეტალები.

ტაბ. IV. 1. მოხრილი ხმალი (სეიბრი) ნოვოკუზნეცკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (XI ს.); 2. სეიბრი (1150 -1240 წწ.), ქალაქი ნეჟინი; 3. სეიბრი (XII -XIII სს.), ჩრდ. ურალი; 4. სეიბრი (XII-XIII სს.), სოფიის ისტორიის ეროვნული მუზეუმი.

ტაბ. V. 1-6. ისრისპირები, რუსთავის ნაქალაქარის სამაროვანი; 7. დანა, რუსთავის ნაქალაქარის სამაროვანი.

ტაბ. VI. ყივჩაღი მებრძოლის გრაფიკული რეკონსტრუქცია, მ. გორელიკის მიხედვით.

[38] **თუმცა, მუზარადი შეიძლება მსუბუქი ცხენოსნის არსენალშიც ყოფილიყო. ზოგადად, მარტო მძიმე დამცავი აღჭურვილობა არ ხდის მეომარს სახაზო მწყობრში მებრძოლ მხედრად.**

ტაბ. I



1



2



3



B

ტაბ. II

1

2

3



4

5

6



7

8

ტაბ. III

1

2



3



4

1, 2. რუსთავის ხმალი, პაკეტირების კვალით.
3. კო-ბუშეს პაკეტი სქემატურად. (ბაჟენოვის მიხედვით).
4. მაკურის პაკეტი სქემატურად. (ბაჟენოვის მიხედვით).

ტაბ. IV



1



2



3

4

ტაბ. V

ტაბ. VI

Z. Magradze

Armament of a light warrior from Rustavi ancient settlement

Summary

In the rich archaeological find at Rustavi Castle, medieval weapons feature prominently: saber, various types of arrowheads, spearheads, knives and others. This time we are interested in a curved sword, several arrowheads and knives. All these items come from the territory of the medieval burial ground on the left bank of the river Mtkvari. The burial site was found by accident in 1950, during the construction of «Medkalaki» (now the Rustavi Central Hospital).

The article presents the origin and dating of the burials, we also presented a reconstruction of a partly preserved saber.

It`s definitely difficult to prove anything, most likely, the tombs with weapons, with pagan elements explored in the medieval Rustavi burial ground, they must have belonged to warriors who “recently” converted to Christianity.

The study of the graves and burial rite revealed that burials belong to the nomads, particularly to the Kipchaqs. Which were presented in the Georgian army mainly as light forces and should have been equated to lightly armed Georgian archer servants.

დამოწმებული ლიტერატურა

ალექსანდერი 2001: Alexander, David. Swords and Sabers during the Early Islamic Period. Gladius XXI.

ართილაყვა 1976: В. Е Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тбилиси. Мецниереба.

არხანგელსკი 2007: Леонид Архангельский. Секреты Булата. Металлургиздат.

არჟანცევა 1987: Аржанцева И.А. Раннесредневековые мечи Средней Азии и проблема происхождения сабли Древний и Средневековый Восток. Москва.

ბარანოვი 2014: Баранов Г.В. Болгаро-Византийское Навершие Рукояти Сабли с Территории Северовосточного Причерноморья. Материалы По Археологии и Истории Античного и Средневекового Крыма. Издательство Киммерия (Нижневартовск).

ბაქრაძე 2011: ირაკლი ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით). საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები - IV. თბილისი.

ბაჟენოვი 2009: Андрей Баженов. Создание японского меча. Санкт-Петербург. Издательство ООО «Бранко».

ბონა 1970: Bona J. Avar lovassir Ivancsarol. Archaeologiai Ertesito.

გორელიკი 2001: Горелик М. В. Образ мужа-воина в Кабарии-Угрии-Руси. Культуры Евразийских степей второй половины I тыс. н.э. (из истории костюма). Т. 1. Самара: Самарский областной историко-краеведческий музей им. П.В. Алабина.

გორელიკი 2012: Горелик М.В. Батыр. Традиционная военная культура народов Евразии №01-02 (4-5) М. Марджани.

გურინოვი, ნეჩიტაილოვი 2010: Гуринов Е. А., Нечитайлов М.В. Фатимидская армия в крестовых походах (1096-1171 гг.). Военно - исторический журнал – Воин, №10.

გუსინინი 2010: Гусынин В. А. Обоймицы сабельных клинков из района золотаревского поселения XI–XIII вв. Вестник МГОУ. Сер. История и политические науки.

დ`ამატო 2012: Raffaele D'Amato. (Osprey Publihing Elite 187) Byzantine Imperial Guardsmen, 925-1025: The Taghmata and Imperial Guard.

დოლიძე 1953: ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

დოუსონი 2009: Timothy Dawson. (Osprey Warrior 139) Byzantine Cavalryman C. 900-1204. Osprey Publishing.

დრუჟინინა, დმიტრიევი 2018: Дружинина И. А., Дмитриев А. В. Вооружение из

курганного могильника Сидоренкова щель. Краткие сообщения Института археологии. Выпуск 251.

ევგლევსკი,პოტიომკინა2000: Евглевский А. В., Потёмкина Т. М. Восточноевропейские позднекочевнические сабли. Степи Европы в эпоху средневековьяю Т. 1. Донецк.

ვერეშჩაგინი, გოლუბევი 2020: Верещагин В. В., Голубев Л. Э. Всадники шегаков, Вопросы археологии Адыгеи. Майкоп.

ილიუშინი 2014: Илюшин А. М. Сабли В Культуре Средневекового Населения Кузнецкой Котловины. Древности Сибири и Центральной Азии. № 7(19). Горно-Алтайск.

ინკოვა 2013: Mariela Inkova, A Medieval Sabre and a Knife from the Exhibition of the National Museum of History in Sofia // Acta Militaria Mediaevalia. volume IX. Kraków-Rzeszów-Sanok.

იოტოვი 2008: Йотов В. Ранние сабли (VIII-X вв.) на Нижнем Дунае. Культуры евразийских степей второй половины I тысячелетия н. э. вопросы межэтнических контактов и межкультурного взаимодействия (сборник материалов IV Международной археологической конференции). Самара.

კადიევა 2012: Кадиева А. А. Хронологические Индикаторы В Погребальном Инвентаре Галиатского Склепа 1935 Г. В Дигорском Ущелье (Северная Осетия). Российская Археология, № 1.

კამინსკი, კამინსკაია-ცოკური 1997: Каминский В. Н., Каминская-Цокур И. В. Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье. Историко-археологический альманах. Вып. 3. Армавир.

კაჩკაროვი 2008: Кочкаров У. Ю. Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья (оружие ближнего боя). Москва. Таус.

კირპიჩნიკოვი 1966: Кирпичников А. Н. Древнерусское оружие. Вып. I. Мечи и сабли IX-XIII вв. Археология СССР, М.-Л. Наука.

კირპიჩნიკოვი, კოვალენკო 1993: Кирпичников А. Н., Коваленко В. П. Орнаментированные И Подписные Клинки Сабель Раннего Средневековья (По Находкам В России, На Украине И В Татарстане). Археологические Вести. Вып. 2. Спб.

კუჩმა 2012: Лев VI Мудрый. Тактика Льва. изд. подготовил В. В. Кучма; отв. ред. Н. Д. Барабанов. СПб. Алетейя.

ლექსიკონი 1991: სულხან საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული I. თბილისი. მერანი.

ლექსიკონი 1993: სულხან საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული II. თბილისი. მერანი.

ლომთათიძე 1955: გ. ლომთათიძე. რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები; მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის I. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

მედვედევი 1966: Медведев А. Ф. Ручное метательное оружие (Лук и стрелы, самострел). VIII–XIV вв. (САИ. Вып. Е1-36) М. Наука.

მერპერტი 1955: Мерперт Н. Я. Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье. Советская археология. XXIII. Издательство академии наук СССР. Москва.

ნიკოლი 1999: David Nicolle. Arms & Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia (Vol 2). Published by Greenhill Books, London.

ნიკოლი 2013: David Nicolle. (Campaign – 262) Manzikert 1071 - The Breaking Of Byzantium., Osprey Publishing Ltd.

ნეფიოდკინი 2005: Никифор II Фока. Стратегика / Никифор II Фока; пер. со среднегреч. и коммент. А. К. Нефедкина. Санкт-Петербург. Алетейя (Византийская библиотека. Источники).

რუდენკო 2003: Руденко К. А. Железные наконечники стрел VIII-XV вв. из Волжской Булгарии: Исследования и каталог., Национальный музей Республики Татарстан. Казань. Заман.

ყაუხჩიშვილი 1973: ყაუხჩიშვილი ს. ქართლის ცხოვრება: ტომი IV, ვახუშტი ბატონიშვილი: აღწერა სამეფოსი საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი. საბჭოთა საქართველო.

შირინი 2002: Ширин Ю. В. Средневековые случайные находки предметов вооружения из Горной Шории. Материалы по военной археологии Алтая и сопредельных территорий. Барнаул. Алт. ГУ.

ცამაკდა 2002: Vassiliki Tsamakda. The Illustrated Chronicle of Ioannes Skylitzes in Madrid, Alexandros Press, Leiden.

ცქიტიშვილი 1950: გ. ცქიტიშვილის დღიური. ხელნაწერი დაცულია რუსთავის ისტორიულ მუზეუმში.

წურწუმია 2011: წურწუმია მ. წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება., საისტორიო კრებული I , წელიწდეული. თბილისი. მხედარი.

წურწუმია 2013: წურწუმია მ. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტომი I, მხედარი. თბილისი.

წურწუმია 2015: წურწუმია მ. შუა საუკუნეების ხმლები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. თბილისი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები ტ. IX. თბილისი.

წურწუმია 2016: წურწუმია მ. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბილისი. მხედარი.

ჭილაშვილი 1958: ლ. ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი, ისტორიულ - არქეოლოგიური ნარკვევი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

ჯანფოლადიანი, კირპიჩნიკოვი 1972: Джанполадян Р. М., Кирпичников А. Н. Средневековая сабля с армянской надписью, найденная в Приполярном Урале. Эпиграфика Востока. Вып. XXI.

ჰოფმეიერი 1966: Ada Bruhn Hoffmeyer. Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes in Biblioteca Nacional de Madrid. Granada., Vol. 5 gladius.

შემოკლებათა განმარტება

სდ. – საველე დავთარი

რმმ. ძფ. – რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძირითადი ფონდი

რუსთავის ისტორიული მუზეუმი
RUSTAVI HISTORICAL MUSEUM

რუსთავი
RUSTAVI
V

რედაქტორი: ნაზი პაჭიკაშვილი
Editor: Nazi Pachikashvili

ტირაჟი - 200

დაიბეჭდა შპს „სეზანში“

Printed in “Cezanne” ltd

თბილისი, Tbilisi
2024